საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№27 (214)
24 - 30 ივლისი, 2013
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## მიხეილ სააკაშვილი და საურონის თვალი
3

# ბიძინა, ანუ მიხეილი
## 10 მსგავსება ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის
10



5 ვისი მითითებით მზადდება სააკაშვილის ხელშეუხებლობის კანონპროექტი და რას იტყვის ხალხი, თუკი ბიძინამ მიხეილს იმუნიტეტის გარანტია მისცა?

## «ირაკლი ღარიბაშვილი არის «ვანო მერაბიშვილი 2» და იმავე მეთოდებს არანაკლები «წარმატებით» იყენებს»
6



## «არჩილ კბილაშვილი პროცესს არ წარმართავს, ქვეყნის მთავარი პროკურორი რეალურად ლაშა ნაცვლიშვილია»

## გეიპროპაგანდას აყოლილი პროკურატურა პედოფილიას ლობირებს
7

11 «ივანიშვილი გამოიყენეს შირმად, რათა ხელისუფლება არ შეცვლილიყო»

იაშარ უსუბოვი:
რამდენადაც ვიცი, იმ საღამოს ჩემი შვილი და ზურა ერთმანეთს
12 არ შეხვედრიან

ტერაქტში ბრალდებული ვოვა არუთინიანის საქმის გაუხმაურებელი
12 დეტალები

# ამერიკული კვალი 26 მაისის დარბევაში
4

13 კოაბიტაცია უნდა დამთავრდეს!

## «ქართული ოცნებაც» იმავე ძალის მონაა, რომელსაც «ნაცმოძრაობა» ემსახურებოდა
8

## შერჩევითი სამართალი და უმრავლესობად ქცეული დავით ბაქრაძე
2

21
## დემოკრატია თუ ხალხის დათრგუნვა და დეგენერაცია

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად უდანაშაულო მამაოების დასჯით ქართულ საზოგადოებას მხოლოდ იმას აჩვენებთ, რომ სამართალი მართლაც შერჩევითია და გუშინდელი დამნაშავე ხელისუფლების დაკვეთას ასრულებთ!**

# შერჩევითი სამართალი და უმრავლესობადქცეული დავით ბაქრაძე

**17 მაისის მოვლენები დასავლეთმა ქრისტეს პერანგად გვიქცია. თითქოს ისეთი არაფერი მომხდარა, მაგრამ ნატოს გენერალურმა მდივანმა მეოცნებე ხელისუფლება ისე დატუქსა, რომ არავინ შეეპასუხა – წამების, გაუპატიურების თუ სხვა სახის ძალადობის ამსახველი 15 ათასი კადრი რამდენად ეტევა დემოკრატიის ნორმებში. „ნაციონალები“ რის „ნაციონალები“ იქნებოდნენ, რომ მართლმადიდებელი სასულიერო პირების დასჯა არ მოეთხოვათ?**



## მაინც როგორ უნდა დასაჯონ მღვდლები, რომ სისხლს მოწყურებული ნეოლიბერალები დაკმაყოფილდნენ?

მოითხოვეს, კიდევ ითხოვენ და მათ მოთხოვნებს ახალი ხელისუფლება ისეთი მონდომებით ასრულებს, როგორიც საკუთარი ამომრჩევლის მოთხოვნების მიმართ არ გამოუმჟღავნებია. ამ საკითხზე კომენტირებისას პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ **პირველად საქართველოს ისტორიაში, მოქმედი მღვდელმთავრები პასუხისგებაში მიეცნენ.**

მისი თქმით, ეს პროცესები იყო ზედმეტად მართული გარედან და **ეს ორი მღვდელი კანონის შესატყვისად დაისჯება.**

**სამწუხაროდ, სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული მახინჯი ტრადიცია გრძელდება. საქმეზე, რომელზეც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ჯერ არ დამდგარა, ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირი საკუთარ პოზიციას გამოხატავს.**

არანაკლებ საგანგაშოა, რომ პრემიერ-მინისტრი არ იცნობს საქართველოს უახლესი ისტორიის ფურცლებს. როგორ არ უნდა მოგჭრას ყური სააკაშვილის გამოთქმის „პირველად საქართველოს ისტორიაში“ გამეორებამ ივანიშვილის მიერ: **გასაბჭოებისას დახვრეტილ სასულიერო პირებზე (ახალმოწამეებზე) რომ არაფერი ვთქვათ, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ე. წ. თვითმფრინავის გამტაცებელთა საქმეზე მოქმედი მღვდელი — მამა თევდორე (ჩიხლაძე) დაიხვრიტა, რომელიც საერთოდ არ იმყოფებოდა თვითმფრინავში.** ის, როგორც ჩანს, ისეთივე „ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის“ დახვრიტეს, რომლის გამოც ირაკლი ბათიაშვილი გამოკეტეს „ნაციონალებმა“ ციხეში!

**15-წლიანი ციხე მოიხადა მიტროპოლიტმა გაიოზ კერატიშვილმა, რომელსაც, რაც კი რამ ებადა, კონფისკაციის სახით წაართვეს.**

**„ვარდების რევოლუციის“ იდეოლოგებმა პირადი ანგარიში გაუსწორეს ბასილ მკალავიშვილს, რომელმაც ექვსი წელი მოიხადა ციხეში.**

ამდენად, ეს სულაც არ არის პირველი შემთხვევა, როცა სასულიერო პირები პასუხისგებაში არიან მიცემული. მეორე მხრივ, **ხაზგასმა სასულიერო პირებზე უკვე იმის აღიარებაა, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი არ არის.**

ჯორჯ ორუელი ჭეშმარიტებას ღაღადებდა, როცა წერდა: **„ყველა ცხოველი თანასწორია, მაგრამ ზოგიერთი უფრო თანასწორია“!** უფრო თანასწორები დღეს ისევ „ნაციონალები“ არიან, რომლებიც ახლა ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლებული სხვადასხვა არასამთავრობოს სახელით ითხოვენ სასულიერო პირების სამაგალითოდ დასჯას.

**ხომ ყველამ იცის, რომ 17 მაისის მოვლენებს არ მოჰყოლია იმის მეასედიც კი, რაც 2011 წლის 26 მაისის სასტიკ დარბევას! ისიც ხომ ყველას მოეხსენება, რომ 9-წლიანი სისასტიკის არდამნახავებს არანაირი მორალური უფლება არ აქვთ, სამართალსა და სამართლიანობაზე ილაპარაკონ!**

მაინც რით შეაშინეს მათ „ქართული ოცნება“, რომ პირველივე მოთხოვნას ასე ხალისიანად უსრულებენ?

ნუთუ მთავარი ის არის, თუ რას გეტყვიან სააკაშვილის მეგობრები დასავლეთიდან და არა ის, თუ რა მოხდა სინამდვილეში?

სინამდვილე კი ერთობ მარტივია: **ამ ორ მღვდელს არავინ უცემია, მათი ერთადერთი ბრალეულობა იმ მომენტში რუსთაველის გამზირზე ყოფნა იყო.** მე მახსოვს საბჭოთა წლები, როცა ანაფორიან კაცს საჯარო ადგილზე არ მიესვლებოდა. შეიძლება აღარ დაეჭირათ, მაგრამ „გამარჯვებული სოციალიზმის“ ქვეყანაში სასულიერო პირების დანახვა მაინცდამაინც არ უყვარდათ.

თუ ახლაც იგივე მიდგომაა, ბატონო „დემოკრატიის მშენებლებო“, გამოაქვეყნეთ სია და განრიგი, ვის, სად და როდისა აქვს რუსთაველზე მისვლის უფლება, ან დეკრეტი გამოეცით, რომ შეკრებისა და მიტინგების შეუზღუდავი უფლება მხოლოდ სექსუალურ უმცირესობებს აქვთ!

„დემოკრატიის მშენებლები“ ვახსენე და იმავე რასმუსენს შეკითხვაც არ გასჩენია, „დემოკრატიის მთავარი მშენებლის მმართველობისას“ რატომ არ ხდებოდა ასეთი ექსცესები? უფრო სწორად, ამაზე ბევრად უარესი ხდებოდა, ოღონდ დასავლეთში ამაზე არავის დაუხუკია ლოყები.

**მაინც, როგორ უნდა დასაჯონ მღვდლები, რომ სისხლს მოწყურებული ნეოლიბერალები დაკმაყოფილდნენ?**

მრავალმილიონიან გაფლანგვაში ეჭვმიტანილი უგულავა თუ გირაოთი უნდა თავისუფლდებოდეს, ამ პირობებში რომელი სტანდარტით უნდა მივუდგეთ სასულიერო პირებს?

დიდი დაკვირვება, პოლიტიკური გამოცდილება და გამჭრიახობა უნდა იმის მიხვედრას, რომ „ნაციონალები“ დღესაც კბილებით იცავენ საკუთარი ხელისუფლების ყველაზე ოდიოზურ წარმომადგენლებს? ან იმის დანახვას, რომ საკუთარ მინისტრს – დავით კირვალიძეს ბევრად უფრო დაუნდობლად დევნის ახალი ხელისუფლება, ვიდრე დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლებს?

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ **ვისთანაც გაუდით, იმათ სჯიან!**

თუმცა ერთი უთუოდ დამამშვიდებელია: მართლმადიდებელ მამაოებს პედოფილიაში არ ედებათ ბრალი. თუმცა... იქნებ მთელი ჩანაფიქრიც სწორედ ამაშია; უმცირესობათა დამცველები ხშირად თავად მიმართავენ ამ ხერხს და აცხადებენ, რომ სექსუალურ უმცირესობებთან ყველაზე შეურიგებელი სწორედ ლატენტური ჰომოსექსუალები არიან. ამ ლოგიკით, ყველა, ვინც 17 მაისს რუსთაველზე გავიდა, ლატენტური ჰომოსექსუალი ყოფილა და ის დროა, მამაოები იმ დევიზით დავიცვათ, რომ მათ, როგორც უმცირესობას, ისე ერჩიან!

უმცირესობისა და უმრავლესობის საკითხი ჩვენს ქვეყანაში ისევ აქტუალურია: **9 წელიწადი ქვეყანას აგრესიული და მარგინალური უმცირესობა მართავდა, ახლა სხვა უმრავლესობაა, მაგრამ იგივე ჯგუფი დღეს უკვე უმცირესობის, ანუ საკუთარი თავის დაცვის მოთხოვნით გამოდის!**

**როდის იქნება დაცული ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა?**

წინასაარჩევნოდ ბიძინა ივანიშვილმა პოლიტკორექტულად განაცხადა, რომ უმცირესობები ისევე იქნებიან დაცული, როგორც ყველა. ვინ ყველა? **საქართველოში გუშინაც და დღესაც ადამიანთა მხოლოდ ვიწრო ჯგუფია დაცული. ისინი ან ხელისუფლებაში არიან, ან ოპოზიციაში, ან უეცრად გაჟურნალისტდნენ და საკმარისია შეეხო, აყვირდებიან, ახალი ხელისუფლება სიტყვის თავისუფლებას ებრძვისო!**

**რატომ ეშინია ახალ ხელისუფლებას ასე ძალიან, რომ დასავლეთში „ვერ გაუგებენ“?** პასუხი მარტივია: **მათ არ ეშინიათ, რომ ქართველი ხალხი ვერ გაუგებს, ან უფრო მეტად დასავლეთის ეშინიათ, ვიდრე საკუთარი ამომრჩევლის.**

აბა, რას უნდა მიაწერო კოაბიტაციის მწვერვალი, როცა დამარცხებული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატს პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე ხვდებიან და ისეთი მონდომებით უთანხმდებიან, თითქოს ვალი ჰქონდეთ მისი!

ველოსიპედზე ამხედრებული და ჯიპის ესკორტით პარლამენტში მოსიარულე ყოფილი მინისტრი კი ჭმუნავს: **„რა განსხვავებული მოთხოვნები აქვს საზოგადოებას... მიშა რომ ერთი თვის განმავლობაში ვინმეს არ შეხვედროდა, ჯერ ოპოზიცია იწყებდა ყვირილს — არიქა, საერთაშორისო იზოლაციაში ვართო და შემდეგ საზოგადოებაც აღშფოთებული იმეორებდა: დავილუპეთ, ჩვენს პრეზიდენტს ხელს აღარავინ ართმევსო... 9 თვეა, ივანიშვილი პრაქტიკულად შუშის სასახლიდან არ გამოსულა. მეზობლები ნახა, პანაშვიდებზე დადის და ურეკში თუ ჩავა უმრავლესობასთან შესახვედრად...**

**საერთაშორისო იზოლაცია კაციშვილს აღარ ახსოვს. აღარაა აქტუალური...**

**რა საქართველოს საერთაშორისო იმიჯი?!**

**რაღა საჭიროა“...**

ესეც ასე!

ურეკში დავით ბაქრაძესთან შეხვედრა „უმრავლესობასთან შეხვედრა“ ყოფილა!

ივანიშვილი, 9 თვეა, შუშის სასახლიდან არ გამოსულა!

საერთაშორისო იზოლაციაშიც ვყოფილვართ და ვერ გაგვიგია!

**ბატონო მეოცნებეებო, თუ მაინც საერთაშორისო იზოლაციაში ხართ, რაღატომ განერვიულებთ, რომ დასავლეთი ვერ გაგიგებთ?**

**თუ ბაქრაძე ისევ უმრავლესობის ლიდერია, რისთვის წამოაყენეთ მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად?**

**თუ შუშის სასახლიდან ივანიშვილი ჯერაც არ გამოსულა და არც ის იცის, რომ სასულიერო პირების დასჯით თავის მოწონება ვერანაირ პოპულარობას ვერ მოუტანს, ვიდრე საბოლოოდ გაგიცოცხლებიათ მკვდარი „ნაციონალური მოძრაობა“, ეგებ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე გეფიქრათ!**

მით უფრო, რომ თავად „ქართულ ოცნებაშიც“ ბევრს აღარ მოსწონს ეს გახანგრძლივებული კოაბიტაცია და გაურკვეველი მომავალი!

ასეა თუ ისე, **სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად უდანაშაულო მამაოების დასჯით ქართულ საზოგადოებას მხოლოდ იმას აჩვენებთ, რომ სამართალი მართლაც შერჩევითია და გუშინდელი დამნაშავე ხელისუფლების დაკვეთას ასრულებთ!**

ხომ კარგად იცით, რომ ქართველ მართლმადიდებელ მღვდლებს უცხოეთიდან არავინ დაიცავს, საკუთარ ხალხს კი თქვენ ყურს არ უგდებთ!

ერთხელ ცნობილმა ჟურნალისტმა ვლადიმირ სოლოვიოვმა რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე თავდასხმების შესახებ დაწერა: **„მე ებრაელი, იუდეველი ვარ, არ ვარ ქრისტიანი, მაგრამ კარგად მესმის, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს ყველაზე მეტად მართლმადიდებელი ეკლესია დაზარალდა. იუდაიზმს ჰქონდა განვითარების საშუალება რუსეთის მიღმა, ისლამსაც ჰქონდა, მართლმადიდებელი ეკლესია კი დაჩაგრული იყო. ეკლესიის გარეშე კი რუსი ადამიანის სული სრული ვერ იქნება... თუ რუსეთი არ იქნა, ამ ტერიტორიაზე ყველა მცხოვრები ცუდად იქნება: ქრისტიანებიც, იუდეველებიც, მუსლიმანებიც და ათეისტებიც“.**

თუ მართლმადიდებლობასთან ეს სახიფათო თამაშები გაგრძელდა, შედეგი სრულიად გაუთვალისწინებელი შეიძლება იყოს. ამაზე „ნაციონალების“ ჯიბის ენჯეოები არ იფიქრებენ – ამაზე ახალმა ხელისუფლებამ უნდა იფიქროს, თორემ იმ პატარძლისა არ იყოს, ჩქმეტა-ჩქმეტით რომ დაორსულდა, „ნაციონალები“ ისე აღიდგენენ ძალაუფლებას, რომ შეიძლება ვერც კი შეამჩნიოთ.

ასეთი ამბები სწორედ ასე იწყება: ჯერ შენიანს დაგაჭერინებენ, მერე — მამაოებს, ბოლოს კი ისე შეგაგდებენ ციხეში, რომ დასავლეთში არავის გაახსენდება „პოლიტიკურად მოტივირებული დევნა“!

**დღეს ბევრს წერენ იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილს ფარული ჩანაწერების ყურება უყვარდა. ძნელი სათქმელია, ასე იყო თუ არა, მაგრამ გასაკვირი ამ ვარაუდში, პრინციპში, არაფერია, მსგავსი ფირები, ნარკოტიკივით, ღვთაებრივი ყოვლისმცოდნეობისა და ყოვლისშემძლეობის ილუზიას ქმნის. ნებისმიერი დიქტატორი ოცნებობს ჯადოსნურ ტელევიზორზე, რომელშიც ყველას და ყველაფერს დაინახავს და არ იცის, რომ ეს ოცნება უფსკრულში გადაჩეხავს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიხეილ სააკაშვილი და საურონის თვალი



**სააკაშვილის შსს-ს ფარული ჩანაწერების შესახებ ძალიან ბევრი ითქვა, თუმცა პრობლემის ერთი ასპექტი — უკანონო თვალთვალის როლი და მნიშვნელობა რეჟიმის მდგრადობის უზრუნველყოფის საქმეში, სამწუხაროდ, დისკუსიის პერიფერიაზე მოექცა. აუდიტორიის დიდ ნაწილს უფრო მეტად კონკრეტული დეტალები, ვიდეოფირზე აღბეჭდილი სცენები და რაკურსები აინტერესებს და, ალბათ, მიზანშეწონილია, ისევ კონკრეტიკით დავიწყოთ, ხოლო შემდეგ ზოგად და, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე გადავიდეთ.**

გასულ კვირას პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ტელეკომპანია „იმედის" ეთერში შემდეგი განცხადება გააკეთა: **„როგორც გადმოცემით, ვიცი, ჩემი ჩანაწერებიც არსებობს, რაც ჩემს სიტუაციას სრულიადაც არ ამარტივებს და კარგად სრულიადაც არ მაჩენს. როცა ქვეყნის მეორე პირს გწერენ, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ობიექტურობისთვის ვიტყვი, რომ ჩემი ჩანაწერებიც არსებობს, არ ვიცი რა, მაგრამ რაღაც ჩანაწერები არის"** (ინტერპრესნიუსი).

ბაქრაძემ იქვე განმარტა, რომ ინფორმაცია ამის თაობაზე იმ კომისიის ზოგიერთი წევრისგან მიიღო, რომელსაც აღნიშნულ ფირებთან შეხება ჰქონდა. პარადოქსულია, მაგრამ ამ განცხადებამ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ისევ პირადი ცხოვრების ამსახველი ფირების სასწრაფო განადგურების აუცილებლობაზე აალაპარაკა, მაშინ, როდესაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაცილებით მნიშვნელოვანი სულ სხვა საკითხია.

ცხადია, არავინ შეინახავდა საგანგებოდ შემდეგი ტიპის ჩანაწერებს: „დავით ბაქრაძე ჩაის სვამს" ან „დავით ბაქრაძე ზოოპარკში ბაბუინს ბანანს აწვდის (თუნდაცართმევს)". ყოველივე ეს ჩვეულებრივი და ლეგალურია (ალბათ, ბანანის წართმევის შემთხვევაშიც კი) და კომპრომატად ვერ გამოდგება. **საიდუმლო არქივში, ძალიან დიდი ალბათობით, მოხვდებოდა მხოლოდ ის კადრები, რომლებზეც ასახულია ან ფიგურანტის მიერ ჩადენილი დანაშაული (სისხლის სამართლის კოდექსის ან „ნაციონალების" დაუწერელი ადათ-წესების გადასახედიდან), ან კიდევ პიკანტური დეტალები მისი პირადი ცხოვრებიდან, რომელთა გამოქვეყნების შემთხვევაში, მის იმიჯს სერიოზული ზიანი მიადგებოდა.** თავად ბაქრაძე ამბობს, რომ არ იცის, რაზეა საუბარი, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ჩანაწერების განადგურების წინააღმდეგ რამდენიმე არგუმენტი მუშაობს.

**თუ ფირზე აღბეჭდილია დანაშაული, მაგალითად, „დავით ბაქრაძე ბრაკონიერობს" ან კიდევ, „დავით ბაქრაძე როდიონ რასკოლნიკოვივით ნაჯახით უსწორდება მევახშე ქალბატონს",** მისი განადგურება ამ ეტაპზე ნივთმტკიცებულების მოსპობის ტოლფასია, მაგრამ, თუნდაც ასე არ იყოს, უკანონო თვალთვალი ხელისუფლების მეორე პირზე ძალზე სერიოზული დანაშაულია (თუ ჩანაწერები ეხება პერიოდს, როდესაც ფიგურანტი პარლამენტის თავმჯდომარე იყო), პირდაპირი დარტყმა ეროვნულ უსაფრთხოებაზე და ლამის აგრესიის აქტი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასე რომ, აუცილებლად უნდა დაიწყოს გამოძიება და გამოვლინდეს როგორც შემსრულებელი, ისე დამკვეთი; ფირების სასწრაფო განადგურებამ ამას შეიძლება ხელი შეუშალოს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ამ საქმესთან დაკავშირებით უნიკალური კომენტარი გააკეთა, რომლიდანაც აზრის გამოტანა პრაქტიკულად შეუძლებელია: **„მე არ მინახავს დავით ბაქრაძის ვიდეომასალა, ფიზიკურად დრო არ მქონდა. რა თქმა უნდა, ეს არ არის ჩემი საქმე, რომ მე ვნახო და არც მაქვს ნახვის სურვილი. მე ვიცი, რომ იქ არაფერი არ არის დავით ბაქრაძეზე, თუმცა არ ვიცი საიდან აქვს მას ინფორმაცია"** (ინტერპრესნიუსი).

აი, რას უშვება ადამიანებს სისტემა! ასე თუ გააგრძელა, მალე ლოგიკასა და მჭევრმეტყველებაში ვანო მერაბიშვილის რეკორდებს მოხსნის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ღარიბაშვილი უბრალოდ არ უკვირდება, რას ლაპარაკობს; აგერ, გასულ კვირას, ზუგდიდის ინციდენტის შემდეგ, გამოვიდა და თქვა: **„ყველა, ვისი მხრიდანაც „ნაციონალების" წინააღმდეგ ძალადობა დაფიქსირდა, სამაგალითოდ დაისჯება".** საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს „სამაგალითოდ დასჯის" ცნება, ხოლო კანონის უზენაესობის პრინციპი იმასაც მოითხოვს, რომ პირი მხოლოდ კანონით დადგენილი წესით ისჯებოდეს. ასე რომ, ამ შემთხვევაში, საქმე ფეოდალური ტერმინოლოგიის სამაგალითო გამოყენებასთან გვაქვს. ამ ნიუანსს თავი დავანებოთ; **ამ განცხადებით შს მინისტრი აშკარად და უხეშად შეიჭრა სასამართლოს კომპეტენციაში, რაც საერთოდ შეუწყნარებელია.**

არის კიდევ ერთი მომენტი: შსს-მ არ მიიღო სათანადო წინმსწრები ზომები იმისთვის, რომ პროცესები ზუგდიდში ასე მწვავედ არ განვითარებულიყო. არის შემთხვევები, როდესაც დაპირისპირების განეიტრალებისთვის საკმარისია რამდენიმე სამართალდამცავი, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც აუცილებელია რკინის ბარიერების, გაცილებით მრავალრიცხოვანი ძალების ან სულაც, ცხენოსანი პოლიციის გამოყენება (საუკუნის კადრი იქნებოდა „კავალერია იცავს დავით ბაქრაძეს ზუგდიდელი ამომრჩევლებისგან"). პატარა ბავშვისთვისაც კი ცხადი იყო, რომ გამწარებული ადამიანების საკმაოდ დიდი, გალიზიანებული მასა „ნაციონალების" ლიდერებს დაუპირისპირდებოდა, მაგრამ შსს-ს ანალიტიკური სამსახურები ამ ელემენტარულ დასკვნამდე, როგორც ჩანს, ვერ მივიდნენ. შესაძლოა, შსს-ს ხელმძღვანელობას არ სურს, კიდევ უფრო მეტად გაამწაროს ეს ადამიანები და მათთვის საძულველი „ნაციონალების" დასაცავად გამაღიზიანებლად ჭარბი ძალა გამოიყენოს. მაგრამ **მსგავსი ინციდენტების შემდეგ მსაჯულის პოზაში ჩადგომა და რაღაც „სამაგალითო დასჯაზე" საუბარი, სულ ცოტა, უადგილოდ თუ არა, სასაცილოდ გამოიყურება. ამის ნაცვლად, ჯობს, დასხდნენ და „ნაცლიდერების" დაცვის ორიგინალური სქემა მოიფიქრონ** (მაგალითად, პერიმეტრი სპილოებით გაამაგრონ).

ნებისმიერ შემთხვევაში, ირაკლი ღარიბაშვილი, ალბათ, სასწრაფოდ უნდა დაინტერესდეს „ბაქრაძის ჩანაწერებით" და ადეკვატური ზომები მიიღოს. საზოგადოება კი, სასურველია, ყურადღებით დააკვირდეს „ფირების კომისიის" მუშაობას და მისი წარმომადგენლების განცხადებები გააანალიზოს; შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი ძალზე უსინდისოდ იქცევა. ცხადია, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ დავით ბაქრაძე ცრუობს, რათა თავი რეჟიმის ერთ-ერთ მსხვერპლად, ლამის წამებულად წარმოაჩინოს. ასეა თუ ისე, ამ ეპიზოდის უყურადღებოდ დატოვება არ ეგების.

ალბათ, არავის გაუკვირდება, თუ გაირკვევა, რომ **სააკაშვილის პოლიცია ბაქრაძეს უთვალთვალებდა; ის, რომ კომპრომატი შიდასახელისუფლო ურთიერთობებში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა, საიდუმლო არავისთვის არაა. აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ — ტოტალური თვალთვალის სისტემის არსებობამ სააკაშვილს ტოტალური კონტროლის ილუზია შეუქმნა. არადა, პირველიდან მეორე ავტომატურად როდი გამომდინარეობს.**

გასულ კვირას მკვლევარებმა — დევიდ როზენმა და არონ სანტესომ ძალზე საინტერესო წერილი გამოაქვეყნეს, რომელიც, ერთი შეხედვით, ფრიად სადავო აბზაცით იწყება, მასში ნათქვამია, რომ ტოლკიენმა „ბეჭდების მბრძანებელში" გაცილებით ზუსტად აღწერა თანამედროვე შპიონაჟის არსი, ვიდრე ორუელმა თავის „1984"-ში. ისინი წერენ „საურონის თვალზე", როგორც ტოტალური კონტროლის ძალზე შთამბეჭდავ სიმბოლოზე, თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ „ყველაფრის ხილვა ყველაფრის ცოდნას არ ნიშნავს". „საურონის სახით ტოლკიენმა შეძლო აღეწერა ხელისუფლება, რომელიც ცდილობს, თავი ღვთაებრივად წარმოაჩინოს, თითქმის ამოუწურავ რესურსებს ფლობს, მაგრამ ინტერპრეტაციის ასპექტში აშკარად ბრმაა. მარტივად რომ ვთქვათ, საურონის მთავარი პრობლემა ემპათიის არარსებობაა, მას არ შეუძლია წარმოიდგინოს ვინმე ფუნდამენტურად განსხვავებული ღირებულებებით. — წერენ როზენი და სანტესო, — საურონი არასოდეს უშვებს აზრს, რომ ვიღაცამ შეიძლება სხვა გზა აირჩიოს, გაანადგუროს ბეჭედი და, შესაძლოა, ამ პროცესში თვითონ დაიღუპოს. მას „დადასტურების მიკერძოებულობა" აწუხებს, ანუ ის მიდრეკილია მხოლოდ იმ ინფორმაციის დადასტურებისკენ, რომელიც მის შეხედულებებს შეესაბამება. ეს ნებისმიერი სადაზვერვო სამსახურის ფუნდამენტური პრობლემაა. ჩვენ ვხედავთ იმას, რისი დანახვაც გვსურს, რაც პრობლემა ხდება, როდესაც მტერს განსხვავებული მსოფლმხედველობა აქვს".

**სააკაშვილმა ტოტალური თვალთვალის სისტემა შექმნა, მაგრამ ვერ მიაღწია ტოტალურ კონტროლს. აშკარაა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, მოწინააღმდეგეთა მოტივები და შესაძლო მოქმედება მისთვის ამოუცნობი დარჩა, რის გამოც არაერთი მცდარი გადაწყვეტილება მიიღო და, საბოლოოდ, კრახი განიცადა. მოპოვებული ჩანაწერების რაოდენობით, აგრეთვე, ამ მუშაობაში ჩართული ცალკეული პირების ინტერვიუებით თუ ვიმსჯელებთ, თვალთვალის სისტემა ძალზე მასშტაბური იყო და რეჟიმის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად მოიაზრებოდა;** მას სააკაშვილისთვის, როგორც ჩანს, ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც თვალს — საურონისთვის, თუმცა ამან გადამწყვეტ მომენტში ვერ უშველა. ცხადია, იყვნენ ადამიანები (და არაადამიანები), რომელთაც საურონი (ჩვენი პროპორციებიდან გამომდინარე, ალბათ, მაინც „საურონჩიკი") უძლეველ მბრძანებლად მიაჩნდათ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ სააკაშვილმა, საბოლოო ჯამში, ვერაფერი მოუხერხა მათ, ვისაც მისთვის გაუგებარი და უცხო მოტივები ამოძრავებდათ. მას სავსებით გულწრფელად არ ესმოდა და, მისი კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, არც ახლა ესმის, რატომ აკეთებდნენ ისინი ერთს და არა მეორეს, რატომ მოქმედებდნენ „საურონის ლოგიკის" წინააღმდეგ.

**„უშიშროების ნებისმიერი აპარატი,** — წერენ, ამასთანავე, როზენი და სანტესო, — **არ შეიძლება იყოს უფრო ძლიერი, ვიდრე მისი ყველაზე სუსტი რგოლი. სუსტი რგოლები კი ყოველთვის საკმარისზე მეტია".** თუმცა ყველაზე სუსტი რგოლი, ალბათ, მაინც პირამიდის მწვერვალზე მდებარეობდა, როგორც მორდორში, ისე სააკაშვილის საქართველოში; აქაც და იქაც კრახის მიზეზი ის ინტელექტუალური წინალობები იყო, რომელსაც სისტემის შემქმნელმა ვერ გადააბიჯა. ამ კრიტიკული წერტილის მოძებნა მხოლოდ დროის საკითხი იყო. საერთოდ კი, ტექნოლოგიების განვითარებამ გაუჩინა პოლიტიკოსებს და ძალოვნებს ცდუნება, „ყველაფერი დაინახონ" და, რაც უფრო დახვეწილი ხდებოდა თვალთვალის საშუალებები, მით უფრო ხშირად გვესმოდა ექსპერტების მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ამა თუ იმ ქვეყნის დაზვერვა „გამოშტერდა". ადრე მუშაობა ინფორმაციის შედარებით მცირე მოცულობასთან და „თეთრი ლაქების" არსებობა, მარტივად რომ ვთქვათ, „ტვინის განძრევას" მოითხოვდა. **დღეს კი, როდესაც ინფორმაცია თითქოს სრული და ულევია, მისი ანალიზის ადეკვატური უნარ-ჩვევები ჯერაც არ გამომუშავებულა, ხოლო „თეთრი ლაქები" ძალოვნების გონებაში გაჩნდა. ეს პრობლემა ზე სახელმწიფოების წინაშე დგას და გასაკვირი არაა, რომ სააკაშვილის პოლიტიკური პოლიცია მას ვერ გაუმკლავდა.** მათ მოიპოვეს ვაგონობით კომპრომატი, მიაღწიეს ტაქტიკურ წარმატებებს კონკრეტული ფიგურების დაშანტაჟების საქმეში, მაგრამ საბოლოოდ სრული კრახი განიცადეს.

**დღეს ბევრს წერენ იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილს ფარული ჩანაწერების ყურება უყვარდა. ძნელი სათქმელია, ასე იყო თუ არა, მაგრამ გასაკვირი ამ ვარაუდში, პრინციპში, არაფერია, მსგავსი ფირები, ნარკოტიკივით, ღვთაებრივი ყოვლისმცოდნეობისა და ყოვლისშემძლეობის ილუზიას ქმნის. ნებისმიერი დიქტატორი ოცნებობს ჯადოსნურ ტელევიზორზე, რომელშიც ყველას და ყველაფერს დაინახავს და არ იცის, რომ ეს ოცნება უფსკრულში გადაჩეხავს.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

— რა სტატუსით იმყოფებოდნენ (თუ იმყოფებოდნენ) აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლები 26 მაისის ღამეს საქართველოს შსს-ში? (დამკვირვებლები, კონსულტანტები, ტურისტები — საჭიროს ხაზი გაესვას).
— დაარღვიეს თუ არა მათ იქ ყოფნით ან მოქმედებით საქართველოს ან ამერიკის შეერთებული შტატების რომელიმე კანონი?
— რა ტიპის დასკვნაზე, რა სახის დოკუმენტზე საუბრობს სააკაშვილი?
რატომ ახსენა სააკაშვილმა მაინცდამაინც FBI? ამ უწყებას მუშაობის ცოტა სხვა სპეციფიკა აქვს და ის, რაზეც მიხეილ სააკაშვილმა მოგვითხრო, მასში ნაკლებად ჯდება.

# ამერიკული კვალი 26 მაისის დარბევაში

**გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილმა თავის კარიერაში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური განცხადება გააკეთა: „26 მაისს აქ, ამერიკული FBI-ს ჯგუფი იჯდა ჩვენ შსს-ში, იჯდა შიგნით, ყველა ეტაპს მიტინგის დაშლის ადევნევდა თვალს მონიტორებზე და ბოლოს დაწერა დასკვნა, რომ ყველაფერი იყო კანონიერი“. „ნაციონალური მოძრაობის“ ბელადმა სულ რაღაც ერთი წინადადების ჩარჩოებში მოახერხა საბაბის შექმნა დიდი საერთაშორისო სკანდალისთვის და ანტიამერიკულ განწყობებს საქართველოში ძალზე სერიოზული იმპულსი მისცა. რა როლი შეასრულეს ამერიკელებმა 2011 წლის 26 მაისს და რატომ თქვა სააკაშვილმა ის, რაც თქვა?**

## სისხლის წვეთები მონიტორზე

2011-ში, მიტინგის სადისტური დარბევის კვალობაზე, ამ სტატიის ავტორმა „საქართველო და მსოფლიოში“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით **„სააკაშვილმა საკუთარ რეჟიმს ყელი გამოსჭრა“**, რომელშიც მომხდარი ასე შეაფასა: **„26 მაისის შემდეგ რეჟიმი ერთობ დაემსგავსა თავმოჭრილ ქათამს: მან შეიძლება საკმაოდ დიდხანს ირბინოს, დიდი აურზაური გამოიწვიოს და გარშემო ყველაფერი სისხლით მოთხვაროს, თუმცა არსებითად ეს არაფერს შეცვლის, რადგან სინამდვილეში ის უკვე მკვდარია“.** მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში, ალბათ, არა იმ წერილის ტექსტი, არამედ „ფოტოშოპში“ შექმნილი ილუსტრაციაა — **ჯონ ბასი და მიხეილ სააკაშვილი საუბრობენ მონიტორთან, რომლის ეკრანზე მიტინგის დარბევის კადრებია. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს მეტაფორა ხორცს შეისხამდა; მიხეილ სააკაშვილს თუ დავუჯერებთ, ეს მონიტორი სავსებით რეალური იყო და მასთან, ქართველ პოლიციელებთან ერთად, ამერიკელებიც ისხდნენ.**

თუ რატომ მოხვდა ამ ილუსტრაციაზე აშშ-ის ელჩი ჯონ ბასი, ძნელი გასაშიფრი არაა, მიტინგის დარბევამდე რამდენიმე საათით ადრე მან გააკეთა განცხადება, რომელიც სააკაშვილმა, სავარაუდოდ, აღიქვა, როგორც „მწვანეს ანთება“: „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საპროტესტო მოქმედებით არ შეილახოს სხვა მოქალაქის უფლებები, არ შეეშალოთ ხელი მათ საქმიანობაში, გადაადგილებასა და თუნდაც გარკვეული მნიშვნელოვანი დღეების სათანადოდ აღნიშვნაში“. **მართალია, ჯონ ბასი მოგვიანებით ირწმუნებოდა, რომ ეს არანაირად არ იყო „მწვანე“, თუმცა საქართველოში საპირისპირო მოსაზრება დამკვიდრდა, თანაც საკმაოდ ფართოდ; საზოგადოების უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ სააკაშვილი ამ განცხადებიდან სხვა დასკვნას ვერ გამოიტანდა და ელჩი, მინიმუმ, ძალზე წინდაუხედავად მოიქცა.**

გავიდა დრო, ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში ახალი თემები გაჩნდა, ჩამოვიდა ახალი ელჩი და ეს ეპიზოდი, ნაწილობრივ მაინც, დავიწყებას მიეცა, თუმცა სააკაშვილმა თავისი განცხადებით ის ისევ ზეაქტუალური გახადა და ძალზე მძიმე ეჭვები გააჩინა. გაჩნდა სავსებით ლეგიტიმური კითხვები, რომელთაც პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს.

**— რა სტატუსით იმყოფებოდნენ (თუ იმყოფებოდნენ) აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლები 26 მაისის ღამეს საქართველოს შსს-ში? (დამკვირვებლები, კონსულტანტები, ტურისტები — საჭიროს ხაზი გაესვას).**

**— დაარღვიეს თუ არა მათ იქ ყოფნით ან მოქმედებით საქართველოს ან ამერიკის შეერთებული შტატების რომელიმე კანონი?**

**— რა ტიპის დასკვნაზე, რა სახის დოკუმენტზე საუბრობს სააკაშვილი?**

**ცხადია, ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ, რომ სააკაშვილი უბრალოდ ტყუის, მაგრამ, მისი სტატუსიდან გამოდინარე** (სხვათა შორის, რომ არა ამერიკელი პარტნიორები, ეს სტატუსი დღეს არ ექნებოდა), **მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გადავამოწმოთ და დავადგინოთ, რა ხდებოდა იმ ღამეს შსს-ში.**

იმასთან დაკავშირებით, თუ რისთვის დასჭირდა სააკაშვილს ამ განცხადების გაკეთება, სოციალურ ქსელებში ორი ძირითადი ვერსია გამოიკვეთა. ერთ-ერთის თანახმად, შეშინებული სააკაშვილი ბანალურად მიანიშნებს ამერიკელებს: **„მიშველეთ! ციხეში არ უნდა მოვხვდე, თორემ თქვენთვის მეტად არასასურველ ინფორმაციას გავაჟღერებ“.** პირველად ეს ვერსია მას შემდეგ გავრცელდა, რაც აპრილში, „რუსთავი 2“-ის ეთერში, სააკაშვილის მონოლოგში ამერიკელების როლზე აგვისტოს ომში, რამდენიმე ძალზე უცნაური და ორაზროვანი პასაჟი დაფიქსირდა. თუ ეს ასეა, **სააკაშვილი 99%-იანი ალბათობით ძალიან ცუდად დაამთავრებს, ვაშინგტონი არასოდეს დაუშვებს, რომ ვინმემ ასე დააშანტაჟოს და საწადელს მიაღწიოს.** არც ისაა გამორიცხული, რომ ამერიკელები შესაბამის ზომებს უფრო სწრაფად მიიღებენ, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი კიდევ უფრო შორს წავა და დაახლოებით ასეთ რამეს იტყვის: **„8 აგვისტოს აქ, ჩვენს თავდაცვის სამინისტროში იჯდა ჯგუფი პენტაგონიდან...“** და ასე შემდეგ (ჭკუა დაუშლის თუ გონება?).

მეორე ვერსიის თანახმად, „ნაცმოძრაობის“ ბელადმა შეიტყო, რომ FBI-მ ახლახან დაასრულა რამდენიმე სატელეფონო ჩანაწერის ანალიზი, რომლებიც ზურაბ ჟვანიას მკვლელობას ეხება და სააკაშვილისთვის გამანადგურებელი დასკვნა ქართულ გამოძიებას გადასცა. აქედან გამომდინარე, სააკაშვილმა სცადა, სასწრაფო წესით, ქართულ საზოგადოებაში FBI-ს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გაეღვივებინა. ფაქტები, რომლებიც ამ ვერსიას ადასტურებს, არ არსებობს, თუმცა ერთმა უხერხულმა კითხვამ შეიძლება სწორედ ამ მიმართულებით გვიბიძგოს: **რატომ ახსენა სააკაშვილმა მაინცდამაინც FBI? ამ უწყებას მუშაობის ცოტა სხვა სპეციფიკა აქვს და ის, რაზეც მიხეილ სააკაშვილმა მოგვითხრო, მასში ნაკლებად ჯდება.**




ფოტოკოლაჟი გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 2011 წლის 1-7 ივნისის ნომრიდან

**მთავარი ამ შემთხვევაში, ალბათ, არა იმ წერილის ტექსტია, არამედ «ფოტოშოპში» შექმნილი ილუსტრაციაა — ჯონ ბასი და მიხეილ სააკაშვილი საუბრობენ მონიტორთან, რომლის ეკრანზე მიტინგის დარბევის კადრებია. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს მეტაფორა ხორცს შეისხამდა**




**საერთოდ კი, ერთ ცნობილ ჰოლივუდურ ფილმში რომ იტყოდნენ, ამ საქმის გამოძიების პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ „რას ფარავს სიცრუე“.**

## რას ფარავს სიმართლე?

**„გვჯერა, რომ თავისუფლად გამოხატვის უფლება საქართველოს მოქალაქეებისთვის ისევე იქნება დაცული, როგორც სხვა ქვეყნებში. გვინდა, მოვუწოდოთ მთავრობას, გამოიძიოს ბოლო რამდენიმე დღის ინციდენტები, რომელთა დროს რამდენიმე ადამიანი იყო მოკლული“,** — განაცხადა 26 მაისის მიტინგის დარბევის კვალობაზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარკ ტონერმა. იმავე დღეებში Human Rights Watch-ი და „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ უმწვავეს შეფასებებს აკეთებდნენ, ხოლო ინტერნეტში მიტინგის სადისტური დარბევის კადრები ვრცელდებოდა. ერთის მხრივ, დასავლური მთავრობების რეაქცია არ იყო საკმარისად მკაცრი და, კაცმა რომ თქვას, გაუმართლებლად რბილიც იყო, თუმცა შეფასება „ყველაფერი კანონიერი იყო“ იმ ატმოსფეროს ნამდვილად არ შეესაბამებოდა.

**წამით წამოვიდგინოთ, რომ მართლაც არსებობდა რაღაც ჯგუფი, რომელმაც დაუწერა სააკაშვილს რაღაც დასკვნა, დაახლოებით ისე, როგორც პატარა ბავშვებს უხატავენ სათამაშო სიგელებს კარგი ყოფაქცევისთვის. და აი, დგას ადამიანი, რომელიც თავს სუვერენული ქვეყნის პრეზიდენტს უწოდებს და იმის დასადასტურებლად, რომ მიტინგის დარბევა (მსხვერპლით) კანონიერი იყო, უცხო ქვეყნის ერთ-ერთი სამსახურის დასკვნა მოაქვს. შესაძლოა, მას არ ესმის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფლავიდან ჯორჯ ვაშინგტონი ადგება და დაწერს ათტომეულს იმის შესახებ, რა კარგად და კანონიერად იქცეოდა მიშა სააკაშვილი, ამას არანაირი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან საქართველოში მხოლოდ ქართული სასამართლო ქართულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით წყვეტს, რა იყო კანონიერი და რა — უკანონო.**

ასე საჯაროდ და ცინიკურად საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტისთვის ყველაზე ცნობილ დეგენერატს პრეზიდენტის სავარძელში, — ანასტასიო სომოსა-უმცროსსაც კი არ მიუფურთხებია. ეს, ალბათ, უკვე ფსკერია, როგორც პოლიტიკური, ისე ზნეობრივი თვალსაზრისით. ამაზე დაბლა დაცემა, უბრალოდ, შეუძლებელია. მართლაც რომ შემზარავი სცენაა: **მარჯვნივ — დალუპულები, მარცხნივ — დასახიჩრებულები, ავანსცენაზე კი კმაყოფილი მიხეილ სააკაშვილი დგას, რაღაც ქაღალდს აფრიალებს და იძახის: „ამერიკელებმა დაწერეს, რომ ყველაფერი კანონიერია!“.**

▶

**„სააკაშვილისთვის ხელშეუხებლობის გარანტიების მიცემა სახელმწიფო დონის დანაშაულია. სააკაშვილის დანაშაული ყველამ იცის, თუნდაც ზურაბ ჟვანიას მკვლელობასთან დაკავშირებით მას ვერ უშველის ვერანაირი დამცავი მექანიზმი.“**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გოგოლის ერთ-ერთმა გმირმა, ტარას ბულბამ, ვიდრე მოკლავდა, მოღალატე შვილს ჰკითხა: „რაო, შვილო, ვერ გიშველეს შენმა პოლონელებმა?“. ეს კითხვა მიხეილ სააკაშვილისთვის ბოლო დროს მეტად აქტუალური გახდა, ოღონდ მის ისტორიაში პოლონელების ადგილს ამერიკელები იკავებენ.** დღესაც კი, საზოგადოებისგან მოკვეთილი, ყველასგან მივიწყებული და დამცირებული, ის, ისევე, როგორც 2011 წლის 26 მაისს, ცდილობს (თუნდაც ვერბალურად), საკუთარი ხალხის წინააღმდეგ წავიდეს, ამერიკელ მოკავშირეებს უხმობს და მათი დასკვნის მიმართ აპელირებს. არცთუ შორეულ მომავალში ის, სავარაუდოდ, შეიტყობს, თუ როგორ უყურებდნენ მას ამერიკელები სინამდვილეში მთელი ამ წლების განმავლობაში და ეს მის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე წუთები იქნება. ჯერჯერობით კი ის აფრიალებს წარმოსახვით დასკვნას და გვიმტკიცებს, რომ 26 მაისის დარბევა ამერიკელებმა „გაუპრავეს“.

ცხადია, ეს სუბიექტური შეფასებებია, თუმცა, **ალბათ, არავინ იდავებს იმაზე, რომ გამოძიებამ, 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, მიხეილ სააკაშვილი უნდა დაკითხოს, მისი რეპლიკა სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას ნაკლებად ტოვებს. შემდეგ კი გადაწყვიტოს — ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაუნიშნოს თუ რაიმე სხვა მოიმოქმედოს.**

ზოგიერთი პროამერიკულად განწყობილი კომენტატორი მიიჩნევს, რომ საუკეთესო გამოსავალი ამ შემთხვევაში მოჩუმათებაა და მოგვიწოდებს, სააკაშვილის რეპლიკები აპრიორი გიჟის ბოდვად განვიხილოთ, რადგან სერიოზული მსჯელობა ამ თემაზე და საქმეში ოფიციალური პირების ჩართვა ანტიამერიკული განწყობების შემდგომ ზრდას შეუწყობს ხელს. ისინი, სავარაუდოდ, ცდებიან, რადგან ამ განწყობებს დღეს ყველაზე მეტად გაურკვევლობა კვებავს. **სოციალურ ქსელებში სააკაშვილის გამოსვლის შემდეგ გაჩნდა და ფართოდ გავრცელდა ვერსიები იმის თაობაზე, რომ FBI-ს ხსენებული ჯგუფი არა მხოლოდ აკვირდებოდა მიტინგის დარბევას, არამედ სადამსჯელო ოპერაციას ხელმძღვანელობდა. რაც უფრო მეტი ბუნდოვანება იქნება ამ საქმეში, მით უფრო მეტი ადამიანი გაიზიარებს მსგავს ვერსიებს; ასე რომ, საუკეთესო გამოსავალი, ალბათ, მაინც სიმართლის თქმაა, თუნდაც ეს გარკვეულ უხერხულობას უკავშირდებოდეს.**

## კარადა – ჩონჩხების გარეშე!

საქართველოს ახალი ხელისუფლება რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას აშკარად არ სურს, რომ თავისი რეაქციით ამერიკელი პარტნიორები გააღიზიანოს და, სავარაუდოდ, ურჩევნია, რომ საკაშვილის ეს რეპლიკა და აურზაური მის გარშემო რაც შეიძლება მალე წარსულს ჩაბარდეს. მისი პოზიციის ანალიზის დროს შეიძლება სხვა ეპიზოდის გახსენება გამოგვადგეს — ზუსტად ორი წლის წინ ნინო ბურჯანაძემ, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრისას, „ეხო მოსკვის“ ეთერში თქვა: **„ვთვლი, რომ 2008 წლის იანვარში, ჩვენ დასავლელ მეგობრებთან ერთად, საბედისწერო შეცდომა დავუშვი. ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ მეორე ტური იყო, მაგრამ ამაზე ყველამ თვალი დავხუჭეთ. მე მშვენივრად მახსოვს, ჩვენი დასავლელი მეგობრების ასეთი... დაჟინებული რჩევები, განსაკუთრებით ჩემი მისამართით, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამოგვეცხადებინა მეორე ტური“.**

თუ ეს განცხადება სიმართლეს შეესაბამება, მისგან, ფაქტობრივად, გამომდინარეობს, რომ **2008 წლის იანვარში საქართველოში, უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, სახელმწიფო გადატრიალება მოხდა.** ან, **როგორც მინიმუმი, ადგილი ჰქონდა იმას, რასაც სისხლის სამართლის 309-ე მუხლის 1 პუნქტი შემდეგნაირად აღწერს: „უცხო ქვეყანასთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან მათ წარმომადგენელთან ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკების წარმოება საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვის ან მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების მიზნით“.** ერთი შეხედვით, არსებობს ყველა წინაპირობა გამოძიების დასაწყებად, მით უმეტეს, რომ არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით უამრავი ფაქტი არსებობს, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ ამის გაკეთებისგან თავი შეიკავა. არავინ იცის, რა შედეგით შეიძლება დასრულდეს მსგავსი გამოძიება და რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ მას შემდეგ, რაც დადგინდება, ვინ იყვნენ ბურჯანაძის მიერ ნახსენები „დასავლელი მეგობრები“. ასეა ახლაც, ზედმეტმა ჩაძიებამ რაღაც მომენტში შეიძლება დააყენოს ახალი ხელისუფლება საკმაოდ რთული არჩევანის წინაშე. ასე რომ, ამ ეპიზოდში მას, სავარაუდოდ, ურჩევნია, მხოლოდ ამერიკელი პარტნიორების რეაქციის შესაბამისად იმოქმედოს, თანაც ძალიან ფრთხილად.

თუმცა აქვე შეიძლება გაჩნდეს კიდევ ერთი კითხვა, რომელიც, ამერიკელთა ერთ-ერთი საყვარელი გამონათქვამის შესაბამისად, შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: **„რამდენ ხანს უნდა შევინახოთ ქართულ-ამერიკული ურთიერთობების კარადაში სააკაშვილის მმართველობის დროინდელი ჩონჩხები?“.** ვერსიები ამერიკელების მონაწილეობაზე 26 მაისის დარბევის ორგანიზებაში დღეს ასე ფართოდ სწორედ იმიტომ ვრცელდება, რომ **თავის დროზე ქართულმა საზოგადოებამ არ მიიღო სრული და დამაჯერებელი ინფორმაცია წარსულის მთელ რიგ ეპიზოდებთან დაკავშირებით, რომლებშიც ამერიკული კვალის არსებობას ვარაუდობდა,** ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება მეტი სიმართლე და გულწრფელობა; **სააკაშვილის რეჟიმის დროინდელი თამაშის წესები წარსულს უნდა ჩაბარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს არცთუ შორეულ მომავალში ძალზე სერიოზული საფრთხე შეექმნება.**

**დიმიტრი მონიავა**



# ვისი მითითებით მზადდება სააკაშვილის ხელშეუხებლობის კანონპროექტი და რას იტყვის ხალხი, თუკი ბიძინამ მიხეილს იმუნიტეტის გარანტია მისცა?

**„ნაცმოძრაობასა“ და „ოცნების“, უფრო ზუსტად კი რესპუბლიკელების, ლიდერს — დავით უსუფაშვილს შორის დაწყებულმა კოაბიტაციამ საქართველოს მოსახლეობას რწმენა, იმედი, ოცნება და ივანიშვილისადმი ნდობა გაუნელა. სკეპტიკოსებს ეს ამბავი არ აკვირვებთ, რადგან კოალიციაში შემავალი რიგი პარტიებისგან დიდსა და საგმირო საქმეებს ისედაც არ მოელოდნენ, მაგრამ...**

**კოაბიტაციამ და დამნაშავეებთან თანაცხოვრების უდიდესმა სურვილმა, რომელსაც რესპუბლიკელები იჩენენ, კერძოდ კი პარლამენტის თავმჯდომარე, თავისი გააკეთა — ივანიშვილის ხალხს ნაკლებად სჯერა. რაც შეეხება სააკაშვილს, ურეკში ბაქრაძესთან შეხვედრის შემდეგ უსუფაშვილის მითითებით მზადდება კანონპროექტი ვადის გასვლის შემდეგ პრეზიდენტის ხელშეუხებლობის შესახებ და ამ კანონს პარლამენტი ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე მიიღებს.**

**სააკაშვილის, როგორც „უხერხული მოწმის,“ ხელშეუხებლობის გარანტიას ამერიკელები მოითხოვენ, რათა დაჭერის შიშით ამ უკანასკნელმა ვაშინგტონისთვის იმაზე გაცილებით საზიანო საიდუმლოებებიც არ დაფქვას, ვიდრე ამასწინათ განაცხადა — 26 მაისის დარბევას მერაბიშვილის კაბინეტიდან FBI აკვირდებოდა, და დასკვნად დადო, რომ პოლიციის ქმედება კანონიერი იყოო. სათქმელი და გასამხელი კი სააკაშვილს, თუნდაც აგვისტოს ომთან დაკავშირებით, ბევრი აქვს.**

ჩვენი არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, პარლამენტის თავმჯდომარესთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დავით უსუფაშვილი, მართალია, ენთუზიაზმის გარეშე, მაგრამ უარყოფს სააკაშვილისთვის მსგავსი გარანტიების მიცემას...

რამდენად სამართლიანია სააკაშვილისთვის ხელშეუხებლობის გარანტიის მიცემა და მოითმენს თუ არა საზოგადოება მასთან „ოცნების“ ამგვარ გარიგებას? – ამ შეკითხვით „საქართველო და მსოფლიომ“ რამდენიმე რესპონდენტს მიმართა.

**სოსო ცისკარიშვილი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის ხელმძღვანელი:**

— თუ ბატონი უსუფაშვილი ამას აპირებს, რა არგუმენტები აქვს საამისოდ? პირადად მე არგუმენტები არ მეყოფოდა, ხალხისთვის ასეთი კანონპროექტი რომ შემეთავაზებინა. მოგეხსენებათ, ყველა ქვეყნის კონსტიტუცია გარკვეულ სიმშვიდეს უქმნის პრეზიდენტს, მაგრამ ადამიანი სამუდამოდ რომ გათავისუფლდეს მიუღებელი ქმედების პასუხისმგებლობისგან, არა მგონია, ეწერებოდეს მართლმსაჯულების კლასიკურ მოდელში. **არაერთი პრეზიდენტი გვინახავს, რომლებიც წლების გასვლის შემდეგაც აღმოჩენილა განსასჯელის სკამზე, რადგან არსებობს სახელმწიფოებრივი დანაშაულები, რომლებზეც არ შეიძლება გავრცელდეს ხელშეუხებლობა.**

**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:**

— რატომ ხელშეუხებელი, რა, რომის იმპერატორია? საერთოდ, ხელშეუხებლობის გარანტია შეუძლებელია ვინმეს ჰქონდეს, ალბათ, იქნება დათქმა, რომლითაც მაღალი იმუნიტეტი ექნება, მაგრამ ეს ძალიან მეეჭვება.

არ გამიკვირდება, თუ კანონის მიმართ ასეთი, ერთნაირად დადებითი შეხედულება ექნებათ ამერიკასა და ევროპას. „ოცნების“ წევრების კულუარულ საუბრებში მომისმენია, — სააკაშვილი ვერ ასცდება სასამართლოსო. ეს საელჩოების ყურამდე მიდის და ამიტომ არაფერია გამორიცხული. **დღევანდელ ვითარებაში ამერიკის ელჩის რჩევა რჩევაზე გაცილებით მეტია და არ გამიკვირდება, რომ ასეთი მოთხოვნა მართლაც იყოს. თუმცა ჩემთვის წარმოუდგენელია, საერთოდ ხელშეუხებელი იყოს პრეზიდენტი. პრეზიდენტს ნერვებმა რომ უმტყუნოს და კაცი მოკლას, უნდა შერჩეს?** თუმცა კიდევ ვიმეორებ, რომ არ გამიკვირდება ასეთი კანონპროექტის გამოჩენა, რადგან ამერიკა შურისძიების მომენტებს ხედავს.

**ვახტანგ მაისაია, ყოფილი პოლიტპატიმარი:**

— მოულოდნელია ასეთი ინფორმაცია, არ მინდა დავიჯერო, რომ ასეთი კანონპროექტი შესაძლებელია მომზადდეს. პრეზიდენტს კონსტიტუციით ისედაც აქვს პრივილეგიები და დამატებითი, კიდევ რაიმე სახის გარანტიების მიცემა პოლიტიკური კორუფციის ნიშანია. ამის ხელშეწყობა შეიძლება. **სააკაშვილისთვის ხელშეუხებლობის გარანტიების მიცემა სახელმწიფო დონის დანაშაულია. სააკაშვილის დანაშაული ყველამ იცის, თუნდაც ზურაბ ჟვანიას მკვლელობასთან დაკავშირებით მას ვერ უშველის ვერანაირი დამცავი მექანიზმი.**

არ მინდა ვიფიქრო, რომ უსუფაშვილი აგრძელებს „ნაცმოძრაობის“ მემკვიდრეობას. მიხეილ სააკაშვილს იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი საკუთარი ერის წინაშე, რომ მისი პატიება წარმოუდგენელია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საამისოდ მარტო აგვისტოს ომია საკმარისი. ხალხი ამას ვერ შეეგუება. ეს იგივეა, რომ გიმლერთან საპროცესო შეთანხმება გააფორმო.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

# უახლესი ისტორია ჯუმბერ პატიაშვილის თვალით



**წიგნის მაღაზია „ბიბლუსში“ 23 ივლისს ჯუმბერ პატიაშვილის წიგნის „23 წლის შემდეგ“ პრეზენტაცია გაიმართა.**

საზოგადოება შესაფერისი — ხანდაზმული, წიგნის თემატიკაც თითქოს არახალი, მაგრამ გადაათვალიერებ და მიხვდები, რომ, ჯერ ერთი, ის, რაზეც ჯუმბერ პატიაშვილი წერს, რა პრობლემებსაც ეხება, დღესაც აქტუალურია. და მეორე, როდის იყო, რომ ბერდებოდა ისტორია?!

**— დღეს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება ძირითადად არჩევნებზეა აქცენტირებული,** — თქვა თავის გამოსვლაში წიგნის ავტორმა, — **ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია კი კვლავ ელის მკვლევარებს. ეს წიგნი არის მცდელობა მოვლენათა უშუალო მონაწილის, საზოგადოებრივი ძვრების ეპიცენტრში მყოფი ადამიანის თვალით დანახული ისტორიის ამ მონაკვეთის შეძლებისდაგვარად სრულად გადმოცემის.**

ჯუმბერ პატიაშვილის წიგნი, დიდძალ ინფორმაციასთან ერთად, მკითხველს ანალიზისა და შედარების საშუალებასაც აძლევს. ასე რომ, ამ გამოცემაზე თამამად შეიძლება ითქვას — წაკითხვა მარგებელია!

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა ჰგონია „ოცნებას“, საქართველო აპატიებს მათ ასეთ რამეს? ნუ ავიწყდებათ, რომ ხალხმა იძალა და მოიყვანა ისინი ხელისუფლებაში და ისევე მიაბრძანებენ, როგორც მოიყვანეს.**

**ზაზა ხატიაშვილი:**

# კბილაშვილი პროცესს არ წარმართავს, ქვეყნის მთავარი პროკურორი რეალურად ლაშა ნაცვლიშვილია

**მთავარი არგუმენტი „ნაცების“ ხელისუფლების წინააღმდეგ იყო, არის და იქნება ის ფაქტი, რომ ფართოდ გამოიყენებოდა ადამიანების წამება, როგორც მოწმისგან პოლიციისთვის სასურველი ჩვენების გამოძალვის საშუალება. ეს პრაქტიკა ახლაც ძალაშია, რა არის ეს — „ოცნების“ ნაცმოძრაობული ატავიზმი თუ ახალი მთავრობის პოლიტიკური ნება? რატომ უჩნდებათ უფლებადამცველებს ეჭვი რომ ივანიშვილის ხელისუფლებაც პოლიციურ რეჟიმს ანიჭებს უპირატესობას? ,,საქართველო და მსოფლიოს“ ადვოკატთა ასოციაციის თავჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ესაუბრა.**



**— ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ლამის ერთი წელი გავიდა, რა შეიცვალა სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაში ამ ხნის განმავლობაში?**

— ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედი ხელისუფლება „ნაციონალური მოძრაობის“ გზით მიდის. ამიტომ არ აძლევს ხელს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ქიშპობა და იმაზე საუბარი, თუ რა დანაშაულებს სჩადიოდა სააკაშვილის რეჟიმი. მინდა ხელისუფლების მოღვაწეობა ორ ნაწილად დავყო – 1 აპრილამდე (სანამ შუალედური არჩევნები იქნებოდა) და 1 აპრილის შემდეგ. 1 აპრილამდე ისინი ასე თუ ისე დგამდნენ ნაბიჯებს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისკენ იყო მიმართული, მაგრამ პირველი აპრილის შემდეგ (როცა მათ დაინახეს, რომ თბილისში, ნაძალადევის რაიონში კატასტროფულად წააგეს არჩევნები, 39 % აიღო მათმა კანდიდატმა, 70 % — ოპოზიციამ) ძალაუფლების შენარჩუნებაზე გადავიდნენ და დაიწყეს ისეთი კანონების მიღება, რომლებიც ქვეყანაში პოლიციურ და საპროკურორო მმართველობას განამტკიცებს. ერთადერთმა გენიოსმა მინისტრმა თეა წულუკიანმა 1 აპრილამდე პარლამენტს მიმართა და საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანა ითხოვა, რომელიც სამართლიანი სასამართლოს პრინციპია, ანუ დაცვისა და ბრალდების მხარეების თანაბარი უფლებებით აღჭურვა, თუმცა 1 აპრილის შემდეგ პარლამენტში ტრანსფორმირება მოხდა და ადვოკატს წართვეს იმის უფლება, რომ გამოითხოვოს მტკიცებულება. და ესენი საუბრობენ სამართლიან სასამართლოზე მაშინ, როცა სამართლიანი სასამართლოს ერთ ძირითად პრინციპს უპირისპირდებიან. ეს ნიშნავს იმას, რომ სამართლიანი სასამართლო მხოლოდ დეკლალირებაა და რეალურად არავის უნდა. ამას აკეთებდნენ სააკაშვილი და ადეიშვილი, მეტს კი არაფერს. ჩვენ ეს გავაპროტესტეთ, მმართველი გუნდი დაგვპირდა საკითხის გადახედვას, თუმცა მოგვატყუა და შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილის მოთხოვნა შეასრულა. გარდა ამისა, ერთადერთი დადებითი ნორმა, რომლითაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2010 წელს შემოვიდა მოწმის მხოლოდ სასამართლოში დაკითხვის ინსტიტუტი (რომელიც 2013 წლის დეკემბერს უნდა ამოქმედებულიყო), წულუკიანის გადაწყვეტილებით, სექტემბერში უნდა ამოქმედებულიყო (ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ადამიანის უფლებები აღარ დაირღვესო), მაგრამ გადადეს. ამ კვირაში ახალი საკანონმდებლო წინადადება შევიდა პარლამენტში, რათა ამის ამოქმედება 2014 წლის დეკემბრამდე გადაიწიოს.

**— ვისი ინიციატივა იყო ეს გადავადება?**

— საქართველოს პრემიერ-მინისტრის. ის შევიდა პარლამენტში ამ წინადადებით ისე, რომ განხილული არ არის, არც საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არც ადვოკატთა ასოციაციასთან. **„ნაცების“ მმართველობის დროს გორის პოლიციაში მოწმის სახით მისული სოლომონ ქიმერიძე მკვდარი რომ გამოიტანეს, რას აცხადებდნენ პრემიერ-მინისტრი და „ქართული ოცნების“ ლიდერები? ასეთი რამ არ უნდა მოხდეს, ასეთი რამ არ განმეორდება ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგო! ხომ გახსოვთ ეს განცხადებები! ჰოდა, მოდიან ხელისუფლებაში და დაახლოებით 7 თვეში პოლიციაში მოწმის სახით მისული მამუკა მიქაუტაძე დაკითხვის შემდეგ თავს იკლავს.**

**— თუმცა ექსპერტის დასკვნაში ეწერა, რომ მიქაუტაძე არ უწამებიათ...**

— ასეთი დასკვნები მაშინაც იდებოდა, როცა სააკაშვილი ხალხს ხოცავდა. საიამ მიქაუტაძის საქმეზე მოკვლევა ჩაატარა, ზემოქმედების კვალი იკვეთება. შსს-მ კი, როგორც ყოველთვის, თქვა, ზემოქმედება არ ყოფილაო, სააკაშვილის რეჟიმიც ანალოგიურ განცხადებებს აკეთებდა. **კადრებში ჩანს, რომ მიქაუტაძე დაკავებული შეჰყავთ პოლიციის სამმართველოში, იგი მოწმეა და ძალით შეჰყავთ, მოწმის ძალით მიყვანა, თუ არ გაქვს სასამართლოს ბრძანება, არ შეიძლება. ეს ფაქტები ადასტურებს, რომ შსს-ში მოწმეებთან თვითნებობენ. მიქაუტაძის გვამი გაციებული არ არის და პარლამენტი იწყებს ამ საკანონმდებლო ცვლილებების განხილვას.** თუ შსს-მ და პროკურატურამ თავისი გაიტანა და ჩვენ ვერ შევძელით დაცვა მოწმის უფლებებისა, რომ არ მიიყვანონ პოლიციაში და არ აწამონ, მაშინ ქვეყანა იმავე უფრსკულისკენ წავა, რომელშიც ვიყავით. თუ შსს-მ მიქაუტაძეზე რაც თქვა, სიმართლეა და ჩვენ ვტყუით, მაშინ გამოვიდეს შსს და თქვას: კი, ბატონო, დაიკითხოს მოწმე სასამართლოში და მაშინ ხომ ჩვენ ვერაფერს დაგვაბრალებენ?! დიახ, გამოვიდეს და თქვას, რომ მართლები არიან, რომ არ აწამებენ ადამიანებს, რომ ეფერებიან, ჩემო ლამაზო, არაფერი დაგიშავდესო... და თუ ეს ასეა, რატომ არ უნდათ მაშინ, რომ მოწმე დაიკითხოს სასამართლოში? იმიტომ, რომ მამუკა მიქაუტაძე ნაწამები იყო და შემდეგ თავი მოიკლა, ქიმერიძეც ნაწამები იყო, ნუ, ეს ხომ იგივე სისტემაა.

**— ანუ ივანიშვილის ხელისუფლებაც პოლიციურ სახელმწიფოს აშენებს, რა მიზნით?**

— ვიმეორებ, 1 აპრილის შემდეგ დაინახეს, რომ ხელისუფლების შენარჩუნება გაუჭირდებათ, ამიტომ ძალაუფლების შენარჩუნებაზე გადავიდნენ. პოლიციურ სახელმწიფოს აშენებენ, აბა, რა. **გახსოვთ, რესპუბლიკელების განცხადებები, შსს და უშიშროება გაიყოფა და პროკურატურა მონსტრი აღარ იქნებაო? ამ პარლამენტმა, იმავე უსუფაშვილის თავმჯდომარეობით, განიხილა პროკურატურის შესახებ კანონში ცვლილება და პროკურატურა გახდა უფრო დიდი მონსტრი, ვიდრე სააკაშვილის დროს იყო, ანუ პროკურატურას მიენიჭა იმის უფლება, რომ გამოიძიოს პროკურორის მხრიდან ჩადენილი დანაშაული.** ერთადერთ პროგრესულ მინისტრს — თეა წულუკიანს ეს უფლება წაართვეს. აი, ეს ყველაფერი მთლიანობაში გვაძლევს სურათს, რომ პოლიციურ-საპროკურორო სახელმწიფოს აშენებენ. და რადგან აქეთ მივდივართ, არ მჯერა პრემიერის განცხადების, რომ ის პოლიტიკიდან მიდის. ეს არის სვლა დიქტატურისკენ და მეტი არაფერი. სააკაშვილსაც არ დაუწყია თავისი მოღვაწეობა ქუჩაში ადამიანების ხოცვით, ორი წელი ის საკანონმდებლო დონეზე აკეთებდა ყველაფერ იმას, რასაც ესენი დღეს აკეთებენ. ძმები სოზაშვილების ამბავი ავიღოთ. დეკემბერში მათ პოლიციელები დაესხნენ თავს, შეურაცხყოფა მიაყენეს და შემდეგ ამ პოლიციელებმა ისინი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო დააკავეს. ადვოკატმა ვიდეოფირი მოითხოვა, რათა ყველას ენახა ნაცემი ძმების პოლიციაში შეყვანის დროს ამ პოლიციელებს პოლიციის ფორმა ეცვათ თუ არა (ამ პოლიციელებმა ფორმა დახიეს და ჩადეს საქმეში, ვითომ სოზაშვილებმა დაუხიეს, არადა, სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ), და ეს კადრები შსს-მ ადვოკატს არ მისცა, არ გვაქვსო. თქვენ გაგიგიათ, რომ პოლიციაში ადამიანი შეიყვანო და კადრები არ იყოს? არ დადეს კადრები და შეეცადნენ, უდანაშაულო ძმები გაეწირათ. კადრები რომ დაედოთ, პოლიციის გამომძიებელი და პროკურორი, რომლებიც ამბობენ, მათ პოლიციის ფორმა ეცვათო, წავიდოდნენ ციხეში. წარმოიდგინეთ, დღევანდელი პროკურატურა ითხოვდა 4-7 წლამდე ციხეს, მაშინ, როცა წამებაში ბრალდებულ პირებს 6 თვე მიუსაჯა კბილაშვილმა.

**— გამოდის, კბილაშვილი დაინტერესებული იყო, რომ ამ ძმებს არაპროპორციულად დიდი სასჯელი მიეღოთ?**

— რადგან ღარიბაშვილი იყო დაინტერესებული, ამიტომ უდანაშაულო ადამიანების ასეთ პასუხისგებას ითხოვდა კბილაშვილიც. ადგა მოსამართლე და გამამართლებელი განაჩენი დააყენა. წარმოიდგინეთ, რა დარღვევა უნდა ყოფილიყო საქმეში, რომ გამამართლებელი განაჩენი დამდგარიყო. **რას ვიზამთ, შს მინისტრმა ბრძანა, პოლიცია მუნდირს იცავსო და მუნდირის დაცვის გამო უდანაშაულო ადამიანიც უნდა დააკავო. არადა, ღარიბაშვილს პირადად ვუთხარი, რომ საქმის მასალები გაყალბებული იყო, მითხრა, მივხედავო, როგორც მიხედა, კი ვნახეთ.** კბილაშვილსაც შევხვდი, ვაჩვენე გაყალბებული საქმის მასალები, მითხრა, ეს დანაშაულიაო, მაგრამ შემდეგ რა გააკეთა? უდანაშაულო ძმების პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა. კბილაშვილს არასოდეს ჩამოვართმევ ხელს, გამარჯობას არასდროს ვეტყვი. მალე ის მთავარი პროკურატურიდან წამოვა, ისევ ადვოკატთა ასოციაციაში დაბრუნდება და არ შერცხვება, ნეტავ?

პირდაპირ ვამბობ: კბილაშვილი პროცესს არ წარმართავს, რეალურად მთავარი პროკურორი ლაშა ნაცვლიშვილია. კბილაშვილი მხოლოდ განცხადებებს ეცნობა, მას პროკურორობა ფოტომოდელობა ჰგონია. რა გითხრათ, აბა?!

პერსონა ნონ გრატად რომ მოვითხოვე სააკაშვილის გამოცხადება, ვინ აღარ მომიგზავნა, ნერვიულობდა, გააჩუმეთ ეგ კაციო. ცხონებულ შალიკიანს დაურეკეს, მილიონ ევროს ჩამოგიტანთ, ოღონდ ეს კაცი გაგვიჩერეო, ვერ გამაჩერეს. ახლა რა ხდება? არაწესიერია ჩემი მხრიდან ამის თქმა, მაგრამ თქვენ როგორ ფიქრობთ, არ იქნება შემოთავაზებები? ვურჩევ, ტყუილად ნუ გაირჯებიან. ჰოდა, მე ვსვამ კითხვას: **თუ ვანო მერაბიშვილი დანაშაულის დაფარვისთვის ციხეში ზის, ირაკლი ღარიბაშვილს ტაში რატომ უნდა დავუკრათ, როცა იმავეს აკეთებს? ირაკლი ღარიბაშვილი არის „ვანო მერაბიშვილი 2“ და იმავე მეთოდებს არანაკლები „წარმატებით“ იყენებს. სხვათა შორის, საკუთარ თავს სახალხო დამცველს რომ ეძახის უჩა ნანუაშვილი (გაგიგიათ ხომ ეგეთი კაცი?), მე ეს კაცი ღარიბაშვილის თანაშემწე მგონია, თუმცა ის კი იძახის, სახალხო დამცველი ვარო.** მასაც მივეცი ამ ძმების საქმეზე გამოძიების მიერ გაყალბებული მასალები, მანაც მითხრა, დანაშაულიაო, მაგრამ დუმს. ხმა რომ რაიმეზე აიმაღლოს, ასეთი რამ არავის გაუგია ჯერ. აი, რატომ არ სჯიან დამნაშავეებს და რატომ ურჩევნიათ კოაბიტაცია, თვითონ უარესს აკეთებენ და იმიტომ. დღეს „ქართულ ოცნებას“ რომ აძლევს ხელს „ნაცების“ შენარჩუნება, ისე არავის. სჯობს, ამათ ილაპარაკონ დღეს, რადგან შეახსენებენ იმ დანაშაულებს, რომლებიც აქვთ ჩადენილი და ისინიც გაჩუმდებიან. მე მივმართე პრეზიდენტობის კანდიდატებს და ვთხოვე, დაიწყონ ბრძოლა იმისთვის, რომ მოწმის დაკითხვა სასამართლოს გარეშე არ მოხდეს და საპროცესო კოდექსის ნორმა, რომელიც სექტემბერში შედის ძალაში, ამოქმედდეს სექტემბერშივე და არ გადაიდოს 2014 წლის დეკემბრამდე, რადგან ეს ამ ქვეყანას დააბრუნებს მოუსავლეთში. **რა ჰგონია „ოცნებას“, საქართველო აპატიებს მათ ასეთ რამეს? ნუ ავიწყდებათ, რომ ხალხმა იძალა და მოიყვანა ისინი ხელისუფლებაში და ისევე მიაბრძანებენ, როგორც მოიყვანეს.** საჭიროა, რომ პრეზიდენტობის ყველა რეალური კანდიდატი გაერთიანდეს. მათ დღეს ორი მტერი ჰყავთ — მმართველი გუნდი და ეს ე.წ. ოპოზიცია. დღეს ესენი გარიგდნენ და ყველა დანარჩენი კანდიდატი არის გარიყული. თუ ეს არ გააკეთეს, მარგველაშვილი გასულია, ბაქრაძეს მეორე ადგილს დაუწერენ და კარგად მეყოლეთ. ვიმეორებ, როგორც დაიწყო პირველ წლებში სააკაშვილმა საკანონმდებლო ცვლილებები, რასაც მოჰყვა ქვეყანაში პოლიციური რეჟიმის შექმნა; მოკლედ, ჯერ შექმნა პოლიციური მმართველობა, შემდეგ კი ხალხის ხოცვაზე გადავიდა. ამას აკეთებს დღეს ივანიშვილიც, ალბათ, იმავე პერსპექტივის სურვილით.

**«ირაკლი ღარიბაშვილი არის «ვანო მერაბიშვილი 2» და იმავე მეთოდებს არანაკლები «წარმატებით» იყენებს»**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

„არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირი კანონით ისჯება. ასეთი საპროცესო შეთანხმებები დაუშვებელია, არსებობს საზოგადოებრივი მორალი, ტრადიციული მიდგომები, ვერ წარმომიდგენია, თავად პროკურატურამ რატომ ჩაიდინა ასეთი რამ.“

სიტუაცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გეიპროპაგანდას აყოლილი პროკურატურა პედოფილიას ლობირებს

**17 მაისის გეიაღლუმის შემდეგ საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც გული შესტკივა მომავალ თაობაზე, საკუთარი თუ სხვისი შვილების ბედზე, შეშფოთებულია და მხოლოდ ამ საშინელებაზე საუბრობს. როგორ გაბედეს?
ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან? ვინ დააფინანსა და რა ორგანიზაციები არიან მამაკაცთა არასრულფასოვნების მომხრე?**



ზოგი ამბობდა, — „ნაციონალებიო“, მაგრამ გასაკვირია, რადგან ახალი ხელისუფლების პირობებში მოხდა მათთვის ნებართვის გაცემა, რომ თბილისის ცენტრში, თანაც იმ დღეს, როდესაც სკოლებში ბოლო ზარი დაირეკა, გეიაღლუმი ჩატარებულიყო. აღვირახსნილთა ამ გამოსვლას რაც მოჰყვა, ყველამ კარგად ვიცით, ამ თემას აღარ დავუბრუნდებით. ისიც კარგად ვიცით, წინა ხელისუფლება ახალგაზრდებს როგორ „აქათმებდა“, მაგრამ გასაკვირი ის არის, ეროვნულობაზე პრეტენზიის მქონე მთავრობის პირობებში რაც ხდება.

მას შემდეგ, რაც ნატოს გენერალური მდივანი რასმუსენი საქართველოში აღშფოთებული ჩამოვიდა, თითი გვიქნია: როგორ თუ თქვენ „საწყალი ცისფერები“ დაჩაგრეთო, **ახალი ხელისუფლება მთლად გადაირია, იმ დონეზე, რომ პატარა ბიჭების გაუპატიურების გამო დამნაშავეებს აღარ სჯიან, მათ საპროცესო გარიგებით ათავისუფლებენ და უფრო მეტიც, ბავშვებს აბრალებენ, წინააღმდეგობას არ უწევდნენო.** საინტერესო ის არის, 9-10 წლის ბავშვმა წინააღმდეგობა როგორ და რა ფორმით უნდა გაუწის ზრდასრულ და ჯანღონით სავსე მამაკაცს.

**გურჯაანში სასამართლო დარბაზიდანვე საპროცესო გარიგებით გაათავისუფლეს 46 წლის მამაკაცი, რომელმაც 10 წლის ვაჟი გააუპატიურა, რასაც სამართალდამცავი ორგანოებიდან, კერძოდ კი პროკურატურიდან, არავინ გამოხმაურებია.** არადა, ერთი ამბავი ატყდა — კბილაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი სასწრაფოდ დააყენეთ, ბედუკაძესთან საპროცესო გარიგება როგორ დადოო? მაშინ ყველა გადაეფარა კბილაშვილს, მაგრამ, დღეს რომ ხმას არ იღებს და არ კითხულობს, რა მოტივი ჰქონდა პროკურორ თინათინ ზუბაშვილს საიმისოდ, რომ ასეთი სასტიკი დანაშაულის ჩამდენი გარეთ გამოეშვა, ეს უკვე პროკურორის დანაშაულია. **ხელისუფლება აშკარად იცავს პედერასტებს და ამას აღარც მალავს. ბაზარში მშიერმა მოზარდმა საზამთრო რომ მოიპაროს, ის უფრო მძიმე სასჯელით ისჯება, ვიდრე კაცი, რომელიც ამ ბავშვს გააუპატიურებს.**

ამ საკითხთან და საეჭვო საპროცესო გარიგებასთან დაკავშირებით, შევეცადეთ, ჯერ გურჯაანში თავად გადაწყვეტილების მიმღებ პროკურორს დავკავშირებოდით და მისგან მოგვესმინა ახსნა-განმარტება, თუ რატომ არ დაისაჯა დამნაშავე კანონის მთელი ძალით, შემდეგ კი უფლებადამცველებს დავუკავშირდით და მათი აზრიც მოვისმინეთ.

**თინათინ ზუბაშვილი, გურჯაანის რაიონის პროკურორი:**

— ასეთი ბევრი შემთხვევა იყო, გამახსენეთ, რომელზე ამბობთ?

**— აი ის, 10 წლის ბიჭის გაუპატიურების გამო საპროცესო შეთანხმება რომ გაუფორმდა და წელიწად-ნახევრიანი სასჯელით რომ შემოიფარგლეთ...**

— კი, მოგახსენებთ. მუხლი ასეთი დანაშაულისთვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამ ადამიანს წელიწადი და ექვსი თვე განესაზღვრა, საპროცესო გარიგება კი დაზარელებულის ინტერესებიდან გამომდინარე გაუფორმდა, რადგან დამატებითი ფსიქოლოგიური ზემოქმედება არ მოეხდინა.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენმა გადაწყვეტილებამ უფლებადამცველები შეაშფოთა, თქვენ არავინ დაგკავშირებიათ?**

— მე არავინ დამკავშირებია, გადაწყვეტილებაზე კი ვერაფერს ვიტყვი, ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული და მორჩა.

**— რამდენადაც ვიცით, დამნაშავე ამნისტიით სულ ცოტა ხნის წინ გამოვიდა ციხიდან. რა ბრალდებით იჯდა?**

— ქურდობის მუხლით.

**— ეს სასამართლომ არ გაითვალისწინა?**

— საქმე ისაა, რაკი ამნისტიით ადამიანი გაათავისუფლეს, ე. ი. ყველაფერი მოეხსნა. შესაბამისად, ჩვენ ამ საქმეზე როგორ გავითვალიწინებდით მის წინა დანაშაულს?

**— გინდათ, თქვათ, რომ, საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე გადაწყვეტილების მიღებისას მისი წინა პატიმრობა არ გაითვალიწინეთ?**

— ეს არაფერ შუაშია, დამნაშავე სახელმწიფომ გაათავისუფლა და წინა სასჯელი ახლა გათვალისწინებული არ იქნებოდა. ასეთია კანონი. ადამიანი გაათავისუფლეს და ჩვენ ხელახლა ხომ არ დავსჯიდით?! ვერ გავიგე... მისი ყოფილი პატიმრობა, რომელიც სხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამო მიესაჯა, ამ კვალიფიკაციისთვის დამამძიმებელი გარემოება ნამდვილად არ იყო. იმავე ქურდობის მუხლით რომ ჩაედინა ახალი დანაშაული, ბრალი დაუმძიმდებოდა, თუმცა ესეც გასარკვევი საკითხია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამ საქმესთან ეს პრობლემებს არ ქმნიდა.

**გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ საქართველოს მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის უფროსს — ხათუნა პაიჭაძესაც დაუკავშირდა, მან კი ლევან ღვედაშვილის ტელეფონის ნომერი მოგვცა და გვითხრა, რომ განცხადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სწორედ მან გააკეთა. რატომღაც ვიფიქრეთ, რომ ეს ადამიანი მთავარი პროკურატურის თანამშრომელი აღმოჩნდებოდა, მაგრამ ისიც გურჯაანის რაიონის პროკურორი ყოფილა.**

## «ხელისუფლება აშკარად იცავს პედერასტებს და ამას აღარც მალავს. ბაზარში მშიერმა მოზარდმა საზამთრო რომ მოიპაროს, ის უფრო მძიმე სასჯელით ისჯება, ვიდრე კაცი, რომელიც ამ ბავშვს გააუპატიურებს»

**ლევან ღვედაშვილი, გურჯაანის რაიონის პროკურორი:**

— ჩვენ ჩავთვალეთ, რომ სასჯელი სამართლიანი იყო. სასჯელი ასეთ დროს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. აღნიშნული მუხლი სასჯელის ფარგლებში მიესაჯა დამნაშავეს.

**— დამნაშავე ამნისტირებული იყო?**

— დიახ, დამნაშავე ამნისტიით არის გათავისუფლებული, ოღონდ ზუსტად არ მახსოვს, რა დანაშაულზე იყო მსჯავრდებული.

**გელა ნიკოლეიშვილი, ადვოკატი:**

— საქმის ვითარებას არ ვიცნობ, მაგრამ გეტყვით, რომ, ალბათ, დანაშაული არ დადასტურდა. სხვა შემთხევაში, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ, თუ გაუპატიურების ფაქტი დადასტურებულია, თუმცა არ აქვს მნიშვნელობა, ეს იყო გაუპატიურება თუ სხვა რამ. **არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირი კანონით ისჯება. ასეთი საპროცესო შეთანხმებები დაუშვებელია, არსებობს საზოგადოებრივი მორალი, ტრადიციული მიდგომები, ვერ წარმომიდგენია, თავად პროკურატურამ რატომ ჩაიდინა ასეთი რამ.**

**— ბატონო გელა, „ცისფერებს“ ხელს ხომ არ აფარებენ?**

— ეს არ არის „ცისფერობა“, ამას პედოფილია ჰქვია. ასეთი რამ ყველა ქვეყანაში დასჯადია. კოდექსში პირდაპირ არის მუხლი ასეთი დანაშაულისთვის. **პედოფილის გათავისუფლება ყოველგვარ ლოგიკას ეწინააღმდეგება.**

**ირმა ჭკადუა, ადვოკატი:**

— საქმეს კარგად არ ვიცნობ, არ ვიცი, ეს ადამიანი ადრე ნასამართლევია თუ არა მსგავს საქმეზე. თუ ეს მუხლი 138-ია, ეს არის სექსუალური ძალმომრეობითი მოქმედება. მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი კონტაქტი გაუკულმართებული ფორმით, ძალადობით, მუქარითა და დაზარალებულის უმწეობით გამოყენებული, ისჯება 4-დან 6-წლამდე. ასეთი დაბალი სასჯელი, რაზეც თქვენ საუბრობთ, არსად გამიგია.

**— ქალბატონო ირმა, თუ შეიძლებოდა ასეთ საქმეზე საპროცესო გარიგების გაკეთება?**

— გაუკეთეს საპროცესო გარიგება?! ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, არასრულწლოვანის სასამართლო პროცესებზე სიარულს მოერიდნენ.

**— თავად პროკურორებიც ასე ამბობენ, რომ ბავშვზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენას მოვერიდეთო.**

— ბავშვის მდგომარეობას ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება, იმავე თემაზე ბავშვთან გამუდმებული საუბარი ფსიქოლოგებისგან არარეკომენდებულია.

**— პირადად თქვენი პოზიცია როგორია ასეთ საქმესთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თქვენ რომ იყოთ დაზარალებულის ადვოკატი?**

— ჩემი პოზიცია ცალსახად არის ის, რომ ასეთი დანაშაული სასტიკად უნდა იყოს დასჯილი, სასტიკად!

**გასაკვირია, რომ ქვეყანაში მსგავს, საშინელ დანაშაულზე ასეთი მცირე სასჯელია განსაზღვრული. შესაძლებელია, ახალი ხელისუფლება ცვლილებებს კანონში ასეთ საქმეებზე სამომავლოდ გეგმავს, მაგრამ დღეს სახეზეა ფაქტი და აშკარაა, რომ მასზე არც პრემიერ-მინისტრს და არც მთავარ პროკურორს განცხადება არ გაუკეთებიათ. ამნისტიით გათავისუფლებული პატიმრების მიერ ჩადენილმა მსგავსმა დანაშაულებმა კი საგანგაშო ნიშნულს მიაღწია.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**



## «პედოფილის გათავისუფლება ყოველგვარ ლოგიკას ეწინააღმდეგება»

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საბჭოთა კავშირის პერიოდში ვიცხოვრე და ბრეჟნევიც კი არ ერეოდა საქართველოს მართვაში ასეთი დამამცირებელი ფორმით, როგორც ამერიკელები... ამისთვის ვიბრძოდით?! ესაა დამოუკიდებლობა?! არასოდეს ისტორიის მანძილზე ასეთი დამცირებული არ ყოფილა საქართველო, როგორც დღეს. ამისთვისაც პასუხი უნდა აგოს წინა ხელისუფლებამ, პოლიტიკურადაც და სამართლებრივადაც“.**

# ნანა კაკაბაძე: «ქართული ოცნებაც» იმავე ძალის მონაა, რომელსაც «ნაცმოძრაობა» ემსახურებოდა

**6 ივლისს ურეკში ივანიშვილ-უსუფაშვილის ტანდემის შეხვედრამ „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთ ქორთან — დავით ბაქრაძესთან, მიმდინარე კოაბიტაციას ფრთები შეასხა და ყბადაღებული თანაცხოვრების ახალ ეტაპს მისცა დასაბამი. ამ შეხვედრის შემდეგ თითქოს რაღაც შეიცვალა, „მეოცნებეთა“ თვალებში სამართლიანობის წყურვილი გაქრა, ცეცხლი განელდა. მეტიც, კოალიციის ლიდერმა თანაგუნდელებს მძაფრი განცხადებებისგან თავშეკავებისკენ მოუწოდა, მართლმსაჯულება კი გრძელვადიან „შვებულებაში“ გაისტუმრა და 1 ოქტომბრის შემდეგ დაწყებულ ფართომასშტაბიან საგამოძიებო პროცესზე საყოველთაო მორატორიუმი გამოაცხადა. მმართველი გუნდის ამგვარმა პოლიტიკამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგი თვლის, რომ ხელისუფლება წინამორბედს შეეკრა და მასთან შეთანხმებულად მოქმედებს; ზოგი კი ამ ყველაფერს „ქართულ ოცნებაზე“ დასავლეთის ზემოქმედებას უკავშირებს. რა მოლოდინები ჰქონდა 1 ოქტომბრამდე საზოგადოებას და რამდენად ადეკვატურია დღეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკა, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**



**— ქალბატონო ნანა, როგორ აფასებთ ხელისუფლების მიერ სამართლებრივ პროცესზე გამოცხადებულ მორატორიუმს?**

— ეს ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, აუხსნელი და ამაზე კომენტარის გაკეთება მიჭირს. **რას ნიშნავს მორატორიუმი, თუ კი ჩადენილია დანაშაული და არსებობს მისი გახსნის შესაძლებლობა, როგორ მოვიქცეთ, პირში წყალი ჩავიგუბოთ?! საერთოდ, ამ ხელისუფლებას, ბოლო დროს რომ ვაკვირდები, რეალობის შეგრძნება დაკარგული აქვს. სხვა რა უნდა დავარქვათ იმას, რომ დამნაშავეებს, ჯალათებსა და კაცისმკვლელებს, ფაქტობრივად, მშვიდობას სთავაზობ, ურიგდები და საშუალებას აძლევ, ისევ გააგრძელოს თავისი ბინძური საქმიანობა.**

**— ხელისუფლება ამ ყველაფერს იმით ხსნის, რომ მიმდინარე სამართლებრივი პროცესი მას შეიძლება წინასაარჩევნო კამპანიად ჩაუთვალონ.**

— ეს არის იმდენად უსუსური არგუმენტი, რომ, მგონი, თვითონ ივანიშვილსაც აღარ სჯერა საკუთარი თავის. ყოველ შემთხვევაში, სამართლიანობასთან, სამართლებრივ მიდგომასთან და ქვეყნის ინტერესებთან ამ ე. წ. მორატორიუმს საერთო არაფერი აქვს. პირიქით, ეს ძალიან ცუდად აღიქმება საზოგადოებაში და არანაირ დადებით განცდას არსებული ხელისუფლების მიმართ არ აჩენს. **მით უფრო, რომ დღესდღეობით „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები თავს არა თუ დამნაშავეებად არ გრძნობენ, მორალურ პასუხისმგებლობასაც გაურბიან. ასე რომაა, იმიტომ აქვთ პრეტენზია მთავარ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბებაზე, თორემ, ამათ რომ სინდისი ჰქონდეთ, არჩევნებისთვის კი არ უნდა ემზადებოდნენ, თავქუდმოგლეჯილები უნდა გარბოდნენ ქვეყნიდან.**

**— პასუხისმგებლობა რადგან ახსენეთ, მთელ რიგ მნიშვნელოვან თანამდებობებზე, მათ შორის ძალოვან უწყებებშიც, პოლიცია იქნება ეს თუ სხვა, ისევ წინა ხელისუფლებისდროინდელი კადრები რჩებიან. თქვენი აზრით, რატომ არ ინტერესდება მმართველი გუნდი ამ საკითხით?**

— მაგას ვკითხულობ დღიდან ამ ხელისუფლების მოსვლისა და ჩვენ პირველები გამოვედით ინიციატივით, რომ რეჟიმი გასამართლდეს. ამ მოთხოვნით რეზოლუციაც გავუგზავნეთ პარლამენტს, მაგრამ დღემდე რეაგირება არ მომხდარა, არადა, ეს საშუალებას მისცემდა ხელისუფლებას, პოლიტიკური ველი გაეწმინდა.

**— შეიძლება, მაგრამ დასავლეთი ამას, ალბათ, პოლიტიკურ დევნად შეაფასებდა.**

— **ის, რომ დასავლეთიდან ასეთი განცხადებები გვესმის, ამაშიც გარკვეულწილად ხელისუფლების ბრალეულობას ვხედავ. კერძოდ, რას ვგულისხმობ: როდესაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები გამუდმებით გაიძახიან, „ნაციონალური მოძრაობა“ არის ერთადერთი პოლიტიკური ძალაო და შემდეგ ამ ძალის ლიდერებს აპატიმრებენ, ბუნებრივია, ამას შენი ოპონენტები გამოიყენებენ...**

## «ხალხი ჯოხით ხელში თუ არ დაადგა ამათ თავზე, ქვეყნისთვის სასიკეთოს გამკეთებელი არ არიან»

**— თქვენი აზრით, „ნაცმოძრაობა“ არ არის რეალურად ოპოზიციური ძალა?**

— არა ერთხელ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: **იმ შემზარავი კადრების მერე, რომლებიც ვიხილეთ, იმ ფარული ჩანაწერებისა და ფაილების, პარლამენტის მიერ 189 კაცის პოლიტპატიმრად ცნობის, უამრავი ფაქტისა და ბურუსით მოცული საქმის გამომზეურების ფონზე როგორღა შეიძლებოდა საუბარი იმაზე, რომ ესენი არიან ოპოზიცია?!** მე, იცით, კიდევ რა მაინტერესებს: პოლიტიკური პასუხისმგებლობააო, რომ იძახიან, ეს თავისთავად რას გულისხმობს?! ეტყობა „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ რაიმე პასუხისმგებლობას გრძნობს?!

**— მათი აზრით, პოლიტიკური პასუხისმგებლობა იყო არჩევნებში დამარცხება.**

— რა სისულელეა, პოლიტიკური პასუხისმგებლობა კი არა, ეს არის განაჩენი, რომელიც შენ ხალხმა გამოგიტანა, იმიტომ, რომ სხვა გზა არ ჰქონდა; ან იარაღი უნდა აეღო მოსახლეობას და დაეხოცა ესენი ან არჩევნებში უნდა დაემარცხებინა. რაც შეეხება იმ პასუხისმგებლობას, ეს გულისხმობს იმას, რომ მინიმუმ პოლიტიკიდან უნდა წასულიყო „ნაცმოძრაობა“. **ბაქრაძე რომ გამოდის ახლა და თავს იმართლებს, არაფერი ვიცოდიო, მე ვიცოდი, რა ხდებოდა ციხეებში და რა უბედურება ტრიალებდა, იმის მიუხედავად, რომ საკნებში კაციშვილს არ უშვებდნენ, პარლამენტის თავმჯდომარემ არ იცოდა?! თუ არ იცოდა, მით უარესი... ამ უსირცხვილო არაკაცს კიდევ პრეზიდენტობა უნდა, რა სინდისით, ვისი პრეზიდენტი უნდა გახდეს ეს ნამუსგარეცხილი?!**

**— სხვათა შორის, ამას წინათ სააკაშვილმაც განაცხადა, აქტიურ პოლიტიკაში ვრჩებიო. რა შანსები აქვს მას ამისთვის, როგორ ფიქრობთ?**

— თუ ასე გააგრძელებს „ქართული ოცნება“, ამ რაღაც ამორფული, დრეკადი პოლიტიკით ქვეყნის მართვას, რა თქმა უნდა, მას ამის შანსი ექნება. როგორ, რანაირად, ცალკე საკითხია, მაგრამ ის დარჩება. დღეს ბევრს ჰგონია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საბოლოოდ დამთავრდა, წარსულს ჩაბარდა. მერწმუნეთ, ჯერ ადრეა ამაზე საუბარი. **თუ ამათ პასუხი არ მოეთხოვათ ჩადენილი დანაშაულისთვის, თავიანთი ნებით არ წავლენ და არ ჩაჯდებიან ციხეში, ამიტომ გვაინტერესებს, რას აკეთებს ხელისუფლება სამართლიანობის აღსადგენად, თორემ სააკაშვილის კრიმინალური ხროვისგან რასაც უნდა ველოდეთ, ყველამ კარგად ვიცით...**

**— რაც შეეხება ისევ სამართლებრივ პროცესს, ჯერჯერობით რასაც ვხედავთ, ხელახალი გამოძიება მხოლოდ გახმაურებულ საქმეებზე ჩატარდა. იმ ასობით და ასეულათასობით მოქალაქეს კი, რომელთა უფლებებიც წლების მანძილზე სხვადასხვა ფორმით ირღვეოდა, აქამდე საკუთარ თავზე არ უგრძვნია კანონის უზენაესობა. როგორ ფიქრობთ, რა უშლის დღეს სახელმწიფოს ხელს, რომ სამართლიანობა სრულად აღადგინოს?**

— სამწუხაროდ, რასაც თქვენ ამბობთ, სრული სიმართლეა, ეს ე.წ. სამართლებრივი პროცესი ისე წარიმართა, რომ, ერთის მხრივ, ხალხი თითქოს კმაყოფილი დარჩა, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ყველაფერმა მიიღო რაღაც ელიტური ხასიათი. კერძოდ, რას ვგულისხმობ: თქვენ იცით, რა ხდებოდა ქვეყანაში 2005 წლიდან — როცა „ნაცმოძრაობამ“ მონოპოლიების შექმნა დაიწყო, წვრილი და საშუალო ბიზნესი მოსპო, მცირე მეწარმეებს ქონება ჩამოართვა; ვისაც დაუტოვა, იმას ისეთი პირობები შეუქმნა, თვითონ დაანება თავი. მოკლედ, პირდაპირი რეკეტი წავიდა. შუალამით მოვარდებოდნენ, ჯიხურს ილებდნენ და მიჰქონდათ. წივილი, კივილი, ერთი ამბავი იყო, მაგრამ კაცი სამართალს ვერ პოულობდა. **ამ განუკითხაობამ ხომ საბოლოოდ უამრავი ადამიანი შეიწირა, არც ერთ მათგანს დღემდე სამართლიანობა არ შეხებია. ვერავინ მანახებს რიგით მოქალაქეს, რომლის უფლებებიც აღდგა. მე არ ვგულისხმობ იმას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ იქ თანამდებობები იშოვა, სავარძლებს დაეპატრონა და თავისი ხალხი დაასაქმა. სხვას ვის შეეხო ეს პროცესი?! სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული თუნდაც ერთი კაცი მანახეთ, რომელიც ისევ აღადგინეს. ვერ იპოვით ქვეყანაში ასეთ ადამიანს...**

**— ისე, ათ თვეში ამაზე მეტის გაკეთება შეიძლება?**

— ჩვენ მარტო იმაზე კი არ ვსაუბრობთ, რა გაკეთდა ან შეიძლებოდა გაკეთებულიყო, აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რის გამკეთებლები არიან მომავალში. **190-მდე პოლიტპატიმარი გამოუშვეს ციხიდან, არც ერთ მათგანს დღემდე ნასამართლეობა არ აქვს მოხსნილი. ამიხსენით, რა უშლით შესაბამის სტრუქტურებს ხელს, რომ ეს საკითხი დააყენონ დღის წესრიგში. ვანო მერაბიშვილსა და ნაძირალა ახალაიას რომ გიცხადებენ პოლიტიკური ნიშნით დაკავებულად, რა პასუხს აძლევ იმ შენს ევროპელ და ამერიკელ ე.წ. პარტნიორებს?! რით არწმუნებ შენს სამართლიანობაში? უმოქმედობით?! პირდაფჩენილი რომ დაგისვია ეს 85 კაცი პარლამენტში, მათი ბრტყელ-ბრტყელი განცხადებებით?!**

**— თქვენ ფიქრობთ, რომ დასავლეთს საკმარისად არ უხსნიან აქ მიმდინარე პროცესებს?**

— ყოველ შემთხვევაში, **ქართველი ხალხი შეურაცხყოფილი დარჩა იმის გამო, რომ მმართველმა გუნდმა ამა თუ იმ უცხოელ ე.წ. ცნობილ სახეს, ექსპერტსა და პოლი-** ▶

„ბაქრაძე რომ გამოდის ახლა და თავს იმართლებს, არაფერი ვიცოდიო, მე ვიცოდი, რა ხდებოდა ციხეებში და რა უბედურება ტრიალებდა, იმის მიუხედავად, რომ საკნებში კაციშვილს არ უშვებდნენ, პარლამენტის თავმჯდომარემ არ იცოდა?! თუ არ იცოდა, მით უარესი... ამ უსირცხვილო არაკაცს კიდევ პრეზიდენტობა უნდა, რა სინდისით, ვისი პრეზიდენტი უნდა გახდეს ეს ნამუსგარეცხილი?!“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტიკოსს ვერ გასცა ადეკვატური პასუხი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ამას საზოგადოება მტკივნეულად აღიქვამს. ის რეიტინგის ვარდნაც, რომელსაც დღეს „ქართული ოცნება“ განიცდის, სწორედ ამითაა განპირობებული. ამიტომ ხელისუფლება ერთ რამეს უნდა მიხვდეს, — დრო ახლა მის სასარგებლოდ კი არ მუშაობს, პირიქით — მის საზიანოდ და, რაც უფრო დიდხანს იქნებიან ამ მდგომარეობაში, უფრო მეტად გაუარესდება მათი პოზიცია.**

**— რას ფიქრობთ ივანიშვილისა და უსუფაშვილის შეხვედრაზე დავით ბაქრაძესთან? ამის შემდეგ პრემიერი კუბლაშვილსაც შეხვდა.**

— ძალიან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ შეხვედრამ და ეს სავსებით ბუნებრივია. იმის ნაცვლად, რომ დამნაშავეების დასჯაზე იყოს დღეს საუბარი, შენ მიდიხარ და „ნაციონალების“ მთავარ ჯალათს, კუბლაშვილს რაღაცაზე ესაუბრები, მერე კი მის ხელქვეითებს, ასევე ჯალათ მოსამართლეებს ხელფასებს უმატებ, ცხადია, ხალხი ამას არ მიიღებს. ჩვენ ყველა ძალიან კარგად ვხედავთ, რა ხდება ქვეყანაში, მაგრამ ცოტა ვინმე თუ რეაგირებს ამაზე. ამიტომ, ყოველთვის ვამბობ და ახლაც ვიმეორებ, რომ მთავარია, საზოგადოება იყოს აქტიური. როგორც ჩანს, **ხალხი ჯოხით ხელში თუ არ დაადგა ამათ თავზე, ქვეყნისთვის რამე სასიკეთოს გამკეთებელი არ არიან. რეჟიმი უნდა გასამართლდეს და ამოიძირკვოს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: თუ ჩვენ მარტო ვიქნებით ამ მოთხოვნის უკან, იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანია ჩვენი მოძრაობა, რეალურად ვერაფერს მივაღწევთ.**

**— არის საუბარი იმაზეც, რომ „ქართულ ოცნებას“, შესაძლოა, „ნაცმოძრაობის“ მეორე ძალად ჩამოყალიბება სურდეს.**

— კოალიცია ძალიან მრავალფეროვანია, იქ ისეთი ძალებია, რეალურად ვის რა ინტერესები აქვს, ვერ გაიგებ და ვერაფერს გამორიცხავ, მაგრამ კიდევ ვამბობ: ჩვენ, ყველა — უფლებადამცველები და ჟურნალისტები, უნდა დავირაზმოთ იმისთვის, რომ ეს არ დავუშვათ. **მეორე ძალად ჩამოყალიბება კი არა, ამ ადამიანებს პოლიტიკური საქმიანობა საერთოდ უნდა აეკრძალოთ, თანაც ერთი და ორი წლით კი არა, დიდი ხნით. მათ ყველაფერზე პასუხი უნდა აგონ, ყველა დანაშაულზე — დაწყებული ტერიტორიების დაკარგვით, დამთავრებული არჩევნების გაყალბებითა და ასეულათასობით მოქალაქის გაუბედურებით.**

**— სამართლებრივ პროცესზე და მიმდინარე გამოძიებებზე ბევრი ვისაუბრეთ. ამას წინათ ნატოს გენერალური მდივანი იყო ჩამოსული და მერაბიშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით საუბრისას რამდენიმე მკაფიო მინიშნება გააკეთა. მან თქვა, რომ, თუ საქართველოს სურს სწრაფვა ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ, ხელისუფლებას სიფრთხილე მართებს. როგორ გაიგეთ თქვენ მისი განცხადებები?**

— **ჩემი აზრით, რაც რასმუსენმა იკადრა, ეს არ იყო, უბრალოდ, განცხადებები, ეს უფრო იყო თითის ქნევა და გაფრთხილება, თუ ჭკუით არ ვიქნებით, რაც მოგვივა, ვნახავთ. მე საბჭოთა კავშირის პერიოდში ვიცხოვრე და ბრეჟნევიც კი არ ეროდა საქართველოს მართვაში ასეთი დამამცირებელი ფორმით, როგორც ამერიკელები. რა არის ეს, სიმართლე გითხრათ, ბოლომდე არ მესმის, შეფასებაც მიჭირს. ამისთვის ვიბრძოდით ჩვენ?! ესაა დამოუკიდებლობა?! არასოდეს ისტორიის მანძილზე ასეთი დამცირებული არ ყოფილა საქართველო, როგორც დღეს. ამისთვისაც პასუხი უნდა აგოს წინა ხელისუფლებამ, პოლიტიკურადაც და სამართლებრივადაც.**

**— პირადად სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება თუ წარმოგიდგენიათ? ამ შემთხვევაში არა მარტო პოლიტიკურ, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც ვგულისხმობ.**

— თუ ამ ქვეყანაში, სამართალი კი არა, ელემენტარული სამართლიანობა არსებობს, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილი, მთელი თავისი ხროვით, უნდა აღმოჩნდეს სასამართლოს წინაშე. ეს გარდაუვალია, თუ არადა, მე პირადად, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, ჩავთვლი, რომ „ქართული ოცნება“ იგივე „ნაცმოძრაობაა“. **შაშკინი, კალმახელიძე და მთლიანად ეს ჯალათები, დღეს რომ თავისუფლად დადიან და გვმოძღვრავენ, რა, არ არიან პასუხისმგებლები იმაზე, რაც ციხეებში ხდებოდა?! მე ვეკითხები ხელისუფლებას: თუ ახალაიაა დამნაშავე, ესენი სად იყვნენ იმ დროს?! რატომ არ ხდება მათ მიმართაც შესაბამისი ზომების მიღება?! კალმახელიძე საერთოდ არავის უხსენებია, რა ვიფიქროთ ახლა, ანგელოზია?! მაშინ გამოუშვან ახალაიაც და ეგაა, ისიც უდანაშაულო ყოფილა...**

**— დასასრულს, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზეც გკითხავთ: რას ელოდებით ამ არჩევნების შემდეგ? როგორ წარმოგიდგენიათ მომდევნო პროცესები?**

— ის, რომ რამე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება, არ მჯერა და ვფიქრობ, მსგავსი ილუზია არც უნდა გვქონდეს. **სამწუხაროდ, აქ ერთი რეალობა გამოიკვეთა: აშკარაა, რომ ეს ხელისუფლებაც იმავე ძალის მონაა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ემორჩილებოდა. ამაში გამოიხატება რეალურად ის ყბადაღებული კოაბიტაციაც. ასე რომ, პირველ რიგში უნდა დადგინდეს, რა ძალაა ეს და რა ინტერესები აქვს მას საბოლოოდ. ასევე, როცა გამოძიებაზეა საუბარი, იქ ძალიან სერიოზული საქმეა შარაძის მკვლელობა, რომელიც ჯერჯერობით გაუხსნელია...**

**— გვპირდებიან, რომ ეს საქმე და ასევე ზურაბ ჟვანიას მკვლელობაც მალე გაიხსნება.**

— რა გახსნა უნდა ამას, აქ ხომ ყველაფერი ნათელია. უბრალოდ, პოლიტიკური ნება არ აქვს ხელისუფლებას; არიან კოაბიტაციაში კრიმინალებთან და უდანაშაულო მოქალაქეები, რომლებიც წლების მანძილზე რეპრესირებულები იყვნენ, დარჩნენ ისევ იმ მდგომარეობაში. ზოგჯერ უფრო შეურაცხყოფილებიც არიან, იმიტომ, რომ ყოფილი „ნაციონალები“ დანიშნეს თანამდებობებზე, რომლებიც ახლა დასცინიან ადამიანებს, ხომ დაგიხეთქეთ თავის დროზე თავები, ხომ გეგონათ, დედას გვიტირებდით, ვინ არიან ისევ ხელისუფლებაშიო.

მოკლედ, რეგიონებში ისეთი მდგომარეობაა, გადაჭარბების გარეშე ვამბობ, ხალხი უკვე ნატრობს სააკაშვილს. **ჯერ მარტო ვაკანსიები ნახეთ სახელმწიფო სტრუქტურებში, ყველგან მითითებულია, — აუცილებელია ბოლო ხუთი წლის გამოცდილება. საინტერესოა, ეს ხუთი წლის გამოცდილება პოლიტიკურად დევნილ ადამიანებს სად უნდა ჰქონოდათ: ქუჩაში? მიტინგებზე? გამოდის, ისევ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ხდება დღეს ახალ ხელისუფლებაში ადგილების გამოთავისუფლება.**

**— 19 მაისს თქვენ ერთი აქცია უკვე გამართეთ რეჟიმის გასამართლების მოთხოვნით. რას აპირებთ მომავალში? როგორ დაუპირისპირდებით მთელ ამ უსამართლობას?**

— პირველ რიგში, **ჩვენ ახლა დავაყენეთ მოთხოვნა, რომ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატმა ღიად განაცხადოს, — გამარჯვების შემთხვევაში, აპირებს თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. ასევე გვინდა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოგვცეს ოფიციალური ფურცლები და შევაგროვოთ მოქალაქეთა ხელმოწერები, რომ ხელისუფლებას ვაჩვენოთ, რამდენ ადამიანს უნდა დღეს ეს არჩევნები.** ესაა უახლოესი გეგმები, რაც შეეხება დანარჩენს, არა ერთხელ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ, სანამ ქვეყანაში სამართლიანობა ბოლომდე არ აღსდგება, არ გავჩერდებით. ბრძოლა არაა ჯერ დამთავრებული, ამიტომ მეტი სოლიდარობაა საზოგადოებაში საჭირო. **როგორც ჩანს, არც „ქართული ოცნება“ მიხედავს მარტო ქვეყნის საქმეს და არც რომელიმე სხვა პოლიტიკური ძალა, ჩვენი გასაკეთებელი ჩვენ უნდა გავაკეთოთ...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

«ჯერ მარტო ვაკანსიები ნახეთ სახელმწიფო სტრუქტურებში, ყველგან მითითებულია, — აუცილებელია ბოლო ხუთი წლის გამოცდილება. საინტერესოა, ეს ხუთი წლის გამოცდილება პოლიტიკურად დევნილ ადამიანებს სად უნდა ჰქონოდათ: ქუჩაში? მიტინგებზე? გამოდის, ისევ «ნაციონალური მოძრაობისთვის» ხდება დღეს ახალ ხელისუფლებაში ადგილების გამოთავისუფლება»



«სააკაშვილი, მთელი თავისი ხროვით, უნდა აღმოჩნდეს სასამართლოს წინაშე თუ არადა, ჩავთვლი, რომ «ქართული ოცნება» იგივე «ნაცმოძრაობაა»

«რეგიონებში ისეთი მდგომარეობაა, გადაჭარბების გარეშე ვამბობ, ხალხი უკვე ნატრობს სააკაშვილს»

## იშხნის სარესტავრაციო პროექტის შესრულების ვადა გახანგრძლივდა

**კულტურის მინისტრის მოადგილემ მარინა მიზანდარმა ტაო-კლარჯეთში ვიზიტის შედეგები შეაჯამა. როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ განაცხადა, ქართველ სპეციალისტთა მესამე ოფიციალური ვიზიტი ისტორიულ ტაო-კლარჯეთში წარმატებით დასრულდა.**

მიზანდარის თქმით, ამ ეტაპზე, ქართველ ექსპერტთა პირველი და მეორე სამუშაო შეხვედრის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები თურქეთის მხარის მიერ დიდწილად გათვალისწინებულია. დამუშავებულია ძეგლის საინჟინრო კონსტრუქციული გაძლიერების პროექტი, რომელიც აქამდე არ არსებობდა. ასევე გაძლიერდა იატაკის დამცავი ფენა ინერტული მასის დამატებითი ფენით და სამუშაოები იშხანში აღარ ხორციელდება პროფესიონალი არქეოლოგების ზედამხედველობის გარეშე.

ამასთან, იშხანში მყოფმა ქართველმა სპეციალისტებმა თურქ კოლეგებს გააცნეს მეთოდური და ტექნიკური რეკომენდაციები, რომლებიც მოგვიანებით ოფიციალური სახით გადაეგზავნება თურქეთის მხარეს. ვიზიტის შედეგად შედგა შეთანხმება, რომ იშხანის დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ მინაშენზე განხორციელდება ახლად აღდგენილი საკირე წყობის სათანადო დამუშავება, რაც არსებულ მდგომარეობას გარკვეულწილად გამოასწორებს. მარინა მიზანდარის თქმით, თურქულმა მხარემ კედლის მხატვრობის კონსერვაციის მიზნით სტამბულში მიმართა შესაბამის სამსახურს და სპეციალისტი იქნება ამ მხრივ ჩართული. მიზანდარმა ასევე აღნიშნა, რომ ქართული მხარის რეკომენდაციის შედეგად, პროექტის შესრულების ვადა გახანგრძივდა, რაც მისი უკეთესი რესტავრაციისათვის კარგი იქნება.

პრესკონფერენციაზე ოშკთან დაკავშირებით ასევე ითქვა, რომ წელს სამუშაოები ტაძარზე არ დაიწყება, თუმცა ამ პროცესის დაწყება წელს, აგვისტოში იყო გათვალისწინებული. პროექტის სრულყოფისა და შეცდომებისგან თავის დაღწევის მიზნით, თურქულმა მხარემ პროექტის დასრულების ვადა 2013 წლის დეკემბრამდე გაახანგრძლივა. ასევე გახანგრძლივდა იშხანზე სამუშაოების დასრულების ვადაც.



პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ივანიშვილის სიტყვებმა „რაც დაგპირდით, ყველაფერი შევასრულე“ ყველა შეაშინა. ის ისევე საუბრობს ეკონომიკაზე, როგორც სააკაშვილი. აქ უკვე, მიშა კი არა, ხრუშჩოვი გახსენდება, ადამიანი, რომლისთვისაც ცხოვრება მირაჟი იყო“.**

# ბიძინა, ანუ მიხეილი — 10 მსგავსება ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: ივანიშვილი არამდგრადია და გარემოცვაც ასეთი ჰყავს

**ოქტომბერში დაწყებულმა კოაბიტაციამ საშიშ ნიშნულს მიაღწია. მოსახლეობას ეჭვი უჩნდება და არც თუ უსაფუძვლოთ: ხომ არ შედგა გარიგება წინა ხელისუფლებასა და ახალ ხელისუფლებას შორის ჯერ კიდევ არჩევნებამდე?! აღარც ხალხი და აღარც პოლიტიკოსები აღარ მალავენ იმას, რომ ძველსა და ახლს შორის დიდი სხვაობა არ არის, უფრო მეტიც, მათ შორის მსგავსება და ერთი პატრონისადმი კუდის ქიცინი უფრო საგრძნობია, ვიდრე განსხვავება.**
**რა დაემართა ხალხის კერპს — ბიძინა ივანიშვილს? რა მსგავსება იკვეთება სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის? რატომ გვარწმუნებენ, რომ „ოცნების“ ყველა დანაპირები უკვე შესრულდა? — ამ შეკითხვებით „საქართველო და მსოფლიომ“ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს მიმართა.**



**«ბიძინა ივანიშვილისგან ნუ გამოვიყვანთ ისეთ ადამიანს, როგორებიც იყვნენ სტალინი და ბერია, პოლიტიკაში კარგად გათვითცნობიერებული ადამიანები, ფართო მსოფლმხედველობით. ეს არის კაცი, რომელმაც შემთხვევით იშოვა ფული, მის მილიარდებს ნუ მივაწერთ იმას, რომ ის დიდი გაქანების კაცია»**



**— ბატონო ჰამლეტ, რა ემართება ბიძინა ივანიშვილს? ხალხს ნელ-ნელა რატომ უცრუვდება იმედი?**

— ეს პიროვნება საზოგადოებისთვის გამოუცნობია, ის ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, მას ახლო ურთიერთობა არ ჰქონდა ხალხთან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მსახიობსა და მომღერალს, რომლებიც ახლა ხელისუფლებაში არიან. სხვა ბიზნესმენები, არ მინდა ახლა მათი ჩამოთვლა, უფრო ახლოს არიან ხალხთან. რაც მასზე ვიცით, ის არის, რომ ქველმოქმედებაში დიდი ფული ჩადო. ეს მისასალმებელია, მაგრამ მან ასევე დიდი ფული ჩადო „ნაციონალებშიც“... რამ მოხიბლა ეს ადამიანი, არ ვიცით. ალბათ, ამის მიზეზი ის იყო, რომ ივანიშვილი ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და არ იცოდა, ისინი სინამდვილეში ვინც იყვნენ. **ერთ-ერთ ვერსიად „ნაციონალების“ დაფინანსებისა, შესაძლებელია, ისიც განვიხილოთ, რომ ის შევარდნაძის კორუმპირებულ მთავრობას ვერ ეგუებოდა და არ უნდოდა შევარდნაძის პრეზიდენტობის ვადის გახანგრძლივება და გამოსავალი ამ ახალგაზრდულ ფრთაში ნახა, რომელსაც არ იცნობდა. მან „ნაციონალებს“ მართლა ძალიან დიდი დახმარება გაუწია, ასევე, 20 მილიონამდე თანხა მისცა სააკაშვილის დედას, ცოტა ნაკლები — სანდრა რულოვსს.** ივანიშვილი ვერ აცნობიერებდა, რომ „ნაციონალები“ უფრო უარესები იქნებოდნენ, ვიდრე შევარდნაძის ხელისუფლება იყო.

**— ეს კაცი არ ჰგავს ისეთ ადამიანს, რომელიც ადვილად მოტყუვდება.**

— ბიძინა ივანიშვილისგან ნუ გამოვიყვანთ ისეთ ადამიანს, როგორებიც იყვნენ სტალინი და ბერია, პოლიტიკაში კარგად გათვითცნობიერებული ადამიანები, ფართო მსოფლმხედველობით. **ეს არის კაცი, რომელმაც შემთხვევით იშოვა ფული, მის მილიარდებს ნუ მივაწერთ იმას, რომ ის დიდი გაქანების კაცია. ივანიშვილი პატარკაციშვილზე ნაკლები გაქანებისაა, პატარკაციშვილმაც წაიმტვრია ფეხი.** დღეს არავინ საუბრობს იმაზე, რომ, შესაძლებელია, ივანიშვილს პირადი წყენაც აქვს სააკაშვილისგან, ალბათ, ფული სთხოვა და ამას კი მობეზრდა... ამ ამბების გარშემო ბევრი ჭორი დადის.

**— ბატონო ჰამლეტ, მოდი შევეცადოთ და დავალაგოთ ის მსგავსებები, რაც მიშასა და ივანიშვილს შორის არის.**

— ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლამდე მხოლოდ ჭკუასელს იცნობდა. **როდესაც პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა, დაიწყო ხალხის მოპატიჟება, მას სურვილი ჰქონდა ისეთი ხალხის აღზევების, როგორებიც არიან რატი ამაღლობელი, ბუღაძე და ასე შემდეგ.** ესეც — **პირველი მსგავსება** სააკაშვილსა და მას შორის. სააკაშვილისგან ეს გასაკვირი არ იყო, რადგან ის იმ პლეადას ეკუთვნოდა. ივანიშვილი კი არამდგრადია და გარემოცვაც ასეთი ჰყავს, ხუხაშვილები და მისთანანი მას ახრჩობენ.

**მეორე მსგავსება** სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის ის არის, რომ **მას ჰგონია, რომ კადრები, რომლებიც შეარჩია, უნიკალურია.** მაგალითად, კოტე გაბაშვილის ხელდასმული, საგარეო საქმეთა სამინისტროს ტექნიკური თანამშრომელი მაია ფანჯიკიძე დანიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად. არადა, ეს გახლავთ ქალი, რომელსაც, ყველაზე დიდი რაც უკეთებია სამინისტროში, ყავის მოდუღებაა, მაგრამ ივანიშვილს ჰგონია, რომ ძალიან კარგი კადრია... სწორედ ისე, როგორც სააკაშვილს ეგონა, რომ ქობალია იყო საუკეთესო. ბიძინა ივანიშვილს ჰგონია, რომ ფანჯიკიძე და საგარეო საქმეთა სამინისტრო კარგად მუშაობს და ამაში ვერც გადაარწმუნებ. ამ დროს კი ისეთ მნიშვნელოვან შეხვედრაზე, როგორიცაა მისი ვიზიტი ბალტიისპირეთში, მინისტრი თან არ ახლდა; როცა ეს ქვეყნები კოკისპირულად ლანძღავდნენ ივანიშვილს, ამ დროს მისი მინისტრი ამერიკაში გაურკვეველ შეხვედრებს აწყობდა. პრემიერის ადგილზე სხვა ფანჯიკიძეს ჩამოუსვლელად მოხსნიდა თანამდებობიდან, ამერიკაში დარჩენის მოთხოვნით.

**ბიძინას გაქანება არ აქვს, მას განათლების მასშტაბი არ აქვს. არ შეიძლება „ფლეიბოი“ ალასანიას ხელით საქმე გააკეთო. მისი მინისტრები, როგორც სააკაშვილისა, უმისამართოდ და ხშირად დადიან საზღვარგარეთ, არავინ კითხულობს, იქ რას აკეთებენ, მათ უკვე გადააჭარბეს სააკაშვილის ხელისუფლების ხარჯებს.** ესეც — კიდევ **მესამე მსგავსება.**

**მეოთხე მსავსებაა** ბრტყელბრტყელი განცხადებები. რას ნიშნავს? — ის ამბობს, „მე დაგპირდით და გავაკეთე“, ზუსტად ისე, როგორც ამას აკეთებდა სააკაშვილი; **ივანიშვილიც დაბეჯითებით საუბრობს მითიურ, კარგ ცხოვრებაზე, როგორც სააკაშვილი.** მისმა სიტყვებმა „რაც დაგპირდით, ყველაფერი შევასრულე“ ყველა შეაშინა. **ის ისევე საუბრობს ეკონომიკაზე, როგორც სააკაშვილი.** აქ უკვე, მიშა კი არა, ხრუშჩოვი გახსენდება, ადამიანი, რომლისთვისაც ცხოვრება მირაჟი იყო. ბიძინაც ამბობს, რომ დღეს ყველაფერი კარგად არის და ოთხი წლის შემდეგ უკეთესად იქნება. ის შორს არის ხალხისგან, მან ერთი პერიოდი ნაჭუჭიდან გამოსვლა სცადა, მაგრამ ხუხაშვილებმა და რესპუბლიკელებმა ისევ ჩაკეტეს. **მათ სამშობლის სიყვარული არ აქვთ, ესეც ერთ-ერთი მსგავსებაა „ნაციონალებთან“. ივანიშვილისთვის ცხოვრება ლამაზი და კარგი ვერაფრით იქნება, ხალხთან ახლოს რომ იყოს და მის პრობლემებს იზიარებდეს.** ოთხი წლის შემდეგ რომ არაფერი იქნება კარგად, როგორც გვპირდება, ჩვენ მოვკითხავთ პასუხს, მაშინ, როგორც მიშა, ისიც, ალბათ, გვიპასუხებს: „თქვენ ვერ ხედავთ, თორემ ყველაფერი კარგად არისო“. **ესეც გარკვეულწილად მსგავსებაა.** ივანიშვილს სჯერა, რომ ყველაფერი კეთდება.

**მეხუთე მსგავსება** არის სატელევიზიო შოუები, რომლებიც ორივეს აშკარად ხიბლავს და ესეც კეთდება იმისთვის, რომ ხალხმა დაიჯეროს, თუ როგორი საამურია ცხოვრება. **ნათქვამი და რეალობა ორივე მმართველის ხელში ერთმანეთს შორდება და მინდა გითხრათ, რომ ივანიშვილის პიროვნებაში ეს უფრო ნათლად ჩანს.**

არის ისეთი დეტალები, რაშიც ივანიშვილი უსწრებს სააკაშვილს. მაგალითად, **ივანიშვილი ბრაზდება და შეტევაზე გადადის, როდესაც შეკითხვას უსვამენ. ეს იმას მოწმობს, რომ თავს ვერ იკავებს და დამუხრუჭება არ შეუძლია. მისთვის უცხოა პოლიტიკა.** როდესაც ხედავ მის ასეთ ქცევას, გიჩნდება კითხვა: ამან ფული როგორ იშოვა?

**მეექვსე მსგავსება** მიშასა და ივანიშვილს შორის ის არის, რომ **მასაც, როგორც სააკაშვილს, ვიზიტისთვის არაადექვატური მინისტრები და პოლიტიკოსები დაჰყვებიან,** ისევე, როგორც სააკაშვილს დაჰყვებოდა ვერა ქობალია. ივანიშვილის მინისტრებიც საზღვარგარეთ სალაღობოდ დადიან.

**მეშვიდე**, რაშიც ივანიშვილი ძალიან ჰგავს სააკაშვილს, არის ის, რომ **მისი ალღოც სახელმწიფოს მართვაში არის ნულის ტოლი.** ბიძინა არ კითხულობს, რა უნდოდა მაია ფანჯიკიძეს იაპონიაში ან ბრაზილიაში, არ კითხულობს, რა კავშირია ჩვენსა და ამ ქვეყნებს შორის, სამაგიეროდ, ფანჯიკიძემ იცის, რა უნდა, მას „შოპინგი“ უნდა. ხელისუფლების წარმომადგენელი ვალდებულია, წარმოადგინოს ანგარიში, თუ რატომ წავიდა და რისთვის წავიდა ამა თუ იმ ქვეყანაში, არც სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები და არც ბიძინასი ამ ანგარიშს არ დებენ.

**მერვე მსგავსება** — სააკაშვილი და ივანიშვილი ქართულ პრესას არ კითხულობენ, თორემ რამეს აუცილებლად გაიგებდნენ.

**მეცხრე** — მსგავსება პირდაპირი არაა, მაგრამ იმაში მდგომარეობს, რომ **სააკაშვილი თავად იყო ამერიკის აგენტი, ხოლო ივანიშვილს ჰყავს უსუფაშვილი, რომელმაც დიდი ფული იშოვა ამერიკიდან.** ყველამ კარგად ვიცით, მან რამდენიმე წლის წინ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია რომ შექმნა, მას შემდეგ ვალდებულება აილო ამერიკის წინაშე. **ასეთივეა ალასანია, რომელმაც „ლენგლის“ აკადემია დაასრულა. ეს ადამიანები იმას აკეთებენ, რასაც სააკაშვილი აკეთებდა.** ასე რომ, მსგავსება ძალიან ბევრია და შედეგიც სავალალო დადგება.

**— ბატონო ჰამლეტ, ჯერ აშკარად არა, მაგრამ ხალხი იმაზე საუბრობს, ხომ არ მოხდა ხელისუფლების ჩანაცვლებაო...**

— არჩევნები საქართველოში ამერიკამ წააგო, მაგრამ ახლა ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ „ნაციონალები“ მეორე ძალად დარჩნენ. მათ კარგად იციან, რომ მათი საპრეზიდენტო კანდიდატი არჩევნებს ვერ მოიგებს, თუმცა ამაზე თავადაც არ ფიქრობენ. ისინი იბრძვიან მეორე ადგილისთვის, ისინი იბრძვიან, რომ არ ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ამაში ხელს უწყობს „ოცნება“ და ამერიკაც. **ძალიან მალე ჩვენ დავდგებით რეალობის წინაშე, „ნაციონალები“, რესპუბლიკელები და ალასანია ერთ მხარეს რომ დადგებიან. ეს პროცესი დაწყებულია.** ალასანია რომ ივანიშვილთან ვერ ძოვს, ფაქტია. **ივანიშვილი გუნდში სრულიად მარტოა, თან მას არ ჰყოფნის ზოგადი განათლება, არ ჰყოფნის პოლიტიკური განათლება, ის ვერ იღებს ნორმალურ და სწორ გადაწყვეტილებას და ამბობს, რომ წავა პოლიტიკიდან.** შესაძლოა, გულიდან ამოსული სიტყვებია, მაგრამ ვერ აცნობიერებს, რომ ის ხალხის მიერ არის არჩეული. რა, ეს ქვეყანა ნინიას ბაღია თუ რა? რას ჰქვია, წავალ...

**ივანიშვილი გვიყვარს თუ არა, მისი წასვლა ნიშნავს ქვეყნის არევას, ქაოსს და ხვალ კიდევ „ნაციონალების“ აღზევებას. დარჩება ივანიშვილი? ძალიან კარგი, მაგრამ, თუ ის არ გადადგამს მკაცრ ნაბიჯებს „ნაციონალების“ წინააღმდეგ და არ დაიჭერს ბობოლებს, მაშინ გამოსავალი არ იქნება, თუმცა ჩვენ ისიც ვიცით, რომ მათ ვერ დაიჭერს.** სააკაშვილის ყურება, როგორც სულელის, სწორი არ არის, რადგან ის ძალიან დიდი დაკვეთების შემსრულებელია, ამიტომ **ივანიშვილი სააკაშვილს ვერ დაიჭერს. ივანიშვილი ვერაფრით შეძლებს ამერიკასთან დაპირისპირებას.** ის არ არის ჰუგო ჩავესი, ამის ნებას გარემოცვაც არ მისცემს. ამერიკისთვის „კოჭის გაგორება“ და რუსეთისთვის ზურგის შექცევა ამ ქვეყნისთვის ტრაგედიით დასრულდა. **ჩვენი კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა რუსეთია, ჩვენ ერთად უნდა გადავჭრათ არსებული პრობლემები.** ამას არ ითავისებს ივანიშვილი, ისევე, როგორც თავის დროზე არ გაითავისა სააკაშვილმა.

ესეც **მეათე**, ყველაზე მნიშვნელოვანი — ქვეყნის დამღუპველი მსგავსებაა და უახლოეს მომავალში გამოსავალს ვერ ვხედავ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„საქართველოს ბოლო 20 წლის განმავლობაში მართავდნენ ადამიანები (ჯერ შევარდნაძე, შემდეგ სააკაშვილი და ახლა ივანიშვილი), რომლებიც ანგარიშვალდებულად ქვეყნის გარეუფროსებთან თვლიან თავს და არა საკუთარ ხალხთან“.**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჯონდი ბაღათურია «ქართული ოცნების» სკანდალურ კორუფციულ სქემას ამხელს!

## კარტელური შეთანხმება «ნაციონალებსა» და «ოცნებას» შორის?

**„ნაცები“ რომ ყველა ბიზნესის წილში ისხდნენ, ბავშვმაც კი იცის. მოვიდა „ოცნება“, ბიზნესის წილებიდან „ნაციონალები“ არ ამოძირკვა — „პოლიტიკური დევნა“ რომ არ ყოფილიყო, ამიტომ „მეოცნებეები“ წილების წილებში ჩაუსხდნენ „ნაცებს“... ივანიშვილის ხელისუფლება, „ნაცების“ ალტერნატივად კი არა, ლოგიკურ გაგრძელებად ჩამოყალიბდა! — ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ესაუბრა.**

**— „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირებებიდან მეათედიც არ შესრულებულა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხალხის ოცნება დაიმსხვრა, დიდი იმედგაცრუების დრო დადგა, რამ გამოიწვია ეს?**

— დავიწყებ იმით, რომ სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, ადეიშვილმა და ბოკერიამ დარჩენილი ცხოვრება ციხეში უნდა გაატარონ. რაც შეეხება თქვენს კითხვას, რა თქმა უნდა, საარჩევნო დაპირებები არ შესრულებულა. და გაინტერესებთ, რატომ გატეხა სიტყვა „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა ლიდერმა? რატომ არ ასრულებს საარჩევნო დაპირებებს? კი, ბატონო, გეტყვით.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი საზოგადოება შეეჩვიოს ხალხის წიაღიდან გამოსული კანდიდატების არჩევას და არა გარედან დანიშნული ლიდერებისთვის მხარდაჭერას. **საქართველოს ბოლო 20 წლის განმავლობაში მართავდნენ ადამიანები (ჯერ შევარდნაძე, შემდეგ სააკაშვილი და ახლა ივანიშვილი), რომლებიც ანგარიშვალდებულად ქვეყნის გარეუფროსებთან თვლიან თავს და არა საკუთარ ხალხთან.** არადა, ქვეყნის ლიდერი, პირველ რიგში, საკუთარ ხალხთან უნდა იყოს ანგარიშვალდებული, ამიტომ ჩვენ უნდა ავირჩიოთ ჩვენი ლიდერები, ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები.

**— მაგრამ ხალხი ივანიშვილს თავის ლიდერად თვლიდა და დარწმუნებული იყო, რომ მისთვის ქართული ინტერესებია მთავარი...**

— ასეთი განცდა მეც მქონდა, თუმცა საჭიროზე მეტი დოზით გადაწყვეტილების მიღებაში რესპუბლიკელების ჩართვა ჩემთვის უკვე სიგნალი იყო. სწორედ რესპუბლიკურმა პარტიამ ჩაშალა ჩვენი მოლაპარაკებები „ქართულ ოცნებასთან“, თანაც ისე, რომ ივანიშვილმა გადაწყვიტა, ჩემთვის დაებრალებინა (ჯონდიმ უარი განაცხადაო). კარგად ვიცი, რატომ მოხდა ეს, მაგრამ ამაზე საუბარი ახლა არ მინდა.

**— აბა, როდის გვეტყვით, რატომ დაგბლოკეს რესპუბლიკელებმა?**

— ეს სიტყვა არ მომწონს, ისინი ვერავის დაბლოკავენ... მინდა გითხრათ, ისინი სულ დაბლოკილები იყვნენ და იქნებიან მომავალშიც. ხელისუფლებაში ეს ორდღიანი მოსვლა რითაც დამთავრდება, ამას მალე ნახავთ. ჩვენ შორის ღირებულებათა კონფლიქტი არსებობს და ეს ძალიან ბუნებრივია, რადგან ჩვენ ქართული დასი ვართ, ისინი კი ე.წ. ლიბერალები, უფრო სწორად ლიბერტარიანელები (ახლა ასეა მოდაში), რომელთათვისაც მთავარი ღირებულება სულაც არ არის **სამშობლო, ერი და მამული.** საერთოდ, **ეს ღირებულება არ არის ამ ცნობიერებისთვის და ბრძოლისა და სიძულვილის მთავარი ობიექტი სწორედ ეკლესია, ერი და სამშობლოა. ხიდაშელ-უსუფაშვილი და ბერძენიშვილები ლიბერალები არიან, ამას არც მალავენ, მეტიც, ამით ამაყობენ. ჰოდა, როცა შენ ანგარიშს უწევ ქვეყნის გარეთ არსებული გარკვეული წრეების აზრს და არა შენი ხალხისას, მაშინ იმ დაპირებებს ვერ შეასრულებ.** ვფიქრობ, ივანიშვილს არ უნდოდა ხალხის მოტყუება (ასე მინდა ვიფიქრო!), მაგრამ ის დამოკიდებული იყო და არის რაღაც წრეებზე.

**— გამოდის, ხელისუფლების ჩანაცვლება იმიტომ მოხდა, რომ რევოლუცია აეცილებინათ თავიდან?**

— ამ წრეებმა თავის დროზე ხელისუფლებაში მოიყვანეს სააკაშვილი, ივანიშვილის მოსვლას კი ხელი არ შეუშალეს. მოდი ობიექტურები ვიყოთ, იმიტომ არ შეუშალეს ხელი, რომ რაღაც ვალდებულებები, როგორც ჩანს, არსებობდა. **ალხანა ჩაანაცვლეს ჩალხანათი, ანუ „ნაციონალური მოძრაობა“ — რესპუბლიკური პარტიით და რეალურად ხელისუფლება არ შეცვლილა. ივანიშვილი გამოიყენეს შირმად, რათა ხელისუფლება არ შეცვლილიყო, მხოლოდ სახელი და გვარები შეიცვალა. ბოკერია-ჩერგოლეიშვილის ნაცვლად არის ხიდაშელ-უსუფაშვილი. ხოლო გარედან ვინც მართავდა ქვეყანას ბოკერია-ჩერგოლეიშვილისა და სააკაშვილის საშუალებით, იგივენი მართავენ ახლაც, ოღონდ უსუფაშვილ-ხიდაშელის მეშვეობით, მიხვდით?!**

**— ანუ გარედან არსებობს დავალება და ამიტომაა, რომ არც ტარიფები განახევრდა, არც ბენზინის ფასმა დაიკლო... მოკლედ, ვერც კი ჩამოვთვლი, რამდენი რამ არ შესრულდა...**

— დაპირებების შეუსრულებლობა პირდაპირაა დაკავშირებული ივანიშვილის გუნდის ანგარებასა და სიხარბესთან. ბენზინი რატომ არ გაიფდა? იმიტომ, რომ ბენზინზე მონოპოლია შენარჩუნდა. თქვენ „ვისოლის“, „რომპეტროლის“, „სოკარის“ და „გალფის“ გარდა ხედავთ ახალ სადგურებს? არა, ხომ? ძველი კარტელური შეთანხმება ისევ ძალაშია. უკანონო, კორუფციული ზედმეტი ფასიც ამიტომ არის შენარჩუნებული, ოღონდ მაშინ სააკაშვილთან მიდიოდა, დღეს კი მიდის იმათთან, ვინც კეზერაშვილი ჩაანაცვლა, ანუ რეალურად ერთმა კლანმა ჩაანაცვლა მეორე, ზოგ შემთხვევაში არც ჩაანაცვლა. მაგალითად, ბენზინის ბიზნესში კეზერაშვილი შენარჩუნებულია. ბიზნესმენების სლენგი მინდა ვიხმარო ჩაიწი-ჩამოიწიეს, ჩააჩოჩეს კეზერა და ახალი კეზერა ჩაჯდა, მაგრამ ის ძველი კეზერა მაინც დარჩა. არც სხვა ბიზნესშია არსებითი ცვლილებები, მაგალითად, ფარმაცევტულ ბიზნესში. რატომ არ იხსნება ახალი აფთიაქები? ეს ხომ ყველაზე მაღალრენტაბელური ბიზნესია? არ აძლევენ ახალ ფირმებს ამის საშუალებას და იმიტომ. ვიმეორებ, **კორუმპირებული კლანი შენარჩუნებულია. „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურ ოჯახებთან, რომლებიც სხვადასხვა ბიზნესს აკონტროლებდნენ, მიდის გარიგებები, რომ ფულს დახარბებული „ქართული ოცნების“ წევრები ჩაჯდნენ წილებში. ზოგიერთ ბიზნესში ეს დალაგდა, მაგალითად, საწვავის ბიზნესში. ჩაჯდნენ წილში და დაწყნარდნენ. ზოგან კი მიდის ბრძოლა. ხალხსართმევდნენ ბიზნესებს, ერთი მაინც ნახეთ დაბრუნებული?**

**— წართმეული ქონება ვინმეს დაუბრუნდა?**

— არავის, წართმეული სახლიც კი არ დაბრუნებია ვინმეს, გარდა ბიძინა ივანიშვილისა. პირველი, დაიბრუნა 100 მილიონი, რომელიც ნამდვილად უსამართლოდ წაართვეს, შეაწერეს, მაგრამ ასე შეაწერეს ბევრ სხვას და რიგში პირველი შენ რომ აღმოჩნდები, როცა შენ ლიდერი ხარ, ეს, რბილად, რომ ვთქვათ, უხერხულია. შერჩევითი სამართალია, აბა, რა არის?! მე რომ სადმე მივდივარ და რიგი დგას, იქ თუ ხალხი მცნობს და მეუბნება, ბატონო ჯონდი, მიბრძანდითო, უარს ვამბობ, არ გავდივარ, რადგან მერიდება, ჩემი მხრიდან ეს ჩემი მდგომარეობის არაკეთილსინდისიერად გამოყენება იქნება. ხედავს კი ივანიშვილი, რომ ხალხს წართმეული ქონება არ დაუბრუნეს? მისი სიმაღლიდან, ალბათ, ეს არ ჩანს, ხოლო თუ ხედავს ამას და არაფერს აკეთებს, ეს კიდევ უფრო ცუდია. აი, მის დაბლა ჩამოყვანას ვცდილობ მე ჩემი კრიტიკით.

სხვათა შორის, ქონების დაბრუნებაზეც იგივე ხდება, რაც ბიზნესში: **დადგა რიგი იმ ადამიანებისა, რომელთაც ქონების დაბრუნება უნდათ, მაგრამ „ქართული ოცნების“ ფულს დახარბებულმა გარემოცვამ, ერთის მხრივ, დაიწყო მოლაპარაკებები იმავე „ნაცებთან“, ანუ წამრთმევებთან, მოდი, არაფერს ჩამოგართმევთ, ოღონდ წილში ჩვენ ჩაგვიჯდებითო; მეორე მხრივ, ვინც განცხადებას წერს ქონების დაბრუნებაზე, იმათ ეუბნებიან, — გადაიხადე ამდენი, ხომ იცი, იქ დიდი რიგია და რიგში ცოტა წინ წაგწევთო. სამარცხვინო სიტუაციაა.**

**— ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ უნდა მისცეს ხმა ქართულმა საზოგადოებამ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს? და თქვენ რას აპირებთ, ბურჭულაძის უარის შემდეგ?**

— „ქართული ოცნების“ კანდიდატს, როგორი კარგი კანდიდატიც არ უნდა იყოს, არ უნდა მისცეს ხალხმა ხმა. არ შეიძლება, რომ ძალაუფლების ყველა შტოს ისინი აკონტროლებდნენ, ქვეყანაში უნდა იყოს ბალანსი. სწორედ ამ ნიშნით შევარჩიეთ ჩვენ თავის დროზე პაატა ბურჭულაძის კანდიდატურა, თუმცა პაატამ საკმაოდ სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ეტაპზე არ არის აუცილებელი პოლიტიკაში მისი ჩართვა.

ახლა რას ვაპირებთ? პირველ რიგში, ვცდილობთ, რომ შესაბამისი საარჩევნო გარემო შევქმნათ, რომ ღირდეს არჩევნებში მონაწილეობის მიღება. „ქართულმა ოცნებამ“ ჩაიდინა უპრეცენდენტო საქციელი, ასეთი რამ მე არ მახსოვს. დიახ, რისი მნახველი არ ვარ ქართულ პოლიტიკაში, მაგრამ ასეთი რამ არ მახსოვს, მსგავსი რამ „ნაცებსაც“ კი არ ჩაუდენიათ. 4 თვე ვმუშაობდით საარჩევნო კოდექსზე, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე, რომელზეც შევთანხმდით და რამდენიმე დღის წინ შეთანხმება ჩაშალეს, ვითომ იმიტომ, რომ ქდმ-მ ხელი არ მოაწერაო. ჯერ ერთი, ქდმ-ს ჭკუაზე როდის დადიოდა ივანიშვილი, თარგამაძეს სულ აგინებს; მეორეც, ქდმ-მ ბოლოს მაინც მოაწერა ხელი.

**— აბა, რა მოხდა?**

— ვფიქრობ, რაღაც ვაწყენინე (პაატა ბურჭულაძის თემა), გაჭედეს ამ დაფინანსების საკითხზე. **არის მოსაზრებაც, რომ „ნაცები“ და „ქართული ოცნება“ გარიგდნენ. თუ ეს მდგომარეობა შენარჩუნდა „ქართული ოცნება“ გავა პირველ ადგილზე, მეორე ადგილზე – ბაქრაძე. ბაქრაძე მიულოცავს, აღიარებს მათ გამარჯვებას, ისინი მეორე ადგილს მიულოცავენ, გაიფორმებენ მათ ოპოზიციად,** (ქვეყნის გარეთ, ჩვენ კი არა, „ნაცებს“ აღიარებენ მათი უფროსები) და განაგრძობენ კოაბიტაციას, ეს არის რა. კოაბიტაცია გადაწყვეტილი თემაა და, თუ კინკლაობენ ხოლმე, — ფულის საკითხზე და არა სხვა რამეზე. **თუ საარჩევნო გარემო არ შეიცვალა, ჩვენ კოლეგებთან ერთად უნდა დავიწყოთ არჩევნების ნდობის საკითხის განხილვა.** როცა შენ მონაწილეობ, ნიშნავს, რომ ენდობი არჩევნებს და, თუ არ ენდობი, მაშინ არ უნდა მიიღო მონაწილეობა.

**— სხვათა შორის, დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კოაბიტაცია დასრულდებაო, გჯერათ?**

— დავით ზურაბიშვილს ვინ ეკითხება, სულელია, ორ ბატს ვერ მიაბარებენ. რა დასრულდება, რის დასრულდება, შემდგარია უკვე. მითხრან, რას აპირებენ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, კარგით რა, უკვე ველარავის მოატყუებენ!



ჯონდი ბაღათურია:

### ივანიშვილი გამოიყენეს შირმად, რათა ხელისუფლება არ შეცვლილიყო

ესაუბრა
ქეთი ხომერიკი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პიარისთვის ვიღაცას სჭირდებოდა, რომ ბუშის საქართველოში ვიზიტი რაც შეიძლება დიდხანს ყოფილიყო მსოფლიო მედიის ყურადღების ქვეშ. ამიტომ მოიგონეს ვითომ ტერაქტი, ჯერ კარგა ხანს ილაპარაკეს, ვითომ ეძებდნენ, მერე დაკავებისას მოკლეს პოლიციელი, ამით დრამატიზმი შესძინეს ამ ე.წ. ტერაქტს და ბოლოს ისეთი „დამნაშავეც“ იპოვეს, რომელსაც არავინ დაიცავდა სერიოზული ფიგურებიდან.**

### იაშარ უსუპოვი:

# რამდენადაც ვიცი, იმ საღამოს ჩემი შვილი და ზურა ერთმანეთს არ შეხვედრიან

**ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან მოსახლეობა მოუთმენლად ელოდება ჟვანიას საქმის გახსნას და სიმართლის გაგებას, იმავეს „ნაციონალებიც“ კი ითხოვენ, მაგრამ ამ დრომდე ჯერ ახალი და საინტერესო ვერაფერი მოვისმინეთ, ჯერაც არ არის გარკვეული, თუ ვისი ხელი ურევია პრემიერ-მინისტრისა და რაულ უსუპოვის მკვლელობაში. მკვლელობის საქმის დეტალებზე „საქართველო და მსოფლიო“ რაულ უსუპოვის მამას — ИАШАР УСУПОВС дაუკავშირდა.**

**ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან მოსახლეობა მოუთმენლად ელოდება ჟვანიას საქმის გახსნას და სიმართლის გაგებას, იმავეს „ნაციონალებიც“ კი ითხოვენ, მაგრამ ამ დრომდე ჯერ ახალი და საინტერესო ვერაფერი მოვისმინეთ, ჯერაც არ არის გარკვეული, თუ ვისი ხელი ურევია პრემიერ-მინისტრისა და რაულ უსუპოვის მკვლელობაში. მკვლელობის საქმის დეტალებზე „საქართველო და მსოფლიო“ რაულ უსუპოვის მამას — იაშარ უსუპოვს დაუკავშირდა. იაშარ უსუპოვი თელავის შუალედურ არჩევნებში გავიცანი, ყარაჯალაში „ნაციონალების“ მხარდამჭერი იყო, მაშინვე ძალიან გამიკვირდა და ვიფიქრე, რომ, ალბათ, ამ ადამიანს აშინებენ, ემუქრებიან, თორემ ისე „ნაციონალების“ გვერდით როგორ უნდა იდგეს და მათ სასარგებლოდ ხმებს როგორ უნდა აგროვებდეს-მეთქი?!**

**— ბატონო იაშარ, თქვენი შვილის მკვლელობის საქმის რა დეტალები იცოდით მანამდე? რამე ახალი და მნიშვნელოვანი ხომ არ გამოიკვეთა? ვისი ხელი ურევია თქვენი შვილი მკვლელობაში, სააკაშვილის?**

— მაგას ნუ მათქმევინებთ. სააკაშვილის ხელი ურევია თუ მერაბიშვილის, გამოძიება დაადგენს. თუმცა ვიტყვი ერთ რამეს, რომ ამ საქმის გამოძიება მის ინტერესებში უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქმე გამოუძიებელია. თავიდან სასაფლაოზეც დადიოდა მიშა, მაგრამ მერე უკვე აღარ მინახავს.

საქმის დეტალებში სიახლე მალე გამოჩნდება, მე ვამბობ, რომ ჩემი შვილი მოკლულია, დანარჩენი გამოძიების საქმეა და მე მასთან ვთანამშრომლობ. ამ ბოლო დროს ბევრჯერ ვთქვი და თქვენთანაც იმავეს თქმა მომიწევს, ახალ ვერსიას ველოდებით: სად მოკლეს, როგორ და რა ვითარებაში. **იმ საღამოს, რამდენადაც ვიცი, ჩემი შვილი და ზურა ერთმანეთს არ უნდა შეხვედროდნენ და არც შეხვედრიან. გარდა ამისა, მაშინვე ვთქვი, არ დამიმალავს, რომ ჩემს შვილს ყელზე ნაჭდევი და ორი ნანემსარი ეტყობოდა. ისინი გაგუდეს, მაგრამ არა გაზით, ყველასთვის ცნობილია, რომ გაზი იმ სახლში საერთოდ არ იყო.**

**— გაქვთ იმედი, რომ გამოძიება სიმართლეს დაადგენს?**

— დადგა, ალბათ, ისეთი პერიოდი, როდესაც სიმართლე აღარ დაიმალება. ფაქტია, რომ დღეს ამბობენ, რომ მათ სხეულზე ძალადობის ნიშნები იყო და რომ ისინი მოკლულები არიან.

**— ყარაჯალაში დიდი ძალა და გავლენა გაქვთ, „ნაციონალები“ არჩევნებს პირწმინდად რომ იგებდნენ, თქვენ ხალხს არ ეუბნებოდით, რომ ამ ადამინებისთვის ხმა არ უნდა მიეცათ? თუმცა პირიქით — მე ისიც მახსოვს, ბატონო იაშარ, როგორ ეხმარებოდით „ნაციონალებს“ არჩევნების პერიოდში. მაშინ ვიფიქრე, რომ გემუქრებოდნენ.**

— „ნაციონალებს“ ხმა არ მისცეთ-თქო, რომ მეთქვა, ხომ იცით, რა მოხდებოდა? თქვენ რა, გაბედავდით მსგავსი რამის თქმას?

**მე არასოდეს დამიმალავს ის ფაქტი, რომ ჩემი შვილი მოკლეს. თუ ოდესმე ამ საკითხზე ვინმე დამლაპარაკებია, ალბათ, გაიხსენებენ, რომ არასოდეს შემშინებია ამის თქმისა.** ჩემი ნათესავები მეუბნებოდნენ ნუ ლაპარაკობ, საშიშიაო, მაგრამ ზემოდან ასეთი მუქარა არ ყოფილა. უბრალოდ, სერიოზულ თანამდებობაზე აღარ მიმუშავია. **როდესაც ჩემი შვილი მოკლეს, მე ყარაჯალის გამგებელი ვიყავი და მაშინვე თანამდებობა დავტოვე. მას შემდეგ „ნაციონალები“ აღარ მენდობოდნენ და მხოლოდ უბრალო სამუშაოს ვასრულებდი.** მერე რაღაც პერიოდი რომ გავიდა, წყალკანალში დავიწყე მუშაობა. ისიც ცხონებულმა გია არსენიშვილმა მირჩია, რომ მუშაობა დამეწყო, არსენიშვილი ჩემი და ჟვანიას ოჯახების ახლობელი იყო. წყალკანალიდან, იმის გამო, რომ გავეჩუმებინე, გამგეობაში გადამიყვანეს, ეროვნულ უმცირესობასთან ურთიერთობა დამავალეს, თუმცა აშკარა იყო, რომ ჩემი ნდობა არ ჰქონდათ, არაფერში ვმონაწილეობდი, ძალიან მშრალ საქმეს მაკეთებინებდნენ.

**— ჟვანიას ოჯახთან თქვენს ოჯახს რა აკავშირებდა?**

— ჟვანია ჩვენს ოჯახში არასოდეს ყოფილა, მაგრამ ის და ჩემი შვილი ძალიან ახლოს იყვნენ. ჟვანიას აზერბაიჯანული ენის მცოდნე ადამიანი სჭირდებოდა, ჩემი შვილი სიღნაღში სწავლობდა და მაშინ რექტორმა ჟვანიას ჩემი შვილის კანდიდატურა შესთავაზა. მას შემდეგ ისინი თანამშრომლობდნენ და სულ სათაო ოფისში მუშაობდა. ცოტა ხნის შემდეგ, რაული ქვემო ქართლის გუბერნიაში გადმოიყვანეს სამუშაოდ. სწორედ ამიტომ **იმ საბედისწერო დღესაც რაული შეარჩიეს, რადგან იცოდნენ, რომ ზურა მასთან ახლოს იყო და არავის გაუკვირდებოდა, რომ საქმეზე ერთად ყოფილიყვნენ.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# ტერაქტში ბრალდებული ვოვა არუთინიანის საქმის გაუხმაურებელი დეტალები



## რას სთხოვს თეა წულუკიანს უვადო პატიმარი, «ტერორისტი» ვოვა არუთინიანი?

**„ქალბატონო თეა, მე ხშირად ვუსმენ ლაპარაკს პატიმრების რესოციალიზაციაზე, მაგრამ დამიჯერეთ, არავითარი რესოციალიზაცია არ უშველის ადამიანს, რომელიც ციხეში ათ ან მეტ წელს გაატარებს, რომელსაც ოჯახი დაენგრა, გამწარდა, დაითრგუნა,“ – მიმართავს, იუსტიციის მინისტრს უვადო პატიმარი ვოვა არუთინიანი. „საქმე ისაა, რომ ჩვენ, პატიმრები, ისევ ისე ვცხოვრობთ — ძველი პატიმრობის კანონით დადგენილი წესებით. არადა, მე ყოველდღე ველოდები, რომ რაიმე ცვლილებას შეიტანენ და ის გახდება უფრო ადამიანური“. ვოვა არუთინიანი, რომელსაც მხოლოდ დედა ჰყავს, ოჯახის წევრთან უფრო ხშირ კონტაქტს მოითხოვს. „საქართველო და მსოფლიოს“ ვოვა არუთინიანის დედა — ანჟელა არუთინიანი ესაუბრა.**

**— თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ თქვენი ვაჟის — ვოვა არუთინიანის საქმე არ გადაიხედება და პოლიტპატიმრის სტატუსი არ მიეცემა, თუმცა აშკარად იკვეთება პოლიტიკური მოტივაცია, როგორც ფაქტის ჩადენის, ასევე ძიების პროცესში, ამაზე რას გვეტყვით?**

— ჩემი შვილი პოლიტპატიმარია და არა ტერორისტი, როგორც მას უწოდებენ. შეიძლება ტერორისტი ტერაქტის გარეშე დაიჭირონ? იქ არანაირი ტერაქტი არ ყოფილა, უბრალოდ, ე.წ. ლიმონკა ეგდო, ისიც არ აფეთქებულა და ამიტომ დაარქვეს ტერაქტი. რა, ვინმეს შეეშინდა, რამე ეტკინა ან რამე მოუვიდა? მაშ, მაინტერესებს, რომელ ტერაქტზეა საუბარი?! ის „ლიმონკა“ იქ ეგდო და ვოვა არაფერ შუაშია, უბრალოდ, **პოლონელი ჟურნალისტი ვოვას უღებდა სურათს, შემდეგ კი ეს ფოტო ხელისუფლებას გადასცა, მაგრამ ისროლა თუ არა ვოვამ „ლიმონკა“, ეს არავის გადაუღია და ამის არც რაიმე მტკიცებულება არსებობს. რაც არ მომხდარა, რას გადაიღებდა?! იქ არუთინიანის მიერ „ლიმონკის“ სროლის ფაქტი არ არის დაფიქსირებული, მითუმეტეს, ათასი თვალი და ყური იყო, კოსმოსიდანაც კი აკვირდებოდნენ და არსად არაფერი დაფიქსირებულა, არ გამოეპარებოდათ.** ხელყუმბარა ისეთი რამეა, ადვილად ვერც თავისუფლების მოედანზე მიიტან, ვერც შეუმჩნევლად გადააგდებ, ვიღაც მაინც დაინახავს, ატყდება პანიკა და გასაგები იქნება, რომ ტერაქტთან ან მის მცდელობასთან გვაქვს საქმე.

**— ბოლოსდაბოლოს, თუ ტერაქტის მოწყობა უნდოდა, ისეთ ხელყუმბარას წაიღებდა, რომლის გამართულობაშიც დარწმუნებული იქნებოდა...**

— 2010 წლიდან დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ ის „ლიმონკა“ სასწავლო დანიშნულების იყო და, რაც მთავარია, ის იყო სიძველისგან მწყობრიდან გამოსული. არადა, თავიდან, მერაბიშვილის დროს, ამბობდნენ, რომ ის იმ წუთას აფეთქდებოდა და, ვინც ეს „ლიმონკა“ გადააგდო, ლამის გმირად შერაცხეს. ხაზგასმით ვაცხადებ, ეს „ლიმონკა“ სასწავლო დანიშნულების იყო და ის არ აფეთქდებოდა. რაც შეხება პოლიციელის მკვლელობას, იმ პოლიციელმა დაკავების დროს ვოვას 4 ჭრილობა მიაყენა. ვოვამ არ იცოდა, ისინი დასაჭერად იყვნენ მისულები თუ მის მოსაკლავად. გარდა ამისა, როცა დამნაშავე არ ხარ და 4 ჭრილობას მოგაყენებენ, ბუნებრივია, გაიქცევი. ვოვა სისხლისგან იცლებოდა, საკაცეზე რომ დააწვინეს და მიჰყავდათ, მაშინ დაიჭრა ის პოლიციელი. **ახლა გეკითხებით: საკაცეზე დაწოლილი დაჭრილი კაცი როგორ ესროდა და მოკლავდა იმ პოლიციელს? მოგვიანებით შევიტყვე, რომ ის პოლიციელი მოკლული იყო ერთი ტყვიით, რომელიც ნასროლი იყო ზურგში. ის ვოვას მისდევდა და ვოვა ზურგში როგორ ესროდა? გამოდის, იმ შეხლა-შემოხლაში შემთხვევით ბრმა ტყვიამ, ისევ პოლიციელის მიერ ნასროლმა, იმსხვერპლა და ვოვას მიაწერეს.** რაღაცის გამო ხომ უნდა დაეჭირათ, უვადო პატიმრობა ხომ უნდა მიეცათ. როგორც ვიცი, იციან კიდეც ვისმა ტყვიამაც მოკლა პოლიციელი, მაგრამ არ ამბობენ. ძალიან კარგად იციან, რომ ჩემი შვილი უდანაშაულოა.

**— სარდაფში აღმოჩენილ ასაფეთქებელ ნივთიერებებზეც იყო საუბარი, მართლა ჰქონდა ვოვას სარდაფში ასეთი საცავი?**

— **არ ვიცი, ის ასაფეთქებელი ნივთიერებები იყო სარდაფში თუ არა. ჩვენი ბინის ჩხრეკის დროს ვიღაც ორი კაცი მოვიდა ჩემთან (მე მაშინ ცოცხალ-მკვდარი ვიყავი) და სარდაფის გასაღები მომთხოვა, მივეცი და ეს გასაღები ათი დღის მერელა დამიბრუნეს. ამ ათი დღის განმავლობაში იქ რას აკეთებდნენ, არ ვიცი. სპილო რომ შეეყვანათ, მაინც ვერ გავიგებდი. ფაქტია, მე და ობიექტური მოწმეები იქ არ ჩაგვიყვანეს და ჩხრეკას არ დაგვასწრეს.**

თუ ტერაქტი არ ყოფილა და ის პოლიციელი ვოვას არ მოუკლავს, სამუდამო პატიმრობა რატომ მიუსაჯეს? 8 წელია, ციხეშია და რას ერჩიან?

დეპარტამენტში დავწერე განცხადება, მაგრამ უარი მითხრეს, ყველა უვადო პატიმარი დახურულ ციხეში უნდა იჯდესო. მესმის, თუმცა დახურული ციხე სხვადასხვაა, სადაც არიან ყველა უვადოები (მე-8-ში), ისიც დახურულია და ვთხოვე იმ უვადოებთან მისი გადაყვანა, მაგრამ არ შეიძლებაო. და რატომ უნდა იჯდეს ვოვა ყოველთვის განცალკევებული იმ უვადოებისგან, არ ვიცი. ალბათ, იმიტომ, რომ საზოგადოებისთვის ბოლომდე უცნობი დარჩეს ამ საქმის დეტალები და იმ ადამიანების ვინაობა, ვისაც ასეთი შეთითხნილი ბრალდებით უნდოდათ ვოვასთვის უვადო პატიმრობის მისჯა.

**— გამოდის, რომ არარსებული ტერაქტი, რომელიც ვითომ მიმართული იყო ამერიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ, უნდა დასჯილიყო სამაგალითოდ, რომ „ნაცებს“ ამერიკის ერთგულება ერთხელ კიდევ „დაემტკიცებინათ“?**

— დიახ. და იმ ამერიკელებმა უნდა შეიგნონ, რომ არაფერი მომხდარა, არანაირი ტერაქტი არ ყოფილა. ვინ, ვინ და მათ მაინც იციან, ტერაქტი რას ნიშნავს. ხომ იყო აშშ-ში ტერაქტები, არა? და აქ ბუში უკვე თვითმფრინავში იყო, კარგა ხნის გასული თავისუფლების მოედნიდან, როცა ეს სასწავლო და ვადაგასული „ლიმონკა“ იპოვეს და ბუშს შეატყობინეს, თურმე ტერაქტი მოხდაო. მას არც არაფერი გაუგია, მშვენივრად მოილხინა, იცეკვა კიდეც და წავიდა ნორმალურად, სრულიად უვნებელი. ამ „ლიმონკაზე“ კიდევ ანეგდოტები დადის, ზოგი ამბობს დილომში, სადღაც მიწისქვეშა გადასასვლელში ეგდო და როგორ აღმოჩნდა იქ, თავისუფლების მოედანზე, არ ვიცითო. მოკლედ, ყველაზე უარესი ხელყუმბარა მოძებნა ვიღაცამ, დარწმუნდა, რომ აფეთქების არავითარი საშიშროება არ იყო და ასე ჩადეს საქმეში. წარმოგიდგენიათ, ნამდვილი „ლიმონკა“ რა პანიკას გამოიწვევდა იმდენ ხალხში?

უბრალოდ, **პიარისთვის ვიღაცას სჭირდებოდა, რომ ბუშის საქართველოში ვიზიტი რაც შეიძლება დიდხანს ყოფილიყო მსოფლიო მედიის ყურადღების ქვეშ. ამიტომ მოიგონეს ვითომ ტერაქტი, ჯერ კარგა ხანს ილაპარაკეს, ვითომ ეძებდნენ, მერე დაკავებისას მოკლეს პოლიციელი, ამით დრამატიზმი შესძინეს ამ ე.წ. ტერაქტს და ბოლოს ისეთი „დამნაშავეც“ იპოვეს, რომელსაც არავინ დაიცავდა სერიოზული ფიგურებიდან.** მოკლედ, იპოვეს უპატრონო და თავიანთი გამოგონილი დანაშაულიც იმას აჰკიდეს. ჩემს მეტი არავინ ჰყავს ვოვას, აბა, მე რა პატრონი ვარ. ან მეორე ვარიანტი — შეიძლება ამერიკელებთან „პადხალიმობის“ მიზნით გააკეთეს ეს და ამაში დიდი ფულიც აიღეს, — აი, ბუში, რომ არ მოკლეს, ჩვენ გვიმადლოდეთ, ჩვენ გადავარჩინეთო.

სანამ ამერიკა და ნატო გვინდა და პროამერიკული ხელისუფლება გვყავს, მანამდე მე არაფრის იმედი არ მაქვს. მაგრამ დედა ვარ და სანამ პირში სული მიდგას, ყველგან ვიტყვი სიმართლეს და ვიბრძოლებ სიმართლის გასარკვევად. ვიბრძოლებ მანამ, სანამ თუნდაც ერთი კითხვაა პასუხგაუცემელი, დამიმტკიცონ, რომ ის მოშლილი „ლიმონკა“ ჩემი შვილის იყო, დიახ, დამიმტკიცონ და გავჩუმდები! დაბოლოს, ძალიან მინდა ვთხოვო იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს: ეს ერთი შვილი მყავს, მინდა მისი ხელით მეღირსოს მიწის დაყრა, იქნებ როგორმე სამართალი დაადგინოს.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

**„იმისათვის, რომ დამთავრდეს ეს უნიათო კოაბიტაცია, ქვეყანას პრეზიდენტად უნდა ჰყავდეს ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც ქვეყნის ინტერესებს ყველა ფრონტზე დაიცავს და ხელისუფლების შტოების ბალანსს მოახდენს. ამ შემთხვევაში, ჩვენს ხალხს ექნება საშუალება, აღკვეთოს და მყისიერად წარმოაჩინოს ხალხის ზურგს უკან ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი შეთანხმება.“**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კოაბიტაცია უნდა დამთავრდეს!

**საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებით მოხიბლული იყო, ხელისუფლების ცხრათვიანი მოღვაწეობით, განსაკუთრებით კი სააკაშვილის რეჟიმთან კოაბიტაციითა და ფარული თანამშრომლობით იმედგაცრუებულია. „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა შორის კოალიციის ჭრელი შემადგენლობის მიმართ ერთგვარი უნდობლობაც კი წარმოიშვა. უნდობლობასა და უკმაყოფილებას უკვე ხმამაღლა გამოთქვამენ არა მარტო ჭრელი კოალიციის, არამედ უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის მიმართაც. ამ საკითხთან დაკავშირებით, „საქართველო და მსოფლიოს“ „დაიცავი საქართველოს“ სამეგრელოს ორგანიზაციის წარმომადგენელი — კახა მიქაია, საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე — შალვა ოგბაიძე და ლეიბორისტი გიორგი გუგავა ესაუბრნენ.**



## კახა მიქაია:
## მღვდლების გასამართლების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ

**კახა მიქაია:**

**— ბატონო კახა, ივანიშვილმა ხალხს მრავალი დაპირება მისცა, უკვე 10 თვეა, მათი უმრავლესობა ბოლომდე არ არის შესრულებული. როგორ ფიქრობთ, გაუცრუვდა თუ არა მოსახლეობას იმედები?**

— ივანიშვილი რომ არა, ხელისუფლებაში ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ იქნებოდა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა ამოისუნთქა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლით. დღეს კი ყველას აქვს თავისუფლად აზრის გამოხატვის საშუალება. იქნებ საზოგადოების გარკვეული ნაწილი უკმაყოფილოა, მაგრამ ხელისუფლებით ყოველთვის კმაყოფილი არავინ ყოფილა. მე მაინც ვიტყვი, რომ, **ვინც უკმაყოფილოა, ცოტა უმადურიცაა. ვინც ფიქრობდა, რომ ივანიშვილის გუნდი რამდენიმე თვეში ყველაფერს მოაგვარებდა, ის, უბრალოდ, გულუბრყვილოა. ივანიშვილმა თავისი მოძრაობით, თავისი შემოსვლით პოლიტიკაში დაიწყო იმ მონსტრის დამარცხება, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ეწოდება.**

საზოგადოების ნაწილი ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამს დღევანდელი მთავრობის პერიოდში სასულიერო პირების გასამართლების გამო 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით. საკუთარი აზრი უკვე არაერთხელ გამოვთქვი და ახლაც ვამბობ, რომ **ყველას პატრიარქის მოწოდებისთვის უნდა დაგვეჯერებინა და ეს აქცია ან არ უნდა გამართულიყო, ან უნდა გადადებულიყო. მხოლოდ ამ შემთხვევაში ავცდებოდით 17 მაისის უხერხულობას.** ცხადია, არსებობს კონსტიტუცია, რომლის წინაშეც ყველა თანასწორია და სახელმწიფო ვალდებულია კიდეც, დაიცვას კანონი, მაგრამ **კანონზე მაღლა დგას სამართლიანობა, ეროვნული და ქრისტიანული ტრადიციები. სწორედ ამიტომ მღვდლების გასამართლების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.**



## შალვა ოგბაიძე:
## მონური დამოკიდებულება უცხოელების მიმართ გამაღიზიანებელია

**შალვა ოგბაიძე:**

**— ბატონო შალვა, 9 თვეა, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია. ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირებების გათვალისწინებით, საზოგადოებას ამ ცხრა თვეში იმედგაცრუების საფუძველი მეტი ჰქონდა თუ კმაყოფილების?**

— 1 ოქტომბერს ქართველი ხალხის ძირითადი მოტივი ივანიშვილის კოალიციის მხარდაჭერისთვის იყო სამართლიანობის აღდგენის სურვილი. სწორედ უსამართლობის წინააღმდეგ გამოვიდა ხალხი. **აუცილებელია რომ ქვეყანაში განხორციელდეს დენაციფიკაციის პროცესი, რათა აიკრძალოს „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსი მახინჯი პოლიტიკური ძალა.** ყველა ადამიანის უფლებები, როგორც მორალური ასევე მატერიალური, უნდა აღდგეს, რომელთა უკანონო დასჯაც განახორციელა ნაცხელისუფლებამ. ამის გარეშე შეუძლებელი იქნება იმედგაცრუების აღმოფხვრა.

**— საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ივანიშვილმა წინასაარჩევნო დაპირებები ვერ შეასრულა, იმედგაცრუების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად რეჟიმთან კოაბიტაცია, მასთან გარიგება. თქვენ, შალვა ობგაიძე, რომლის გასისხლიანებულმა ფოტომაც მთელი მსოფლიო შემოიარა, მიიჩნევთ, რომ ივანიშვილმა სამართლიანობა აღადგინა? საკმარისად მიგაჩნიათ ის ძალისხმევა, რომელიც დამნაშავე რეჟიმის გამომზეურებას ხმარდება და რამდენად მისაღებია კოაბიტაცია რეჟიმთან? ან ნორმალური იყო ის, რომ რასმუსენმა ვიზიტისას ხანგრძლივად და მგზნებარედ დაგვტუქსა 17 მაისს მამათმავლების შეშინების გამო, მაგრამ კრინტი არ დასცდენია 26 მაისზე?**

— მე, შალვა ობგაიძე, არ ვარ გულღრძო კაცი და ჩემს საპატრიებელს მივუტევებ, მაგრამ ადამიანს რაღაც რომ აპატიო, ჯერ ბოდიში უნდა მოიხადოს. **ნებისმიერ შემთხვევაში, კოაბიტაცია უნდა დამთავრდეს.** ჩვენი პოლიტიკური მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა სწორედ ესაა. „ნაცებისა“ და „ოცნების“ მაამებლური ურთიერთობა გაკვირვებას იწვევს. ისე დათბნენ, ლამის ბავშვები მოუნათლონ ერთმანეთს. ჩვენ ვშიშობთ, რომ, თუ პროცესები ამ ტემპით და ასე გაგრძელდა, კოაბიტაციიდან მივიღებთ კოლაბორაციონიზმს, ქართველი ხალხის საზიანოდ. მონური დამოკიდებულება უცხოელების მიმართაც გამაღიზიანებელია. ხელისუფლებამ უნდა იმუშაოს ისე, რომ ჩვენი ქვეყანა საგარეო ურთიერთობების ობიექტიდან საგარეო ურთიერთობების სუბიექტად იქცეს. ჩვენი სიმართლე ყველას უნდა გავაგებინოთ, მათ შორის, რასმუსენსაც.

**— ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი საშინაო და საგარეო ურთიერთობებში „ნაციონალების“ პოლიტიკურ კურსს ინარჩუნებს. „ქართული ოცნების“ ძირითადი ბირთვი რესპუბლიკელებისა და სააკაშვილის ყოფილი მეგობარი სხვა ლიბერალებისგან შედგება. ხელისუფლების შეცვლა, ფაქტობრივად, არ მომხდარა და ამის გამო ახალ ხელისუფლებას ხალხში უკვე მოიხსენიებენ „ფარულ ნაცმოძრაობად“... რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— ამის თქმის უფლება „ოცნებამ“ თავად მისცა ხალხს, თავისი დასავლეთიდან თავსმოხვეული კოაბიტაციური პოლიტიკით. **იმისათვის, რომ დამთავრდეს ეს უნიათო კოაბიტაცია, ქვეყანას პრეზიდენტად უნდა ჰყავდეს ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც ქვეყნის ინტერესებს ყველა ფრონტზე დაიცავს და ხელისუფლების შტოების ბალანსს მოახდენს. ამ შემთხვევაში, ჩვენს ხალხს ექნება საშუალება, აღკვეთოს და მყისიერად წარმოაჩინოს ხალხის ზურგს უკან ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი შეთანხმება.** ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ „ნაცებთან“ მაამებლური დამოკიდებულებით მათ ვაძლევთ შანსს, 2-3 წელიწადში ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და მერე, რაც მოხდება, ყველამ კარგად გაიაზროს.



## გიორგი გუგავა:
## ძველი და ახალი ხელისუფლება ერთად ქმნიდნენ ბოროტების რეჟიმს

**გიორგი გუგავა:**

**— ბატონო გიორგი, უკვე 10 თვეა, რაც ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებაშია და წინასაარჩევნო დაპირებათა უმრავლესობა ბოლომდე არაა შესრულებული. თქვენი აზრით, გაუცრუვდათ თუ არა ივანიშვილის ამომრჩევლებს იმედი?**

— თქვენ ვერ დაასახელებთ ვერც ერთ სფეროს, რომელშიც ესა თუ ის რეფორმა წარმატებით განხორციელდა. დავიწყოთ სამართლიანობის აღდგენით. ამ თვალსაზრისით, მათ მხოლოდ ის მიაჩნიათ სამართლიანად, რაც მხოლოდ ივანიშვილისა და მისი გარემოცვის კერძო ინტერესებს შეეხება. ამ თვალსაზრისით, მხოლოდ ის საქმეებია წარმოებაში და მხოლოდ მათი სამართლებრივი განხილვა მიმდინარეობს, რომლებიც ივანიშვილს შეეხება. **ჩვენ არ გვაქვს რიგითი ადამიანის სამართლიანობის აღდგენის ერთი პრეცენდენტიც კი, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში ქონება წაართვეს ან პოლიტიკური შეხედულებების გამო უკანონოდ გამოაგდეს სამსახურიდან.** აქედან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ შერჩევით სამართალს აქვს ადგილი და სამართალი მხოლოდ იქ ჭამს პურს, სადაც ივანიშვილსა და მის გარემოცვას სურს.

ასევე შევეხოთ სოციალურ პრობლემებსაც. ყბადაღებული მილიარდი, რომელიც სოფლის მეურნეობაში უნდა ჩადებულიყო, ბლეფი აღმოჩნდა. შეგიძლიათ ნახოთ და გადაამოწმოთ. უფრო მეტიც, გლეხებისთვის არ გახსნეს მოწეული მოსავლის ჩაბარების შესაბამისი პუნქტები. კახეთში მოსახლეობას, ფაქტობრივად, უკვე ულპება ატამი, რის გამოც გლეხი აბსოლუტურად ხელმოცარული დარჩა. ასევე **არ გახსნილა რუსეთთან სახალხო-სავაჭრო ეკონომიკური გზები და ბაზარზე მხოლოდ ის კომპანიები გავიდნენ, რომლებიც რუსების მიერ იყვნენ დაფუძნებულნი ან ივანიშვილის საკუთრებას წარმოადგენდნენ.**

ჯანდაცვის საკითხებს რაც შეეხება, სახელმწიფო არ ანაზღაურებს ისეთ მნიშვნელოვან და ყველაზე მეტად გავრცელებულ დაავადებებს, როგორიცაა კარდიოლოგიური დაავადებები. ასევე, პრაქტიკულად, ფასები არ შემცირებულა მედიკამენტებზე, საწვავზე, ელექტროენერგიაზე, წყალზე და იმ ბიზნესზე, რომელიც საკვებ პროდუქტებთანაა დაკავშირებული. პირიქით, გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა, ქვეყანაში ადგილი აქვს ეკონომიკურ სტაგნაციას. ამ დროს კი ვხედავთ, რომ მოგებას და წარმატებას პოულობენ ივანიშვილის ის კომპანიები, როგორიცაა „ლუკოილი“, „კარფური“, „ფარმადეპო“, „ქართუ ჯგუფი“, „ქართუ ბანკი“ და მისი სამშენებლო კომპანიები.

შესაბამისად, **მოსახლეობაში უკვე გაიზარდა რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებიც არა სკეპტიკურად, არამედ უკვე პესიმისტურადაც კი არიან განწყობილნი „ქართული ოცნების“ კოალიციის მიმართ.** თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ უდიდესი სიღატაკის ფონზე პარლამენტმა და ფინანსთა სამინისტრომ მხოლოდ პრემიების სახით ოცი მილიონი ლარი გამოიწერეს, ეს, ბუნებრივია, კიდევ უფრო ამძაფრებს ქართული მოსახლეობის სოციალურ უკამყოფილებას.

**— საზოგადოების გარკვეული ნაწილი კოალიცია „ქართულ ოცნებას“ უკვე „ნაციონალურ მოძრაობასაც“ კი ადარებს. თქვენ ეთანხმებით თუ არა ამ შეხედულებას და, თუ ეთანხმებით, რატომ?**

— რა თქმა უნდა, ვეთანხმები. თვისობრივად ისინი ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან. პოლიტიკურ მოედანზე მხოლოდ ფიგურანტები შეიცვალნენ, სისტემა და დამოკიდებულება კი იგივე დარჩა. **თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ძველსა და ახალ ხელისუფლებას, უახლოეს წარსულში, ერთი ისტორია ჰქონდათ, როდესაც ისინი ერთად ქმნიდნენ ბოროტების რეჟიმს, ბუნებრივია, რომ მათ ერთნაირი გამოცდილება გააჩნიათ ძალაუფლების შენარჩუნებისა და ხალხის დამონების.** მაგალითად, წლების განმავლობაში, ბიძინა ივანიშვილი თავად აფინანსებდა იმ ძალოვან სტრუქტურებს, რომლებიც მწვავე რეპრესიულ მანქანებად ჩამოყალიბდა. ყიდულობდა მათთვის აღჭურვილობას და იმ იარაღს, რომლითაც 2007 წელს დაგვარბიეს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, **საზოგადოების ის დიდი ნაწილი, რომელიც 1 ოქტომბრამდე იმედით შესცქეროდა ახალ ხელისუფლებას, რწმუნდება იმაში, რომ ძველებისგან ისინი არაფრით განსხვავდებიან.** ეს მოსაზრება კი მათ ცნობიერებაში, სამწუხაროდ, უფრო და უფრო მეტ გასაქანს პოულობს.

მოამზადა
**შორენა ღვაჩლიანმა**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქვევრის კახურ ღვინოში ჩვენ მიერ აღმოჩენილი იქნა Y-ამინოერბომჟავა მაღალი კონცენტრაციით. ეს ამინომჟავა წარმოადგენს ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის ნეირომედიატორს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავის ტვინის ნეირომედიატორულ და მეტაბოლიზურ პროცესებში. Y-ამინოერბომჟავის ზემოქმედებით აქტიურდება ენერგეტიკული პროცესები ტვინში, იზრდება ქსოვილების სუნთქვითი აქტიურობა, უჯობესდება ტვინის მიერ გლუკოზის უტილიზაცია, უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა.**

# თეიმურაზ ღლონტი: ქართული ტრადიციული მეღვინეობის გასანადგურებლად სააკაშვილმა ყველა ღონე იხმარა!

**ცნობილი ჩინური წყევლისა არ იყოს, მართლაც, საინტერესო დროს მოგვიწია ცხოვრება. სულ რაღაც, 15-20 წლის წინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ 21-ე საუკუნის საქართველოში, თბილისში ე.წ. გეი-აღლუმის ჩატარების საფრთხის წინაშე აღვმოჩნდებოდით, ხოლო მსოფლიოს პოლიტიკური ელიტა შეივსებოდა მამათმავლებითა და დედათმავლებით... ამ „გამორჩეულმა“ საზოგადოებამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ყველაფერ ეროვნულს და ტრადიციულს; მათ შორისაა გადაშენების პირას მისული სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი. მაგრამ, საბედნიეროდ, უფალი აგზავნის ადამიანებს, რომლებიც გადაულახავ კედლად აღუდგებიან კაცობრიობის მტრების მეტად მზაკვრულ გეგმებს. მეღვინეობის დარგს ერთ-ერთ ასეთ მხსნელად მოევლინა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ალავერდის მონასტრის მარნის ენოლოგ-კონსულტანტი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალის „ვაზი და ღვინო“ აღმდგენელი და მთავარი რედაქტორი, თეიმურაზ ღლონტი. დღეს ბატონი თეიმურაზი „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია.**



დასასრული. დასაწყისი იხ. №26 (213)

— **რას გვეტყვით ქვევრის ტრადიციული წესით დაყენებული ღვინის კვებით და დიეტურ თვისებებზე?**

— საქართველოში ღვინო ოდითგანვე გამოიყენებოდა, როგორც მოსალხენი, საკვები და მაკურნებელი სითხე. ღვინის სამკურნალოდ გამოყენების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის XIII საუკუნის სამედიცინო ძეგლი „წიგნი სააქიმოი“, რომელშიც დიდი ყურადღება ეთმობა ღვინის გამოყენებას სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. ღვინო გამოყენებული იყო, როგორც სამკურნალო სითხე, წამალი, საკმაზი სხვადასხვა წამლის დასამზადებლად. „უსწორო კარაბადინში“ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ენოთერაპიის საკითხებს.

ქართულ წერილობით ძეგლებში დაცული წყაროების მიხედვით, ღვინით მკურნალობას საქართველოში უძველესი და უმდიდრესი ისტორია აქვს, რასაც ისტორიულად განაპირობებდა ვაზის მდიდარი ქართული გენოფონდი და განუმეორებელი ღირსებების ღვინოების მომცემი მიკროზონების მრავალფეროვნება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ყურძნის მაგარი ნაწილები, განსაკუთრებით კი ყურძნის წიპწა და კლერტი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კახური ღვინის მაღალ ანტიოქსიდანტურ მაჩვენებლებს. როგორც აღვნიშნეთ, ქვევრის კახური ღვინო მდიდარია სხვადასხვა ჯგუფის აქროლადი და არააქროლადი, არომატწარმომქმნელი ნაერთებით, აგრეთვე, თავისუფალი ამინომჟავებით, მინერალური ნივთიერებებითა და ვიტამინით, რომლებიც განსაზღვრავს ამ ღვინის განსაკუთრებულ კვებით, დიეტურ და სამკურნალო თვისებებს.

საინტერესო ექსპერიმენტულ მონაცემებს გვაწვდის ცნობილი მეცნიერ-კარდიოლოგი, პროფესორი ა. კოჭლამაზაშვილი გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებზე ღვინის დადებითი ზემოქმედების შესახებ. სტატისტიკური მონაცემებით, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილიანობა გაცილებით მეტია ღვინის არამომხმარებლებში, ვიდრე ზომიერად მსმელებში. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ინფარქტის გადატანის შემდეგ ორი ჭიქა ნატურალური ღვინის დალევა სასარგებლოა, თუ სხვა მხრივ ჯანსაღი ცხოვრების წესი მოგვარებულია. ფრანგი კარდიოლოგი მიშელ დე ლორჟერილი ჯოზეფ ფურიეს უნივერსიტეტში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე ასკვნის, რომ, ვინც ყოველდღიურად ორ ჭიქა სუფთა ღვინოს მიიღებს, მას სისხლძარღვოვანი გართულებების ორჯერ ნაკლები რისკი ექნება არამსმელებთან შედარებით.

ყურძნის ნატურალურ ღვინოში აღმოჩენილია ნივთიერება — ტრიოქსისტილბენი, რომელიც აფერხებს ათეროსკლეროზის, სიბერის, ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებას, ამცირებს ქოლესტერინის დონეს, ზრდის გულის კუნთის კუმშვადობას.

ღვინით მკურნალობას, ანუ ენოთერაპიის საკითხებს არაერთი გამოკვლევა მიუძღვნეს კალიფორნიელმა (აშშ), იტალიელმა, ფრანგმა და ევროპის სხვა ქვეყნების მედიკოსებმა, ბიოლოგებმა და დიეტოლოგებმა.

საბერძნეთში ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ე.წ. „ხმელთაშუაზღვის კვების წესი“, რომელშიც გარკვეული როლი განეკუთვნება ყურძნის ღვინოს, მნიშვნელოვნად უკავშირდება მოხუცებულთა სიცოცხლის ხანგრძლივობას. დოქტორ რენაუდის ჯგუფმა აჩვენა, რომ პირველად გადატანილი ინფარქტის გამეორების შანსი 70%-ით შეიძლება შემცირდეს.

**ქვევრის კახურ ღვინოში ჩვენ მიერ აღმოჩენილი იქნა Y-ამინოერბომჟავა მაღალი კონცენტრაციით. ეს ამინომჟავა წარმოადგენს ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის ნეირომედიატორს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავის ტვინის ნეირომედიატორულ და მეტაბოლიზურ პროცესებში. Y-ამინოერბომჟავის ზემოქმედებით აქტიურდება ენერგეტიკული პროცესები ტვინში, იზრდება ქსოვილების სუნთქვითი აქტიურობა, უჯობესდება ტვინის მიერ გლუკოზის უტილიზაცია, უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა.** კახურ ღვინოში ასევე იდენტიფიცირებულია სკვალენი — აციკლური ტერპენების კლასის ნახშირწყალბადი, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებს ადამიანის ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლაში.

**სასურველია, ქვევრის კახური ღვინო კვების ყოველდღიურ რაციონში დავამკვიდროთ, რაც შეეხება დოზას, ეს, ალბათ, ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს. სადილობისას ერთი, ორი ან სამი ჭიქა ღვინის შესმა ოპტიმალურ დოზად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ჭიქაც არის და ჭიქაც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს საღვინე ჭიქა 80-120 მლ-ის მოცულობით.**

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ კახური ღვინო მაღალგრადუსიანია (13,5-15,0 მოც.%). ამდენად, მის შესმას გარკვეული ცოდნა-გამოცდილება სჭირდება. ღვინომ კი არ უნდა დაგვათროს, არამედ მოგვალხინოს.

— **ბატონო თეიმურაზ, რა დადებით ან უარყოფით ტენდენციებს გამოარჩევთ ქართულ მეღვინეობაში, როგორ უნდა წარიმართოს მისი შემდგომი განვითარება?**

— უკანასკნელი ორასი წელი მოიცავს არაერთ ნეგატიურ პერიოდს ქართული ტრადიციული კულტურის იგნორირებისა და იავარქმნის თვალსაზრისით. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხო ვაზის ქართულ ჯიშებს, ტრადიციულ საღვინე ჭურჭელს — ქვევრს და ღვინის დაყენების უძველეს ტრადიციულ წესს.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს ქვევრის იგნორირების ტენდენცია.

1826 წელს შ. გამბა, რომელმაც კარგად შეისწავლა ადგილობრივი პირობები და სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა, წერდა: „როდესაც ამ მხარეში მიწათმოქმედება განვითარდება, როდესაც სხვადასხვაგვარი კასრით შეიცვლება ქვევრები და ტიკები, როდესაც აქ ცნობილი გახდება ბოთლების ხმარება და ღვინის კარგად დაყენების ევროპული წესები შემოვა, ამ პროვინციას შეეძლება ძალიან დიდი რაოდენობის ღვინო გაგზავნოს ბაქოში, საიდანაც ის გადაიგზავნება ასტრახანს, ხოლო იქედან ვოლგითა და მისი შენაკადებით მოამარაგებს რუსეთის ნაწილსა და ციმბირს, სადაც ეს ღვინოები შეცვლიან მოლდავეთისა და საბერძნეთის ღვინოებს“.

ვაზის ქართული ჯიშების, ქვევრისა და ღვინის დაყენების ტრადიციული წეს-ჩვეულებების გაუქმების ახალი ეტაპი იყო ცნობილი სპეციალისტის, გ. ლენცის, დასახლება კახეთში. მისი მივლინების უმთავრესი მიზანი იყო, დაერწმუნებინა ადგილობრივი მოსახლეობა, მევენახეები და მეღვინეები ვაზის ევროპული ჯიშებისა და ღვინის დაყენების ევროპული წესების, ევროპული საღვინე ჭურჭლის (მუხის კასრებისა და ჩანების) უპირატესობაში ადგილობრივ ჯიშებთან და ტექნოლოგიებთან შედარებით. მას გაშენებული ჰქონდა 28 ევროპული თეთრი და წითელყურძნიანი ვაზის ჯიშები, მათ შორის მუსკატური ჯიშები, ასევე შემოტანილი ჰქონდა „იზაბელა“ (Vitis Labrusca). გ. ლენცი ცდილობდა, გაეკეთილშობილებინა ადგილობრივი „ველური ჯიშების“ ყურძნისგან დაყენებული ღვინოები მუსკატური ვაზის ჯიშების შერევით, მაგრამ ათწლიანი საქმიანობა ამ ცნობილი სპეციალისტისა უშედეგოდ დასრულდა. ამის დასტურია მისივე სიტყვები ვაზის ქართულ (კახურ) ჯიშებსა და ქვევრზე, რომლებიც მოგვაქვს 1846 წელს გაზეთ „Кавказ“-ში გამოქვეყნებული მიმოხილვიდან: „Неоспоримое преимущество квеври пред европейскими бочками и чанами“. ღვინოების შესახებ კი გ. ლენცი წერდა: „Кроме Саперави, есть три хорошие сорта белого винограда, называемые Мцване, Ркацители и Мцвиване. Лучшего белого вина выделывают иногда из одного из этих пород винограда“. ცხადია, რომ ამ სტრიქონების ავტორი აღიარებს საფერავის, რქაწითელის, კახური მწვანისა და კახური მცვივანის ვაზის ჯიშის ყურძნისგან მაღალი ხარისხის ღვინოების დაყენების შესაძლებლობას.

უკეთუ გ. ლენცის დასკვნა ობიექტური სამართლიანობის პრინციპით იყო ნასაზრდოები, ამას ვერ ვიტყვით მოარულ ხმებზე, რომლებიც წუნს სდებდა ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიას. ეს არ იყო ერთეული შემთხვევა, არამედ ეს მოვლენა უნდა მივიჩნიოთ ადგილობრივი წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ მიზანმიმართული და შეფარული ბრძოლის ნაწილად.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს XIX საუკუნის მიწურული, როცა მეორე რუსმა სპეციალისტმა მიხაილ ბალასმა ერთგვარად შეაჯამა უკანასკნელ ათწლეულებში საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობაში მიმდინარე მოვლენები და აღიარა ვაზის ქართული ჯიშებისა და ღვინის დაყენების ტრადიციული წეს-ჩვეულებების უპირატესობა ევროპულთან შედარებით. 1896 წელს მან დაწერა: „Главная задача вновь устроенных рассадников должна была заключаться в том, чтобы помимо ознакомления местного населения с улучшенными приёмами виноградарства, безденежной раздачею заграничных виноградных лоз, побудить местных виноделов заменить лучшими иностранными сортами местные и, как тогда полагали, грубые сорта...

После целого ряда неудовлетворительных результатов применения европейских приемов выделки вина, здесь вина стали приготовлять по местному способу...

В Кахетии, по словам почтенного пионера Ленца, много лет потрудившегося на поприще применения европейских приемов виноделия в этом районе, уже с 1846 года обширная алазанская долина... была покрыта виноградными садами...

Воронцов выслал сюда сотни тысяч лоз из Крыма безплатно, но по-видимому, эти сорта здесь не привились, да в них и особенной надобности не представлялось в виду несомненных превосходных качеств местных сортов винограда.

Ленц, изучив местные почвенные условия и испытав в течении 10 лет более 26 иностранных сортов винограда выписанных из Крыма, отдает преимущество местным сортам Саперави, из коего выделывается здесь прекрасного качества красное вино, полное букета и крепости и белый Мцване, Ркацители и Мцюани“.

XX საუკუნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე არათანაბარზომიერმა აღმასვლა-დაღმასვლის პროცესებმა არცთუ დადებითი და პროგრესული ზეგავლენა მოახდინეს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე.

უარყოფითი და ყოვლადმიუღებელი ტენდენციები გამოიკვეთა განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან. ეს განსაკუთრებულად მძიმედ აისახა ვაზის ქართული გენოფონდისა და ღვინის დაყენების ტრადიციული წეს-ჩვეულებისადმი დამოკიდებულებაში. საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობაში დომინირებული მდგომარეობა დაიკავა ორმა ჯიშმა: რქაწითელმა და ცოლიკაურმა, სხვა უმაღლესი ხარისხის ღვინოების მომცემი ვაზის ჯიშების ფართობები საგრძნობლად შემცირდა 60-იანი წლების შუახანებში. ოფიციალურ დონეზე იყო მცდელობა ქვევრის მეღვინეობის წარმოებიდან ამოღებისა და გაუქმებისა.

კვების მრეწველობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტში (თავმჯდომარე **ჯომარჯიძე**) სპეციალურად მოწვეულ თათბირზე სწორედ ქვევრის გაუქმების საკითხი იხილებოდა. მეღვინეობის დარგის სხვა სპეციალისტებთან ერთად თათბირს ესწრებოდნენ ცნობილი მეცნიერ-სპეციალისტები, პროფესორი გიორგი ბერიძე და ბატონი გივი ალექსი-მესხიშვილი. ამ სტრიქონების ავტორმა, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკმა, პროფესორ გიორგი ბერიძის ინიციატივით მოწვეულმა, წავიკითხე მოხსენება ქვევრის შენარჩუნების საჭიროების შესახებ. გაიმართა ცხარე პროფესიული კამათი. ქვევრის გაუქმების მოსურნეებმა ვერ შეძლეს არგუმენტირებულად დაესაბუთებინათ თავიანთი პოზიცია, გადამწყვეტი როლი ქვევრის შენარჩუნების საქმეში იქონია წარდგენილმა მოხსენებამ, პროფესორ გიორგი ბერიძისა ▶



**„აგრარული სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების დანგრევამ და მოშლამ თითქმის აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ჩვენი სოფლის მეურნეობის სასიცოცხლო დარგებს. უპირველესად, აღსანიშნავია დიდი წყვეტა კადრების საკითხში. სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილმა წარსულის გამოცდილების იგნორირებამ ასპარეზზე გამოსულ ახალ თაობას წარსულის ფესვები გადაუჭრა, საარსებო ნიადაგი გამოაცალა.“**

## ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ და ბატონ გივი ალექსი-მესხიშვილის პრინციპულმა პოზიციამ და დიდმა ავტორიტეტმა.

ქვევრის გაუქმების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ თანდათანობით იწყო ფეხის მოკიდება ერთგვარმა ნიჰილიზმმა ქვევრისა და ქვევრში ღვინის დაყენების წესის მიმართ. 80-იანი წლებიდან ქვევრის იგნორირების ტალღა საგრძნობლად გაძლიერდა და კატასტროფულ მოვლენად იქცა — იწყეს ქვევრების ამოვსება მიწით, ინერგებოდა აზრი, რომ ვითომდა ქვევრი სიბინძურის წყარო იყო. ასე გასინჯეთ, სპეციალისტების წრეშიც ინერგებოდა აზრი იმის შესახებ, რომ ქვევრში დაყენებული, ანუ კახური ღვინო გუშინდელი დღეა, ეს ღვინო მძიმეა, უხეშია და რომ ევროპა და ამერიკა ქვევრის ღვინოს არც კი მიიღებდა.

შეიძლება ითქვას, რომ ქვევრისა და ქვევრის ღვინისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების დამკვიდრებას ხელს უწყობდა ისიც, რომ წარმოებაში დარღვეული იყო ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციული წესი, ანუ ღვინის დავარგება სრულ ჭაჭაზე 5 თვის განმავლობაში, მარტ-აპრილამდე. ღვინოს ჭაჭას დეკემბერში მოაცილებდნენ, რათა წლის პროდუქციაში ჩაეთვალათ ღვინო და ამგვარად, ეპატაკებინათ გეგმის შესრულება. ამ გზით შეუძლებელი იყო ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიური ციკლის დასრულება. ამდენად, ვღებულობდით დაუსრულებელ ნახევარპროდუქტს, რომელიც ითხოვდა გარკვეული ტექნოლოგიური პროცესების ჩატარებას.

მაშინ, როცა ქართველებმა უარი ვთქვით ქვევრსა და ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციულ წესზე, ქვევრები მიწით ამოვავსეთ და დავივიწყეთ ჩვენი უდიდესი კულტურული მონაპოვარი, უცხოელებმა კარგად აუღეს ალღო შექმნილ სიტუაციას და გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ ჩვენგან უარყოფილი ჩვენივე ქვევრი თავიანთი ინტერესებისთვის. მათ ალღომ არ უმტყუნა. ეს პროცესი დაიწყო 90-იანი წლების შუახანებიდან და გრძელდება დღესაც.

ამდენად, მეტად ზიგზაგოვანია ქვევრისა და ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციული წესის შენარჩუნებისთვის ბრძოლის ისტორია, განსაკუთრებით, უკანასკნელი ორასწლოვანი ისტორიის მანძილზე. XXI საუკუნეში კი დაიწყო ქვევრისა და ტრადიციული მეღვინეობის აღორძინების პროცესი.

ქვევრების უარყოფის ფონზე საქართველოში მასობრივად დაიწყეს ევროპული ტიპის ღვინის დაყენება ევროპული (ფრანგული, იტალიური, გერმანული) საფუვრებისა და სხვა დამხმარე მასალების გამოყენებით.

მსოფლიო მეღვინეობის მეტრი, პროფესორი რიბერო-გაიონი თვლიდა (და ეს ჭეშმარიტება ყველა გამოცდილმა მეღვინემ იცის), რომ დაუშვებელია ერთი რეგიონის საფუვრების სხვა რეგიონში გამოყენება, მით უმეტეს ეს დაუშვებელი უნდა იყოს ისეთი მკვეთრად განსხვავებული ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და განსხვავებული ვაზის ჯიშების შემთხვევაში, როგორიცაა ევროპის ქვეყნები და საქართველო.

უცხოური მშრალი საფუვრის წმინდა კულტურის შემოტანა და მათი გამოყენება უჭაჭოდ დაყენებული ღვინოების ტექნოლოგიაში საზიანოა ჩვენი ღვინოებისთვის. ეს საფუვრები არომატწარმომქმნელი ბუნებისაა და გათვლილია მოკლე დროში რეალიზებადი ღვინოების დამზადებაზე. ეს ჩვენი ღვინის წარმოებისთვის მიუღებელია. ჩვენს პრაქტიკაში ამგვარი საფუვრების გამოყენება იწვევს ტყუპისცალებივით ერთგვაროვანი ღვინოების მიღებას სხვადასხვა მიკროზონაში და თვით ერთი და იგივე ჯიშის ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებულ პროდუქციაში. ამდენად, გამორიცხულია ურთიერთგანსხვავებული, მაღალხარისხოვანი ღვინოების მიღების შესაძლებლობა, ყველა ზონისა და მიკროზონის ღვინო ერთმანეთის მსგავსია. ქვევრში ტრადიციული კახური ტიპის ღვინის დაყენებისას დურდოში საფუვრის წმინდა კულტურის დამატების საჭიროება არ არსებობს, ბუნებრივ (და არა „ველურ“!) საფუვრებზე დადუღებული ღვინოები გამოირჩევა მდიდარი არომატით, ხილის ტონებით, ფენოლურ ნაერთთა შეთანაწყობით ღვინის ერთიან ჰარმონიაში და დავარგებისას კარგად ვითარდება.

უკანასკნელ წლებში წარმოჩენილი პრობლემები შეიძლება მოვიაზროთ, როგორც გაგრძელება XIX-XX საუკუნეებში წარმოჩენილი უმწვავესი პრობლემატიკისა, ზოგიერთ შემთხვევაში გაგრძელებას უმძიმესი, კატასტროფული შედეგით. ეს თემა მეტად ღრმა და მრავალასპექტიანია და ცალკე სასაუბრო თემად შეიძლება გამოდგეს. აქ კი შევჩერდებით იმ ძირითად მოვლენებზე, როგორც დადებითზე, ისე უარყოფითზე, რაც ბოლო ათეული წლის განმავლობაში მოხდა ჩვენს სინამდვილეში.

2003 წლიდან საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წარმატებით ხორციელდებოდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური რეფორმის პროექტი. ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად დაისახა ვაზისა და ხეხილის ადგილობრივი გენოფონდისა და ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგიების აღდგენა-სრულყოფა. რეფორმის წარმატებით დასრულების შემდეგ ამგვარი რეფორმები გატარდებოდა მთელს აგრარულ სამეცნიერო სფეროში.

ჩვენთვის, მკვლევართათვის, ეს იყო ხელ-ფეხის გახსნის ტოლფასი, მართლაცდა, დავიწყეთ აქტიური კვლევითი საქმიანობა ვაზის გენოფონდის და ტრადიციული ტექნოლოგიების აღდგენის მიმართულებით. მაგრამ, სამწუხაროდ, **2005 წლიდან ცხადი გახდა მდიდარი ტრადიციების მქონე მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის დაშლა-გაუქმების ბოროტი წინასწარგანზრახულობა. ინსტიტუტს ჯერ ჩამოერთვა მთავარი კორპუსი, გაუქმდა ვაზისა და ღვინის ისტორიულ-სამეცნიერო მუზეუმი, გაიყიდა თელავისა და საქარის საცდელი სადგურები, განადგურდა ვაშლიჯვრის ხეხილის, კენკროვანი კულტურებისა და ვაზის ექსპერიმენტული ბაზა, რითაც საფუძველი გამოეცალა ინსტიტუტს, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო სტრუქტურული დაწესებულების არსებობას. 2005-2011 წლებში მიმდინარეობდა სამეცნიერო კადრების სისტემატური შემცირება.**



**სამსახურიდან დათხოვნა ხდებოდა ყოვლად გაუმართლებელი და ალოგიკური პრინციპით. მე და მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო თემის კოორდინატორი 2011 წელს გაგვათავისუფლეს ყოველგვარი მოტივაციისა და გაფრთხილების გარეშე. შეგვიწყვიტეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საშუალება. ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლა ხდებოდა მაშინ, როცა 2010 წელს საქართველოში უნდა ჩატარებულიყო ვაზისა და ღვინის 33-ე მსოფლიო კონგრესი.** კონგრესის გამართვა საქართველოში იმ მხრივაც იყო დადებითი მოვლენა, რომ ქართველი მეცნიერები აქ ღირსეულად წარდგნენ.

**— თუ არ ვცდები, 33-ე მსოფლიო კონგრესის გახსნის დღე სააკაშვილის მორიგი უმსგავსობით „აღინიშნა“.**

— ვაზისა და ღვინის მსოფლიო კონგრესი საქართველოში ორჯერ ჩატარდა: პირველად — 1962 წელს, რიგით მეათე და, როგორც უკვე მოგახსენეთ, 2010 წლის 20-25 ივნისს — რიგით 33-ე. ამ ორი მსოფლიო მნიშვნელობის ფორუმის თბილისში ჩატარება მეტყველებს საქართველოს, როგორც ვაზისა და ღვინის უძველესი კულტურის ქვეყნის, დიდ საერთაშორისო აღიარებაზე. ეს აღიარება უფრო რეზონანსულია მაშინ, როცა უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ყურადღება ქართული ტრადიციული მეღვინეობისადმი ძალზე გაიზარდა. სწორედ ამგვარი განწყობით ესტუმრნენ თბილისს კონგრესის დელეგატები და სტუმრები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. მოლოდინი დიდი იყო და, აი, ამ ფონზე მსოფლიო ფორუმის მონაწილეებისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა კონგრესის ოფიციალურ გახსნაზე პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლა, როდესაც მან პირდაპირ მიმართა ევროპელ მევენახეებსა და მეღვინეებს: ჩვენ გურიაში გვაქვს ძალიან კარგი ვაზის ჯიში – ჩხავერი, ჩამოდით და გვასწავლეთ, როგორ დავაყენოთ კარგი ჩხავერის ღვინო, ჩამობრძანდით და მოუარეთ ჩვენს მევენახეობასა და მეღვინეობასო...

სააკაშვილის ამ გამოსვლაში ქართული მეღვინეობის დასაკნინებლად სხვა აქცენტებიც გაკეთდა. ეს იყო კიდევ ერთი მცდელობა ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობის დისკრედიტაციისა მსოფლიოს თვალში!... როცა პრეზიდენტი საკუთარი ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობას ასე აკნინებს უცხოელების წინაშე, შესაძლოა, ეს გახდეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიების ჩაშლის მიზეზი. საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა! მეორე დილით სესია გაიხსნა მოხსენებით: „ქართული ღვინის ისტორია და ტრადიციული ტექნოლოგიები“, რომელშიც მიმოვიხილეთ ქართული ღვინის 8000-წლიანი ისტორიის ძირითადი ეტაპები, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სპეციფიკური თავისებურებანი, ქართული ვაზის მდიდარი გენოფონდი, უმაღლესი ხარისხის ღვინის დაყენების ორიგინალური ტექნოლოგიები, რამაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია და გაუფანტა კონგრესის ხელმძღვანელებსა და მონაწილეებს წინა დღით მიღებული უსიამოვნო ეჭვები ქართული მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობაზე საქართველოში, ქართველ მევენახე-მეღვინეთა ცოდნა-გამოცდილებაზე.

**— სააკაშვილმა რამდენიმე წლით ადრე ლონდონშიც „გვასახელა“, როდესაც განაცხადა, რომ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა ბერძნებმა დაამკვიდრესო...**

— ლონდონში ღვინის ქალაქის — „ვინოპოლისის“ გახსნის ცერემონიას ქართული დელეგაციაც ესწრებოდა. **„ვინოპოლისის“ პირველი პავილიონი საქართველოს დაეთმო, როგორც ღვინის სამშობლოს; აკი პავილიონზეც გააკეთეს წარწერა: „საქართველო — ღვინის აკვანი“. ჩვენდა გასაოცრად, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებმა კატეგორიულად უარი თქვეს, გადაეღოთ პავილიონის გახსნის ცერემონია, როდესაც ძალიან საინტერესოდ მოწყობილ ექსპოზიციაზე ყურძნით სავსე გიდელი ეშვებოდა, იმ მოტივით, თითქოს ამაში მნიშვნელოვანი არაფერი იყო. და მაყურებელს ძალიან მწირი, ალბათ, სულ ერთწუთიანი ინფორმაცია მიაწოდა ჩვენი ქვეყნისთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. ეჭვიც არ მეპარება, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტების ეს „გაჯიუტება“ სააკაშვილის ბრძანებით იყო გამოწვეული!** „ნაციონალების“ დაქვემდებარებულ ტელევიზიებში ტაბუახსნილი იყო ჩვენება იმისა, თუ როგორ იკრიფება ყურძენი თავსხმა წვიმაში და როგორ იჭყლიტება ნაწვიმარი ყურძენი რეზინის ჩექმებით გიგანტურ საწნეხელში.

ვის გაუგონია წვიმაში ყურძნის კრეფა და ნაწვიმარი ყურძნის გადამუშავება?! ყოველივე ამას მსოფლიო უყურებდა. ეს ხომ ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დისკრედიტაციაა მსოფლიოს წინაშე?! ვინ დაგიჯერებს ამის შემდეგ, რომ ქართული ღვინო უმაღლესი ხარისხისაა?! ერთი წინადადებით რომ ვთქვა, **სააკაშვილმა და მისმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველა ღონე იხმარეს ქართული ტრადიციული მეღვინეობის გასანადგურებლად!..**

**— ბატონო თეიმურაზ, ცნობილია, რომ დედაეკლესიამ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ტრადიციული მეღვინეობის გადარჩენის საქმეში. რამდენიმე სიტყვა ამის თაობაზე.**

**— საქართველოს ეკლესიამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის — ილია II-ს ლოცვა-კურთხევით ალავერდის მონასტერმა და ალავერდის ეპარქიის წინამძღვარმა, აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა (მახარაძე) აიღო თავის თავზე ტრადიციული მევენახება-მეღვინეობის გადარჩენისთვის ზრუნვა.** 2007 წელს ალავერდის მონასტრის მარანში საფუძველი ჩაეყარა ქვევრში უძველესი ტრადიციული წესით კახური ღვინის დაყენებას, რაზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ. 2010 წელს აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის, გორისა და სამთავისის მიტროპოლიტ ანდრიასა და ჭონდიდელ მიტროპოლიტ პეტრეს თაოსნობით შეიქმნა „ქართული ტრადიციული ღვინის ფონდი“, რომელმაც დააარსა „ქართული ღვინის კულტურის ცენტრი“. 2011 წელს „ქართული ღვინის კულტურის ცენტრის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა „ქვევრის ფონდი“, რომლის დამფუძნებლები არიან „ქართული ტრადიციული ღვინის ფონდი“, „ასოციაცია ქართული ღვინო“, „ასოციაცია ქვევრის ღვინო“ და „ღვინის კლუბი“. „ქვევრის ფონდის“ საქმიანობამ განაპირობა 2011 წლის სექტემბერში „ქვევრის ღვინის I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის“ მოწვევა ალავერდის მონასტერში. სიმპოზიუმი მაღალ მეცნიერულ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა. სიმპოზიუმი გაიმართა აშშ საერთაშორისო განვითარების პროექტის — „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ — დაფინანსებით. ამ დიდი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა განაცხადა სიმპოზიუმი ჩვენი საუკეთესო პროექტი იყოო.

მიმდინარე წლის ივნისში ჩატარდა „ქვევრის ღვინის II საერთაშორისო სიმპოზიუმი“. ამ მეტად საინტერესო ღონისძიების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო „ღვინის ეროვნულმა სააგენტომ“ და საგამოფენო ცენტრმა „EXPO GEORGIA“.

უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ნათელი ფურცელია საგურამოს მახლობლად, სოფელ ჯილაურაში „ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალების წარმოების ეროვნული ცენტრის“ დაარსება. ამჟამად თავმოყრილია 430-მდე ქართული აბორიგენული ვაზის ჯიში და, აგრეთვე, 280-მდე უცხოური ვაზის ჯიში. ამ ცენტრის შექმნის მისიაა საქართველოში თანამედროვე ტიპის სპეციალიზებული, მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საბაზისო სანერგის მოწყობა. ვფიქრობ, რომ უახლოეს ხანში ცენტრი გადაიქცევა საერთაშორისო დონისა და მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციად.

უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაუმჯობესდა ღვინის ხარისხი. ეს მეტად სასიხარულო ტენდენციაა. ქართული ღვინო, თუმცა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც იკიდებს ფეხს საერთაშორისო არენაზე. უცხოელებს ძალიან მოსწონთ ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენებით დაყენებული ჯიშური ღვინოები.

**აგრარული სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების დანგრევამ და მოშლამ თითქმის აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ჩვენი სოფლის მეურნეობის სასიცოცხლო დარგებს. უპირველესად, აღსანიშნავია დიდი წყვეტა კადრების საკითხში. სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილმა წარსულის გამოცდილების იგნორირებამ ასპარეზზე გამოსულ ახალ თაობას წარსულის ფესვები გადაუჭრა, საარსებო ნიადაგი გამოაცალა.**

დღეს ქართული მეღვინეობის ევროპიზაციისა და გლობალიზების პროცესი უპირატესად ღვინის ტექნოლოგიაში ევროპული წარმოების არომატწარმომქმნელი საფუვრების დანერგვით ხორციელდება. ამავე მიზანს ემსახურება მსოფლიოში ერთგვარ მოდად ქცეული ღვინის მუხის ტონებით გამდიდრება, რაც უკარგავს სხვადასხვა რეგიონისა და ვაზის სხვადასხვა ჯიშისგან დაყენებულ ღვინოებს თავისთავადობას, ორიგინალურ თვისებებს და ღვინოებს ერთმანეთს ამსგავსებს.

ქვევრის ღვინის ინდუსტრიალიზაცია, ალბათ, არ არის მიზანშეწონილი და არც სასურველი სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით, მაგრამ **ქვევრის ღვინის წარმოების აღორძინება და განვითარება საქართველოს რეგიონების მიხედვით გადაუდებელი აუცილებლობაა.**

**ჩვენი ვაზის ჯიშების ჩვენს მიკროზონებში და თვით ღვინის დაყენების ტრადიციულ ტექნოლოგიურ წესებში იმალება უდიდესი პოტენცია, რისი გახსნა-გამომზეურება ახალ ელფერს შესძენს ჩვენს ისედაც გამორჩეულ ღვინის ასორტიმენტს.**

ვფიქრობთ, რომ ეს მიმართულება არის ერთადერთი ჭეშმარიტი გზა მსოფლიო მეღვინეობაში ჩვენთვის განკუთვნილი ღირსეული ადგილის მყარად დასამკვიდრებლად.

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

თეთრი გაირაღები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ციხეში ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმები ინდივიდუალურია. თანამოაზრეების ძიება არ არის საჭირო, ყველაფერი სპონტანურად ხდება. იქ ყველა პატიმარს თავისი საფიქრალი აქვს, ზოგი ააშკარავებს საქმეს, უმრავლესობა კი ჩაკეტილია, არიან ისეთებიც, რომელთათვისაც ყველაფერი სულერთია.**

# ფარდობითურობის თეორია, ანუ აკადემიკოსი გისოსებს მიღმა



**ნაპოლეონ ქარქაშაძეს ჩვენი მკითხველი იცნობს, როგორც წარმატებულ მეცნიერს, ნიჭიერ პუბლიცისტსა და მწერალს. წლების მანძილზე იყო საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ამჟამად ამავე აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა. აი, ასეთი ადამიანი ყოფილმა ხელისუფლებამ გისოსებს მიღმა მოათავსა. პუბლიკაციების ეს ციკლი ამ უკულმართობაზეა.**



„გალიაში ბულბულები ზიან“:
დგანან (მარცხნიდან): გენერალი ჯამბურია, გენერალი დუმბაძე, აკადემიკოსი ქარქაშაძე, პოლკოვნიკი დგებუაძე;
სხედან: ბიზნესმენი წიფურია და ლტოლვილთა და განსახლების ყოფილი მინისტრი ვაშაკიძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №22-26 (209-213)

## ამბავი მესამე

**ციხეში ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმები ინდივიდუალურია. თანამოაზრეების ძიება არ არის საჭირო, ყველაფერი სპონტანურად ხდება. იქ ყველა პატიმარს თავისი საფიქრალი აქვს, ზოგი ააშკარავებს საქმეს, უმრავლესობა კი ჩაკეტილია, არიან ისეთებიც, რომელთათვისაც ყველაფერი სულერთია.**

ჩვენს სივრცეში ერთი ფრიად განათლებული პატიმარი მუდმივად წიგნებში იყო თავჩარგული. თავისთვის კუთხეც მოიწყო, სადაც „ღამის ნათურა“ და პატარა მაგიდაც კი ჰქონდა და მუდმივად რაღაცას წერდა, საერთო საუბარშიც იშვიათად ერეოდა. მას „სივრცეში“ პატივს სცემდნენ და მის სიტყვას აფასებდნენ. გვარ-სახელი კარგი ჰქონდა, მეტსახელად „მწერალი“ შეარქვეს.

ერთ-ერთ ჩვენს ხუმრობაში მანაც მიიღო მონაწილეობა, გაირკვა, რომ შესანიშნავი იუმორი აქვს და თავისი როლიც ბრწყინვალედ შეასრულა.

**ციხეში პატიმრების ხშირი ცვლაა, ზოგი სხვაგან გადაჰყავთ, ზოგი საერთოდ თავისუფლდება, ზოგი შემოჰყავთ და ეს პროცესი დინამიურია. თუმცა არიან ე.წ. სტაჟიანი პატიმრებიც, რომლებიც ციხის ცხოვრებაში ყველაზე აქტიურად არიან ჩართულები.**

ერთხელ ციხეში რომელიღაც დიდი საწარმოს მთავარი ბუღალტერი შემოიყვანეს. იგი საშუალო ასაკის, ფრთხილი კაცი იყო, რომელსაც პირველი დღიდანვე აშკარად ეტყობოდა, რომ სიტუაციას სწავლობდა.

როდესაც იქაურობა „შეისწავლა“ და „ვინ, ვინ იყო“ დაადგინა, მიხვდა, რომ „ცუდ წრეში“ არ იყო, თუმცა ერთი საკითხი მაინც გაურკვეველი რჩებოდა: ვერ გაიგო, ის კაცი, რომელიც საკნის კედელთან მოწყობილ „სამუშაო მაგიდასთან“ იჯდა და გამუდმებით რაღაცას წერდა, ვინ იყო.

— **ეს კაცი ვინაა?** — ჰკითხა მან „მწერალთან“ დაახლოებულ არქიტექტორს, რომელიც ციხის „შოუების“ აქტიური მონაწილე იყო.

— **რომელზე მეკითხები?** — ვითომ ვერ მიხვდა არქიტექტორი.

— **აი იმაზე, კედელთან რომ წევს და გამუდმებით რაღაცას წერს.**

არქიტექტორის თავში, წამსვე მომზადდა მორიგი „შოუს“ სცენარი.

— **შენ რატომ გაინტერესებს?**

— **ისე, უბრალოდ ვიკითხე,** — არ „გასცა“ თავი ბუღალტერმა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ბუღალტერი მეტნაკლებად გათვითცნობიერდა და მოშინაურდა, არქიტექტორს ისევ ჰკითხა:

— **ნეტავი ვინაა? ალბათ, დიდი მეცნიერი ან მწერალია.**

— **გეტყვი, მაგრამ არავის უთხრა...**

— **არა, ვის უნდა ვუთხრა?!** — უპასუხა ბუღალტერმა.

არქიტექტორმა ირგვლივ მიმოიხედა:

— **ეს კაცი მწერალია და სამთვიანი მივლინებითაა შემოსული ციხეში.**

— **მერე ამისთვის რა საჭიროა სამი თვე, ერთი კვირაც საკმარისია.**

— **არ ვიცი, ალბათ, ასეა საჭირო, ისე, გარეთ დიდი „სვიაზები“ აქვს.**

ბუღალტერმა თავი მოიფხანა, აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაცამ შეაშფოთა:

— **გამოდის, რომ ჩვენზე წერს?!**

— **კი, ციხის ცხოვრებაზე წერს, აბა, აქ ისე რა უნდა?!**

ბუღალტერს, წიგნში მოხვედრის პერსპექტივა არ მოეწონა.

— **მერე ამის უფლება ვინ მისცა? იქნებ, თანახმა არ ვარ?**

არქიტექტორმა მხრები აიჩეჩა:

— **რას გაუგებ, არც ნოდარ დუმბაძის გმირებმა იცოდნენ, რომ წიგნში მოხვდებოდნენ!**

ბუღალტერი პრაქტიკული ჭკუის კაცი იყო. მან იცოდა, რომ მოხერხება და ფული ყველგან ჭრიდა...

— **აქ ყველას თავისი პრობლემა აქვს. მე არ მინდა მის წიგნში მოხვედრა, იქნებ რაიმე მაქვს ოჯახისგან, ახლობლებისგან დასამალი! ხომ შეიძლება ისეთი რამე დაწეროს, რომ მთელი ცხოვრება დაუნგრიოს ადამიანს... მერე?..**

— **არავის არაფერს ეკითხება, ბავშვობიდან ვიცნობ, მაგრამ ნაწერებში არც მე მახედებს. ისე, ერთხელ წამოსცდა ჩვენზე — „ამათი“ საქმეები წინასწარ ვიციო!**

— **ეს ხომ ადამიანის უფლებების დარღვევაა,** — „მიაწვა“ ბუღალტერი კონსტიტუციას.

— **ისე, რომ იცოდე,** — არქიტექტორმა ირგვლივ მიმოიხედა და ხმადაბლა, „ძლივს“ გასაგონად თქვა, — **ზოგიერთებმა მასთან საქმე უკვე ჩააწყო...**

— **ეს როგორ?!**

არქიტექტორმა ბუღალტერს ყურში ჩასჩურჩულა:

— **ქრთამს იღებს, ზოგმა უკვე მისცა, თუ ძმა ხარ, არსად წამოგცდეს, თორემ კარცერი არ აგვცდება...**

ბუღალტერს პერსპექტივა აშკარად არ მოეწონა, ფულის მიცემა შარიან საქმედ ჩათვალა, ცოტა ხანს სივრცეში იბორიალა, მერე ისევ არქიტექტორს მიადგა.

— **ხომ არ იცი, რამდენს იღებს?**

— **გააჩნია მიყენებულ მუხლს, ასე 300-დან 500 დოლარამდე... შეიძლება მეტსაც.**

ბუღალტერმა, დერეფანში სიარულის ტემპს მოუმატა. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა... რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მიადგა „არქიტექტორს“...

— **ფული მაქვს, მაგრამ როგორ გადავცე? საკანში მუდმივად არიან პატიმრები. იქნებ, შენ მისცე, ვალში არ დაგრჩები,** — თხოვა მან არქიტექტორს.

არქიტექტორმა კეფა მოიფხანა:

— **მე კი ვიცნობ, მარა არ გამოვა... მაგას ჰგონია, ქრთამს რომ იღებს, არავინ იცის და ახლა?!. არა, არ გამოვა,** — მტკიცე უარი სტკიცა არქიტექტორმა.

— **აბა, რა ვქნა?**

— **შენ თვითონ უნდა მოახერხო, ყველამ ასე გააკეთა...**

— **მე როგორ?! გამარჯობაც კი არ უთქვამს ჩემთვის...**

— **იცით, ზოგიერთებმა როგორ გადასცეს ფული?**

— **საიდან უნდა ვიცოდე?**

— **ერთი სიტყვით, ფული გაახვიე ქაღალდის ხელსახოცში, მიდი მწერალთან, გამოელაპარაკე და ხელსაყრელ მომენტში ფული მაგიდაზე ან ლოგინზე დაუდე...**

— **მერე ესენი?** — ანიშნა ბუღალტერმა პატიმრებზე.

— **ესენი პრობლემას ვერ შექმნიან, საჭირო მომენტში ამათ დერეფანში გავიყვან.**

ნასადილევს, როდესაც პატიმრები საკანში ვისვენებდით, ხოლო „მწერალი“ ისევ რაღაცას წერდა, არქიტექტორმა, ზოგიერთ პატიმარს დერეფანში გასვლა სთხოვა: სალაპარაკო გვაქვსო, უთხრა მათ. ცხადია, ვიცოდით იმის შესახებ, რაც უნდა მომხდარიყო, მათ შორის, „მწერალმაც“...

პატიმრების ნაწილმა საკანი დატოვა. არქიტექტორმა ბუღალტერს ნიშანი მისცა, მიდიო, და თვითონ კარში ჩადგა. ეს უკანასკნელი მორიდებული ნაბიჯებით მიუახლოვდა „საქმეში გართულ“ მწერალს.

— **ბატონო ჩემო, ათიოდე დღეა გაკვირდებით, სულ რაღაცას წერთ!**

— **შენ, რა მითვალთვალებ?** — მკაცრად ჰკითხა „მწერალმა“ და სათვალე მოიხსნა.

— **არა, რას ბრძანებთ, უბრალოდ, მაინტერესებს, რას წერთ... მართალი რომ ვთქვა, თქვენნაირი კარგი კაცი ასეთი მძიმე სამუშაოსთვის არ მემეტება!..**

— **ეს არაა თქვენი საქმე. თუ ჩემი წერით რამეში ხელს გიშლით, მითხარით. თუ ჩემი ნათურა გაწუხებთ, ჩავაქრობ.**

— **არა, რას ბრძანებთ, ალბათ, კარგ საქმეს აკეთებთ, თორემ დღე და ღამე წერას ასე როგორ გაუძლებთ?** — თქვა ბუღალტერმა და არქიტექტორისკენ უმწეოდ გაიხედა: რა ვქნაო, ამან ხელით ანიშნა მიეციო...

— **იცით, რა?!** — ძლივს ამოღერღა ნირწამხდარმა ბუღალტერმა, — **მე ვიცი, რომ წერა ხარჯიანი საქმეა, ქაღალდიო, ფანქარიო, კალამიო და კიდევ რა ვიცი, რა! მეც მინდა წაგეშველოთ, აქ ცოტა ფულია და მინდა, რომ გამოიყენოთ...** — თქვა ბუღალტერმა და ქაღალდში გახვეული ფული მორიდებით დაუდო მაგიდაზე.

„მწერალმა“ წარბი შეკრა. ქვემოდან ახედა ბუღალტერს, ამოიღო ფული და სამი ასდოლარიანი ბანქოს ქაღალდივით გაშალა.

— **რა არის ეს? მე გეკითხებით, რა არის ეს?** — თქვა მწერალმა და დოლარები ცხვირწინ აუფრიალა.

— **მე, მე რა ვიცი... მეტი ვერ შევძელი,** — წაიკნავლა ბუღალტერმა.

— **მე გეკითხებით, რისთვის მაძლევთ ქრთამს?** — მწერალი მაგიდიდან ადგა, — **დაინახეთ, ბატონებო, მე მან ქრთამი შემომთავაზა! იცით, რას ნიშნავს ციხეში ქრთამის მიცემა? აქედან შეიძლება ვერც გახვიდეთ!** — მერე საკანში მყოფ პატიმრებს მიმართა, — **მე ახლავე ვწერ პატაკს.**

— **ვაიმე...** — ამის თქმა ძლივს მოასწრო ბუღალტერმა და „მწერლის“ ლოგინზე გაიშხლართა.

— **კაცი მოვკალით?!** — იყვირა ვიღაცამ.

ძლივს მოვაბრუნეთ ბუღალტერი, მოვეფერეთ, ვუთხარით რომ ვიხუმ-

**ციხეში პატიმრების ხშირი ცვლაა, ზოგი სხვაგან გადაჰყავთ, ზოგი საერთოდ თავისუფლდება, ზოგი შემოჰყავთ და ეს პროცესი დინამიურია. თუმცა არიან ე.წ. სტაჟიანი პატიმრებიც, რომლებიც ციხის ცხოვრებაში ყველაზე აქტიურად არიან ჩართულები**

ციხის ყოველდღიურობას თავი რომ დააღწიოს ადამიანმა, რაღაც გასართობი უნდა მოძებნოს. მართალია, „სივრცეში“ რადიოები, ტელევიზორები და ვიდეოები ყველა კამერაში იყო, მაგრამ ნარდისა და კარტის თამაში მაინც პირველობდა... სათამაშო ოთახში, რომელსაც „კაზინოს“ ვეძახდით, 24 საათის განმავლობაში ისმოდა ან კამათელის ჭახანი, ან ჯოკერისთვის დამახასიათებელი ყაყანი.

თეთრი ბაირაღები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რეთ, ცხადია, ფულიც დავუბრუნეთ, მაგრამ მაინც ვერ შევირიგეთ. რამდენიმე დღეში იგი ჩვენი „სივრციდან“ გაქრა.

## ამბავი მეოთხე

**ციხეში ხშირად შემოჰქონდათ ახალი ხორცი, თევზი, დელიკატესები. ამჯერად ხბოს ხორცი შემოგვიგზავნეს. მკითხველმა არ იფიქროს, რომ ხბოს ხორცს ციხის ადმინისტრაცია გვაძლევდა, არა... გარედან გვიგზავნიდნენ ახლობლები და მეგობრები, ადმინისტრაცია კი მის შემოტანას „უზრუნველყოფდა“.**

— „იქნებ, ჩაქაფული გაგვეკეთებია, ახალთახალი ტყემალიც გვაქვს“, „არა, ცხარე ჩაშუშული სჯობს“, „მე ნიგვზიანი ჩახრაკულის გაკეთება ვიცი“, „მერე მაგას ღომი რომ უნდა?“ „რა პრობლემაა, დავრეკავ და ცხელ ღომს შემოგვიტანენ“, — აყაყანდა „სივრცე“.

გადაწყდა: ჩაქაფულისა და ნიგვზიანის გაკეთება. დაფაცურდნენ პატიმრები, ზოგმა ხორცის აქნა დაიწყო, ზოგმა მწვანილებსა და ხახვს მიხედა, ზოგი ნიგოზს ნაყავდა და ა.შ. სხვები კი მათ საქმიანობას ვადევნებდით თვალს.

**— კარგი, ხორციანი ძვლებია, ამისი ხარჩო მისწრება იქნება პახმელიაზე. მოდით, დავჩეხოთ და ხვალამდე მაცივარში შევინახოთ,** — თქვა ჩაქაფულის მზარეულმა.

**— ამას დანით ვერ მოვერევით, ნაჯახით თუ დაჩეხავ,** — თქვა „სივრცეში“ ახლადშემოსულმა ახალგაზრდა პოლიციელმა, რომელიც ერთ-ერთი რაიონის პოლიციის უფროსი იყო...

**— მართალი ხარ. წადი ბადრაგთან და ჩვენი ნაჯახი გამოართვი, გუშინწინ წაიღეს,** — დაასაქმა ხუმრობის ხასიათზე დამდგარმა საკნის სტაჟიანმა ბინადარმა პოლიციელი.

**— ხოო, ეგ სხვა საქმეა, ნაჯახით იოლად დავჩეხავთ,** — თქვა ახლადშემოსულმა და ციხის დერეფანში გამავალ რკინის კარზე ბრახუნი ატეხა.

**— რა ხდება, რა ამბავია,** — იკითხეს „იქიდან“.

**— ჩვენი ნაჯახი გვჭირდება, ძვლები გვაქვს დასაჩეხი,** — უპასუხა პოლიციელმა.

**— რა ძვლები? შენ ავად ხომ არა ხარ?**

**— ხბოს ძვლები, ხარჩოსთვის გვინდა!**

რკინის კარში გასაღები აჩხაკუნდა და რამდენიმე გაკვირვებული თანამშრომელი გამოჩნდა.

**— რა ნაჯახზე ლაპარაკობ? შენ სიცხე ხომ არა გაქვს?**

**— სიცხე თქვენ გაქვთ, გუშინწინ რომ ჩვენგან ნაჯახი წაიღეთ, იმაზე გეუბნებით.**

**— რომელი ნაჯახი წავიღეთ, ხალხნო, რა ხდება გამაგებინეთ?** — თქვა ჩინიანმა თანამშრომელმა.

**— საქმეს ნუ გვირჩევ, თქვენმა ხალხმა ჩვენგან ნაჯახი წაიღო და დაბრუნებას ვითხოვთ, თუ დაკარგეთ, ეგ თქვენი პრობლემაა, ჩვენ ჩვენსას ვითხოვთ,** — არ ნებდებობდა პოლიციელი.

**— ჩვენ ნაჯახი არ გვაქვს და რას ითხოვთ, იქნებ კარგად გამაგებინოთ?!**

**— ირაკლიევიჩ, ნაჯახს არ იძლევიან, ამბობენ, არ წაგვიღიაო,** — შემომჩივლა პოლიციელმა.

**— აბა, ეგეთები არ იყოს, ჩვენს ნაჯახს ვითხოვთ, თქვენსას ხომ არა, თუ შეგვაწერეთ, გვითხარით,** — ჩემ მაგივრად უპასუხა „სივრცის“ ერთ-ერთმა ავტორიტეტმა და „კოლეგას“ გვერდით დაუდგა.

**— ჰოო, გაგვახსენდა, პატარა ნაჯახზეა საუბარი,** — აგვყვა „დიალოგში“ ჩინით უფროსი თანამშრომელი, — **ის ნაჯახი ცოტა ბლაგვი იყო და გასალესად წაიღეს...**

**— მერე?.. თქვენ ვინ გეკითხებათ ჩვენი ნაჯახის გალესვას?!** — შეტევაზე გადავიდა პოლიციელი.

**— როგორც ჩანს, შევცდით, უნდა გვაპატიოთ, ნაჯახის მაგივრად ელექტროხერხს მოგიტანთ, უფრო კარგად ჭრის,** — შემოგვთავაზეს თანამშრომლებმა:

**— ირაკლიევიჩ, ელექტროხერხს იძლევიან, გამოვართვა?** — იკითხა ნაჯახზე გაგზავნილმა პოლიციელმა.

აქ უკვე თავის შეკავება ყველას გაგვიჭირდა და ავხარხარდით. დაბნეული პოლიციელიც, ცხადია, მიხვდა ჩვენს ხუმრობას და მანაც გულიანად იცინა.

...აბა, ციხეში ნაჯახსა და ელექტროხერხს ვინ შეგატანინებდა?!

## ამბავი მეხუთე

**ციხის ყოველდღიურობას თავი რომ დააღწიოს ადამიანმა, რაღაც გასართობი უნდა მოძებნოს. მართალია, „სივრცეში“ რადიოები, ტელევიზორები და ვიდეოები ყველა კამერაში იყო, მაგრამ ნარდისა და კარტის თამაში მაინც პირველობდა... სათამაშო ოთახში, რომელსაც „კაზინოს“ ვეძახდით, 24 საათის განმავლობაში ისმოდა ან კამათელის ჭახანი, ან ჯოკერისთვის დამახასიათებელი ყაყანი.**

ჩემი იქ ყოფნის დროს „სივრცის“ ჩემპიონატებიც ტარდებოდა, რომლის ფავორიტი მეგრელი გენერალი იყო. მასთან თამაში დიდ პატივად ითვლებოდა. ციხის სხვა კორპუსებიდანაც კი მოდიოდნენ მასთან სათამაშოდ.

მე ნარდის დიდი მოთამაშე არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა „სივრცეში“ სიამოვნებით ვჯდებოდი სათამაშოდ. გენერალი, რომელიც ჩემი „ბოლელშიკი“ იყო, ხშირად უყურებდა ჩემს თამაშს და მერე მეუბნებოდა, თუ რა შეცდომებს ვუშვებდი.

„სივრცეში“ არსებული ერთადერთი ნარდი, გენერლის საკანში ინახებოდა.

ერთხელ შუახნის სიმპათიური გურული ბიზნესმენი შემოიყვანეს. მის შესახებ გარედანაც სერიოზულმა ადამიანებმა დაგვირეკეს და გვითხრეს, ციხეში კარგი კაცი შემოდის და, აბა, თქვენ იცითო... მან მეორე დღესვე დაამტკიცა, რომ მაგარი იყო: ერთ ბრექია და უზრდელ პატიმარს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი პატივსაცემ ადამიანს უდიერად მოექცა, ცხვირით უნიტაზი ახეხინა, მთელი ღამე დერეფანში გაათენებინა და დილით ჩვენი „სივრციდანაც“ გააგდო. საკანში იგი ჩემ გვერდით იწვა და არა მარტო სასიამოვნო საუბრით, არამედ დახვეწილი იუმორითაც გამაოცა.

გურულმა პირველ დღესვე აუღო ალღო „სივრცეში“ დადგენილ წესებს, დააკვირდა მონარდეთა თამაშს და მითხრა: არც ერთმა ნარდის თამაში არ იცისო...

**— რას ამბობ, ნარდის ვირტუოზები არიან,** — შევეკამათე მე.

**— ყველაზე მაგარი რომელია?** — მკითხა სასხვათაშორისოდ.

**— გენერალი, რომელსაც ზედმეტსახელად „ნარდის გენერალიც“ კი შევარქვით.**

**— რა ანგარიშსაც მეტყვი, იმ ანგარიშით მოვუგებ... თუმცა ნარდი არ ვარგა, გაცვეთილია,** — თქვა და მობილურით ვიღაცას დილისთვის ახალი ნარდის შემოგზავნა დაავალა.

მეორე დღეს, იღლიაში ნარდამოჩრილი საკანში ეწვია გენერალს და, თუ სურვილი გაქვთ, ვითამაშოთო, — უთხრა, თან ახალი ნარდი აჩვენა... სიამოვნებითო, უპასუხა გენერალმა, მაგრამ ჩემი კამათლებითო. როგორც ისურვებთო, — მიუგო გურულმა.

„სივრცეში“ დადგენილი წესით, ერთი პარტია ხუთი თამაშისგან შედგებოდა, მოთამაშეები „კაზინოში“ გავიდნენ და რამდენიმე პატიმარიც თან შევყევით.

**— ვინ იმსაჯოს?** — იკითხა გურულმა.

**— თუ ირაკლიევიჩი არ დაგვეზარდება, მას ვთხოვოთ,** — მიუგო გენერალმა.

გაჩაღდა თამაში... გენერალმა ოთხი პარტია ზედიზედ მოიგო და გურულს ღიმილით უთხრა, რომ ბოლო პარტიას დაუთმობდა.

**— არა, არ მინდა. მე ხუთი პარტია ზედიზედ უნდა მოვიგო?!. ასეა ხომ?** — მაცდური ღიმილით ჰკითხა გურულმა.

**— ჰო, დაახლოებით ეგრეა.**

**— აბა, ვიწყებ,** — თქვა გურულმა და, ჯერ არსად რომ არ გვინახავს, ისეთი ალოგიკური თამაში დაიწყო, რას აკეთებსო, რამდენიმეჯერ გავიკვირვეთ მაყურებლებმა.

გურულმა ზედიზედ ოთხი პარტია მოიგო და ანგარიში გაათანაბრა. სიტუაციაც დაიძაბა, „კაზინო“ ბოლო პარტიის მოლოდინში გაიტრუნა. მართლაც, საინტერესო თამაში გამოდგა, კენჭების გამოსვლისას გენერალს ორი ქვა დარჩა, გურულს სამი... აქედან ერთი ფანჯის კარზე.

**— გინდა „დუშაში“ გავაგორო?** — იკითხა გურულმა.

**— შენ ორი „ჩარიც“ გყოფნის,** — იყო პასუხი.

**— კარგი, როგორც შენ თქვი, ისე იქნება,** — თქვა გურულმა და მეგრელის არჩეული კამათლებიც „დუ ბეში“ დასვა...

ახლავე მახსოვს, მეგრელის გაკვირვებული სახე. **„ნახე, რა ქნა?!“,** — თქვა და მაშინვე ახალი პარტიის დაწყება შესთავაზა.

**— პრობლემა არაა!** — მიუგო გურულმა და კენჭების დაწყობა დაიწყო.

გენერალი აშკარად ღელავდა, ის დამარცხებას არ იყო ჩვეული. ახალ პარტიაში გენერალმა სამი თამაში ზედიზედ მოიგო.

**— ამ პარტიას გურული ვეღარ გადაარჩენს,** — თქვა ვიღაცამ.

**— დავიწყო, ირაკლიევიჩ?!** — მკითხა გურულმა.

მე მხრები ავიჩეჩე, რაც იმას ნიშნავდა, — შენი საქმისა შენ იცი-მეთქი...

დაიწყო გურულმა და პარტიაც 5:3-ზე დამთავრდა. იმ საღამოს კიდევ ითამაშეს რამდენიმე პარტია, რომლებშიც ხან ერთი იმარჯვებდა, ხან მეორე.

**— დღეს მეტი აღარ გვინდა, მგონი, ვერ ვარ კარგად,** — თქვა გენერალმა და თავის საკნისკენ გაემართა.

გურულს არაფერი უთქვამს, ნარდი იღლიაში ამოიჩარა და ჩვენც საკანში დავბრუნდით.

მეორე დღეს გენერალი თვითონ გვეწვია საკანში.

**— ხომ არ დაგავიწყდა, რომ ჩემი ვალი გაქვს,** — უთხრა გურულს.

**— ვალის რა მოგახსენო, თუ გინდა, ვითამაშოთ.**

იმ დღეს 5 პარტია ითამაშეს და ანგარიშით 5:3 მოიგო გურულმა.



ნაპოლეონ ქარქაშაძე „სივრცეში“ — გისოსებს მიღმა



ნაპოლეონ ქარქაშაძე „სივრცის“ მიღმა

**ციხის იუმორითა და ცელქობით მე და ჩემი მეგობრები სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას არა მარტო დავცინოდით, არამედ ვებრძოდით კიდეც. იმათ მაგივრადაც ვებრძოდით, ვინც ციხეში არ იყო, მაგრამ რეჟიმისგან შეურაცხყოფილები ჩუმად იყვნენ**

**— ვერაფერი გავიგე. მე მგონი, თამაში საერთოდ არ იცის, ისეთ სვლებს აკეთებს, რომ ვიბნევი, ასეთი თამაში მარტო გურიაში იციან,** — თქვა გენერალმა.

გურულისა და გენერლის სანარდო პაექრობა მალე მთელი ციხის ყურადღების ცენტრში მოექცა. მის სანახავად სხვა კორპუსებიდანაც მოდიოდნენ ელიტარული პატიმრები.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ იღლიაში ნარდამოჩრილი გურულის დანახვაზე გენერალი უკვე „იმალებოდა“. გურული დროდადრო იხედებოდა მის საკანში და საკმარისი იყო ლოგინზე წამომჯდარი დაენახა, იმწამსვე ნარდთან ერთად ეწვეოდა და საპაექროდ იწვევდა.

**— კაცო, შემეშვი, აღარ მინდა თამაში. ჩემპიონი ხარ,** — იძახდა გენერალი, მაგრამ ბოლოს მაინც თანხმდებოდა და იწყებოდა მორიგი სანარდო სანახაობა.

ეს საინტერესო ბატალიები დაახლოებით 20 დღე გრძელდებოდა, მერე გურული „სივრციდან“ გავიდა და არც გარედან ასვენებდა გენერალს, დღეში რამდენიმეჯერ ურეკავდა და კარგ მოსაკითხებსაც გვიგზავნიდა.

გურულის წასვლის შემდეგ გენერალმა მოიწყინა: აზრი აღარ აქვს ჩემს თამაშსო, — ამბობდა. დანაღვლიანდა და ხშირად იგონებდა გურულს.

დროთა განმავლობაში, „სივრცე“ სხვებმაც დატოვეს. მეც გამოვედი, ცოტა ხნის შემდეგ გენერალმაც დატოვა იქაურობა. ერთხელ აკადემიაში მეწვია და გურულთან ერთად სავახშმოდ რესტორან „ფიროსმანში“ მიმიწვია.

**— რა ხდება, რაიმე თარიღია?** — ვიკითხე მე.

**— არა, „იქაურები“ შევხვდებით და თან გურულს „ვალი“ უნდა დავუბრუნო,** — მითხრა მან.

იმ შეხვედრაზე სანაქებოდ მოვილხინეთ. სუფრას მხოლოდ „სივრცის“ მეგობრები ვუსხედით. შუა ქეიფში ვიყავით, როდესაც სუფრიდან გენერალი ადგა, რამდენიმე წუთში მოვალო, — თქვა. უკან მობრუნებულს ხელში ცნობილი მარტვილელი ხელოსნის მიერ სპეციალური შეკვეთით დამზადებული ბზის ნარდი ეჭირა... გურულთან მივიდა და ნარდი გადასცა: მართალია, იქ სისხლი გამიშრე, მაგრამ შენ ეს საჩუქარი ჩემგან ნამდვილად დაიმსახურეო...

ისინი, არა მარტო ღირსეული მეტოქეები, არამედ ღირსეული კაცებიც იყვნენ. მათი სანარდო პაექრობა კი დღემდე ისევ ისეთი ხმაურითა და სიმძაფრით გრძელდება.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ევგენი ხარაძე და ნაპოლეონ ქარქაშაძე

**P.S. უკვე, რამდენიმეჯერ ვთქვი, მაგრამ ისევ მინდა გავიმეორო: ციხის იუმორითა და ცელქობით მე და ჩემი მეგობრები სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას არა მარტო დავცინოდით, არამედ ვებრძოდით კიდეც. იმათ მაგივრადაც ვებრძოდით, ვინც ციხეში არ იყო, მაგრამ რეჟიმისგან შეურაცხყოფილები ჩუმად იყვნენ.**

**მეამაყება, რომ ეს უთანასწორო ბრძოლა მოვიგეთ, თანაც ისეთი მარტივი იარაღით, როგორიც იუმორია.**

**ჩემში სიბრალულს იწვევს ის ადამიანი, რომელმაც არ იცის, რომ ნაძირალაა... ზიზღსა და ფურთხს იწვევს ის, ვინც იცის, რომ ნაძირალაა და ამას მალავს, ხოლო ამოსაძირკვი და ამოსაშანთია ის, ვინც იცის, რომ ნაძირალაა და ამით ამაყობს.**

**საკაშვილი და მისი ხროვა მესამე გრადაციით შევა საქართველოს ისტორიაში... სამწუხაროა, რომ დროის რაღაც მონაკვეთში ჩვენც ამ ნაძირლების დიქტატურის დროს ვცხოვრობდით, ძალიან სამწუხაროა!**

**კანონი ბატონობს იქ, სადაც გონიერებაა, — ამბობდა არისტოტელე. იქნებ ქართველებმაც მოვუხმოთ გონიერებას!**

**დასასრული იქნება**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ისინი საშხაპეში მიჰყავდათ, კარის ჭრილში ზეწარს კიდებდნენ, პატიმრებს შხაპზე ან ყინულით სავსე სათლზე აბამდნენ და იწყებდნენ დაკითხვას. პატიმრებს თავზე ტომრები ჰქონდათ ჩამოცმული. ისე აკეთებდნენ, თითქოს მათი დახრჩობა სურდათ. შემდეგ აღებდნენ ფანჯრებს, გარეთ კი 40-გრადუსიანი სიცხე იყო.“**

**რეჟისორ ეროლ მორისის ფილმში იკვლევენ ბაღდადის მახლობლად მდებარე აბუ-გრეიბის ციხეში ცემის, წამებისა და ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევების შემთხვევებს, სადაც ზედამხედველები ამერიკელი სამხედროები არიან და ტერორიზმში ეჭვმიტანილი დაკავებულები მიჰყავდათ. ექსტრემალურ სიტუაციაში მყოფ ადამიანს ყოველთვის არ შეუძლია რეალობის გააზრება და აღქმა. მრავალი ადამიანი უშვებს შეცდომას, რომლისთვისაც შემდეგ მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე იხდის საზღაურს. ზოგიერთი ომის შემდეგ კიდევ მრავალი წლის მანძილზე ვერ ახერხებს შიშებთან გამკლავებას. შეიძლება კი იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ როგორ მოიქცევა ადამიანი ომის დროს? ასცდება თუ არა სწორ გზას, წავა თუ არა ზნეობრიობისა და მორალის წინააღმდეგ საკუთარი შიშების ზეწოლის შედეგად? ფილმში გადაღებული არიან აბუ-გრეიბის ციხის ის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ პატიმრების წამებასა და გაუპატიურებაში. ფილმმა მთავარი პრიზი მოიპოვა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე.**

# სტანდარტული პროცედურა

## სიმართლე აბუ-გრეიბზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №25-26 (212-213)



**ტიმ დუკანი,**
**გამომძიებელი, ერთიანი ანალიტიკური ცენტრი:**

— საბოლოო ჯამში დაკავებულებისგან რაიმე ინფორმაციის მიღება ვერ ხერხდებოდა. გამომძიებელთა უმეტესობა 18 წლის რეზერვისტები იყვნენ. წარმოიდგინეთ, რომ მათ უნდა დაკითხონ ჩამოყალიბებული, 40-45 წლის გენერალი. **ეს ბიჭები ხომ გუშინ მოხვდნენ ჯარში და დაკითხვის წარმოების კურსები გაიარეს. რა უნდა გაიგოს მან გამოცდილი გენერლისგან, რომელსაც ბევრიც უნახავს და ბევრიც გაუკეთებია?!**

ცხადია, პატიმარ გენერლებსა და პოლკოვნილებსაც ესმოდათ ეს. ისინი ამ გამომძიებელ ბიჭებს აშკარად დასცინოდნენ.

ერთხელ ერთი ბიჭის დაკითხვას ვაწარმოებდი და ვერაფერს მივაღწიე. ვიცოდი, რომ მისი ძმაც აიყვანეს. გამოვედი დერეფანში და გადავწყვიტე, მომენახულებინა მისი ძმა. იქ იყო სულ დაკითხვის ექვსი მომცრო კამერა ნახევრადგამჭვირვალე შუშებით — გარედან დაკითხვის მიმდინარეობის ყურება შეიძლებოდა. იქ იყო ორი სამხედრო მოსამსახურე — ქალი და კაცი, რომლებიც ისე იყვნენ დაკავებულნი ერთმანეთით, რომ დაკითხვისთვის არ ეცალათ. მამაკაცი ელაქუცებოდა ქალს, ეს უკანასკნელიც წინააღმდეგი არ იყო, არადა, ის სულელი უნდა დაეკითხათ.

ამ წყვილს შევთავაზე, გავცვალოთ დაკავებულები-მეთქი. მეორე დაკავებული ჩემს კამერაში მივიყვანე და ვუთხარი: „უკვე ორი დღეა ვაწარმოებ დაკითხვას და ვხედავ, როგორ დაგკითხეს სხვებმა. ჩემთვის ცნობილია, რომ შენ ფლობ ინფორმაციას და ისიც ვიცი, რომ ბევრი სისულელე უამბე ამ გამომძიებელ ბიჭებს. მე ეს სისულელეები არ მჭირდება. აი სიგარეტი, რომელსაც სამ წუთსა და ორმოცდაშვიდ წამში მოვწევ. ახლა გავალ, მოვწევ სიგარეტს, დავბრუნდები და შენ მიამბობ ყველაფერს, რისი მოსმენაც მსურს. გასაგებია? მითხარი, ვგავარ ადამიანს, რომელიც ხუმრობს?“

და მაგიდას დავარტყი მუშტი. გავედი მოსაწევად. სადღაც წუთ-ნახევარში კარსმიღმა ყვირილი, ტირილი გაისმა და მაშინვე გამოიხედა თარჯიმანმა, რომელმაც მითხრა, რომ პატიმარი ძალიან შეშინებული იყო და მეტყოდა ყველაფერს, რასაც კი ვკითხავდი.





**ჯენის კარპინსკი,**
**აშშ-ის სამხედრო პოლიციის ბრიგადის გენერალი:**

— მე სხვადასხვა ადგილას განთავსებულ რამდენიმე ციხეზე ვაგებდი პასუხს. ამიტომაც ბევრ დროს ვატარებდი გზაში. ერთხელ აბუ-გრეიბში მივედი და ლეიტენანტმა ვუდმა მომახსენა: მემ, ახლა დაკითხვები მიმდინარეობს, ხომ არ გსურთ, წამობრძანდეთ და ნახოთო. წავედით და დერეფნიდან ყველაფერი დავინახე. რაც დავინახე, სავსებით ნორმალურად მომეჩვენა.

მრავალჯერ დავუსვი საკუთარ თავს კითხვა: რატომ მაჩვენეს მაშინ დაკითხვის პროცესი — სპეციალურად, რომ შემდეგ მეთქვა, დაკითხვის პროცესი ვნახე და სავსებით ნორმალურად მომეჩვენა მეთქი?



**ჯეფრი ფროსტი,**
**სამხედრო პოლიციის თანამშრომელი:**

**— სახალისოა იმის მოსმენა, რომ თითქოს საჩვენებლად ვაწყობდით რაღაცას, როდესაც გენერალი კარპინსკი ან კიდევ სხვა რომელიმე ბობოლა მოდიოდა ციხეში.**

**ვითომდა ყველა მატრასი უმალ ადგილზე ბრუნდებოდა და პატიმრებიც ტანსაცმელს იცვამდნენ, მაგრამ, როგორც კი სტუმარი ზღურბლს გადააბიჯებდა, ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა.**

**სინამდვილეში იქ დაკავებულების დამცირება, მათი წვალება ჩვეულებრივი მოვლენა იყო.**



**ჯეივალ დევისი,**
**სამხედრო პოლიციის სერჟანტი:**

— ცსს — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, ერაყში სიტუაციის კონტროლის ჯგუფი, სამხედრო დაზვერვის სამსახური, გამოძიების ფედერალური ბიურო, სამუშაო ჯგუფი 121, უცხოური სპეცსამსახურები და სხვა სახელისუფლებო სამსახურები აკეთებდნენ იმას, რაც სურდათ. ჩვენ მათ მოჩვენებებს ვუწოდებდით, რადგან არსაიდან ჩნდებოდნენ და არსად ქრებოდნენ.

ისინი, ვისთანაც ეს ხალხი მუშაობდა, ჟურნალებში არასდროს შეუტანიათ. როგორ ხდებოდა ეს? ძალიან მარტივად. **მაგალითად, არის პატიმარი, მისი ჩაწერა საჭირო არ არის, ვითომ არ არსებობს და არც უარსებია. უბრალოდ წაიყვან მას რომელიღაც კამერაში და მორჩა. თუ „წითელი ჯვრიდან“ მოვლენ, აჩვენებ სხვა კამერებს და მორჩა. ჩემს აზრს არავინ კითხულობდა. ჯარისკაცი ბრძანებებს ასრულებს და ბრძანებებს არ განიხილავენ, თანაც ასეთ რთულ და მნიშვნელოვან ოპერაციაში. ჩვენ ვიჭერდით და უნდა გვედარაჯა ცუდი ბიჭებისთვის, ეს ისეთი მნიშვნელოვანი საქმე იყო...**

მაგრამ შემდეგ ყველაფერი შეიცვალა.

**ისინი საშხაპეში მიჰყავდათ, კარის ჭრილში ზეწარს კიდებდნენ, პატიმრებს შხაპზე ან ყინულით სავსე სათლზე აბამდნენ და იწყებდნენ დაკითხვას. პატიმრებს თავზე ტომრები ჰქონდათ ჩამოცმული. ისე აკეთებდნენ, თითქოს მათი დახრჩობა სურდათ. შემდეგ აღებდნენ ფანჯრებს, გარეთ კი 40-გრადუსიანი სიცხე იყო.**

ასე უყურებდნენ, როგორ კარგავდნენ პატიმრები გონებას. ყვირილი და კვნესა საათობით ისმოდა. 8-10 საათიანი წამების შემდეგ დაკავებულები ცოცხალ-მკვდარნი, ნახევრად უგონო მდგომარეობაში გაჰყავდათ კამერებში და უბარებდნენ, რომ დაკითხვა ხვალ გაგრძელდებოდა.

**არ ვიცი, ამას რა ვუწოდო. ამ პატიმრების სხეულზე უვნებელი ადგილი არ არსებობდა. მას შემდეგ შემიძლია განვსაზღვრო, თუ რის გამო ყვირის ადამიანი სასოწარკვეთისა თუ ტკივილისგან. ასეთი რამ არ დაგავიწყდება...**



**ენტონი დიასი,**
**სამხედრო პოლიციის სერჟანტი:**

— 2003 წლის 4 ნოემბერი. ეს დილით მოხდა, დაახლოებით ხუთის ნახევარზე. თავიდან სიმშვიდე იყო. იქ მუშაობდნენ განსაკუთრებულ პატიმართან, რომელსაც მხოლოდ პერანგი ეცვა. იგი ხელბორკილებით შეიყვანეს. თავზე ტომარა ჰქონდა ჩამოცმული. ჩვენ არ გვიკითხავს, რაში ედებოდა ბრალი ამ ადამიანს, ეს ჩვენი საქმე არ იყო. ორმა ჯარისკაცმა პატიმარი საშხაპეში წაიყვანა.

საშხაპეში დაკითხვა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, ალბათ, დაახლოებით საათ-ნახევარი მაინც. უცებ საშხაპის კარი გაიღო და დაგვიძახეს, ბიჭებო, დამეხმარეთ, უფრო მაღლა მიაბით პატიმარი, თანამშრომლობაზე არ მთანხმდებაო. რომ შევედით, პატიმარი უკვე უძრავად ეკიდა...



**ჯეფრი ფროსტი:**

**— იქ იყვნენ ცსს-ს წარმომადგენლები, მე ვფიქრობ, რომ ასეა. მაგრამ იმ წუთში არ ვიცოდით, ვინ იყვნენ ეს ადამიანები და საიდან მოვიდნენ. მათ გვიბრძანეს, პატიმარი ხელბორკილებით ფანჯარაზე ისე მიგვეჯაჭვა, რომ ჩამოკიდული ყოფილიყო, იმიტომ, რომ თავი ისე მოჰქონდა, თითქოს არაფერი იცოდა.** როგორც კი ხელი მოვკიდე, ტანსაცმელი ჩამოუცურდა ტანიდან. გავიფიქრე, ეს



**«იქ იყო ორი სამხედრო მოსამსახურე — ქალი და კაცი, რომლებიც ისე იყვნენ დაკავებულნი ერთმანეთით, რომ დაკითხვისთვის არ ეცალათ»**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







პატიმარი კარგი მსახიობია-თქო, რაკი ასე შეეძლო თავის მოჩვენება. არადა, უკვე დრო იყო, შარვალი გამოეცვალა. სხვა მის ადგილას იბღავლებდა, ის კი სულ დუმდა და დუმდა... ყველამ გაიცინა, მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რა მოხდა სინამდვილეში.

**ამ კაცს ხელები ზურგსუკან ისე შორს ჰქონდა გადაგრეხილი, რომ არაბუნებრივად გამოიყურებოდა, ვთქვი კიდეც, რომ ორივე ხელი მოტყდებოდა ან აქამდე როგორ არ მოტყდა-მეთქი. ამ დროს პირიდან სისხლი წამოუვიდა, ცხვირიდანაც და ყველა მიხვდა, რომ რაღაც ხდებოდა...**



**ენტონი დიასი:**

**— მივუახლოვდი, თავიდან ტომარა მოვაძრე და პირველად დავინახე მისი სახე. შოკში ვიყავი. ეს რაღაც სისხლიანი ნარევი იყო... მას უზარმაზარი შავი თვალები ჰქონდა და უამრავი ჩალურჯება. წამოვიყვირე, ეს რა არის-მეთქი...**

**ერთი თვალი ღია ჰქონდა, ხელი დავუქნიე, ვიფიქრე, შეხედავდა ჩემს ხელს, მაგრამ ის მხოლოდ ძირს იყურებოდა. მხოლოდ მაშინ მივხვდი, ის ხომ უკვე აღარ სუნთქავდა...**

**ჩვენ განვაგრძობდით დაკითხვას, ვათრევდით მას აქეთ-იქით, ბიჭი კი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო.** ჩემს ფორმაზე მისი სისხლის წვეთებიც კი დარჩა. ეს საშინელი შემთხვევა იყო, ხომ გესმით. მიუხედავად იმისა, რომ მე არ მომიკლავს, იქ ახლოს ხომ ვიყავი. მოვიდა პოლკოვნიკი ჯორდანი, რომელიც დაზვერვას მეთაურობდა, მოვიდნენ ექიმები, კაპიტანი რისი, კაპიტანი ბრინსონი, სერჟანტი სნაიდერი და სხვა ყველა. მთელი ხელმძღვანელობა ცდილობდა, გაერკვიათ, რა მოხდა იქ.



**ჯეფრი ფროსტი:**

— კიდევ ერთხელ შევამოწმეთ და დავრწმუნდით, რომ პატიმარი მკვდარი იყო. მხოლოდ ამის შემდეგ გამოვედით კამერიდან და რატომღაც სიმღერა დავიწყეთ, თითქოს არც არაფერი მომხდარა. შემდეგ ცსს-ს ერთ-ერთ თანამშრომელს ვკითხე, თქვენთან რას აკეთებენ ასეთ შემთხვევებში-მეთქი. ისინი პანიკაში არ ჩაცვენილან, მაგრამ ყველა თავის ტელეფონს ეცა, რეკავდნენ და არკვევდნენ, ვისთვის ეთქვათ, როგორ ეთქვათ და როგორ მოქცეულიყვნენ შემდგომში.

რა უნდა გვექნა ცხედრისთვის? არ შეგვეძლო, უბრალოდ, ტომარაში ჩაგვედო და გაგვეტანა — ეს ბუნტს გამოიწვევდა. საჭირო იყო, ცხედარი დილამდე იქვე დაგვეტოვა. მოვიტანეთ უზარმაზარი ტომარა და ბევრი ყინული. შემოვულაგეთ ირგვლივ ყინული, დავკეტეთ კარი და დავტოვეთ იმავე შენობაში.

მახსოვს, რომ ერთ-ერთ სერჟანტს ვუთხარი, სათადარიგო გასაღებიც წავიღოთ, რომ შემთხვევით ვინმემ არ ნახოს-მეთქი. მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც დატოვა სათადარიგო გასაღები, რადგან ღამით შეიძლება ცხედრის გატანა გამხდარიყო საჭირო. ამის შესახებ არავის არაფერი არ უნდა გაეგო.





**საბრინა ჰარმანი:**

**„2003 წლის 5 ოქტომბერი.**

**გუშინ საშინელი დღე იყო, პატიმარი, რომელიც მოიყვანეს, მოკვდა. სიკვდილამდე სცემეს. არ ვიცი ზუსტად, რა მოხდა, ეს ჩვენი ცვლა არ იყო. ის კამერაში იყო, მეზობელ კამერაში კი მე ვმუშაობდი. ყინულიან ტომარაში დამალეს. ამაზრზენია. მთელი დღე-ღამე იქ იყინებოდა. კაპიტანმა ბრინსონმა თათბირი ჩაატარა თავის კაბინეტში და თქვა, რომ ერთი პატიმარი გულის შეტევის შედეგად საშხაპეში მოკვდა. სერჟანტმა ფრედერიკმა გასაღები აიღო და შევედით. ყინული დნებოდა, უკვე სუნი იდგა...**

**მუხლები, თეძოები... ყველაფერი დალურჯებული ჰქონდა, სისხლჩაქცევები ტერფებამდე მიჰყვებოდა. როგორც კი დავინახეთ, ყველა მიხვდა, რომ პატიმარი გულის შეტევით არ მომკვდარა...“**

**— გვამთან სურათის გადაღება ძვირად დამიჯდა, მაგრამ მე არასდროს გამომდიოდა სურათები, ვერ ვხვდები ხოლმე, სად წავიღო ხელები. ხშირად ვაკეთებ ამ ჟესტს, ეს უკვე თავისთავად ხდება. როდესაც ფოტოს გიღებენ, უნდა გაიღიმო, ყოველთვის ასე ვაკეთებ.**



**ჯეივალ დევისი:**

— იგი მოჩვენებების კატეგორიის პატიმარი იყო. ვითომ არც ყოფილა. არ შეიძლებოდა წითელი ჯვრისთვის მისი ჩვენება. ვიღაცას მოაფიქრდა, ტომრიდან ამოვიღოთ, პატიმრის ნარინჯისფერი ფორმა ჩავაცვათ, ურიკაზე დავსვათ, მკვდარ ხელში შპრიცი ჩავარჭოთ და ტერიტორიიდან გავიყვანოთო. ამის შემდეგ ჩვენ მის შესახებ აღარაფერი ვიცოდით. უბრალოდ მოკვდა, ჯერ ტომარაში ჩადეს, შემდეგ ურიკაზე დასვეს და მორჩა... ყველა დაუბრუნდა საკუთარ სამუშაო ადგილს, ის უბრალოდ აორთქლდა.



**საბრინა ჰარმანი:**

— ცდილობდნენ, ჩემთვის სახელმწიფო ქონებისთვის ზიანის მიყენებაში დაედოთ ბრალი. ეს საერთოდ გაუგებარია. შემდეგ მადანაშაულებდნენ სასტიკ მოპყრობაში მკვდარ პატიმართან სურათის გადაღების გამო, მაგრამ ის ხომ მკვდარია, განა ეს სისასტიკეა? შემდეგ ბრალს მდებდნენ მტკიცებულებებში ცვლილებების შეტანის გამო, რადგან მას თვალიდან სახვევი მოვხსენი სურათის გადასაღებად და შემდეგ ისევ ადგილზე დავაბრუნე. **როდესაც მოკვდა, დაბანეს და თვალები აუხვიეს, ამიტომ, რომელი ცვლილებების შეტანაზეა საუბარი, ეს ჩემამდე გააკეთეს.**

**სხვა ბრალდებების დასამტკიცებლად მოიშველიეს ფოტოები, რომლებიც თავიდან არ უნდა გამოეჩინათ, რათა მკვლელობის ფაქტი დაემალათ. საბოლოო ჯამში, საშხაპესთან დაკავშირებული ყველა ბრალდება მომეხსნა.**



**ჯეივალ დევისი,**
**სამხედრო პოლიციის სერჟანტი:**

— 19:00-ზე დაიწყო ბუნტი. გაქცევასა და ბუნტთან დაკავშირებით ცენტრალურ შენობაში შესვლა ან იქიდან გასვლა აიკრძალა.

**ეს ნამდვილი აჯანყება იყო. სამხედრო დაზვერვის თანამშრომელი ქალი დაზარალდა — მას სახე დაულეწეს. მათ სურდათ, კედელი დაენგრიათ და სამხედრო დაზვერვის თანამშრომლები მძევლებად აეყვანათ. ისინი დერეფანში გამოიყვანეს და იატაკზე დააწვინეს. იქ დავრჩი, არ შემეძლო დაძინება, როდესაც ვიცოდი, რომ პატიმარს შეეძლო მოვეკალი.** ამ ბიჭებისთვის ვინმეს უნდა აეხსნა, როგორ არის საქმე და მე თავი ვეღარ შევიკავე...

**პატიმრებს იატაკზე ვახეთქებდი, ვცემდი, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებენ ხოლმე საჩვენებელი დასჯისას, იატაკზე დაგდებულებზე ვხტუნაობდი და არ შემეძლო შეჩერება. უბრალოდ, გავმხეცდი...**

ვეკითხებოდი, „შენ სცემდი ჩვენს ჯარისკაცს? აი, მიიღე“, — და სამხედრო ჩექმებით ვადგამდი ფეხს ხელის მტევანზე, ფეხებზე... მინდოდა, სტკენოდა, იმიტომ, რომ მან ქალს სახეში აგური ჩაარტყა...



**ჯერემი სივეცი,**
**სამხედრო პოლიციის თანამშრომელი:**

— იმ დღეს გარაჟში ვიყავი და გენერატორს ვუკირკიტებდი. იქ დამაღამდა, დავიღალე. იქ ძალიან სუსტი კომპიუტერია, დიდხანს ველოდე ერთ შეტყობინებას. ამ დროს მოვიდა სერჟანტი ფრედერიკი, რაღაცის ამობეჭდვა სჭირდებოდა. საუბარს შევყევით, მაგრამ ამ დროს რაციით აცნობეს, რომ მოიყვანეს ხალხი, რომელთანაც მუშაობა იყო საჭირო. მითხრა, კამერაში წამომყევიო და წავყევი.

**იქ შვიდი ადამიანი დაგვხვდა. ვუთხარი, ფრედი, იქნებ ერთ-ერთი წავიყვანოთ და მასთან ვიმუშაოთ-მეთქი. დამთანხმდა. როდესაც წავიყვანე დასაკითხად, გრეინერის ყვირილი შემომესმა. მას ვკითხე, სად წავიყვანო პატიმარი-მეთქი და მითხრა, სხვებთან ერთად დაჯდეს იატაკზეო. მეც სხვა პატიმრების გვერდით დავაგდე იატაკზე.**

შემდეგ ფოტოების გადაღება დაიწყო. სწორედ მაშინ შეადგა ხელის თითებზე ჯეივალი პატიმარს, ლინდსიც იქ იყო. მაშინ დაიწყო გადაღებები. გრეინერმა მთხოვა, გადამეღო დადგმული სურათი ერთ-ერთ პატიმართან, რომელიც მას თავით ეჭირა და ისე იდგა, თითქოს უნდა დაერტყა მისთვის. არ დაურტყია, როგორც კი ფოტო გადავიღე, პატიმარი იატაკზე დააგდო.



**ამის შემდეგ დაიწყეს პატიმრების გაშიშვლება. კვლავ იღებდნენ ფოტოებს. გრეინერი მივიდა ერთ-ერთთან, საფეთქელთან ჩაარტყა, არ ვიცი, რატომ. ის ძალიან სცემდა პატიმარს.** მერე საბრინამ პატიმრების ნომრები შეამოწმა და თქვა, ეს გაუპატიურებისთვის ზისო. გრეინერმა პატიმარს ფორმა შემოახია, საბრინამ კი პირდაპირ თეძოზე დააწერა „მე მოძალადე ვარ“. **თავად პატიმარი არ ინძრეოდა, უკვე რამდენიმე წუთი გაუნძრევლად ეგდო. მივუახლოვდი და თავზე ჩამოცმული ტომარა ავწიე, რომ თვალები დამენახა. ბიჭი უგონოდ იყო.** გრეინერს ვუთხარი, შენ ის გათიშე-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანდა, მას ეს უკვე დიდად არ ანაღვლებდა.

ფრედისთან დავბრუნდი, მან კი მითხრა, უყურეო, მიუახლოვდა პატიმარს, მკერდზე ჯვარი დაახატა და პირდაპირ ამ ჯვარზე დაარტყა.

**ამის შემდეგ მათ პატიმრების ნახევარი სახით კედლისკენ დააყენეს, მეორე ნახევარი კი მათკენ ზურგით. მათ დრეკადი, წელვადი თასმებიანი ხელბორკილები ეკეთათ.** გრეინერს ვეუბნებოდი, ბიჭს ხელები მოწყდება, უკვე მთლიად გაულურჯდა, უნდა მოვხსნათ ხელბორკილები-მეთქი. ამისთვის საჭირო იყო, რომ აგვეყენებინა. ცოტა კი ვიწვალეთ, მაგრამ ბოლოს თასმა გადავჭერით და ხელებში კვლავ წავიდა სისხლი. რამდენადაც შევძელი დამენახა, ხელები წესრიგში ჰქონდა...

შემდეგ გრეინერმა და ფრედიმ ეს ცოცხალი პირამიდა მოიგონეს. გრეინერმა განაცხადა, რომ აკეთებდა იმას, რაც დაავალეს, არავითარი საკუთარი ინიციატივა. როდესაც იმ ბლოკიდან მივდიოდი, მთხოვეს, მომხდარზე სიტყვა არ დამეძრა. ყოველთვის ვცდილობ, არავისთან ვიჩხუბო, ამიტომაც ვუპასუხე, მე არაფერი დამინახავს...

გამომძიებელი სულ მეკითხებოდა, რატომ არ განაცხადე ამ შემთხვევის შესახებო. მე კი არ მესმოდა, რომ ეს ეთიკურად არასწორია, მე ვუპასუხე, რომ, როდესაც ომია, ყველაფერი სხვაგვარადაა.

**ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ პატიმრების გადაღება არ შეიძლებოდა, მაგრამ მე მთხოვეს და გადავიღე. რატომ უნდა მეწყენინებინა ადამიანებისთვის?** ყოველთვის ასეთი ვარ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს ყოველთვის არ მაძლევს ხელს.

ახლა ხშირად მეკითხებიან, რატომ შეიცვალეო. მე კი ვპასუხობ, იცხოვრეთ ჩემი ცხოვრებით, გაიგეთ ის ყველაფერი, რაც მე გავიგე, და მერე ვნახოთ-მეთქი.

**გაგრძელება იქნება**



დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაზთან, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომის აღსრულების მეთოდთან, დაბრუნება დიდ სახსრებთან იქნება დაკავშირებული, რადგან ახლა მისურის ციხეებში საამისოდ საჭირო კამერები არ არსებობს. მისურიში გაზი 1939-1965 წლებში 38 კაცის და 1 ქალის სიკვდილით დასჯისთვის გამოიყენეს. 1989 წელს შტატის მთავრობამ კვლავ მიმართა სიკვდილით დასჯის პრაქტიკას 24-წლიანი შესვენების შემდეგ და ამ დრომდე სასიკვდილო ინიექციით 68 მამაკაცის სასიკვდილო განაჩენი აღასრულა.**



# რეკლამის პირდაპირ ტვინში ტრანსლირების ტექნოლოგია

**ფასიანი ტელევიზიის გერმანულმა ოპერატორმა Sky Deutschland-მა და სარეკლამო კომპანია BBDO-მ გამოიგონეს ახალი, აბსოლუტურად უგუნური ტექნოლოგია, რომელიც რეკლამის პირდაპირ ტვინში ტრანსლირებას განახორციელებს, ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით. სისტემა ემყარება ეგრეთ წოდებულ ძვლოვანი ბგერაგამტარობის ტექნოლოგიას, ანუ როდესაც თავის ქალის ვიბრაციის შედეგად ბგერა პირდაპირ შუა ყურს გადაეცემა. ამ დროს იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბგერების წყარო თავად თქვენს თავშია.**

ტელეკომპანიამ უკვე განახორციელა თავისი ტექნოლოგიის ტესტირება სარეკლამო კომპანია Talking Window-ს ფარგლებში. **ტესტირებისას მატარებლის ფანჯრებზე ამაგრებდნენ სპეციალურ გადამცემებს და, თუ მგზავრი ფანჯარას თავით მიეყრდნობოდა, ესმოდა ხმა, რომელიც სმარტფონში გარკვეული პროგრამის დაყენებას სთავაზობდა.**

Talking Window-ს დემონსტრირების ვიდეო გაუშვეს კანის კრეატიულობის საერთაშორისო ფესტივალზე და ნანახით, ისევე, როგორც თავად იდეით, ყველა არ აღფრთოვანებულა.

**„ეს მავნებელია ძვლებისთვის"; „ხანდახან გინდა, დაღლილი თავი რაღაცას მიაყრდნო და არ გეშინოდეს, რომ მას რეკლამით გამოგიტენიან"; „ამგვარი რამეები უნდა იკრძალებოდეს",** — დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო გამოხმაურებათა უდიდესი ნაწილი.

მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული ავტორი-კომპანიის ოფიციალური საიტის თანახმად, Talking Window-ს ავტორები თვლიან, რომ ამ ტექნოლოგიას დიდი მომავალი აქვს.

**mixstuff.ru**







# მისურის შტატში სიკვდილმისჯილებს გაზით გაგუდავენ

**მისურის შტატში, შესაძლოა, კვლავ ამოქმედდეს გაზის კამერები. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე ბრძანა გენერალურმა პროკურორმა, რომელმაც სამედიცინო პრეპარატების ნაკლებობის პრობლემის მოსაგვარებლად მოიფიქრა, რომ სასიკვდილო ინიექცია სიკვდილით დასჯის ამ დიდი ხნის დავიწყებული და სადავო მეთოდით ჩანაცვლდეს.**



**„ვინაიდან მათი მარაგი ილევა, მცირდება შესაძლებლობა კანონიერ საფუძველზე გამოტანილი სასიკვდილო განაჩენების სისრულეში მოყვანის მართვისთვისაც,** — დაწერა სასამართლოში შეტანილ შუამდგომლობაში გენერალურმა პროკურორმა კრის კოსტერმა. — **თუ სასამართლო არ შეცვლის მიმდინარე კურსს, ახლო მომავალში საკანონმდებლო ორგანოები იძულებულნი გახდებიან, დააფინანსონ განაჩენის სისრულეში მოყვანის ალტერნატიული კანონიერი მეთოდების გამოყენება, რათა აღსრულდეს სასამართლოს დადგენილებები".**

მისურში კანონი სიკვდილით დასჯის მხოლოდ ორ სახეობას — სასიკვდილო ინიექციას და გაზით გაგუდვას აღიარებს.

მისურის ხელისუფლება, ისევე, როგორც ამერიკის სხვა შტატების, სადაც სიკვდილით დასჯა არსებობს, მრავალი წლის მანძილზე სიკვდილით დასჯისთვის იყენებდა სამი პრეპარატისგან შემდგარ კოქტეილს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მთელი მსოფლიოს ფარმაცევტულმა კომპანიებმა, ეთიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, უარი განაცხადეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებისთვის საკუთარი პროდუქციის მიყიდვაზე, სასიკვდილო ინიექცია ჯალათებისთვის ხელმისაწვდომი აღარ არის. მეორე მხრივ კი, ევროკომისიამ აშშ-ში ანესთეტიკების შეტანაზე შეზღუდვები დააწესა.

გასულ წელს მისურის ხელისუფლებამ გამოაცხადა თავისი სამომავლო გეგმების შესახებ, გამოეყენებინა პროპოფოლი — ანესთეტიკი, რომელმაც მაიკლ ჯეკსონი მოკლა. ადრე ეს პრეპარატი აშშ-ში სასიკვდილო განაჩენების სისრულეში მოსაყვანად არ გამოიყენებოდა, ამიტომაც სასიკვდილო ინიექციის სახით მის პოტენციურ ეფექტურობასთან დაკავშირებით ბევრი ეჭვი და კითხვა არსებობს.

2012 წელს მისურის სიკვდილმისჯილებმა აშშ-ის საოლქო სასამართლოს კანზას-სიტიში მიმართეს სარჩელით, რომელშიც აცხადებდნენ, რომ პროპოფოლის გამოყენება დასჯადია, რადგან ეს შექმნის უპრეცენდენტო და სერიოზულ საფრთხეს, მსჯავრდებულებს მტანჯველი ტკივილი მიაყენონ სიკვდილით დასჯის დროს.

ამ სარჩელის საპასუხოდ მისურის სასამართლომ გადადო სასიკვდილო განაჩენების სისრულეში მოყვანის ვადების დადგენა, ვიდრე ეს პრობლემა არ მოგვარდება.

კოსტერმა სასამართლოს ახალი შუამდგომლობით მიმართა და სთხოვა, რომ აღასრულონ თუნდაც ორი სასიკვდილო განაჩენი, თანაც დასძინა, რომ სამმართველოს დარჩა სულ სამი დოზა პროპოფოლი, რომელსაც ვარგისიანობის ვადა ოქტომბერში ეწურება.

**„სასიკვდილო განაჩენის შესახებ დადგენილება მისურიში აბსოლუტურად უსაფუძვლოდ ტრიალებს სასამართლოებში უკვე ათ წელზე მეტია",** — განუცხადა კოსტერმა ჟურნალისტებს და დასძინა, რომ **„მისურის მცხოვრებლის განზრახ მკვლელობა სასტიკი, მაგრამ ხშირი სასჯელია. სასიკვდილო განაჩენები, აღსრულდება თუ არა ისინი, გამოაქვთ ნაფიცი მსაჯულების სამართლიანი და საფუძვლიანი გადაწყვეტილების შედეგად".**

გაზთან, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომის აღსრულების მეთოდთან, დაბრუნება დიდ სახსრებთან იქნება დაკავშირებული, რადგან ახლა მისურის ციხეებში საამისოდ საჭირო კამერები არ არსებობს.

მისურის სასჯელაღსრულების სისტემაში უკანასკნელად სიკვდილით დასჯა გაზის გამოყენებით სისრულეში მოიყვანეს ჯეფერსონ-სიტიში. მას შემდეგ, რაც ათი წლის წინ ამ ციხიდან პატიმრები გადაიყვანეს, კამერა ტურისტულ ღირსშესანიშნაობად იქცა და იქ ექსკურსიებზე დაჰყავდათ ხალხი.

მისურიში გაზი 1939-1965 წლებში 38 კაცის და 1 ქალის სიკვდილით დასჯისთვის გამოიყენეს. 1989 წელს შტატის მთავრობამ კვლავ მიმართა სიკვდილით დასჯის პრაქტიკას 24-წლიანი შესვენების შემდეგ და ამ დრომდე სასიკვდილო ინიექციით 68 მამაკაცის სასიკვდილო განაჩენი აღასრულა.

**antizoomby.livejournal.com**

# მოსკოვი რუსეთის საზღვრებთან არსებული ამერიკული ლაბორატორიების გამო შეშფოთებულია

**მოსკოვი შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის საზღვრებთან ამერიკული ლაბორატორიების არსებობის გამო, რომელშიც, შესაძლოა, შეერთებული შტატები ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობდეს.**

ოფიციალური განცხადება ამ თემაზე რუსეთის საგარეო უწყებამ გაავრცელა. პუბლიკაციაში დაკონკრეტებული არ არის, თუ რომელ ობიექტზეა საუბარი, თუმცა ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ უწყება ულგარის სახელობის ლაბორატორიას გულისხმობს, რომელიც გასულ წელს თბილისში გაიხსნა.

ექსპერტების დასკვნას გენადი ონიშენკოს კომენტარიც ადასტურებს. რუსეთის მთავარმა სანიტარმა განაცხადა, რომ **საქართველოში ამერიკული ბიოლოგიური ლაბორატორიების არსებობა არღვევს საერთაშორისო კონვენციებს ბიოლოგიური იარაღის წარმოების შესახებ.**




რუსული მხრის განცხადებით, ეს პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისთვის და გავლენას იქონიებს მოსკოვსა და თბილისს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე. რუსი ექსპერტები კი აცხადებენ, რომ ეს ფაქტორი ნეგატიურად იმოქმედებს ამერიკა-რუსეთის ორმხრივ ურთიერთობაზეც.

# «ამერიკულ მთებზე» ერთი ადამიანი დაიღუპა, შვიდი კი დაშავდა

**აშშ-ში ატრაქციონზე ტეხასსა და ოჰაიოს შტატებში ერთდროულად ორი ინციდენტი მოხდა.**



არლიგტონში, ტეხასის შტატში „ამერიკული მთებიდან" ქალბატონი გადმოვარდა და დაიღუპა. ტრაგედია 18:30 საათზე, ატრაქციონ Six Flags Over Texas-ში მოხდა. როგორც Associated Press-ი იუწყება, ატრაქციონის სიმაღლე 14-სართულიანი სახლის სიმაღლეს უტოლდება. ოჰაიოს შტატში ანალოგიური ინციდენტი მოხდა. ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია. დაშავდა შვიდი ადამიანი.



**სამამულო პატრიოტებს შორის, როგორც წესი, ითვლება, რომ მთელი ეს დასავლური ატომიზაცია და საკუთარი კულტურის, რწმენისა და ტრადიციების მქონე ხალხების ქცევა, გამოხატული პრინციპების არმქონე მარტოსულობის გროვად ქცევა მხოლოდ იმისთვისაა, რომ ამ ველურებად ქცეული ბრბოს მართვა იოლი იქნება.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერდოგედონიზმი

# დემოკრატია თუ ხალხის დათრგუნვა და დეგენერაცია

**მთელ მსოფლიოში წამყვანი ქვეყნები სექსუალური თანასწორობისთვის ბრძოლის ახალმა ტალღამ წალეკა. ცოტა ხნის წინ გერმანიის კანცლერმა რუსეთისგან მოითხოვა, გააუქმოს აკრძალვა არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების სრულფასოვნების პროპაგანდაზე. ბრიტანეთის პრემიერმა პირობა დადო, მოახდინოს ზეწოლა ნიგერიის ხელისუფლებაზე, რომელმაც ეგრეთ წოდებული ერთსქესიანი ქორწინებები აკრძალა. ყველაზე მოწინავე ქვეყნებშიც კი დაძაბულობა არ შემცირებულა: ევროპული ჟურნალისტიკა ჰოლივუდისგან მოითხოვს, რომ მან დაიწყოს „A“ კატეგორიის ფილმების გადაღება ბედნიერი ლგბტ კავშირების შესახებ. რა კავშირი აქვთ შემწყნარებლობისთვის ამ დაუნდობელ ომებს მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან?**



სინამდვილეში ყველაფერი მარტივადაა. მიმდინარე მოვლენებში არავითარ მზაკვრულ მოულოდნელობას არ აქვს ადგილი. მოწინავე მსოფლიო ახორციელებს ადამიანის იმ კონცეფციას, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა კაბინეტებში ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ მიიღეს. და, სხვათა შორის, მთელმა დანარჩენმა მსოფლიომ ამ კონცეფციის მიღების უფლება მისცა მათ.

რით განსხვავდება ეს ახალი ადამიანის კონცეფცია ტრადიციულისგან, კარგად ჩანს „სექსუალური ჯანმრთელობის“ იმ ორი განსაზღვრების შედარებისას, რომლებიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებმა 30-წლიანი შუალედით მიიღეს.

1972 წლის განსაზღვრება:

**„სექსუალური ჯანმრთელობა არის ადამიანის ყოფიერების სემატური, ემოციური, ინტელექტუალური და სოციალური ასპექტების კომპლექსი, რომელიც პოზიტიურად ამდიდრებს და ავითარებს პირად თვისებებს და ურთიერთობისა და სიყვარულის უნარს“.**

2002 წლის განსაზღვრება:

**„სექსუალური ჯანმრთელობა არის სექსუალობასთან დაკავშირებული ფიზიკური, ემოციური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობა; ეს არის არა მხოლოდ დაავადებების, ფიზიკური გადახრებისა და უძლურობის არარსებობა. სექსუალური ჯანმრთელობა მოითხოვს პოზიტიურ და პატივისმცემლურ დამოკიდებულებას სექსუალობისა და სქესობრივი ურთიერთობების მიმართ, ასევე, იმის შესაძლებლობას, რომ უსაფრთხოდ აწარმოო სქესობრივი ცხოვრება, რომელიც კმაყოფილებას განიჭებს, რომელიც თავისუფალია იძულებისგან, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან. სექსუალური ჯანმრთელობის მიღწევა და შენარჩუნება განუყოფელ კავშირშია პატივისცემასთან, დაცულობასთან და ადამიანებისთვის დამახასიათებელი სექსუალური უფლებების დაცვასთან“.**

თუკი ვინმემ ვერ შენიშნა, უფრო პროგრესული განსაზღვრებიდან სადღაც გაქრა სიყვარული, ურთიერთობა და პიროვნების განვითარება — ისინი ჩაანაცვლა „კმაყოფილების მომტანი სქესობრივი ცხოვრების უსაფრთხოდ წარმოების საშუალებამ“.

ანუ, ტექნიკურად რომ ითქვას, მოწინავე ოფიციალური კონცეფციის თანახმად, ადამიანის ერთ-ერთი საბაზო ინსტიქტი უკვე აღარ არის სოციალიზაციისა და სიყვარულის სამსახურში. ის ახლა თავისთვისაა.

ეს მართლაც რევოლუციური სიახლეა, სხვა ყველაფერი კი — მისი რეალიზაცია. აი, მაგალითად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და ევროპის ერთობლივი დოკუმენტი სახელწოდებით „სექსუალური აღზრდის სტანდარტები ევროპაში“, რომელიც 2010 წელს მიიღეს. ამ დოკუმენტის თანახმად, ევროპელის სექსუალური აღზრდა დაბადებიდან უნდა დაიწყოს. ცალკეა გაწერილი, თუ რა უნდა იცოდეს ადამიანმა ამა თუ იმ ასაკში და რისი სწავლებაა მისთვის აუცილებელი.

**მაგალითად: ოთხი წლის ასაკამდე ბავშვმა უნდა იცოდეს „პირადი ცხოვრების მოთხოვნილების გამოხატვა და უნდა გამოიმუშაოს და განივითაროს ცოდნა, რომ პირადი გამოცდილება ყველაზე სწორია“. ასევე ექვსი წლის ასაკამდე ბავშვმა უნდა განიცადოს პატივისცემა „გენდერული თანასწორობის მიმართ“, „პატივი სცეს უშვილობას“ და ამ ყველაფრის შესახებ სწორი ტერმინოლოგიით ისაუბროს“. ექვსი წლის ბავშვს უკვე ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს „პოზიტიური დამოკიდებულება განსხვავებულობის მიმართ, პატივისცემა სექსუალობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ნორმების მიმართ“ და გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მას აქვს არჩევანი.**

## დასავლეთის ქვეყნებში ყველა უმცირესობის რევოლუცია იგივეა, რაც საექსპორტო ვარიანტში «კონტროლირებადი ქაოსის» სახელითაა ცნობილი

**ცხრა წლის ევროპელმა უნდა იცოდეს საკუთარი სქესის წარმომადგენელთა მიმართ სიყვარულის შესახებ და იცავდეს საკუთარ სექსუალურ უფლებებს.**

ცხრა წლის ზემოთ ბავშვმა უნდა იცოდეს განსხვავება სქესსა და გენდერულ იდენტურობას შორის, უნდა მიიღოს სექსუალური გამოხატულების სხვადასხვა ფორმა და (ყურადღება!) უნდა იცოდეს კულტურისა და რელიგიის მხრიდან სექსუალური გადაწყვეტილების მიღებაზე ზეწოლის შედეგები, ამავე დროს თავად უნდა მსჯელობდეს ამგვარ ზეწოლაზე და აძლევდეს მას საკუთარ შეფასებას. ამასთან, სექსუალური ქცევის სხვადასხვა ფორმის მიღება რატომღაც არ მოითხოვს ამგვარ შეფასებას და პატარამ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე უნდა მიიღოს.

15 წლის მოზარდს მოქნილი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს სექსუალობის მიმართ მუდმივად ცვალებად საზოგადოებაში და, ცხადია, უნდა განუვითარდეს „კრიტიკული დამოკიდებულება ოჯახთან დაკავშირებული სხვადასხვა კულტურული და რელიგიური ნორმებისადმი“. **15 წლის შემდეგ ბიჭები და გოგონები უნდა ახერხებდნენ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის მანიფესტირებას, იმ უნარებს შორის, რომლებიც მათ უნდა გამოიმუშაონ და განავითარონ, უნდა იყოს შესაძლო ნეგატიური გრძნობების — ჰომოსექსულობის მიმართ ზიზღისა და სიძულვილის აღმოფხვრა და შეცვლა სექსუალური სხვადასხვაობის მიმართ დადებითი დამოკიდებულებით.** ამასთან, ისინი გახსნილნი უნდა იყვნენ ურთიერთობისთვის სხვადასხვა სახის ურთიერთობებშიც.

მოკლედ რომ ვთქვათ, გზავნილი სავსებით გასაგებია. **თავად სექსუალური უმცირსობები აქ თითქოს არც არაფერ შუაში არიან. ისინი, უბრალოდ, საბაბს წარმოადგენენ ზოგიერთი ზედირებული დებულების დასანერგად. სინამდვილეში ბავშვებს, შემდგომ კი მოზარდებსა და ახალგაზრდებს სექსუალური აღზრდის გაკვეთილებზე დაჟინებით უჭედავენ ტვინში უვნებელი მარტოობის მოდელს.**

ვინაიდან ნებისმიერი სახის კულტურული და რელიგიური ტრადიცია „გარეშე ზეწოლაა“ და ხელს უშლის მოქალაქეს, ცხოვრებისგან სათანადო მოცულობის სიამოვნება მიიღოს, სწორედ ამგვარად აღიქვამს ეს ადამიანი ტრადიციასაც. და ვინაიდან მას უარი უთხრეს, სძულდეს ის, რასაც არასწორად მიიჩნევს, მას საკუთარი სიძულვილისაც კი შეეშინდება.

უვნებელ მარტოობას, უნდა აღინიშნოს, რომ წამყვანი ქვეყნების მოქალაქეებს ტვინში უჭედავენ არა მხოლოდ ოჯახურ-სექსუალურ ცხოვრებაში. სოციალურ-ეკონომიკურ იდეოლოგიაში მდგომარეობა იგივეა: ტრადიციული ჯგუფების ინტერესების დაცვას — ოჯახისა და კოლექტივისაგან დაწყებული ხალხებით დამთავრებული — ავიწროებს დებულება „საკუთარი არჩევანის დაცვის“ შესახებ, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის კერძო საკუთრებისადმი პატივისცემას. და თუნდაც ეს კერძო საკუთრება მთელი სოციალური ჯგუფის ძარცვის საფუძველზე იყოს დაგროვილი, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

**საბოლოო ჯამში, ყველა ამ ტვინის გამომრეცხავი ინოვაციის წყალობით ჩვენ ვიღებთ ორგანიზმს, რომლის უნარიც, მოახდინოს კოოპერირება სხვებთან საერთო ღირებულებების საფუძველზე, უნდა გაუვნებელყოფდეს შიშით, რომ ეს სხვები გამოიყენებენ და დათრგუნავენ მას. ნორმისა და სამართლიანობის შესახებ რაიმე წარმოდგენების დაცვის უნარი კი არანაკლებ საიმედოდ იბლოკება არანორმალურობის მიმართ ზიზღის აკრძალვით და დოგმით იმის შესახებ, რომ საერთო ნორმები არ არსებობს.**

იმის ილუსტრირებისთვის, თუ როგორ ხდება პრაქტიკაში წამყვანი ქვეყნების საზოგადოებათა ატომიზაცია, მშვენიერი მაგალითია მერკელის ცხელ-ცხელი მოწოდება მილიონობით ახალგაზრდა უმუშევარი ევროპელისადმი, ალიჭურვონ გეოგრაფიული მობილურობით. **„რა თქმა უნდა, უსამართლობაა, როდესაც ახალგაზრდობა აგებს პასუხს იმაზე, რაც მას არ გაუკეთებია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს“,** — განაცხადა გერმანიის კანცლერმა და გაიხსენა, რომ მისი ახალგაზრდობის პერიოდში გერმანელები ხშირად ეძებდნენ სამსახურს სხვა ქვეყნებში.

სხვათა შორის, საგულისხმოა გერმანიის საზოგადობის აღუშფოთებლობა ამ მოწოდების გამო: კანცლერს ხომ არანაირად არ დაურღვევია მათი უფლებები (თანამედროვე გაგებით). მან, უბრალოდ, მოახდინა იმ ფაქტის კონსტატირება, რომ მართვის ნიუანსების გამო რამდენიმე მილიონმა გერმანელმა გუდა-ნაბადი უნდა აიკრას და გოსტარბაიტერად წავიდეს იქ, სადაც მათთვის სამსახური მოიძებნება.

ახლა კი ყველაზე საინტერესო:

**სამამულო პატრიოტებს შორის, როგორც წესი, ითვლება, რომ მთელი ეს დასავლური ატომიზაცია და საკუთარი კულტურის, რწმენისა და ტრადიციების მქონე ხალხების ქცევა, გამოხატული პრინციპების არმქონე მარტოსულობის გროვად ქცევა მხოლოდ იმისთვისაა, რომ ამ ველურებად ქცეული ბრბოს მართვა იოლი იქნება.**

**სინამდვილეში ამ ამორფული მასების მართვა, იოლი კი არა, გაცილებით რთულია, ვიდრე შერაცხადი და გონებაზე მყოფი ერებისა. როდესაც ხალხებს აქვთ საერთო ღირებულებები და მიზნები, მათი მიმართვა რომელიღაც მხარეს სწორედ ამ ღირებულებების გამოყენებით შეიძლება. მაგრამ, როდესაც საზოგადოების ნაცვლად ხალხი არის რაღაც კეფირის მსგავსი ბლანტი სითხე, რომელიც მხოლოდ უმცირესობებისა და გაერთიანების მოშიში ინდივიდუმებისგან შედგება, იმას ვერსაით მიმართავ, ის შეიძლება მხოლოდ დააშინო...**

ამიტომ, როგორც ჩანს, მიზანი არის არა მასების მართვა, არამედ პირიქით, ამ მასების უუნაროდ ქცევა. მომცრო პროფესიონალური არმიების, უპილოტო საფრენი აპარატების, ავტომატიზირებული წარმოებების საუკუნეში წამყვანი ქვეყნების ელიტებს სულაც არ სჭირდებათ ამხელა ხალხები. და სულაც არ არის საჭირო, რომ ამ ხალხებს რაღაც ზეპიროვნული ღირებულებები და მიზნები მიეცეთ თუნდაც იმიტომ, რომ, წამყვანი ქვეყნების ელიტამ უკვე შეხაპა ყველაფერი, რაც კი შეეძლო და ახლა მთელი ძალით იბრძვის მიტაცებულის შესანარჩუნებლად.

მართვა საერთოდ აღარ არის საჭირო, რადგან არავინ არსად არ აპირებს წასვლას და რაიმეს შეცვლას. ამოცანა ისაა, რომ როგორმე შენარჩუნდეს ყველაფერი ისე, როგორც არის.

**ამრიგად, დასავლეთის ქვეყნებში ყველა უმცირესობის რევოლუცია იგივეა, რაც საექსპორტო ვარიანტში „კონტროლირებადი ქაოსის“ სახელითაა ცნობილი. მასებს არ სჭირდება მართვა, სავსებით საკმარისია, შესაძლებელი იყოს მათი მარტივად დათრგუნვა და ნეიტრალიზება.**

odnako.org

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს საქართველოს ესაჭიროება ისეთი პრეზიდენტი, რომელიც საქართველოს პატრიოტია, ახლოს იცნობს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, ფართო კავშირები აქვს რუსეთთან და კარგად იცნობს მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეს, არის ღრმა მოაზროვნე პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი. ამ მხრივ საუკეთესო კანდიდატია ბატონი ალექსანდრე ჭაჭია.**

# გადარჩენის შანსი ძალიან მცირეა და ამასაც ხელიდან ნუ გაუშვებთ

## ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

„ერთი კაცი, გინდ მაღალი ნიჭიერიც იყოს, მარტოდ-მარტო, თავისთავად ვერას გახდება, თუ გვერდში ღირსეულები არ უდგანან და არ ეხმარებიან".

*აკაკი წერეთელი*



**ბატონო ბიძინა! ხანგრძლივი განსჯისა და ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე ამ წერილის დაწერა. მჯერა, ყურადღებით მოეკიდებით და წაიკითხავთ უფროსი თაობის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, სურვილებსა და შენიშვნებს საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რადგან მეც მოკრძალებული წვლილი მაქვს შეტანილი „ქართული ოცნების" გამარჯვების საქმეში.**

როგორც ცნობილია, თქვენმა გამოჩენამ პოლიტიკურ ასპარეზზე (რაც მოულოდნელი იყო), ჩემშიც და მრავალ ხანშიშესულ ადამიანში, რომლებსაც მხრებზე გვაწევს შრომისგან დამძიმებული 7-8 ათეული წელი, საქართველოს მომავალზე უიმედო ფიქრით დაღლილებმა, სწრაფად აღვიქვით თქვენი ჩანაფიქრი; — გაგვიჩნდა იმედი საქართველოს გადარჩენის. თითოეულმა ჩვენგანმა, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, მხარდაჭერა გამოგიცხადეთ და ჩავებით თქვენთან ერთად უთანასწორო ბრძოლაში „ნაციონალური" მოძრაობის კრიმინალური ბანდის წინააღმდეგ. აღნიშნული უკომპრომისო ბრძოლის პირველი ეტაპი, თქვენი ხელმძღვანელობით, გამარჯვებით დამთავრდა, ასრულდა ქართველი ხალხის ოცნება — „კანიბალები" დამარცხდნენ. 2012 წლის 1 ოქტომბერი საქართველოს ისტორიაში სადღესასწაულო დღედ უნდა გამოცხადდეს.

**მაგრამ, ჩანს, ეს უკომპრომისო ბრძოლა საკმარისი არ აღმოჩნდა, ბრძოლა ისევ გრძელდება, ასი ყური და ასი თვალია საჭირო დამარცხებული „ნაციონალური" ბანდისთვის თვალ-ყურის სადევნებლად, ისინი „შეფუთული მეხუთე კოლონაა". ბობოხიძეები, თარგამაძეები, დარჩიაშვილები, წიკლაურები, თაქთაქიშვილები, ნადირაშვილები, გოგორიშვილები, ვაშაძეები, ბარამიძეები და მათი ხროვა „ქართული ოცნების" საკეთილდღეო საქმეს არ გააკეთებენ. „ნაციონალების" ნდობა შემოწმების გარეშე დაუშვებელია, რადგან მათი ლიდერი, ბოროტების „ეტალონი" მიხეილ სააკაშვილი ისევ ინარჩუნებს პრეზიდენტის თანამდებობას. ეს კაცი როდის რას მოიმოქმედებს, ძნელი წარმოსადგენია.**

ვერც თქვენ გარშემო ვხედავ, **ბატონო ბიძინა,** ჯანსაღ სიტუაციას. **მოულოდნელი და შოკისმომგვრელი იყო თქვენი განცხადება, — „ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წავალო". მთავრობის მეთაურის ასეთი განცხადება ასეთ მძიმე პერიოდში, პირდაპირ უნდა გითხრათ, ქვეყნისა და ხალხის ღალატის ტოლფასია. ჩვენ საპარლამენტო არჩევნებში ხმა თქვენ მოგეცით და არა კოალიციის რომელიმე ლიდერს. ის დიდი სიხარული, რომელიც საპარლამენტო არჩევნებმა მოუტანა ქართველ ხალხს, თქვენ გეკუთვნით და დამსახურებულადაც.** შემდეგში ასეთი განცხადება, მამაშვილურად გთხოვთ, გულში არ გაივლოთ (მოსვლა თქვენი სურვილი იყო, წასვლა კი ჩვენს სურვილზე იქნება დამოკიდებული). თქვენ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დარჩებით მანამ, სანამ ქართველი გლეხი, მუშა და ინტელიგენტი ცხოვრების ნორმალურ პირობებს არ შეიქმნის, რაც ჩადებულია „ქართული ოცნების" სამომავლო პროგრამაში. იმისათვის, რომ ეს სინამდვილედ იქცეს, საჭიროა ძლიერი სამთავრობო გუნდი, რომელიც დღეს არ არსებობს. წინ „დიდგორის ომზე" არანაკლები ბრძოლა გველოდება. პირველი დიდგორის ომი მოვიგეთ, ახლა მეორე „დიდგორის ომი" გვაქვს მოსაგები. სარდალი თქვენ ბრძანდებით, გფარავდეთ ღმერთი!

**ბატონო ბიძინა!** დალაგებულ სახელმწიფოში პრეზიდენტის არჩევნები ისე შეიძლება გაიმართოს, რომ მოსახლეობაში დიდი პოლიტიკური მღელვარება არ გამოიწვიოს, მაგრამ დღევანდელ პირობებში ეს გამორიცხულია, რადგან სახელმწიფო სტრუქტურები ჩამოშლილია და თავის მოვალეობას ნახევრადაც ვერ ასრულებს; სასამართლო სისტემაში არჩევნები ჩავატარეთ, მაგრამ, რაც მივიღეთ, თქვენც კარგად იცით და საზოგადოებამაც — კუბლაშვილის კანტორა ისევ ბობოქრობს; ტერიტორიები დაკარგულია, მეზობელ ქვეყნებთან საზღვრები მორღვეულია, ურთიერთობა დაულაგებელია; განათლება და მეცნიერება განადგურებულია; მოსახლეობის 70% სიღარიბის ზღვარზეა და შიმშილობს; პენსიონერები მთლად უყურადღებოდ არიან დატოვებულნი (125 ლარად რომელი თქვენი ჩინოვნიკი ცხოვრობს?! აქვე გეტყვით: ჩემი, როგორც პენსიონერის, ოცნება არ ასრულებულა — ისევ ტყუილების გუდაში ვართ გახვეულნი); ელიტარულმა კორუფციამ კულმინაციას მიაღწია; ყოფილი დამნაშავე მთავრობის მიერ საქართველოს ტერიტორია საომარი იარაღის სამალავად არის ქცეული...

ყოველივე ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ **სახელმწიფო უმძიმეს მდგომარეობაშია. დამნაშავე ყოფილი მთავრობა უკონტროლოდ დათარეშობს საქართველოს ტერიტორიაზე, ტელეეკრანიდან და საპარლამენტო ტრიბუნიდან ჭკუას გვარიგებს. ეს შედეგია იმ დემოკრატობანას თამაშისა, რომელსაც დღევანდელი მოქმედი მთავრობა აწარმოებს.**

გადარჩენის შანსი ძალიან მცირეა, თუ ამ მცირე შანსსაც ხელიდან გაუშვებთ, ძნელი წარმოსადგენია, რა მოხდება შემდეგ. უნდა ვიცოდეთ, ასეთ პირობებში (როდესაც ორხელისუფლებიანობაა) მართველი ძალა დემოკრატიას დროებით ზღუდავს. ასეთ პირობებში დემოკრატიის პოსტულატებით ლაპარაკი, რბილად რომ ვთქვათ, სახელმწიფო მართვის თეორიის უცოდინარობის ტოლფასია. სიტყვა „დემოკრატიას" საერთოდ სახელმწიფო მართველობის სისტემაში მსოფლიო მასშტაბით ხმარობენ, მაგრამ რამდენად შესრულებადია იგი, ანალიზის გაკეთება შეუძლებელია. დიდი ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი ჟან ჟაკ რუსო წერდა: **„თუ განვიხილავთ ტერმინ „დემოკრატიას" თავისი ზუსტი მნიშვნელობით, უნდა ითქვას, რომ ნამდვილი დემოკრატიული მმართველობა არასდროს ყოფილა და, ალბათ, მომავალშიც არ იქნება".** ასეთივე შეხედულების იყო „დემოკრატიაზე" უინსტონ ჩერჩილიც.

**დღეს საქართველო დგას მეტად საპასუხისმგებლო არჩევანის წინაშე — ვის აირჩევს პრეზიდენტად, რომელიც გარანტი იქნება დაკარგული ტერიტორიების აღდგენის, მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის და მორღვეული საზღვრების განმტკიცების.**

**დღეისათვის დასახელებული საპრეზიდენტო კანდიდატებიდან არც ერთი ამის გამკეთებელი არ არის.**

ჩემი აზრით, მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა იყოს შეუბღალავი ავტორიტეტის მქონე და ქრისტიანული სინდიდის მატარებელი, უნდა ფლობდეს პოლიტიკურ და პოლიტოლოგიის საფუძვლებს, საკუთარი ხედვები უნდა ჰქონდეს მსოფლიო პოლიტიკურ მდგომარეობაზე, უნდა შეეძლოს ლოგიკურად გამართული საუბარი და კამათი, ასევე მოსაუბრის მოსმენის უნარი. ყოველივე ეს და მრავალი სხვა საპრეზიდენტო კანდიდატს იმიტომ მოეთხოვება, რომ არჩევის შემდეგ იგი მოიაზრება ერის სიმბოლოდ, რაც უდიდესი პასუხისმგელობის მატარებელია.

თუ ამას არ მოვთხოვთ საპრეზიდენტო კანდიდატს, მივიღებთ ისევ იმას, რაც მივიღეთ 2003 წლის ნოემბერში.

**მე, როგორც ჩემი ქვეყნის პატრიოტი და რიგითი ქართველი, საპრეზიდენტო კანდიდატად მოვიაზრებ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, დაბადებულს 1958 წელს ქალაქ ოჩამჩირეში. მას დამთავრებული აქვს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი, ფლობს რამდენიმე უცხო ენას, არის პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოციალურ და ეროვნულ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ნიუ იორკის აკადემიის წევრი, რუსეთის ფედერაციის სოციალური და ჰუმანიტარული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება „ერთობის" თანათავმჯდომარე, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" თავმჯდომარე; გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო დონეზე შესრულებული სტატიები და ინტერვიუები. არის წიგნის ავტორი — „რამ დაგვღუპა... რა გადაგვარჩენს" (პირველი ტომი), რომელშიც განხილულია საქართველოში არსებული უახლოესი პერიოდის მოვლენები. ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას უდიდესი რესურსი გააჩნია რუსეთთან ურთიერთობის დალაგების საქმეში. მისთვის აფხაზეთის პრობლემების მოგვარება მოვალეობაც არის და სურვილიც. თუ ბატონი ალექსანდრე საქართველოს პრეზიდენტი გახდება, ის იქნება ქვეყნის გადარჩენისა და გაერთიანების გარანტი. ამით თქვენ, ბატონო ბიძინა, მთლიანად განთავისუფლდებით პოლიტიკური დატვირთვისგან, შეძლებთ, ორივემ ჰარმონიულად მართოთ ქვეყანა, რომელსაც, რამდენიმე ათეული წელია, ნგრევის მეტი არაფერი განუცდია.**

ბატონი ალექსანდრე ჭაჭია ქართულ სახელმწიფოს განიხილავს, **„როგორც ქართველი ერის თვითგამორკვევის ფორმას, როგორც ინსტრუმენტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აქ მცხოვრები ხალხის განვითარება და კეთილდღეობა". „მე ქართული სახელმწიფოებრიობა, ქართველი ერის გადარჩენა-განვითარებისთვის მჭირდება"** (ა. ჭაჭია, „რამ დაგვღუპა... რა გადაგვარჩენს" გვ. 177. ტ. I. თბილისი 2002წ.). ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა „ელიტარულ ინტელიგენციას", რომელმაც თავისი მლიქვნელური ქმედებით ხელი შეუწყო მიხეილ სააკაშვილს და მის კრიმინალურ ბანდას, 9 წელიწადის განმავლობაში დაენგრიათ ჩვენი და ჩვენი უფროსი თაობის დაუღალავი შრომით ნაშენები ქვეყანა. **„რას აკეთებდით თქვენ ამ ტრაგიკულ დროს, სადაა ხალხისადმი მიმართული თქვენი სიტყვა, სადაა ხელისუფლებისადმი გამოხატული პროტესტი, სად არის კონსტრუქციული წინადადებები? რატომ დუმხართ მაშინ, როდესაც ტელევიზია სისტემატურად და უსირცხვილოდ რყვნის ახალგაზრდობას დაბალხარისხიანი კინოპროდუქციით. ...დასცინიან და ანადგურებენ ქართველი ხალხის საუკუნოვან ეროვნულ ტრადიციებს, ...რით ხართ დაკავებულნი? წიგნებს წერთ? ვის სჭირდება თქვენი წიგნები, თუ მალე „ვეფხისტყაოსანის" მკითხველიც კი აღარ იქნება საქართველოში?"** (დასახ. წიგნი გვ. 99)

**ბატონო ბიძინა!** თქვენ მიერ დასახელებულ საპრეზიდენტო კანდიდატთან (გ. მარგველაშვილზე) პიროვნულად არავითარი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ პირდაპირ უნდა გითხრათ: არც განათლების მინისტრის თანამდებობაზე და არც საპრეზიდენტო კანდიდატად არ მომწონს და რატომ: მე უფრო მაღალი რანგის მინისტრები მახსოვს განათლებაში — ვიქტორ კუპრაძე, გრიგოლ ჯიბლაძე და სხვები და ასევე უნივერსიტეტის რექტორები: ნიკო კეცხოველი, ილია ვეკუა. ვერ ვურიგდები იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოსთვის ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო (განათლების მინისტრის) თანამდებობებზე ინიშნებიან შეუფერებელი პიროვნებები, ასევე სახელდება საპრეზიდენტო კანდიდატები, ეს მიუღებელია.

**ჩვენ მოსაგვარებელი გვაქვს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი უხუცესთა საბჭოს აკისრია. უნდა ვიცოდეთ, რომ უხუცესთა საბჭოს წევრები ქალებთან სასაუბროდ არ დაჯდებიან. დავუშვათ და ქალი გახდა პრეზიდენტი, ხუთი წელიწადი აფხაზეთის საკითხი დაკონსერვებული უნდა იყოს?! წარმოუდგენელია! ამიტომ ესეც გასათვალისწინებელია. „ასჯერ გავზომოთ და ერთხელ გავჭრათ", ერთხელ მაინც მოვუსმინოთ ჩვენს ბრძენ წინაპრებს, ნუ გავხდით საქართველოს საცდელ პოლიგონად, ხელს ნუ ვკრავთ გამოცდილ პიროვნებებს.**

დღეს საქართველოს ესაჭიროება ისეთი პრეზიდენტი, რომელიც საქართველოს პატრიოტია, ახლოს იცნობს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, ფართო კავშირები აქვს რუსეთთან და კარგად იცნობს მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეს, არის ღრმა მოაზროვნე პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი. ამ მხრივ საუკეთესო კანდიდატია ბატონი ალექსანდრე ჭაჭია. ამიტომ სურვილი მაქვს, ის ვიხილო, ბატონო ბიძინა, თქვენ გვერდით პრეზიდენტის რანგში. ეს იქნება საქართველოს გადარჩენის ერთადერთი შანსი.

**ლეონტი ბიწაძე,**
**ინჟინერ-ეკონომისტი**

**ვიაზროვნოთ გეოპოლიტიკურად, დავაღწიოთ თავი გეოპოლიტიკურ სიბრმავეს, ანუ აშშ-ნატოს მონებას, შევცვალოთ საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელმაც დღემდე მხოლოდ უბედურებათა სერიალები მოგვიტანა; ავიღოთ გეზი სამხედრო ნეიტრალიტეტზე; რუსეთთან კეთილმეზობლობაზე; პრეზიდენტად ჭეშმარიტი მამულიშვილი, ქვეყნის პატრიოტი და ხალხის სოციალური სიდუხჭირის დაძლევაზე ორიენტირებული ძლიერი პიროვნება ავირჩიოთ!**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გეოპოლიტიკურად ბრმა პრეზიდენტად არ ავირჩიოთ!

**ამ სტრიქონების ავტორი, 84-ე წელში გადამდგარი ისტორიკოს-პოლიტოლოგი, უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობის 58-წლიანი უწყვეტი სტაჟით, თავს უფლებას აძლევს, ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მოკრძალებული რჩევითა და სურვილებით მიმართოს ამომრჩევლებს, მთელ ხალხს:**



**თითქმის 25 წელია, გეოპოლიტიკურად დაბრმავებულები მოვაბიჯებთ, რამაც თავს დაგვატეხა ტრაგედიათა სერიალები. გეოპოლიტიკური სიბრმავე კიბოს დაავადებად ექცა ჩვენს ხელისუფალთ და, სამწუხაროდ, მათ მიერ გაბრიყვებულ და მოტყუებულ ხალხის დიდ ნაწილს.**

სამწუხაროდ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, უფრო სწორად, გარედან ზემოქმედების გამო, საქართველოს ხელისუფალთ ისეთი მეცნიერული კონცეფცია, რომელიც ცნობილი იქნებოდა მთელი მოსახლეობისთვის, დღემდე არ გააჩნიათ; არადა, **საქართველოს უაღრესად შესაშური გეოსივრცე უკავია შესანიშნავი ბუნებრივ-გეოგრაფიული სიკეთით; იგი ევრაზიის ყელ-კისერია; მისი მეცნიერული, გეოპოლიტიკური მართვით ქვეყანას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს საკუთარ მოსახლეობას და პირიქით — ანტიგეოპოლიტიკამ, ანუ გეოპოლიტიკურმა სიბრმავემ შეიძლება ტრაგედიათა სერიალები მოგვიტანოს, როგორც ეს, საუბედუროდ, ჩვენს ბედკრულ საქართველოს დაემართა.**

მაშ, რაში გამოიხატება საქართველოს ხელისუფალთა და მათი მოტყუებული ხალხის გეოპოლიტიკური სიბრმავე?

**გეოპოლიტიკური სიბრმავეა,** როცა ანგარიშს არ უწევ ობიექტურად ჩამოყალიბებულ ჭეშმარიტებას, რომ საქართველო სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიულ სივრცეშია და ისე მოქმედებ, ისეთ საგარეოპოლიტიკურ ორიენტაციას ირჩევ, თითქოს ესპანეთ-საფრანგეთის საზღვრებთან ვიყოთ ან სულაც კარიბის ზღვაში, აშშ-ის მეზობლად;

**გეოპოლიტიკური სიბრმავეა** იმის არდანახვა, რომ მეზობლად გვყავს აშშ-ნატოზე დაპირისპირებული დიდი ქვეყანა — რუსეთი, ასევე ირანი, აზერბაიჯანი და სომხეთი; მათ კარგად შეიმეცნეს თავიანთი გეოგრაფიული სივრცე, როგორც ნატოსადმი შეუთავსებადი.

**გეოპოლიტიკური სიბრმავეა** ისტორიული მემკვიდრეობა-მეხსიერების ხელაღებით დავიწყება, აბუჩად აგდება და არნახული უმადურობა რუსეთისა და მისი ხალხის მისამართით;

**გეოპოლიტიკური სიბრმავეა** 1989 წლის მარტი-აპრილის დღეებში წამოწყებული „ცივი ომი“ რუსეთისა და რუსი ხალხის წინააღმდეგ. ცნობილი ლოზუნგებით — „რუსო ოკუპანტო“, „რუსო წაეთრიე“, „რუსო ბროდიაგა“ და მისთანებით ვერაგული დოქტრინის ამერიკელი ავტორი დალესი საფლავში გავახარეთ.

**უდიდესი გეოპოლიტიკური სიბრმავეა სააკაშვილის მიერ წამოწყებული 2008 წლის აგვისტოს ავანტიურა, რომელიც შავ ლაქად და უბედურებად დარჩება ორი მართლმადიდებელი ერის ცხოვრებაში.**

**გეოპოლიტიკური სიბრმავეა** „ნატო მინდას“ შეუწყვეტელი რიტორიკა და ამით რუსეთის მუდმივი გაღიზიანება, რომელიც გულს უხარებს აშშ-ს და მტრულ ფსიქოლოგიას აბეტონებს რუსი ხალხის ცნობიერებაში. შემთხვევითი არაა, რომ რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად, ჯერ კიდევ 2007 წელს ყოფილ საბჭოთა ხალხებს შორის ყველაზე დიდ მტრად ესტონელების შემდეგ რუსებმა ქართველები მიიჩნიეს (იხ. გაზ. „კომსომოლსკაია პრავდა“, 8-14 ივნისი, 2007 წ.).

**გეოპოლიტიკური სიბრმავეა,** სიბრიყვე და თავის მოტყუება იმისი განცხადება, რომ ნატოშიც შევალთ, რუსეთთანაც დავალაგებთ ურთიერთობებს და ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ; ეს სხვა არაფერია, თუ არა ფართო საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა.

**გეოპოლიტიკური სიბრმავეა,** როცა ვერ ხედავ უშუალო მეზობლები — სომხეთი და აზერბაიჯანი გეოპოლიტიკურად არ დაბრმავებულან და უარს ამბობენ ნატოში გაერთიანებაზე.

**გეოპოლიტიკური სიბრმავეა,** როცა ქართველი ხელისუფალნი ვერ ხედავენ იმ რეალობას, რომ საკუთრივ საქართველოში მცხოვრები აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, სხვა ეთნიკური ჯგუფები მასობრივად ეწინააღმდეგებიან ქვეყნის ნატოში გაერთიანებას. სამცხე-ჯავახეთის სომხური მოსახლეობის ერთ-ერთმა თავკაცმა აგასი არაბიანმა განაცხადა კიდეც: თუ საქართველო მაინც გაერთიანდება ნატოში, ჩვენ დავიწყებთ მოძრაობას საქართველოდან გამოსაყოფადო. (იხ. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2012, №13, გვ. 11).

**გეოპოლიტიკური სიბრმავეა,** როცა დაჟინებით გავიძახით, — ევროპელები ვართო, აზიელობას კი ვიწუნებთ; არადა, ევროპის ხსენებაც არ იყო აზიურ ბაბილონში, ქრისტეს შობამდე 17 საუკუნით ადრე, ჰამურაბის ცნობილი კანონები რომ დაიწერა.

**გეოპოლიტიკური სიბრმავეა,** როცა მ. სააკაშვილს, ი. ალასანიას, გ. ბარამიძეს, დ. ბაქრაძეს, სხვებს და სხვებს ნატო პირმშვენიერი მზეთუნახავი ჰგონიათ და თავდავიწყებით ეტრფიან მას. **სინამდვილეში ნატო აშშ-ის იარაღია მსოფლიოში ახალი წესრიგის დასამყარებლად, სისხლის მნთხეველი ჯალათი და ავაზაკია; გავიხსენოთ მისი „საქმენი საგმირონი“ ერაყში, იუგოსლავიაში, ლიბიაში, ავღანეთში და ა. შ.**

**გეოპოლიტიკური სიბრმავეა** საკაშვილის განუწყვეტელი ანტირუსული ისტერიკები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ გამოსვლებისას; ასეთი გზით მივაღწევთ ქვეყნის გამთლიანებას?

**გეოპოლიტიკური სიბრმავეა** იმისი არდანახვა, რომ საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების ერთადერთი გასაღები მხოლოდ მოსკოვშია; ეს ჭეშმარიტება ჯერ კიდევ 18 წლის წინ დაბეჯითებით გვამცნო ამერიკელმა გენერალმა ჯონ-მალხაზ შალიკაშვილმა, რაც მას ქართულმა გენმა ათქმევინა. ამას გეიტსები, მაკ-კეინები და მისთანები არასოდეს გვეტყვიან.

**რა შედეგები მოგვიტანა გეოპოლიტიკურმა სიბრმავემ?**

უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და დამატებით 130 სოფლის დაკარგვა; მავთულხლართების მოახლოება ქ. გორთან.

გეოპოლიტიკური სიბრმავის გამოძახილია ასიათასობით დევნილ-ლტოლვილი; მათი ტრაგიკული ბიოგრაფიები, მილიონზე მეტი საზღვარგარეთ გადახვეწილი, ათიათასობით თანამემამულის ბრმადშეწირული სიცოცხლე, ქართული საზოგადოების მრავალმხრივი გადაგვარება, უმუშევრობა, სილატაკე და სხვა უბედურება, რომელთა ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს.

ჩვენმა გეოპოლიტიკურმა სიბრმავემ მიგვიყვანა იმ უბედურებამდე, რომ დღეს საქართველო ვაშინგტონიდან, სტრასბურგიდან, ბრიუსელიდან იმართება და არა თბილის-ქუთაისიდან; ქვეყანა ტიპიურ ნეოკოლონიად გვიქციეს; აშშ-ის ელჩი რ. ნორლანდი შეთავსებით მისი გენერალ-გუბერნატორია; დღითიდღე უფრო მეტად ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში.

**ჩვენი გეოპოლიტიკური სიბრმავის უშუალო გამოძახილია სააკაშვილის მიერ დიდი სამამულო ომის რელიქვიების ნგრევა, ქუთაისში მემორიალის ბარბაროსული აფეთქება, რასაც დედა-შვილის სიცოცხლეც შეეწირა; პლანეტარული სიდიადის პიროვნების — ი. სტალინის ძეგლების აღება და ა.შ. ყველაფერი ეს გარედან ჰქონდა დაკვეთილი, სანაცვლოდ სააკაშვილმა მილიონები მიიღო.**

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფალთა გეოპოლიტიკური სიბრმავე კვლავაც გრძელდება; თავი ვერ დაგვიღწევია აშშ-ნატოს მარწუხებისგან; მეტიც, ნატოს ხელმძღვანელობა დაგვცინის კიდეც. **„ვინ გითხრათ ავღანეთის ოპერაციებში მონაწილეობის სანაცვლოდ ნატოში მიგიღებთო?“** — მოგვახალა რასმუსენმა.

**ჩვენი გეოპოლიტიკური სიბრმავის ზენიტია ამერიკისადმი მსახურება ავღანეთში, თანაც უკიდურესად იაფფასიანი საზარბაზნე-სანაღმე ხორცის სახით; ბოლო უნდა მოეღოს ქართველი ერისათვის ამ მეტად სამარცხვინო ტრაგედიას.**

დიახ, უმძიმეს პირობებში ვცხოვრობთ; საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს თავი უნდა დავაღწიოთ გეოპოლიტიკურ სიბრმავეს. ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა დავინახოთ, ამ ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე რა მივიღეთ ამერიკა-დასავლეთიდან წყეული ნატოსკენ ქაჩვით? **ხელისუფალნო!**

რამ დაგიკარგათ აზროვნების უნარი? ამერიკულმა დოლარებმა? ხალხი, სამშობლო არ გეცოდებათ? სულ ერთიანად დაკარგეთ სინდისი, ნამუსი, პატიოსნება, თავდადება და პატრიოტიზმი?

აღნიშნულ პირობებში, ბუნებრივია, გეოპოლიტიკურად ბრმა და აშშ-ნატოს მოთაყვანე პიროვნება პრეზიდენტად არ უნდა ავირჩიოთ. **ხალხს, ამომრჩევლებს ვთხოვ, პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს დაუსვან საკითხი: ემხრობა თუ ეწინააღმდეგება საქართველოს ნატოში გაერთიანებას.**

რამდენადაც საქართველო კანონის, დისციპლინისა და წესრიგისადმი კვლავაც ურჩობით გამოირჩევა, ამიტომ მას ფართო უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტი ესაჭიროება — მკაცრი, მაგრამ უაღრესად სამართლიანი, თანამედროვე დავით აღმაშენებელი; უხეში შედარება რომ გავაკეთო — იგი კავკასიურ ნაგაზს უნდა მოგვაგონებდეს და არა მოლაქუცე, მოწკავწკავე ფინიას.

უნდა ვირწმუნოთ, რომ ხალხი პრეზიდენტად არ აირჩევს ისეთ კაცს, რომელსაც საკუთარი მე არ გააჩნია და სხვის ჩრდილქვეშაა; დასანანია, რომ ერთ-ერთი ასეთი პიროვნება ასარჩევად უკვე წამოყენებულია.

**ხმა უნდა მივცეთ პრეზიდენტობის იმ კანდიდატს, რომელიც არა სიტყვიერად, არამედ საქმით შეუდგება რუსეთთან კეთილმეზობლობის აღდგენას; სწრაფად განაახლებს თბილისი-მოსკოვის, წყალტუბო-მოსკოვის, ერევანი-თბილისი-მოსკოვის ადრინდელ სარკინიგზო მიმოსვლას, რომელსაც უაღრესად მრავალმხრივი ეკონომიკური, პოლიტიკური, სულიერ-კულტურული და ა.შ. დატვირთვა მიეცემა, გეოპოლიტიკური სიბრმავიდან გამოსვლის პირველი მძლავრი შუქურა იქნება. სწორედ ამიტომ ამ დიდ საქმეს აშშ გააფთრებით ეწინააღმდეგება, რამეთუ იგი გაალღობს რუსეთ-საქართველოს ცივი ომის ყინულს, ხელს შეუწყობს ხალხებს შორის საქმიან ურთიერთობებს, ტერიტორიული გამთლიანების მოგვარებას; ეს კი აშშ-ის ინტერესებში არა და არ შედის.**

**ხმა მივცეთ პრეზიდენტობის იმ კანდიდატს, რომელიც გადაჭრით მოითხოვს, კონსტიტუციაში ჩაიწეროს: „საქართველო ნატოში ან სხვა რომელიმე სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში არ გაერთიანდება“.**

ინტელექტუალები და თვით ჩვეულებრივი ადამიანებიც კარგად ხედავენ, ვინ შეიძლება იყოს პრეზიდენტობის ღირსეული კანდიდატი. უკვე დაასახელეს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ასეთი პიროვნება — პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რიგი სამეცნიერო აკადემიების წევრი, მრავალმხრივ ერუდირებული და ქვეყნის მოჭირნახულე პატრიოტი, ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია.**

მის თითქმის ყველა პუბლიკაციას და ცალკე წიგნებად გამოცემულ მასალებს ვიცნობ. ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მისმა ვრცელმა ინტერვიუმ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“. მის საუბარში მათემატიკური სიზუსტითაა გამოხატული დღევანდელი საქართველოს ჭირ-ვარამთა მიზეზები და გასაჭირიდან თავის დაღწევის გზები და საშუალებანი. **პრესის ფურცლებზე მრავლად ქვეყნდება მკითხველთა სურვილები, რომ ბატონმა ალექსანდრემ კენჭი პრეზიდენტობაზე იყაროს. ამ სურვილებს მეც ვუერთდები.**

მინდა, მკითხველთა ფართო მასას ვურჩიო: პატივცემულო თანამემამულენო, ყოველთვის ყურადღებით იკითხეთ საკუთარი ორიგინალობით, ღრმა ინტელექტუალური და ანალიტიკური მასალებით გამორჩეული, პოლიტიკის ლოგიკის ერთეული, დიდებული გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. იგი მყარად დგას ისტორიული სიმართლის, ობიექტური ჭეშმარიტების, გეოპოლიტიკური სიბრმავიდან ქვეყნის გამოყვანის პოზიციებზე. 32-გვერდიანი გაზეთის თითოეული ნომერი 128-გვერდიან წიგნს უტოლდება. მე, ხანდაზმული კაცი, „საქართველო და მსოფლიოს“ შეძენა-კითხვას სიკვდილამდე გავაგრძელებ; იგი ჩემთვის უდიდესი სულიერი საზრდოა.

მაშ, ვიაზროვნოთ გეოპოლიტიკურად, დავაღწიოთ თავი გეოპოლიტიკურ სიბრმავეს, ანუ აშშ-ნატოს მონობას, შევცვალოთ საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელმაც დღემდე მხოლოდ უბედურებათა სერიალები მოგვიტანა; ავიღოთ გეზი სამხედრო ნეიტრალიტეტზე; რუსეთთან კეთილმეზობლობაზე; პრეზიდენტად ჭეშმარიტი მამულიშვილი, ქვეყნის პატრიოტი და ხალხის სოციალური სიდუხჭირის დაძლევაზე ორიენტირებული ძლიერი პიროვნება ავირჩიოთ!

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი**
**ქუთაისიდან**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლით ერისა და ქვეყნისთვის თავდადებულ მამულიშვილთა დევნის გრძელვადიანი პროცესი დამთავრდა. დგება დრო ალექსანდრე ჭაჭიასა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გაჯერებული ყველა ღირსეული ერისკაცის ნათელი გონების, მძლავრი შემოქმედებითი ენერგიის გამოსაყენებლად საქართველოს გამთლიანებისა და აყვავებისთვის.**



# ბრძნულ რჩევას გონიერი მსმენელი სჭირდება

**საქართველოს ძარცვის, ქართველი ერის დამცირებისა და დაბეჩავების კოშმარი მთავრდება, მაგრამ აღარაფერი დაგვიტოვეს, რაც საშუალებას მოგვცემდა, დროულად წამოვმდგარიყავით ფეხზე.**

**წინასწარმეტყველის რჩევასავით ახდა ალექსანდრე ჭაჭიას გაფრთხილება, როცა სავალუტო ფონდი ჩიტი ჩიორას ბარტყებივით ითხოვდა ჩვენი საწარმოების გაყიდვას, აღარაფერი რომ აღარ დაგვრჩება, ბოლოს მიწების გაყიდვას მოითხოვენო. მიწების გაყიდვითა და საერთოდ ქვეყნის ღალატთან წილნაყარი ერთგულებით „ნაციონალებმა“ დასავლეთელი მფარველები გადარიეს და ისინიც ჯაჭვიდან ახსნილი ქოფაკებივით იცავენ საქართველოს მოღალატეთ.** სწორედ ეს „ნაციონალთა“ დასავლეთელი ლობისტები დემოკრატიის სახელით გეგმაზომიერად გვიბიძგებენ სექსუალური გარყვნილებით და უსირცხვილობით ადამიანური ცხოვრებიდან გამაიმუნებულ იდიოტებად გადაქცევისაკენ.

**„სტრატეგიულ პარტნიორებად“ მონათლულ მეგობრებს სურდათ, საქართველო ექციათ ამგვარი იდეოლოგიის სანაგვედ, სადაც „ნაციონალთა“, საქართველოს დამაქცევარი სამარცხვინო ხელისუფალთა, მიერ ადამიანთა მოდგმის პარაზიტებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები შეიქმნა.**

იმაზე მასხარად აგდება რა უნდა იყოს ამაყი ქართველისთვის, როცა გეუბნებიან, პედერასტებისა და უამრავი ჯურის გარყვნილების აღლუმის მცდელობის დარბევის გამო ნატოში შესვლის პერსპექტივები საეჭვო გახდაო. ნატოში შესვლაზე გონებაჩლუნგი იდიოტის ისტერიული გადარევა „ნაციონალთა“ ცრუპენტელობის პროდუქტია. როგორც ჯანმრთელ ორგანიზმზე დასეული პარაზიტების სიმრავლე აძაბუნებს სხეულს, ისე შეუჩნდა ქართველ ერს პოლიტიკოსებად შეჩეჩებულ უძღებ არსებათა ქვეყნის დამაქცევარი თავხედობა.

ადრე ირანში ქართველი მეფეებისგან მუსლიმანური სარწმუნოების მიღებას მოითხოვდნენ, მეფედ აღიარების სანაცვლოდ. მათ არ უთხოვიათ, მთელი ხალხი მუსლიმანებად გადანათლეთ და აღლუმი მოაწყვეთო.

**დღეს ჩვენს ფსევდოდამოუკიდებელ საქართველოში, სადაც ყველას და ყველაფერს ამერიკელთა საცეცების კვალი ატყვია, გვაიძულებენ, რომ ერისა და ქვეყნის მოღალატე „ნაციონალებთან“ კოაბიტაციურად ჩახუტებულებმა ვიარსებოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ დაქცეულმა, დარბეულმა და გაძარცულმა საქართველომ თავის საბოლოო მოსპობისკენ მიმავალი გზა გააგრძელოს.**

**დაგვაბეჩავეს, გაგვაღატაკეს, შეგვამცირეს და ახლა მოითხოვენ, პედერასტების აღლუმი ჩავატაროთ, — ზნედაცემულ და გარყვნილ ცხოვრებას ეზიარეთ და ჩვენთან მიგიღებთო. გადახედეთ ქართველთა მიერ გავლილ უაღრესად მძიმე ეკლიან გზას, დაცემაც გვქონია, დამპყრობის ბატონობაც, მაგრამ არასდროს არ უკადრებია ამგვარი ზნედაცემულობის შემოძალება, რასაც დღეს ამერიკელი და ევროპელი „პარტნიორები“ თავხედობენ. ახლა ამას ითხოვენ, ხვალ სამსახურს არ გაღირსებენ, თუ პედერასტი არა ხარ და ვინმესთან ერთსქესიან ქორწინებით არ იწონებ თავს.**

**ამხელა დამცირებით და შეურაცხყოფით ნატკენ გულზე კვლავ მალამოდ მოგვეცხება ალექსანდრე ჭაჭიას ბრძნული შეგონება და გაფრთხილება, რომ ეს საშინელი უზნეობა, გარყვნილება, სისხლის აღრევით გაპირუტყვება მოსპობამდე მიიყვანს ქართველ ერს.**

დღეს პოლიტიკოსობა ბევრს თავისი კეთილდღეობის „მოსაპირკეთებლად“ და განებივრების მექანიზმად უქცევია, რაც ქართველ ერს მორიგ უბედურებად უჯდება. მოჩვენებითი ერისკაცობა კი მალე კარგავს ფერს, ბედნიერების კეთილსურნელოვანი ყვავილი რომ გგონია, სინამდვილეში საშინელ ნარის ეკლად დაეფინება ცხოვრების სასიკეთოდ მოწყობის იმედს.

**აფხაზეთში დაბადებული, ნიჭიერი, სალი და ნათელი აზროვნების ქართველი, ერის ბედნიერებისთვის თავდადებული საამაყო მამულიშვილი — ალექსანდრე ჭაჭია შევარდნაძის მოღვაწეობის პერიოდში წინასწარმეტყველურ რჩევებს იძლეოდა, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში დღეს საქართველო, ალბათ, განვითარებული, აყვავებული, ძლიერი და გამრავლებული ქვეყანა იქნებოდა.** მოხდა კი საპირისპირო — სიძულვილით, შურითა და ღვარძლით დაავადებულმა შევარდნაძემ შეიძულა ეს თითქოს განგებისგან მოვლენილი ბრძენკაცი და საქართველოს ხერხემალში გადატეხის მცდელობა სამეგრელოს ვანდალური დარბევით დაიწყო, ზედ აფხაზეთის ქართველობაც მიაყოლა, რამეთუ მის ორპირობას და მუხთლობას არ ეგუებოდნენ.

ეტყობა, უფალიც რაღაცაზე შემოგვწყრა, როცა ყველაზე მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე ქართველი ერის უბედურებად დაბადებული ეს არსება მეორედ მოსვლასავით მეორედ გვიქცია თავში საცემად.

**ახლაც ისმის ალექსანდრე ჭაჭიას ხმა, ეს ის ხმაა, რომელსაც ყველაზე უკეთ შეუძლია ჩვენი ძმების — აფხაზების და ოსების შემორიგებით საქართველოს გამთლიანება.**

თუ ადრე ზოგიერთს ეჭვი ეპარებოდა, დღეს ყველა ქართველმა იცის, რომ საქართველოს გაერთიანების, აღორძინების, აყვავებისა და სიძლიერის გზა რუსეთზე გადის.

ერთიანი, მთლიანი, ძლიერი და ყოველმხრივ განვითარებული ერთმორწმუნე საქართველო რუსეთს უფრო აძლევს ხელს, ვიდრე იმ ვაიპოლიტიკოსებს, რომლებსაც თავიანთი ცოდვილი თავი დასავლეთის გოშიად ყოფნისთვის გაუწირიათ.

საბჭოთა კავშირი ვერ დაიშლებოდა თუ არა რუსეთის ძალისხმევა და თავის ცხიმიან ცურზე ბატკნებივით მოკიდებული რესპუბლიკების მოშორება. რომელი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას შეუქმნა საფრთხე რუსეთმა?! ყირიმის ნახევარკუნძული, რომელიც რუსეთმა წაართვა ყირიმელ თათრებს და მისი ნაწილი იყო, ხრუშჩოვმა უკრაინას მიაჩუქა, მაგრამ რუსეთს ამაზე ხმა არ ამოუღია. ყაზახეთში რუსულენოვანი მოსახლეობის სიმრავლეა, მაგრამ რუსეთთან შეხმატკბილებულად და მეგობრულად ცხოვრობენ; ასევე არიან სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები, რომლის დამოუკიდებლობას შეუქმნა რუსეთმა საფრთხე?

საქართველოში უცხოეთის მიერ ჩათესილმა უმადურობამ რუსეთის ლანძღვა-გინებით დაიწყო ფსევდოდამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და აგერ, სახეზე გვაქვს დაკნინებულ-დაბეჩავებული, გაძარცული საქართველო.

**საშინელი დანაშაულობანი, რომლებიც „ნაციონალებმა“ ქართველი ერის წინაშე ჩაიდინეს, ყველა ჯურის მუხთალს დაამუნჯებდა. გაჩუმდებოდნენ, სადღაც ბნელ კუნჭულში მიიმალებოდნენ.**

**„ნაციონალები“ კი, მათი ევროატლანტიკური მფარველების ძალისმიერი მუქარით წაქეზებულნი, ისე აღვირაწყვეტილები აყაყანდნენ დემოკრატიისა და კანონიერების მოთხოვნით, თითქოს მათი ძალაუფლების ბობოქრობის დროს ეს ორივე გლდანის ციხის განუკითხაობაში არ ჰყოლოდეთ შეკეტილი.**

დასავლელი დემოკრატიის მამებს არ გახსენებიათ, კანონი და სამართალი რატომ გააფრთხეს „ნაციონალებმა“ საქართველოდან. აფერუმ „ნაციონალთა“ გაწყვეტილ ნამუსის ძარღვს! **გაჩუმება კი არა, კოაბიტაციით წაქეზებულები იმათ დასჯას ითხოვენ, ვინც მათი ბინძური საქმენი ესოდენ გამოამზეურეს.**

**ვლადიმერ ბედუკაძემ ისეთი მძლავრი დარტყმა მიაყენა სააკაშვილის სამარცხვინო, კაცთმოძულე რეჟიმს, რომ მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოების სირცხვილადქცეულ რეჟიმთა ავანგარდში მოექცნენ. ბედუკაძემ დიდი წვლილი შეიტანა გაპაპაჯორებული სააკაშვილის საშინელი შემოქმედებისგან საქართველოს ხსნაში.** თავი კამიკაძესავით გაწირა, როცა იმ საშინელებათა მასალების გამოქვეყნება გაბედა. ვერ მოასწრეს, ვეღარ შეძლეს მისი ფიზიკური განადგურება, თუმცა ცილისწამების კასკადი დაატეხეს თავს და მისი პასუხისგებიდან განთავისუფლების გამო ისე გამწარდნენ, რომ მთავარი პროკურორის — არჩილ კბილაშვილის თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვეს. უფრო სასაცილო მაინც ბუტაფორიადქცეული პრეზიდენტი სააკაშვილის გააფთრება იყო კბილაშვილის გადაყენების მოთხოვნით. ალბათ, მერე მის ადგილზე პალიკო კუბლაშვილის დანიშვნას მოითხოვდა წარსული ძალადობის ნოსტალგიაშეპყრობილი. მერე გვენახა კუბლაშვილების დუეტის შეხმატკბილება „ნაციონალთა“ ღვარძლით გაპოხილ ორკესტრში.

**არჩილ კბილაშვილმა ამ მართალი, პრინციპული და შეუპოვარი გადაწყვეტილებით ქართველი ერის მადლობა დაიმსახურა, რის გამოც „ნაციონალები“ გააფთრებისგან ლამის საკუთარი ტყავიდან გამოძვრნენ, რომელიც ისე დასვარეს, რომ ხალხში აღარ გამოესვლებათ.**

საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ არჩილ კბილაშვილს შევახსენებ, რომ წმინდა გიორგის მიერ გველეშაპის დამარცხების დონედ ჩაეთვლება, როცა უამრავი ღალატის, დანაშაულისა და სიბინძურის ავტორს, ქართველი ერის ჭირად დაბადებულ მიხეილ სააკაშვილს, დააპატიმრებს და მთელ მსოფლიოს დაანახებს, რომ ერის მოღალატესა და ქვეყნის დამაქცევარს ვერავითარი უცხოტომელი ლობისტების გნიასი და კოაბიტაციის ჯადოქრობა ვერ უშველის. ჯერჯერობით კი დაწანწალებს მსოფლიოში და თავის მსგავსებთან ჭორაობით საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ტალახს ესვრის, რომლითაც ისევ თვითონ ისვრება.

ქართველი ხალხი ნათლად ხედავს „ნაციონალების“ მიერ ყველა სასიკეთო ღონისძიების ჩასაშლელად დაგებულ მახეს. თუ რომელიმე „ნაციონალმა“ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების ღრმა შეგნებით პროტესტის ნიშნად მათი პარტია დატოვა, გაკოტრებული ავისმქმნელი „ნაციონალები“ ამას „ქართული ოცნებიდან“ ზეწოლად ნათლავენ. არადა, **„ქართული ოცნების“ კოაბიტაციისადმი მორჩილებას უნდა უმადლოდნენ, რომ ხალხმა მათი ბუმბული დღემდე ქარს არ გაატანა, რადგან ხელისუფლებისგან ელოდება ყველა დამნაშავის დამსახურებულად დასჯას, თორემ იმასაც ვერ შეგუებია, რომ, „ნაციონალთა“ მიერ გაყალბებული არჩევნების წყალობით, ახლა პარლამენტში რომ სხედან და წყალს ამღვრევენ.** ამიტომ **აუცილებელია, ნამდვილი, ყოველგვარი ნაცისტური მაქინაციებისგან თავისუფალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, რათა ქვეყანამ ერთხელ და სამუდამოდ დაისვენოს ამ თვალთმაქცთა თავხედობისგან.**

ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლით ერისა და ქვეყნისთვის თავდადებულ მამულიშვილთა დევნის გრძელვადიანი პროცესი დამთავრდა. დგება დრო ალექსანდრე ჭაჭიასა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გაჯერებული ყველა ღირსეული ერისკაცის ნათელი გონების, მძლავრი შემოქმედებითი ენერგიის გამოსაყენებლად საქართველოს გამთლიანებისა და აყვავებისთვის.

**გივი სომხიშვილი**,
მწერალი



მოკლედ

## თურქეთში მცხოვრები აფხაზები აფხაზეთთან სატრანსპორტო ემბარგოს მოხსნას მოითხოვენ

**თურქეთში მცხოვრები აფხაზები თურქეთის ხელისუფლებას პეტიციით მიმართავენ და აფხაზეთთან სატრანსპორტო ემბარგოს დაუყონებლივ მოხსნას მოითხოვენ.**

როგორც თურქეთის პრემიერ-მინისტრის, რეჯეფ თაიფ ერდოღანისა და თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი თურქეთში მცხოვრები აფხაზების მიმართვაშია ნათქვამი, „საქართველო შავი ზღვის საერთაშორისო წყლებში თურქულ სავაჭრო გემებზე, მუქარით და ძალის გამოყენებით მეკობრეობას აგრძელებს“.

**„უფრო მეტიც, ამ ქმედებების თურქეთის რესპუბლიკის მიერ ნაჩუქარი შემტევი კატარღებით განხორციელება ამ საქმის ირონიული მხარეა“,** — აღნიშნულია პეტიციაში, რომელსაც თურქული მედია ავრცელებს.

მათივე თქმით, თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურად აფხაზებს აფხაზეთში ჩასვლა მესამე ქვეყნის გავლით უწევთ. მათივე თქმით, **მაშინ, როდესაც აფხაზეთსა და თურქეთს შორის პირდაპირ მიმოსვლის საშუალება არსებობს, თურქეთის მმართველების პოლიტიკური არჩევანის გამო სატრანსპორტო ემბარგოს დაწესებით, აფხაზური წარმომავლობის თურქეთის მოქალაქეები ისტორიულ სამშობლოში ჩასვლის საკითხებში ძალიან დიდ პრობლემებს აწყდებიან და ძალიან წუხდებიან.**

**ახალი ფრაქცია ამ თავის მოკავშირეებთან ერთად უმაღლეს საბჭოსა და მის მიერ დანიშნულ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს თითიდან გამოწოვილი მიზეზებით უპირისპირდება. ბ-ნ ვახტანგ ყოლბაიას თავისი დღევანდელი სტატუსით აღიარებს ქვეყნის მთავრობა, რაც ამას წინათ ბ-ნი ვახტანგის ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობითაც დადასტურდა...**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ნაციონალური ოცნების» უფროსის ვნებანი, ანუ სიცრუისა და უმეცრების ნაზავი

**ამ ბოლო დროს მურმან კვარაცხელიას საქმე ხელიდან რომ იყო წასული, ამას კი ვხედავდით, მაგრამ მის ე.წ. ინტერვიუში („საქართველო და მსოფლიო“, 10-16 ივლისი) გადმონთხეულმა ბოლმამ, ბრმა სიძულვილმა მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჭეშმარიტად, სიცრუისა და უვიცობის ეს ნაზავი სერიოზულ ყურადღებასა და ანალიზს (რა უნდა გააანალიზო?!) არ იმსახურებს. მიუხედავად ამისა, საჭიროდ ჩავთვალეთ, მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ინტერვიუში დაყენებულ სიცრუის კორიანტელს, რომელიც, ამავე დროს, უვიცობასა და უზნეობასთანაა აღრეული.**

მკითხველმა თავად განსაჯოს, ინტერვიუში შეურაცხყოფილია შესანიშნავი მამულიშვილი, ბ-ნი გერმანე ფაცაცია, რომელიც უკვე ორ წელიწადზე მეტია, მძიმე სენს ებრძვის. მ. კვარცხელია ურცხვად იტყუება, რომ გერმანეს თითქოს **„პრეზიდენტის დაცვის წევრი მოუგზავნეს და აიძულეს უარი ეთქვა ფრაქციაში გაწევრიანებაზე“.** ამ სიტყვების ავტორი ოდესმე გონს თუ მოეგება, შესაძლოა, მას ბევრი რამ ეპატიოს (შესაძლოა?), მაგრამ გერმანეს მიმართ გამოჩენილ უსინდისობას არავინ არასოდეს აპატიებს.

მ. კვარაცხელიას უყვარს მუდმივად იმის ხაზგასმა, რომ მას თითქოს ხელს უშლიდნენ ფრაქციის ჩამოყალიბებაში. რა თქმა უნდა, მთავარი „მოწინააღმდეგეები“ ვახტანგ ყოლბაია და მისი მომხრე დეპუტატები იყვნენო, — აცხადებს, უფრო სწორად, **იტყუება ინტერვიუერი, რომელიც ცდილობს, საკუთარი პერსონა უმაღლეს საბჭოში „ქართული ოცნების“ ერთადერთ „ბურჯად“ წარმოაჩინოს.**

რა მოხდა სინამდვილეში?

**წლების მანძილზე მ. კვარაცხელია სწორედ იმ პარტიის წევრი გახლდათ, რომლის მიმართ დღეს ის ასე „კრიტიკულადაა“ განწყობილი და რომლისგანაც სურს, მკერდით „დაიცვას“ მმართველი ძალა, „ქართული ოცნება“ — ეს არის ნინო ბურჯანაძის პარტია. ღიმილის მომგვრელია მ. კვარაცხელიას პრიმიტიული მსჯელობა იმ „საფრთხის“ შესახებ, რომელიც ამ პარტიის გენერალური მდივნის, ბ-ნ ვახტანგ ყოლბაიას აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნითაა მოსალოდნელი — ვითომ „ოცნებას“ ემუქრება, განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნების წინ. მხოლოდ ბრიყვმა შეიძლება დაიჯეროს მსგავსი სისულელე.**

საინტერესოა, რა „საქვეყნო პრობლემების“ მოგვარება სურდა მ. კვარცხელიას „ოცნების“ ფრაქციის ჩამოყალიბებით? საზოგადოების წინაშე დიდი ბოდიშის მოხდით, იძულებულნი ვართ, ვთქვათ, რომ მისი მიზანი, როგორც თვითონვე ხმამაღლა აცხადებდა, იყო ნასამართლევი შვილებისთვის ნასამართლეობის მოხსნა. ჩვენ კი „ვერ მივხვდით“, რა კავშირი იყო „ოცნების“ ფრაქციის ჩამოყალიბებასა და შვილების რეაბილიტაციას შორის, ამიტომ **ბ-ნ მურმანს ხელს კი არ ვუშლიდით, მეგობრულად ვურჩევდით, გამხდარიყო უკვე არსებული ფრაქციის — „ერთიანი საქართველოს“ წევრი და მისთვის ეხელმძღვანელა, ხოლო ახალი ფრაქციის ჩამოყალიბებისგან თავი შეეკავებინა, მითუმეტეს, 24-კაციან უმაღლეს საბჭოში, სადაც 3 კომისია და 3 ფრაქცია უკვე ფუნქციონირებს, მეოთხე, განსხვავებული იდეოლოგიისა და პროგრამის არმქონე ახალი ფრაქციის შექმნა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნდა.** უმაღლესი საბჭოს დეპუტაციის დიდი უმრავლესობა მმართველი პარტიის მხარდამჭერ ფრაქციათა კოალიციის შექმნისკენ იხრებოდა. ასეც მოხდა — **უმაღლეს საბჭოში ადრე არაპარტიული ნიშნით ჩამოყალიბებულმა ფრაქციებმა დააფუძნეს კოალიცია „ქართული ოცნება — ერთიანი, დემოკრატიული, სამართლიანი საქართველო“, რომელმაც დეპუტატთა ორ მესამედზე მეტი გააერთიანა. ამის თაობაზე ჯერ გაცხადებულიც არ იყო, როცა ბ-მა მურმანმა და კიდევ ოთხმა დეპუტატმა, კოალიციაში გაწევრიანების ნაცვლად, საჩქაროდ დატოვეს თავიანთი ძველი ფრაქცია და, მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, იმავე დღესვე თავი ცალკე ფრაქციად გამოაცხადეს, ანუ დეპუტატთა უმრავლესობამ კი არ ჩამოაყალიბა მურმანის ფრაქციის საპირწონე ფრაქცია, არამედ პირიქით.**

გარდა შვილების რეაბილიტაციის სურვილისა, ბ-ნ მურმანს ნებისმიერი სკამის დაკავების დიდი წყურვილიც ამოძრავებდა. ამ ვითარებაში მისი სრულიად უსაფუძვლო ამბიციები აფხაზეთის ძველი მინისტრების ინტერესებს უცნაურად დაემთხვა. **ახალი ფრაქცია ამ თავის მოკავშირეებთან ერთად უმაღლეს საბჭოსა და მის მიერ დანიშნულ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს თითიდან გამოწოვილი მიზეზებით უპირისპირდება. ბ-ნ ვახტანგ ყოლბაიას თავისი დღევანდელი სტატუსით აღიარებს ქვეყნის მთავრობა, რაც ამას წინათ ბ-ნი ვახტანგის ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობითაც დადასტურდა; მას აღიარებს საქართველოს პარლამენტი, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით და არ აღიარებენ „ოცნების ბურჯი“ მურმან კვარაცხელია და მისი „მფარველობის“ ქვეშ მყოფი აფხაზეთის ძველი მინისტრები(?!).** როგორც პრეზიდენტის ამასწინანდელი ვეტო მოწმობს, ე. წ. ფრაქციაც და მთავრობის „ამბოხებული“ წევრებიც თავად პრეზიდენტისა და „ნაცმოძრაობის“ დირექტივებით მოქმედებდნენ. მ. კვარცხელიამ, უმჯობესია, თავის ფრაქციას „ნაციონალური ოცნება“ დაარქვას. ამიერიდან ის ვერავის მოატყუებს.

ინტერვიუერი ურცხვად ცრუობს, როდესაც აცხადებს, რომ ვახტანგ ყოლბაია, ახალი ფრაქციის დაშლის მიზნით, თითქოს აკაკი გასვიანის გადაბირებას ცდილობდა და მას ვიცე-პრემიერობას ჰპირდებოდა. ბ-ნმა აკაკიმ თავად უარყო თავისი „უფროსის“ ეს მონაჭორი. **სინამდვილეში, სწორედ მ. კვარაცხელია მოითხოვდა ვახტანგ ყოლბაიასგან ფინანსთა მინისტრად და იმავე დროს ვიცე-პრემიერად დანიშვნას, რაზეც უარი მიიღო, რადგან სრულიად შეუფერებელი იყო ასეთი მაღალი თანამდებობისთვის.** გარდა ამისა, ორი დეპუტატის მთავრობაში გაშვების ფუფუნების უფლება უმაღლეს საბჭოს არ ჰქონდა. **სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე, მ. კვარაცხელია იქით „ადანაშაულებს“ ვახტანგ ყოლბაიას უმაღლესი საბჭოს დაშლის მცდელობაში, მაშინ, როდესაც მსგავსი მიზნები და მცდელობა თავად ჰქონდა და დღესაც აქვს მ. კვარაცხელიას.**

ინტერვიუში მიმოფანტული ტყუილებიდან მოვიტანთ კიდევ ერთ „ყველაზე მთავარ“ ტყუილს. **მ. კვარაცხელია ამბობს: „აქ ყველაზე მთავარია ის, რომ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში „ქართული ოცნება“ არის უმცირესობაში“. ეს არის უტიფარი სიცრუე, რომელსაც** (ისევე, როგორც ბევრ სხვა განცხადებას) **პროვოკაციის სუნი ასდის. სინამდვილეში „ქართული ოცნების“ კოალიციის შემადგენლობაში დეპუტატთა ორ მესამედზე მეტია გაერთიანებული.**

ალბათ, საკმარისია მ. კვარაცხელიას ტყუილებზე საუბარი. ახლა ვნახოთ, როგორ უმეცრებას და არაკომპეტენტურობას ავლენს იგი სხვადასხვა საკითხის „განხილვისას“. მოვუსმინოთ, რას ამბობს ბ-ნი მურმანი „ქართული ოცნების“ კოალიციის შესახებ: **„არჩევნების შემდეგ ეს კოალიცია დაიშალა(?!) და ამ ეტაპზე, საპრეზიდენტო არჩევნების წინ ხომ ყოველგვარ კოალიციაზე ლაპარაკიც ზედმეტია“.** გასაოცარია, მაგრამ ფაქტია — **უმაღლეს საბჭოში „ოცნების“ ერთადერთმა „ბურჯმა“ ისიც კი არ იცის, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ არ დაშლილა, რომ ბ-ნი გიორგი მარგველაშვილი სწორედ კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატია.**

კიდევ უფრო მეტ უვიცობას ავლენს ბ-ნი მურმანი, როცა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის „უკანონოდ“ დანიშვნაში უმაღლეს საბჭოს ადანაშაულებს და აცხადებს: „ბარამიას თანამდებობიდან წასვლის შემდეგ სრულიად ლოგიკური იყო დროებითი მოვალეობის შემსრულებლად ფინანსთა მინისტრის — თამაზ კვარაცხელიას დარჩენა“. იქვე **ბატონი მურმანი საუბრობს უმაღლესი საბჭოს მიერ „დარღვეულ“ კონსტიტუციაზე, რეგლამენტზე, მაგრამ არ უთითებს, რომელი კანონის მიხედვით და ვის მიერ უნდა დანიშნულიყო თამაზ კვარაცხელია თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე, რომელი კანონი დაირღვა იმავე თანამდებობაზე ვახტანგ ყოლბაიას დანიშვნით.** ამაზე ავტორს, ცხადია, პასუხები არ აქვს. ეტყობა, **მისთვის მნიშვნელოვანია არა „კანონდარღვევები“, არამედ პიროვნება — ვინ იქნება იმ თანამდებობაზე დანიშნული.**

ახლა, ყველაზე მთავარი — **ბ-ნ თამაზ კვარაცხელიას დანიშვნის „ლოგიკურობაზე“ სრულიად ალოგიკურად და ურცხვად საუბრობს კაცი, რომელიც ვახტანგ ყოლბაიასგან დაჟინებით მოითხოვდა სწორედ ბ-ნი თამაზის სახლში გაშვებას და მის სკამზე საკუთარი პერსონის წამოსკუპებას.**

უმეცრების პარადი ინტერვიუში გრძელდება. ბ-ნი მურმანი „გვასწავლის“, რომ „თავისუფლების ქარტიის“ თანახმად, „არ შეიძლება მაღალ პარტიულ(?!) თანამდებობაზე დაწინაურდეს ის პირი, რომელიც მუშაობდა რაიკომის მდივნად“. აი ასე, ამიერიდან „მაღალ პარტიულ თანამდებობაზე“ ყოფილ რაიკომის მდივნებს არაფერი ესაქმებათ. ამაზე იტყვიან, კაცი ტყემალზე ზისო... ბატონმა მურმანმა, სამწუხაროდ, არ იცის, რას ლაპარაკობს, რაზეა საუბარი იმ ქარტიაში, რომელიც, ეტყობა, თვალითაც არ უნახავს.

„დავტკბეთ“ მ. კვარაცხელიას კიდევ ერთი „სიბრძნით“: „ვახტანგ ყოლბაიას დანიშვნას ვეტო დაადო სწორედ აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტმა“(?!). სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. იქვე ამოიკითხავთ კიდევ ერთ „სიბრძნეს“: „უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტში გააკეთა საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის ინსპირირება“(?!)... ამ შემთხვევაში ყოველგვარი კომენტარი, ირონიაც კი ზედმეტია.

**მთლიანობაში მურმან კვარაცხელიას ინტერვიუ წარმოადგენს დაბნეული, ორიენტაციადაკარგული და სკამებზე ამაოდ მეოცნებე ადამიანის პასკვილს, ცილისწამებას კოლეგების წინააღმდეგ, უმაღლეს საბჭოზე პოლიტიკური ბეზღობის უბადრუკ მცდელობას, რასაც ფრაქციათა კოალიცია „ქართული ოცნება — ერთიანი, დემოკრატიული, სამართლიანი საქართველო“ გადაჭრით გმობს და კატეგორიულად ემიჯნება.**

**აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს ფრაქციათა კოალიცია „ქართული ოცნება – ერთიანი, დემოკრატიული, სამართლიანი საქართველო“**

## ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს

# დამღუპველი პრაქტიკა, რომ საქართველო იყო გარკვეული უცხოური ძალების «საცდელი ბოცვერების» ლაბორატორია, კვლავაც ძალაშია

**ბატონო ბიძინა,**

იმედი მაქვს, რომ გახსოვთ ჟურნალისტებთან გამართულ ბოლო საჯარო პრესკონფერენციაზე ჩემი დასმული კითხვა ID ბარათების ალტერნატივასთან დაკავშირებით მორწმუნე საზოგადოების სრულიად კანონიერი მოთხოვნის თაობაზე. ალბათ, არც ის დაგვიწყებიათ, რომ პრობლემის არსში გარკვევას დაგვპირდით.

იქიდან გამომდინარე, რომ თქვენ აბსოლუტურად ალალ, გულწრფელ ადამიანად მიმაჩნიხართ, აღნიშნული პრესკონფერენციის შემდეგ შემექმნა შთაბეჭდილება (და არა მხოლოდ მე), რომ თქვენ, თქვენი გარემოცვის მიზეზით, საკმაოდ დიდ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებით; თქვენი გუნდის ზოგიერთი წევრი, ალბათ, ზედმეტ კადნიერებას იჩენს და თავს უფლებას აძლევს, ერთპიროვნულად, თვითნებურად გადაწყვიტოს ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, მათ შორის ზემოთ ხსენებულიც, რომელიც დიდ მღელვარებას იწვევს მთელს მართლმადიდებლურ (და არა მხოლოდ) სამყაროში — ათონის წმ. მთაზე, უკრაინაში, საბერძნეთში, რუსეთში და ა. შ. **თქვენი გუნდის წევრები, ალბათ, იმასაც გიმალავენ, რომ უამრავი საპროტესტო წერილი და ხელმოწერაა შესული იუსტიციის სამინისტროში, ალტერნატიული საბუთების დაუყოვნებლივ დაშვების მოთხოვნით.**

**როგორც ჩანს, თქვენთვის არც იმის თაობაზე მოუწოდებიათ ინფორმაცია, რომ უამრავ უსაბუთო ადამიანს, რომლებიც, რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, უარს ამბობენ ID ბარათის აღებაზე, შეუწყვიტეს ასაკობრივი თუ ინვალიდობის პენსია, სოციალური დახმარება, არ მისცეს ატესტატი, დატოვეს უმაღლესი განათლების მიღების პერსპექტივის გარეშე და ა.შ., რითაც კიდევ უფრო დაუმძიმეს დუხჭირი ცხოვრება ისედაც არსებობისთვის ბრძოლაში ჩართულ ჩვენს თანამემამულეებს.**

თქვენ არც ის გეცოდინებათ, რომ თქვენი გუნდის იმავე წევრებთან, რომლებიც მაშინ „ქართული ოცნების“ „ადამიანის უფლებათა დამცველების სტატუსს“ ატარებდნენ, ჯერ კიდევ არჩევნებამდე გვქონდა კომუნიკაცია და ჩვენ, როგორც საკუთარ, უღალატო ამომრჩევლებს, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გვპირდებოდნენ ამ პრობლემის მოგვარებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ფორმულა „ხელისუფლება რყვნის“ ამ შემთხვევაშიც უტყუარი აღმოჩნდა და ამ ხალხმა იკადრა საკუთარი ამომრჩევლის ასე უტიფრად მოტყუება.

მინდა გაცნობოთ, რომ **დასავლეთის ქვეყნებში, საითაც აქვს პოლიტიკური ორიენტაცია თქვენს ხელისუფლებას, იმავე საერთაშორისო, ადამიანის უფლებადამცველი კონვენციებიდან გამომდინარე, ამ საბუთებთან დაკავშირებით მოქალაქეებს შენარჩუნებული აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება. კერძოდ, თავად აშშ-ის უმრავლეს შტატში, დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, ხორვატიაში, ბულგარეთში, საბერძნეთში, უკრაინაში, მოლდოვაში და ა.შ. ელექტრონული და ბიომეტრიული საბუთების აღება ნებაყოფლობითია.** ამ ფონზე ქალბატონი წულუკიანის არგუმენტი, — ევროკავშირი გვაძალებს მთელი ქვეყნის უალტერნატივო აიდიზაციასო, მხოლოდ ერთზე მეტყველებს: **„ნაციონალების“ დროიდან დანერგილი დამღუპველი პრაქტიკა, რომ საქართველო იყო გარკვეული უცხოური ძალების „საცდელი ბოცვერების“ ლაბორატორია, კვლავაც ძალაშია. სწორედ ამ მოღალატური, მარიონეტული პრაქტიკის დასანგრევად მისცა ქართველმა ხალხმა ნდობის მანდატი ახალ ხელისუფლებას და პირველ რიგში — თქვენ.** ნებისმიერ ხელისუფლებას „მამაო ჩვენოსავით“ უნდა ახსოვდეს, რომ იგი, უწინარესად, საკუთარი ამომრჩევლის და არა უცხოური ძალების მიმართაა ანგარიშვალდებული, რაც არ უნდა გავლენიანად გამოიყურებოდეს ესა თუ ის უცხოური სტრუქტურა.

**ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, თქვენ, ამ ხელისუფლებაში, შესაძლოა, ერთადერთმა ნათელმა წერტილმა, არ გაგვიმტყუნოთ იმედი და იუსტიციის თავნება მინისტრს მიაღებინეთ მისი ამომრჩევლის მოთხოვნის ადექვატური გადაწყვეტილება; იმ აბსურდულ, ყალბ სოციოლოგიურ კვლევებს ცხვირწინ ნუ გვიფრიალებს, რადგან მათი არავის სჯერა და კარგად გვახსოვს, თუ როგორ ხდებოდა წლების მანძილზე მათი მეშვეობით საზოგადოებრივი აზრის დეფორმირება, როცა თავად თქვენც ამომრჩევლის მხოლოდ 10%-ის მხარდაჭერას „გიწინასწარმეტყველებდნენ.“**

**სირცხვილია, რომ გვიხდება იმის შეხსენება, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში, ერთ-ერთ პირველ ქრისტიანულ ქვეყანაში, როგორ იცავენ ყველანაირი მორალსმოწყვეტილი უმცირესობის უფლებას, მაშინ, როცა უმრავლესობის, მართლმადიდებელი მრევლის, უფლებები ფეხქვეშ ითელება.**

გვჯერა, რომ თქვენ აქამდე არ იყავით კარგად ინფორმირებული და ამიერიდან უკვე ხალხის მხარეს დადგებით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღარაფერი გვრჩება, გარდა იმისა, რომ ასიათასობით მოტყუებულმა მორწმუნე ადამიანმა ბოიკოტი გამოვუცხადოთ არჩევნებს, რითაც თქვენი გამარჯვებაც ეჭვქვეშ დადგება.

**ხათუნა საგინაშვილი,**
ჟურნალ „ქვაკუთხედის“ რედაქტორი

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი დიდ ძალისხმევას ახმარდა ავიაციას, მისით იყო დიდწილად დაკავებული და საკმაოდ საფუძვლიანად ერკვეოდა ავიამშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებში, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით ძირფესვიანად, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც მაშინ თავდაცვის სახალხო კომისარიატს მეთაურობდნენ. იგი გაცილებით უკეთ იცნობდა ავიაციას.**




იგორ პიხალოვი

# ყველაზე ბილწი მითები სტალინზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-26 (204-213)

## კუბოებით ფრენა

**ხრუშჩოვის დროიდან მოყოლებული, სტალინის ახირებისა და შეუწყნარებლობის დასამტკიცებლად ასახელებენ წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი სამმართველოს უფროსის — პავლე ვასილის ძე რიჩაგოვის წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიულ ღონისძიებებს. ყვებიან, რომ თითქოს კრემლში გამართულ სამსახურებრივ თათბირზე, სადაც განიხილავდნენ ავიაციის განვითარების პერსპექტივის საკითხებს, ახალგაზრდა გენერალმა მამაცურად პირში მიახალა სტალინს: „თქვენ გვაიძულებთ, კუბოებით ვიფრინოთ!", რის გამოც დაისაჯა.**

აი, რა მოუთხრო ამის შესახებ ადმირალმა ისაკოვმა მწერალ კონსტანტინე სიმონოვს 1962 წელს:

„ეს მოხდა სამხედრო საბჭოს სხდომაზე, რომელიც გაიმართა მაშინ, როცა ომის დაწყებას აღარაფერი აკლდა. საქმე ეხებოდა ავიაციის ავარიულობას, ავარიულობა დიდი იყო. სტალინი, ჩვეულებისამებრ, როგორც ამგვარ თათბირებზე ხდებოდა, ჩიბუხს აბოლებდა და მაგიდის გარშემო ბოლთასა სცემდა, აკვირდებოდა დამსწრეთ, ზოგჯერ თვალს თვალში გაუყრიდა, ზოგჯერ მათ ზურგს მიაჩერდებოდა.

ავარიულობის სხვადასხვა მიზეზს ასახელებდნენ, სანამ რიგაჩოვის რიგი მოვიდოდა... იგი, მგონი, გენერალ-ლეიტენანტი იყო, ისედაც ახალგაზრდა იყო და შესახედაობით პატარა ბიჭსა ჰგავდა. და აი, როცა რიგმა მოუწია, მან თქვა:

— ავარიულობა დიდი იქნება, იმიტომ, რომ თქვენ გვაიძულებთ, ვიფრინოთ კუბოებით.

ეს სრულიად მოულოდნელი რამ იყო... წამოსცდა, გაწითლდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ფეხზე მხოლოდ რიჩაგოვი იდგა, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოსულიყო ემოციური მდგომარეობიდან, აჭარხლებული და აღელვებული. მისგან რამდენიმე ნაბიჯზე იდგა სტალინი. სტალინი ბოლთას კი სცემდა, მაგრამ რიჩაგოვმა ეს რომ თქვა, სტალინი გაჩერდა.

ჩემს აზრს ვიტყვი: სამხედრო საბჭოზე ამის თქმა ამ ფორმით არ ღირდა. **სტალინი დიდ ძალისხმევას ახმარდა ავიაციას, მისით იყო დიდწილად დაკავებული და საკმაოდ საფუძვლიანად ერკვეოდა ავიამშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებში, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით ძირფესვიანად, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც მაშინ თავდაცვის სახალხო კომისარიატს მეთაურობდნენ. იგი გაცილებით უკეთ იცნობდა ავიაციას.** უეჭველია, ამ ფორმით წარმოთქმული რიჩაგოვის რეპლიკა მის პირად შეურაცხყოფად იქნა აღქმული, ეს ყველას ესმოდა.

სტალინი შეჩერდა... ყველა ელოდა, რა მოხდებოდა. იდგა ერთ ხანს, შემდეგ ჩაუყვა მაგიდას იმავე მიმართულებით, რომლითაც მიდიოდა. მივიდა მაგიდის ბოლომდე. შემობრუნდა, სრულ სიჩუმეში გადაჭრა მთელი ოთახი, კვლავ შემობრუნდა, პირიდან ჩიბუხი გამოიღო და დინჯად და ჩუმად, ხმის აუმაღლებლად წარმოთქვა:

— თქვენ ასე არ უნდა გეთქვათ!

და განაგრძო ბოლთის ცემა. კვლავ მივიდა ბოლომდე, კვლავ შემობრუნდა, თითქმის იმ ადგილზე შეჩერდა, სადაც პირველად იდგა და მშვიდი ხმით გაიმეორა:

— თქვენ ასე არ უნდა გეთქვათ, — და პაწაწინა პაუზის შემდეგ დაამატა, — სხდომა დახურულია.

და პირველი გავიდა კაბინეტიდან.

ყველამ თავ-თავიანთი საქაღალდეების, პორტფელების აკრეფა დაიწყო. წავიდნენ იმის მოლოდინით, თუ რა მოხდებოდა შემდეგ.

არც ხვალ, არც ზეგ, არც ორი დღის შემდეგ, არც სამი დღის შემდეგ არაფერი მომხდარა. ერთი კვირის თავზე კი რიჩაგოვი დააპატიმრეს და სამუდამოდ გაქრა" *(კ. სიმონოვი, ჩემი თაობის ადამიანის თვალით. ფიქრები ი. ბ. სტალინზე, 1988, გვ.გვ. 429-430).*

ეს საუბარი ხრუშჩოვის ანტისტალინური ისტერიის პიკზე მიმდინარეობდა, მაგრამ ადმირალმა ისაკოვმა ობიექტურობა შეინარჩუნა და თქვა, რომ რიჩაგოვი მართალი არ იყო. მართლაც, **თუ საბჭოთა სამხედრო მფრინავები „კუბოებით" დაფრინავდნენ, ვინ იყო დამნაშავე? ვინ უკვეთავდა თვითმფრინავებს ავიაკონსტრუქტორებს? ვინ იღებდა შეიარაღებაზე საავიაციო ტექნიკას? ვინ ხუჭავდა თვალს ავიამრეწველობის მიერ დამზადებული თვითმფრინავების უხარისხობაზე? სტალინი თუ სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობა რიჩაგოვის მეთაურობით?**

თუმცა, ამჟამინდელ პროპაგანდას ყური რომ ვუგდოთ, ყველაფერი კარგი, რაც სტალინის დროს კეთდებოდა, სტალინის გამო კი არა, სტალინის წინააღმდეგ კეთდებოდა. **სტალინის ყველაზე მთავარი დანაშაული არის ის, რომ „სისხლიანმა ტირანმა" გაბედა და მკაცრად მოსთხოვა პასუხი მათ, ვისაც ეს საქმე ჰქონდა დაკისრებული, ჩინისა და წოდების მიუხედავად.**

**„ხელისუფლება განსაკუთრებით წაახალისებდა საწარმო პროცესებში ავარიებისა და დაბრკოლებების წარმოქმნის გამო საწარმოთა მეთაურების პასუხისგებაში მიცემას. ზუსტად ისე, როგორც „ტრაქტორების გაფუჭება" სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი საქმე გახდა 1930 წელს სოფლად, „აღჭურვილობის გაფუჭება" და „წარმოების დეზორგანიზება" სისხლის სამართლებრივი დევნის საგანი გახდა მრეწველობაშიც"** *(პ. სოლომონი, საბჭოთა იუსტიცია სტალინის დროს" (თარგ. ინგლისურიდან), 1998, გვ.გვ. 128-129).*

**„ავარიების დროს ბრალეულობა პოლიტიკურ ხელმძღვანელებს მოეხსნათ (მაგალითად, თვით სტალინს) და დაეკისრა სამრეწველო საწარმოთა მუშაკებს.**

**1930-იანი წლების დასაწყისში და შუაში ნებისმიერი დიდი ავარია სსრკ-ში, რომლებსაც ადამიანების მსხვერპლი მოჰყვა, ჩვეულებრივ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზეზი ხდებოდა"** *(იქვე, გვ. 132).*

დავუბრუნდეთ ომისწინა საბჭოთა ავიაციის პრობლემებს.

ტექნიკის დაბალი ხარისხის გარდა ავარიულობას სხვა მიზეზებიც აქვს — უწიგნურობა და დოყლაპიობა. და აქ რიჩაგოვის, როგორც თავდაცვის სახალხო კომისრის ავიაციის დარგში მოადგილის და წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი სამმართველოს უფროსის, ბრალი აშკარა და უდავოა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1941 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილებით, რომელმაც რიჩაგოვის ბედი გადაწყვიტა, ხაზგასმულია, რომ „მფრინავთა და მეთაურთა შემადგენლობის მოდუნებულობის გამო, რაც იწვევს საფრენოსნო სამსახურის ელემენტარული წესების დარღვევას, სულ უფრო მატულობს ავარიები და კატასტროფები... სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობა არა მარტო არ იბრძვის საფრენოსნო სამსახურის წესების დაცვისთვის, არამედ ზოგჯერ თავად უბიძგებს მფრინავთა შემადგენლობას ამ წესების დარღვევისკენ... სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობა ხშირად უმალავს მთავრობას ავარიებსა და კატასტროფებს, და როცა მთავრობა გამოამჟღავნებს ამ ფაქტებს, სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობა ცდილობს ამ ფაქტების მიჩქმალვას".

საკ. კპ (ბ) ცკ და სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილებაში „სამხედრო ავიაციაში მთავარ ნაკლოვანებათა შესახებ" ნათქვამია: **„თავდაცვის სახელმწიფო კომისარს ამხ. ტიმოშენკოს გამოეცხადოს საყვედური იმის გამო, რომ 1941 წ. 8 აპრილის თავის პატაკში იგი ცდილობდა, დახმარებოდა ამხ. რიჩაგოვს, საკ. კპ ცკ-სა და სსრკ სახკომსაბჭოსგან დაემალა ნაკლოვანებები, რომელთაც ადგილი აქვს წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ავიაციაში".**

სამი დღის შემდეგ, 12 აპრილს გამოიცა სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანება №0022 „წითელი არმიის ავიაციაში ავარიებისა და კატასტროფების შესახებ":

**„წითელი არმიის მთავარი სამხედრო საბჭო მივიდა აუცილებელ დასკვნამდე, რომ ამხ. რიჩაგოვი მოიხსნას წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან და თავდაცვის სახელმწიფო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან იმის გამო, რომ... თავი ვერ გაართვა სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელის მოვალეობას, რაც დამტკიცებულია მთავრობის მიერ.**

**ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის, ამხ. რიჩაგოვის თხოვნის გათვალისწინებით, იგი მივლინებულ იქნას სასწავლებლად წითელი არმიის გენერალური შტაბის აკადემიაში".**

**როგორც ვხედავთ, ადმირალი ისაკოვი ცოტათი შეცდა: სამხედრო ავიაციის უნიჭო და უგერგილო ხელმძღვანელობის გამო პავლე ვასილის ძე ერთ კვირაში კი არ დააპატიმრეს, არა-** ▶

ომი დამთავრდა. ჯარისკაცები შინ ბრუნდებიან





## სკოლის მოსწავლემ 20 წუთში იშოვა 2 200 000 დოლარი

**სამხატვრო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლემ 2 მილიონ 200 ათასი დოლარით შეივსო თავისი სალარო მას შემდეგ, რაც მის მიერ დახატული სურათები აუქციონზე გაიყიდა სულ 20 წუთში.**

ათი წლის კირონ უილიამსონმა სახელი და დიდება საერთაშორისო არენაზე და „მინი მონეს" წოდება მოიპოვა მას შემდეგ, რაც საოჯახო დღესასწაულზე დახატა პეიზაჟი. მაშინ მისი 23 ნახატი გაიყიდა ინტერნეტ-მყიდველებში 360 ათას დოლარად, 20 წუთში.

ამ ფულით კირონმა თავისთვის და მშობლებისთვის იყიდა ახალი სახლი და მოახერხა სხვა მხატვრების ინვესტირება, ისეთების, როგორიცაა მაგალითად, ინგლისელი პეიზაჟისტი ლოურენს სტივენ ლოური.

**„ხელოვნების სამყაროში ყველა თვლის, რო მისი ნამუშევრები გაცილებით გაუმჯობესდა გასულ წელთან შედარებით",** — აღნიშნავს არტ-დილერი მარკ უილიამსონი.

მომავალი წლიდან კირონი თავს ანებებს სკოლას და სწავლას განაგრძობს სახლში, რათა მთელი ყურადღება მოახმაროს ფერწერას.

ბრიტანეთის გარდა, მას უკვე ჰყავს დამფასებლები ევროპის სხვა ქვეყნებშიც: კანადაში, აშშ-ში და იაპონიაში.

**ყოფილი ოფიცრების ტყვედ ნამყოფთა შემადგენლობიდან 3 პროცენტზე ნაკლები იქნა დაპატიმრებული, 1942 წლის ზაფხულიდან 1944 წლის შემოდგომამდე მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იგზავნებოდა რიგითებად და სერჟანტებად შემტევ ბატალიონებში. და ეს სავსებით გასაგები და გამართლებულია — ოფიცერს უფრო მეტი მოეკითხება, ვიდრე რიგითს. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოფიცრებს, რომლებიც ე.წ. შტრაფბატებში მოხვდნენ და თავიანთი ბრალი გამოისყიდეს, წოდება აღიდგინეს. ამის უამრავი მაგალითია ცნობილი.**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მედ თანამდებობიდან მოხსნეს და სასწავლებლად აკადემიაში გააგზავნეს.**

**რიჩაგოვი დააპატიმრეს 1941 წლის 24 ივნისს, დახვრიტეს 1941 წლის 28 ოქტომბერს. მასთან ერთად დახვრიტეს სამხედრო-საჰაერო ძალების რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსანი. უნდა ვივარაუდოთ, რომ უმაღლესი სასჯელი მათ წინააღმდეგ გამოიყენეს ომის პირველ დღეებში გერმანელების მიერ საბჭოთა ავიაციის განადგურების გამო.**

გულდასაწყვეტი ფაქტია. რიჩაგოვმა, ახალგაზრდა, ნიჭიერმა მფრინავმა, მოასწრო ესპანეთში და ჩინეთში ომის შემდეგ სწრაფად კარიერის გაკეთება და 29 წლის ასაკში სათავეში ჩაუდგა წითელი არმიის ავიაციას. **სტალინის მიერ შექმნილი ელიტის შერჩევის სისტემა საშუალებას აძლევდა, ღირსეულთ თავი დაემკვიდრებინათ ხელმძღვანელ თანამდებობებზე.** მაგრამ მაღალი თანამდებობა, უწინარეს ყოვლისა, არის პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის მიმართ. თანაც, რაც უფრო მაღალია თანამდებობა, მით უფრო მკაცრად მოეკითხებოდათ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა. პასუხისმგებლობის ეს ტვირთი რიჩაგოვმა ვერ ზიდა.

## მაიორ პუგაჩოვის „გმირობა“

**ერთ-ერთი სტერეოტიპი, რომლის ჩანერგვას საზოგადოებრივ აზროვნებაში მონდომებით ცდილობენ ანტისტალინური კამპანიის თეორეტიკოსები, არის მითი იმ საბჭოთა ჯარისკაცებისა და ოფიცრების შესახებ, რომლებმაც შეძლეს გერმანელთა ტყვეობიდან თავის დახსნა. გაყიდული პუბლიცისტები კოლექტიური ძალისხმევით სულისშემძვრელ სურათებს ხატავენ ფაშისტების საკონცენტრაციო ბანაკებიდან გათავისუფლებული საბჭოთა მებრძოლების საბჭოთა გულაგებში „გადაბარგების“ ან, მინიმუმ, საჯარიმო ბატალიონებში გამწესების შესახებ:**

სტალინიზმის მამხილებელთა ფოლკლორში ხრუშჩოვის დროიდან მოყოლებული, განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა **ვარლამ შალამოვის მოთხრობამ „მაიორ პუგაჩოვის უკანასკნელი ომი“,** რომელშიც მოთხრობილია კოლიმის ბანაკიდან გაქცეული და გმირულად დაღუპული 12 საბჭოთა ყოფილი ოფიცრის ამბავი, რომლებიც სტალინის ჯალათების მიერ უდანაშაულოდ იყვნენ ბრალდებულნი. ამ სიუჟეტით ფრთაშესხმულმა **რეჟისორმა ფატიანოვმა** მხატვრული ფილმის გადაღება გადაწყვიტა:

**„ვლადიმირ ფატიანოვი იღებს ფილმს შალამოვის მოთხრობების მიხედვით, — აანონსებდა პეტერბურგის ტელეპანორამა.**

**ასეთ ადამიანს, როგორიც იგორ ლიფანოვის გმირია, რომლებიც გერმანელ დამპყრობლებს ებრძოდნენ, გადაიტანეს გერმანელთა ტყვეობის საშინელება, დაბრუნდნენ სამშობლოში და ტრიბუნალებმა სტალინური ბანაკებში ყოფნა მიუსაჯეს. მათ შესახებაა ვლადიმირ ფატიანოვის ახალი ფილმი „მაიორ პუგაჩოვის უკანასკნელი ომი“. სცენარს საფუძვლად უდევს ვარლამ შალამოვის „კოლიმური მოთხრობები“.**

ვატიანოვის კინოჩახოხბილი 2005 წლის 9 მაისს გამოვიდა ეკრანებზე — კიდევ ერთხელ ლაფის თავზე დასხმა გამარჯვების იუბილისთვის. მას შემდეგ ფილმი მრავალგზის იქნა დემონსტრირებული რუსეთის ტელეარხების მიერ.

ელემენტარული საღი აზროვნება გვიკარნახებს, რომ სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ტყვეობიდან დაბრუნდნენ, კონტრდაზვერვის ორგანოების მიერ უნდა იყვნენ შემოწმებულები თუნდაც იმიტომ, რომ მათ შორის უეჭველად არიან მტრის აგენტები. გერმანელები აქტიურად იყენებდნენ ამ არხს აგენტების შემოსაგზავნად. აი, რას წერდა თავის მემუარებში ესეს-ის ბრიგადენფიურერი ვალტერ შელენბერგი:

**„სამხედრო ტყვეების ბანაკებში შევარჩევდით ათასობით რუსს, რომლებსაც სწავლების შემდეგ პარაშუტებით ვაგდებდით რუსეთის ტერიტორიის სიღრმეში. მათი ძირითადი ამოცანა მიმდინარე ინფორმაციის გადმოცემასთან ერთად იყო მოსახლეობის პოლიტიკური გახრწნა და დივერსიები. სხვა ჯგუფებს ევალებოდათ პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლა, რისთვისაც ვახდენდით მათ შეგზავნას რუს პარტიზანებთან. წარმატებისთვის რაც შეიძლება მალე რომ მიგვეღწია, დავიწყეთ მოხალისეების შეგროვება უშუალოდ ფრონტისპირა ზოლიდან“** *(ვ. შელენბერგი, მემუარები, 1991, გვ. 215).*

ამრიგად, **სტალინის მიერ 1941 წლის 27 დეკემბერს ხელმოწერილი სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის №1069-სს დადგენილება წითელი არმიის იმ მოსამსახურეთა სახელმწიფო შემოწმების (ფილტრაციის) შესახებ, რომლებიც მოწინააღმდეგის ტყვეობაში ან ალყაში იყვნენ მოხვედრილი, სავსებით დასაბუთებული და დროული იყო.** ამ დადგენილების შესასრულებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის 1941 წლის 28 დეკემბრის №001735 ბრძანებით შეიქმნა სპეციალური პუნქტები და სპეცბანაკები.

მათი, ასევე, **1944 წლის ბოლოს შექმნილი საფრონტო შემმოწმებელი საფილტრაციო პუნქტების ამოცანა იყო ტყვეობიდან გათავისუფლებულთა პირველადი შემოწმება. ფილტრაცია შინსახკომის სპეცბანაკებში, წესისამებრ, თვენახევარ-ორ თვეში მთავრდებოდა.**



**1944 წლის ბოლოს შექმნილი საფრონტო შემმოწმებელი საფილტრაციო პუნქტების ამოცანა იყო ტყვეობიდან გათავისუფლებულთა პირველადი შემოწმება. ფილტრაცია შინსახკომის სპეცბანაკებში, წესისამებრ, თვენახევარ-ორ თვეში მთავრდებოდა**

ყოფილი სამხედრო ტყვეების მონაცემები, რომლებიც სპეცბანაკებში იყვნენ მოთავსებულები 1941 წლის ოქტომბრიდან 1944 წლის მარტამდე პერიოდში ასეთია:

სულ შევიდა — 317 594

შემოწმდა და გადაეცა:

წითელ არმიას — 223 281 — 70,3 პროცენტი

შინსახკომის საბადრაგო ჯარებს - 4337 - 1,4 პროცენტი თავდაცვის მრეწველობას - 5716 - 1,8 პროცენტი

გაიგზავნა ჰოსპიტლებში - 1529 - 0,5 პროცენტი

გარდაიცვალა - 1799 - 0,6 პროცენტი

შემტევ ბატალიონებში - 8255 - 2,6 პროცენტი

დააპატიმრეს - 11 283 - 3,5 პროცენტი

გრძელდება შემოწმება - 61394 - 19,3 პროცენტი

ასეთივე მდგომარეობა შენარჩუნებული იყო 1944 წლის შემოდგომისთვის:

**„ცნობა ალყაში ნამყოფთა და ყოფილი სამხედრო ტყვეების მიმდინარე შემოწმების შესახებ 1944 წლის 1 ოქტომბრისათვის**

1. წითელი არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებისთვის, რომლებიც ტყვედ ან მოწინააღმდეგის ალყაში იმყოფებოდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 27.XII.41 წ. №1069-სს გადაწყვეტილებით შექმნილია შინსახკომის სპეცბანაკები.

წითელი არმიის მოსამსახურეთა შემოწმება, რომლებიც სპეცბანაკებში იმყოფებიან წარმოებს შინსახკომის სპეცბანაკებთან არსებული კონტრდაზვერვის განყოფილების „სმერშის“ მიერ.

სულ სპეცბანაკები გაიარეს წითელი არმიის ყოფილმა მოსამსახურეებმა, რომლებიც ალყიდან იყვნენ გამოსული ან გათავისუფლდნენ ტყვეობიდან — 354 592 ადამიანი, მათ შორის 50 441 ოფიცერი.

2. ამ რაოდენობიდან შემოწმდა და გადაეცა:

ა) წითელ არმიას 249 416 ადამიანი.

მათ შორის:

სამხედრო ნაწილებს სამხედრო კომისარიატების მეშვეობით - ოფიცრები 27 042;

შემტევი ბატალიონების ფორმირებისთვის - 18382, მათ შორის ოფიცრები - 16 163;

ბ) მრეწველობას თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებით - 30 749;

მათ შორის ოფიცრები - 29;

გ) საბადრაგო ჯარების ფორმირებისა და სპეცბანაკების დაცვისთვის - 5924;

3. „სმერშის“ ორგანოების მიერ დაპატიმრებულია - 11 556;

მათ შორის მოწინააღმდეგის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის აგენტები - 2083;

მათ შორის ოფიცრები (სხვადასხვა დანაშაულის გამო) — 1284.

4. ჰოსპიტლებსა და ლაზარეთებში იქნა გადაყვანილი და გარდაიცვალა სხვადასხვ დროს - 5347;

5. იმყოფებიან სსრკ შინსახკომის სპეცბანაკებში შესამოწმებლად - 51 601;

მათ შორის ოფიცრები - 5657;

...სსრკ შინსახკომის ბანაკებში დარჩენილი ოფიცრებისგან ოქტომბერში შეიქმნება 4 შემტევი ბატალიონი თითოეული 920 კაცის შემადგენლობით“ *(ვ.ნ. ზემსკოვი, გულაგი, „სოციოლოგიური კვლევები“, 1991, №7, გვ. გვ. 4-5).*

**ამგვარად, ყოფილი სამხედრო ტყვეების ბედი 1944 წლის 1 ოქტომბრისთვის შემდეგნაირად გადაწყდა:**

**გაიგზავნა:**

სამხედრო ნაწილებში სამხედრო კომისარიატების მეშვეობით — 231 034 76, 25 პროცენტი

შემტევ ბატალიონებში — 18382, 6,07 პროცენტი

მრეწველობაში — 30 749, 1,96 პროცენტი

საბადრაგო ჯარებში 5924მ 10,15 პროცენტი

დაპატიმრებულია — 11556, 3,81 პროცენტი

ჰოსპიტლებში, ლაზარეთებში, გარდაიცვალა — 5347, 1,76 პროცენტი

შემოწმება სულ გაიარა — 302 992, 100 პროცენტი.

ამრიგად, რიგითი და სერჟანტების შემადგენლობიდან შემოწმება წარმატებით გაიარა 95 პროცენტზე მეტმა (ანუ 19-მა 20-დან) ყოფილმა სამხედრო ტყვემ. **ყოფილი ოფიცრების ტყვედ ნამყოფთა შემადგენლობიდან 3 პროცენტზე ნაკლები იქნა დაპატიმრებული, 1942 წლის ზაფხულიდან 1944 წლის შემოდგომამდე მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იგზავნებოდა რიგითებად და სერჟანტებად შემტევ ბატალიონებში. და ეს სავსებით გასაგები და გამართლებულია — ოფიცერს უფრო მეტი მოეკითხება, ვიდრე რიგითს.**

**ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოფიცრებს, რომლებიც ე.წ. შტრაფბატებში მოხვდნენ და თავიანთი ბრალი გამოისყიდეს, წოდება აღიდგინეს. ამის უამრავი მაგალითია ცნობილი.**

დაბოლოს, **რეპატრირებულთა შესახებ:**

1946 წლის 1 მარტისთვის რეპატრირებული იქნა 4 199 488 საბჭოთა მოქალაქე (2 660 013 სამოქალაქო და 1 539 475 სამხედრო ტყვე), მათგან 1 846 802 შემოვიდნენ საბჭოთა ჯარების საზღვარგარეთ მოქმედების ზონებიდან და 2 352 686 მივიღეთ ინგლისელებისგან და ამერიკელებისგან, ჩამოვიდნენ სხვა ქვეყნებიდან.

დაბოლოს, სამხედრო ტყვეებიდან, რომლებიც გათავისუფლებულები იყვნენ ომის დამთავრების შემდეგ რეპრესიებს დაექვემდებარა მხოლოდ 14,69 პროცენტი. როგორც წესი, ისინი იყვნენ ვლასოველები და ოკუპანტების სხვა ხელშემწყობნი.

**სამხედრო ტყვეებიდან, რომლებიც გათავისუფლებულები იყვნენ ომის დამთავრების შემდეგ, რეპრესიებს დაექვემდებარა მხოლოდ 14,69 პროცენტი**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

## მოჰამედ მურსის ქალიშვილი სამხედროებს მამის გატაცებაში ადანაშაულებს

**მოჰამედ მურსის ქალიშვილი სამხედროებს მამის გატაცებაში ადანაშაულებს ეგვიპტის პრეზიდენტის, მოჰამედ მურსის ქალიშვილი, შიმა მურსი სამხედროებს მამის გატაცებაში ადანაშაულებს,** — ამის შესახებ ინფორმაციას უცხოური მედია ავრცელებს. ამ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა თავად გადაყენებული პრეზიდენტის ადვოკატმაც. მისი განცხადებით, სამხედროები არღვევენ ადამიანის უფლებებს, რადგან დაკავებული ჰყავთ ექსპრეზიდენტი და არანაირ ბრალდებას არ უყენებენ.

მოჰამედ მურსის გაუჩინარებასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს ყოფილი პრეზიდენტის ვაჟიც. უსამა მურსის თქმით, მამის ადგილსამყოფელი, რომელიც 3 ივლისს გადააყენეს და დააკავეს, მათთვის ამ დრომდე უცნობია. ეგვიპტეში სისხლიანი შეტაკებები მოჰამედ მურსის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მიმდინარე წლის დასაწყისიდან არ წყდება. ისლამისტური მოძრაობა „ძმები მუსლიმები“ სამხედროებს ხალხის ნების საწინააღმდეგო მოქმედებაში ადანაშაულებს და თანამდებობაზე მურსის დაბრუნებას ითხოვს.



ვაჰ, დროni...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაცილებით იოლად ეჩვეოდნენ ახალ ცხოვრებას ბიჭები, რომლებსაც ადრეულ ასაკში დაკოდავდნენ ხოლმე. მაგრამ ისინი, ვისაც მამაკაცურ ღირსებას სრულასაკოვნობაში წაართმევდნენ, შურისძიებით იყვნენ აღვსილნი და შემთხვევას არ გაუშვებდნენ საკუთარი ღირსების აღსადგენად. ამიტომ საჭურისების წარმოდგენა, როგორც უძალო, კომიკური პერსონაჟების, მცდარია და უსაფუძვლო.**

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-25 (204-212)

ჰარამხანის მგრძნობელობითი ატმოსფერო, რა თქმა უნდა, უბედურ კასტრატებზე ძლიერ მოქმედებდა.

თავის „სპარსულ ჩანაწერებში" მონტესკიე საჭურისის მონათხრობს იმოწმებს: **„მე შევედი სერალში, სადაც ყველაფერი ჩემს დანაკარგს შემახსენებდა: ყოველწუთიერად ვგრძნობდი გრძნობათა ღელვას, ბუნების ათასობით სილამაზე იშლებოდა ჩემ წინაშე თითქოს იმიტომ, რომ უსასოობაში ჩავეგდე... მახსენდება, ერთხელ, როცა ქალს აბაზანაში ვაწვენდი, ისე აღვიგზენი, რომ გონება დამებინდა და გავბედე, მის სასირცხვო ადგილს შევხებოდი. გონზე რომ მოვედი, ვიფიქრე, აი, დადგა ჩემი უკანასკნელი დღე-თქო. მაგრამ ბედმა გამიღიმა და გადავრჩი უმკაცრეს სასჯელს. მაგრამ ლამაზმანმა, ჩემი სისუტის მოწმე რომ გახდა, ძალიან ძვირად მომყიდა თავისი დუმილი: მე სრულად დავკარგე მასზე ზეგავლენა და იგი იძულებულს მხდიდა, ისეთი შეღავათები გამეწია მისთვის, რომლებიც ჩემს სიცოცხლეს ათასჯერ აყენებდა საფრთხის წინაშე".**

არსებობს ცნობები, რომ საჭურისებს თავიანთი ოდალისები ჰყავდათ, მაგრამ ზოგჯერ ულამაზეს ქალთა სხეულების ცქერით დაღლილები უპირატესობას ბიჭებს ანიჭებდნენ, რომლებიც თავიანთ საძინებლებში ჰყავდათ ჩაკეტილი იმ გალიების გვერდით (ზოგჯერ გალიებშიც კი), რომლებშიც ბულბულები ჰყავდათ „დატყვევებულები" და ცდილობდნენ, რომ ეს ბიჭები მათთან სიამოვნების მიღების მსურველების თვალსაწიერში არ მოხვედრილიყვნენ. როცა ასეთი რამ მაინც მოხდებოდა, საჭურისები სამკვდრო-სასიცოცხლოდაც კი უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს.

**ზოგჯერ, როცა ისინი ჰარამხანის მიღმა საცხოვრებლად იყვნენ გადასული, საჭურისებს ოდალისები მოჰყავდათ ცოლად, მათ შორის ორსულებიც, თავიანთთვის ოჯახის მსგავსი სიმყუდროვის შესაქმნელად, ზოგჯერ ქალიშვილების ხარამხანასაც იწყობდნენ.**

საჭურისები, რომელთაც კაცური ღირსება ადრეული ბავშვობიდან არ ჰქონდათ დაკარგული, ძალიან განიცდიდნენ თავიანთ უსასოობას. ედმონდო დე ამიჩისი თავის წიგნში „კონსტანტინოპოლი" წერდა: **„ერთ საღამოს ერთი მდიდარი მუსლიმის სახლიდან გამოვედი. მისი ოთხი ცოლიდან ერთს გულის დაავადება აწუხებდა. ეს ჩემი მესამე ვიზიტი იყო, წესისამებრ, მე მხვდებოდა და მაცილებდა ახოვანი საჭურისი. იგი წინ მიმიძღოდა და ხმამაღლა იმეორებდა: „ქალებო, განერიდეთ!", რათა ჰარამხანის მკვიდრ ქალებს და მონაქალებს გაეგოთ, რომ სახლში უცხო მამაკაცია და მოესწროთ გარიდება. ეზოში რომ გამოვედით, საჭურისმა მარტო დამტოვა და დამოუკიდებლად გასვლის საშუალება მომცა. როგორც კი კარის გასაღებად მოვემზადე, ვიგრძენი, რომ ვიღაცამ ხელი შემახო: მივბრუნდი და დავინახე, რომ ჩემ წინ იდგა ლამაზი გარეგნობის, თვრამეტი თუ ოცი წლის საჭურისი. იგი მდუმარედ იდგა და ცრემლიანი თვალებით შემომცქეროდა. ვკითხე, რით შემეძლო დავხმარებოდი? იგი ჯერ გაუბედავად იდგა, შემდეგ მხურვალედ ჩამავლო მკლავში ხელი და აღელვებისგან ყრუ ხმით, რომელშიც უსასოობა იგრძნობოდა, მითხრა: „ექიმო, თქვენ გაქვთ წამლები ყველა დაავადებისგან განსაკურნებლად. მითხარით, არსებობს საშუალება ჩემი უბედურებისგან თავის დასაღწევად?". ვერ აგიწერთ, როგორ იმოქმედა ჩემზე მისმა მხურვალე ვედრებამ... გამოგიტყდებით, რომ ამ ამბის გახსენებამ არაერთხელ მომგვარა ცრემლი"...**

თუ კასტრაციას მოწიფულ ასაკში ჩაუტარებდნენ, სასქესო ორგანოებწაჭრილი საჭურისები ქალებისადმი ძლიერ ლტოლვას მაინც გრძნობდნენ, რაც ხშირად ავადმყოფური და გაუკუღმართებული ფორმებით ვლინდებოდა. უბედურები ვერ თოკავდნენ თავიანთ თავს, ეძგერებოდნენ გოგოებს, მიწაზე აგდებდნენ, კბენდნენ, კაწრავდნენ და ასახიჩრებდნენ.

**გაცილებით იოლად ეჩვეოდნენ ახალ ცხოვრებას ბიჭები, რომლებსაც ადრეულ ასაკში დაკოდავდნენ ხოლმე. მაგრამ ისინი, ვისაც მამაკაცურ ღირსებას სრულასაკოვნობაში წაართმევდნენ, შურისძიებით იყვნენ აღვსილნი და შემთხვევას არ გაუშვებდნენ საკუთარი ღირსების აღსადგენად. ამიტომ საჭურისების წარმოდგენა, როგორც უძალო, კომიკური პერსონაჟების, მცდარია და უსაფუძვლო.**

ჰეროდოტე მოგვითხრობს: **„ცხოვრობდა ჭაბუკი ერმოტიმი ქალაქ პედასეში. და ცხოვრობდა იქ საპატიო ვაჭარი პანონი. ვაჭრობდა იგი ცოცხალი — არც მამრობითი, არც მდედრობითი საქონლით. მან დაასაჭურისა ჭაბუკი ერმოტიმი და დიდ ფულად მიჰყიდა სპარსეთის მეფე ქსერქსეს. და მოეწონა ერმოტიმი ქსერქსეს, იგი იყო ჭკვიანი და მამაცი, და ქსერქსემ დაიახლოვა იგი. და როცა ქსერქსემ დაიპყრო პედასეა, ერმოტიმმა სატრაპად დანიშვნა სთხოვა. პანონს თავზარი დაეცა, როცა ამ დანიშვნის შესახებ გაიგო. მაგრამ ქალაქში მისული სატრაპი მოეფერა პანონს და გულწრფელი სიხარულით მიიღო. მალე მდიდრული ნადიმიც გაუმართა და მიიწვია მისი სამი შვილი, რომლებიც ჭაბუკური ასაკისანი იყვნენ და ნადიმი მთელ ღამეს გაგრძელდა, და პანონსა და მის ვაჟებს პატივს მიაგებდნენ. შემდეგ წამოდგა სატრაპი ერმოტიმი და იშიშვლა მახვილი. და უბრძანა მამას, დაესაჭურისებინა თავისი ვაჟები. და იდგა იგი და უცქერდა. და შემდეგ უბრძანა ვაჟიშვილებს, დაეკოდათ თავიანთი მამა. ასეთია საჭურისის ზრდილობა".**

სასიყვარულო ვნებებს მოკლებული უსქესო არსებანი სხვა გრძნობებს იყვნენ აყოლილნი, მათ შორის ყველაზე დაუნდობელსაც — ძალაუფლების წყურვილს. **ცნობილი არიან საჭურისები — სახელგანთქმული სარდლები, რომლებიც პირისაგან მიწისა აღგვიდნენ ქალაქებს, საჭურისები — ყოვლისშემძლე მმართველები, საჭურისები — სწავლულები. ბიზანტიელი საჭურისები აზანზარებდნენ მსოფლიოს, ჩინელი საჭურისები მართავდნენ ამ უკიდეგანო სივრცეზე განფენილ ქვეყანას.**

სექსუალური არასრულფასოვნების გრძნობა საჭურისების პიროვნულობას ამახინჯებდა, ისინი სისხლისმსმელი ინტრიგანები და დაუნდობელი ბოროტები ხდებოდნენ, დაუნდობელნი მით უფრო, რაც უფრო დიდი ძალაუფლება იყო მათ ხელთ მოქცეული. ხშირად ეს ინტრიგები ტრაგიკულად მოქმედებდა მათ ბედზე და საჭურისები სიცოცხლეს ბოსფორის ფსკერზე თავმოკრულ ტყავის ტომრებში ასრულებდნენ, ილლიაში თავამოდებულები.

საჭურისების დამახინჯებული ცხოვრების გამო შურისძიებას თავიანთ თავზე, უწინარეს ყოვლის ჰარამხანაში მცხოვრები ქალები გრძნობდნენ.

**„სერალში თავს ისე ვგრძნობ, როგორც ჩემს პატარა სამეფოში, რაც თავმოყვარეობას მიკმაყოფილებს, თავმოყვარეობა კი ჩემი ერთადერთი შემორჩენილი ვნებაა და ჟინი. კმაყოფილი ვარ, რომ ყველაფერი ჩემზე დგას, და რომ ყოველწუთიერად ვჭირდები ვინმეს. მე მსიამოვნებს ყველა ამ ქალის ჩემდამი სიძულვილი: ეს სიძულვილი განმამტკიცებს ჩემს თანამდებობაზე. მაგრამ არც მე ვრჩები ვალში: მათთვის მე ვარ წინაღობა ყველა თავიანთი სიამოვნების მოპოვების გზაზე, ყველაზე უწყინარისაც კი. მათ წინაშე ყოველთვის აღვიმართები, როგორც გადაულახავი ზღუდე; ისინი ადგენენ გეგმებს, მე კი მათ მოულოდნელად ვარღვევ"** *(მონტესკიე. სპარსული წერილები).*

ძალაუფლება კი, რომელიც საჭურისებს დიად სერალში გააჩნდათ, თანდათან იზრდებოდა, ფართოვდებოდა და ისინი, კაცმა რომ თქვას, უზარმაზარ იმპერიას მართავდნენ.

**საჭურისების მომსახურება თურქეთში ბიზანტიიდან შემოვიდა. ხოლო ოტომანთა ჰარამხანაში საჭურისები სულთან მეჰმედ დამპყრობის დროს გამოჩნდნენ. თავდაპირველად ჰარამხანას თეთრკანიანი საჭურისები იცავდნენ, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიიდან, სომხეთიდან და საქართველოდან შემოჰყავდათ. არ შეიძლებოდა, რომ საჭურისები თურქები ყოფილიყვნენ, რადგან მუსლიმების კასტრაციას ყურანი კრძალავს.** 1582 წლიდან, მას შემდეგ, რაც სულთანმა მურად II-მ (1574-1595) მთავარ საჭურისად აბისინიელი მეჰმედ აღა დანიშნა, საჭურისებად თითქმის ყოველთვის აბისინიელებს (ეთიოპელებს) არჩევდნენ. გაირკვა, რომ თეთრკანიანი ბიჭები ძალიან ცუდად იტანენ კასტრაციას, შავკანიანები კი — გაცილებით თავისუფლად. მონათმოვაჭრეებმა დაიწყეს აფრიკიდან ბიჭების ჩამოყვანა, სადაც მათ ტომების ბელადებისგან ყიდულობდნენ ან იტაცებდნენ. ვაჭრობა, რომელიც ორივე მხარისთვის მომგებიანი იყო, სწრაფად განვითარდა და ხომალდებს, რომელთა ტრიუმები სავსე იყო ცოცხალი საქონლით, უფრო და უფრო მეტი ბიჭი — ჰარამხანების მომავალი მცველები — ჩამოჰყავდათ მექას, მედინას, ბეირუთის, იზმირისა და სტამბოლის ტყვეთა ბაზრებზე.

შავკანიან საჭურისებს უპირატესობას ანიჭებდნენ სხვა მიზეზისა გამოც. დამკვიდრებული იყო აზრი, რომ საჭურისებს პენისის გაზრდის კვალზე შეეძლოთ ქალების დაორსულება, შავი ბავშვის დაბადება დაუყოვნებლივ და უტყუარად მიუთითებდა, რომ ოდალისკამ პატრონს უღალატა.

**ჰარამხანაში მოხვედრისთანავე საჭურისებს ახალ სახელებს არქმევდნენ — ყვავილების სახელებს და ეს უზარმაზარი, მახინჯი მცველები ატარებდნენ ვარდის, სუმბულის, ნარგიზის, მიხაკის ნაზ სახელებს. ითვლებოდა, რომ გადარქმეული სახელები საუკეთესოდ ესადაგებოდა იმათ, ვინც სულთნის „სუფთა და სურნელოვან" ცოლებს იცავდა.**

საჭურისებს, როგორც ჰარამხანების სხვა მსახურებს, თავიანთი იერარქია ჰქონდათ და თავიანთი მოვალეობები ჰქონდათ დაკისრებული. თეთრკანიან საჭურისებს, რომელთაც სათავეში კაპუ-აღა ედგათ, ევალებოდათ ჰარამხანის გარე და სულთნის სავანის დაცვა, ქალთა შენობაში შესვლა კი ეკრძალებოდა.

შავი საჭურისების სადგომი, იმათი, ვინც მეფისწულების სწავლა-აღზრდაზე იყვნენ პასუხისმგებელი, გამოირჩეოდა მდიდრული მოწყობილობითა და ფუფუნებით, ამიტომ იყო, რომ **ყველა საჭურისს ოცნებად ჰქონდა მთავარი შავი საჭურისი — ყიზლიარაღასი გამხდარიყო.**

ტოპყაპიში საჭურისები ცხოვრობდნენ შენობებში, რომლებიც ნეტარების კარიბჭესთან იდგა. შესასვლელი რკინის ორი კარით იკეტებოდა. გასაღები დაცვას ჰქონდა ჩაბარებული, ღამის დადგომისთანავე მთავარ საჭურისს გადაეცემოდა.

**ახალგაზრდა საჭურისების ცხოვრება სერალში იოლი არ იყო. იქ დამყარებული დისციპლინა სამხედრო წესებს უთანაბრდებოდა, სასჯელი სასტიკი იყო. ახალბედებს გონების დაკარგვამდე ჯოხებით სცემდნენ იმის მიუხედავად იყვნენ თუ არა დანაშაულში მხილებული. სწავლის პერიოდში ახალგაზრდა საჭურისები უფრო გამოცდილთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. მას შემდეგ, რაც საკმარის გამოცდილებასა და ცოდნას შეიძენდნენ ჰარამხანის ქალბატონების მსახურებად გადაჰყავდათ, ყველაზე ნიჭიერებს კი თვით ვალიდეს მიუჩენდნენ.**

საჭურისები კარგად იყვნენ უზრუნველყოფილნი, ყოველდღიურად 60-დან 100 აჩკემდე ეძლეოდათ ხელფასი, ცალკე კიდევ — წლიური უზრუნველყოფა. ჰქონდათ არაოფიციალური შემოსავალიც. ისინი გაერთიანებული იყვნენ ერთგვარ სავაჭრო ამხანაგობაში, ადგენდნენ ჰარამხანისთვის საჭირო ნივთებისა და ძვირფასეულობის ფასებს, ყიდულობდნენ ამ ყველაფერს ვაჭრებისგან და მიჰყიდნენ ხოლმე ჰარამხანის ქალებს. მოკლედ, გადამყიდველობდნენ.

დამატებით შემოსავლად ითვლებოდა ის საჩუქრები, რომლებსაც სასახლის კარის სხვა მოსამსახურეები მიართმევდნენ წესისამებრ.

**საჭურისები ოსმანთა იმპერიის ყველაზე დიდი მექრთამეები იყვნენ, ქვეყანაში კი ჭეშმარიტად საშინელი კორუფცია იყო გამეფებული. იღებდნენ საჩუქრებს არა მარტო თავიანთი მბრძანებლისგან, არამედ უამრავ მთხოვნელთაგან. სულთნის ფავორიტ ქალებს შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაზე მთხოვნელის სასარგებლოდ. მათთან კონტაქტის დამყარება შეიძლებოდა კარგა დიდი ანაზღაურებით, რომელსაც საჭურისს მიართმევდნენ. ამ უკანასკნელთ შექმნილი ჰქონდათ გარე სამყაროსთან კავშირის დამყარების ურთულესი სისტემა.**

კომიკური ამბავი შეემთხვა სახელგანთქმულ რუს სარდალს, ნაპოლეონთან ომის გმირს — მიხეილ კუტუზოვს. დიპლომატიური მისიის ხელმძღვნელად სტამბოლში რომ ჩავიდა, შეაგროვა ცნობები სულთნის ფავორიტების მიდრეკილებათა შესახებ და, საჭურისებთან დამყარებული სანდო ურთიერთობის წყალობით, სერალში შეაღწია.

კუტუზოვი გაბედული ადამიანი იყო და ჰარამხანის ბაღში მარტოდმარტოდ შესვლა გარისკა. მშვენიერი თურქულით და მდიდრული ძვირფასეულობით ქალების გულები დაიპყრო და დაიმორჩილა, მაგრამ „სულთნის ვარდებთან" მისი საუბრის ამბავმა გაჟონა. სტამბოლი შეძრა ამ ფაქტმა და **შეშინებული მთავარი საჭურისი, სულთან სელიმ III-ს წინაშე თავს რომ იმართლებდა, იძულებული იყო, ეთქვა, რომ სახელგანთქმული სარდალი და ოჯახის ღირსეული მამა მიხეილ კუტუზოვი იმპერატრიცა ეკატერინე-II-ს მთავარი საჭურისი იყო (!). ამან დიდად გაახალისა სტამბოლში რუსეთის მისიის წევრები, მაგრამ მთავარი მიზანი მიღწეული იყო: ყველა საკითხი ერთ კვირაში გადაწყდა, მშვიდობის დამყარების პირობები კი უაღრესად მომგებიანი აღმოჩნდა რუსეთისთვის.**



გაგრძელება იქნება

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მაღვიძარა, რომელიც დარბის

**დილით ადრე გაღვიძება მრავალ ადამიანს უჭირს. ხშირად, როდესაც მაღვიძარა რეკავს, ვთიშავთ და ძილს განვაგრძობთ. ამგვარად მაღვიძარას, სახელწოდებით „საათი", კი თავიდან ვერ მოიშორებთ. ბრიტანელმა სტუდენტმა, რომლის ვინაობაც არ ხმაურდება, შექმნა მაღვიძარა, რომელიც მითითებულ დროს ადგილიდან იძვრის და სწრაფად გადაადგილდება.** მოძრაობისას მაღვიძარა ხმამაღლა „ყვირის" და ერთადერთი გზა მის გამოსართავად, უკან დადევნება და ღილაკზე თითის დაჭერაა. მოწყობილობას სპეციალური დიდი ზომის ბორბლები აქვს, რომლებითაც ნებისმიერ ზედაპირზე მაღალი სიჩქარით მოძრაობს. მაღვიძარა 40 გირვანქა სტერლინგი ღირს.





# ვატიკანის საიდუმლო არქივები



ვატიკანის ბიბლიოთეკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველია, ხოლო მის საცავებში შენახული წიგნებითა თუ სხვა სიძველეებით — ერთ-ერთი ყველაზე დიდი. იქ ინახება 1.6 მილიონი წიგნი, 180 000 მანუსკრიფტი, 300 000-მდე იშვიათი მონეტა და მედალიონი, 150 000-მდე იშვიათი ხელნაწერი, ნახატი და გრავიურა.

ბუნებრივია, „ჰობიტზე" და „ჰარი პოტერზე" არ არის საუბარი, იქ ინახება უიშვიათესი წიგნები, რომლებიც ისტორიის განმავლობაში მსოფლიოს ყველა კუთხიდან გროვდებოდა. აქ იმდენი რამეა თავმოყრილი, რომ შავი ბაზრის აუქციონებზე ყველაფრის გაყიდვას ერთი წელიც არ ეყოფა. სიძველეებისა და საიდუმლოებების მხრივ კი ყველაზე მიმზიდველი ადგილი ვატიკანის საიდუმლო საცავებია.

საიდუმლო დოკუმენტები ამ არქივში 1610 წლიდან გროვდება და თაროების მთლიანი სიგრძე 52 მილია. არქივებში შესვლის უფლებას მკვლევარების ძალიან მცირე რაოდენობას აძლევენ. ამ გამორჩეული მეცნიერების გარდა, არავინ იცის, რა ინახება რეალურად იქ. **ვატიკანის დაცვას, უკვე 500 წელია, შვეიცარიული არმია უზრუნველყოფს.** იმისთვის, რომ ვატიკანის მცველი გახდე, აუცილებლად შვეიცარიელი და კათოლიკე უნდა იყო. უნდა გქონდეს სამხედრო გამოცდილება და, რაც მთავარია, უნდა შეძლო მკაცრი გასაუბრების და შერჩევის პროცესის დაძლევა.



# თიტიცაცას ტბის მცურავი კუნძულები

**თიტიცაცას ტბა პერუსა და ბოლივიის საზღვარზე, ზღვის დონიდან 3811 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.**

ტბა წარმოუდგენლად შთამბეჭდავია იმის გამო, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ლერწმისგან ხელოვნურად შექმნილ მომცრო კუნძულებზე ცხოვრობს.

სამხრეთ ამერიკაში, პერუს ტერიტორიაზე, ძირითადად, მდინარისპირა და ტბის ქვიშებზე ხარობს მრავალწლიანი ბალახოვანი ტროპიკული მცენარე ლერწამი, რომელიც სიმაღლეში 4-6 მ-მდე იზრდება.

ტბაზე ადგილობრივი მოსახლეობა 2000-ზე მეტ ადამიანს შეადგენს და მათი შემოსავლის წყარო ლერწამია, რომელსაც იყენებენ საშენ მასალად, ქოხებად, კალათებისა და წყლის ნავების გასაკეთებლად; აშენებენ ქვიშიანი ადგილების გასამაგრებლად, ხოლო მის ახალგაზრდა ყლორტებს საქონლის საკვებად იყენებენ.

ლერწამი დეკორატიულია და მკვიდრი მოსახლეობაც მისდევს დეკორაციულ ხელოვნებას, მუყაითი შრომით აღწევენ წარმატებებს საყოფაცხოვრებო საქმიანობაში.









ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მაფიისგან თავისუფალი დაწესებულებების გზამკვლევი

**იტალიის რეკეტის საწინააღმდეგო ფედერაციამ (Federazione Antiracket Italiana, FAI) გზამკვლევი „გადაუხადე მათ, ვინც არ იხდის“ შეადგინა. ბროშურაში 1000-ზე მეტი სასტუმრო, რესტორანი, ბარი და მაღაზიაა ჩამოთვლილი, რომელთაც რეკეტიორებისთვის ფულის გადახდაზე უარი თქვეს.** გამოცემაში საუბარი ეხება ისეთ რეგიონებს, როგორიცაა სიცილია, კამპანია, კალაბრია და აპულია. წიგნის წინასიტყვაობაში FAI-ს პრეზიდენტი ტანო გრასო წერს, რომ საქონლისა და მომსახურების საფასურის გადახდისას აუცილებელია მომხმარებელს ახსოვდეს, რომ იმ მაღაზიაში ვაჭრობისას, რომელიც რეკეტიორებს ფულს უხდის, დანაშაულის უნებლიე თანამონაწილე ხდება.



## «მფრინავი» ინტერნეტი

**თუ თქვენ უდაბნოში იმყოფებით, სამხრეთ პოლუსზე ან ჩვენი პლანეტის სხვა რომელიმე ამდაგვარ წერტილში, ნაკლებსავარაუდოა, რომ მობილური კავშირის ან ინტერნეტის გამოყენება შეძლოთ. ამ პრობლემის გადაჭრას კომპანია Google თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საჰაერო ბურთების გამოყენებით აპირებს. სტრატოსფეროში დედამიწის გარშემო საჰაერო ბურთის „ჩამოკიდებით“ უკაბელო ინტერნეტი პლანეტის ნებისმიერ წერტილში იქნება ხელმისაწვდომი.**

მასშტაბური პროექტის იდეა ლაბორატორია Google X Lab-ის თანამშრომლებს ეკუთვნით. პროექტ Project Loon-ის ფარგლებში დედამიწიდან 18-20 კმ-ის სიმაღლეზე მზის ელემენტებითა და საკომუნიკაციო აპარატურით აღჭურვილ ასი ათასობით საჰაერო ბურთს გაუშვებენ.

ატმოსფეროს ზედა ფენებში საჰაერო ბურთები ჰაერის სტაბილური ნაკადის ზემოქმედებით იმოძრავებს. მათი სიმაღლის ცვლილებას და საჰაერო ნაკადში დარჩენას მართვის ერთიანი სისტემა განაპირობებს. პროექტის ფარგლებში პირველი ექსპერიმენტები ამჟამად ავსტრალიაში ტარდება. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, უახლოეს მომავალში, უკაბელო ინტერნეტის გავრცელების მიზნით, ახალი ზელანდიის ცაში რამდენიმე საჰაერო ბურთს გაუშვებენ. წარმატების შემთხვევაში სპეციალისტები პროექტის შემდგომი განვითარების საჭიროებასა და მის ფინანსურ მხარეზე იმსჯელებენ.



## 20 წლის გოგონა-თოჯინა

**20 წლის ლონდონელი გოგონა-თოჯინა ქეით ლოურენსი მაკიაჟის გასაკეთებლად დღეში რამდენიმე საათს სარკესთან ატარებს. ის ასევე დიდ დროს ხარჯავს იაპონური კულტურის შესწავლაზე, რაც მისი შთაგონების წყაროა.**

„როცა ქუჩაში დავდივარ, ადამიანები ყურადღებას მაქცევენ, ზოგი სურათის გადაღებასაც მთხოვს. მომწონს თოჯინების ფართოდ გახელილი თვალები, ისეთები, როგორიც მულტფილმებშია. ამ ეფექტის მისაღწევად ლინზებსა და ხელოვნური წამწამების ორ კომპლექტს ვიყენებ“, — ამბობს ქეითი. გოგონას თოჯინის ხუთი კოსტიუმი აქვს. თუმცა ფულს, რომელსაც ქეითი მოდელად მუშაობაში იღებს, ძირითადად კოსმეტიკაზე ხარჯავს. ქეითი თვეში 300 დოლარის ღირებულების კოსმეტიკას ყიდულობს, მაკიაჟის გაკეთებას კი ყოველდღიურად სამ საათს ანდომებს. თოჯინასთან მსგავსების სურვილი მას ოთხი წლის ასაკში გაუჩნდა, როდესაც დაბადების დღეზე PlayStation აჩუქეს. ქეითი კომპიუტერული თამაშების გმირებით მოხიბლული დარჩა.

# ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა

**დიდი ავსტრიელი ზოოლოგის, ფსიქოლოგისა და ორნოთოლოგის — კონრად ლორენცის მიერ განხილულ იქნა რვა ერთმანეთისგან განსხვავებული, თუმცა მიზეზობრივად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესი, რომლებიც განადგურებით ემუქრება არა მხოლოდ დღევანდელ კულტურას, არამედ მთელ კაცობრიობას, როგორც სახეობას. ეს ნაშრომი ცნობილია სახელწოდებით: „ცივილიზებური კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“.**



**აი ეს ცოდვებიც:**

**1.** მოსახლეობის სიჭარბე, რომელიც ყოველ ჩვენგანს სოციალური კონტაქტების მოზღვავების გამო აიძულებს, არსებითად „არაადამიანურად“ გაემიჯნოს სხვას, და რომელიც, ვიწრო სივრცეში უამრავი ინდივიდის თავმოყრის გამო, აგრესიას ბადებს, შედეგად კი იწყება ადამიანთა გაუცხოება;

**2.** ბუნებრივი სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგება, რაც არა მარტო ანგრევს გარემოს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არამედ თვით ადამიანშიც ანადგურებს დიადი სამყაროს სრულყოფილებისა და სილამაზისადმი მოწიწების გრძნობას;

**3.** კაცობრიობის შეჯიბრი საკუთარ თავთან, რასაც ტექნოლოგიის განვითარება, ჩვენდა საუბედუროდ, სულ უფორ მეტად აჩქარებს, ადამიანს ჭეშმარიტი ღირებულებების დასანახ თვალს უბრმავებს და დროს არ ტოვებს ჭეშმარიტად ადამიანური სააზროვნო საქმიანობისთვის;

**4.** ყველა ძლიერ გრძნობათა და აფექტთა გაქრობა. ტექნოლოგიისა და ფარმაკოლოგიის წინსვლა აძლიერებს შეუწყნარებლობას ყველაფრის მიმართ, რაც სულ ცოტათი მაინც ჩვენს უსიამოვნებას გამოიწვევს. ადამიანი კარგავს უნარს, განიცადოს სიხარული, რომელიც ეწვევა ხოლმე ძალთა დიდი დაძაბვისა და წინააღმდეგობათა დაძლევის შედეგად. სიხარულისა და მწუხარების ხან ზეაჭრილი და ხან ქვედაშვებული კლაკნილის მკვეთრი კონტრასტულობა ენითუთქმელი მოწყენილობის უგერგილო რხევამდე დადი;

**5.** გენეტიკური დაშლა. თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში არ არსებობს (გარდა „ბუნებრივი სამართლის გრძნობისა“ და ზოგიერთი შემორჩენილი სამართლის ტრადიციისა) არავითარი ფაქტორი, რომელიც სელექციურ ზეგავლენას მოახდენს სოციალური ქცევის ნორმათა განვითარებასა და შენარჩუნებაზე, მით უმეტეს, რომ საზოგადოების ზრდასთან ერთად იგი სულ უფრო უცილო ხდება. არ არის გამორიცხული, რომ ბევრი ინფანტილიზმი, რაც დღევანდელი „მოჯანყე“ ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს სოციალურ პარაზიტებად აქცევს, გენეტიკურადაც იყოს განპირობებული;

**6.** ტრადიციისგან მოწყვეტა, რაც გამოწვეულია იმით, რომ თაობათა ურთიერთობამ იმ კრიტიკულ წერტილს მიაღწია, როცა უმცროსი თაობა კარგავს უფროსთან კულტურულ ურთიერთგაგებას. იდენტიფიკაციაზე ხომ საერთოდ აღარც შეიძლება ლაპარაკი. ამიტომ იგი მას ექცევა ისე, როგორც უცხო ეთნიკურ ჯგუფს და მას ნაციონალურ სიძულვილს ახვედრებს.

იდენტიფიკაციის დაკარგვა, უპირველესად, მშობლებსა და შვილებს შორის კონტაქტის დაკარგვითაა გამოწვეული, რაც უკვე ჩვილობის ასაკში პათოლოგიურ შედეგებს გვაძლევს;

**7.** კაცობრიობის ინდოქტრინაციის ზრდა. ერთ კულტურულ ჯგუფში გაერთიანებულ ადამიანთა რიცხოვზრივ ზრდას, ტექნიკურ საშუალებათა სრულქმნასთან ერთად, მივყავართ საზოგადოებრივი აზრის, შეხედულებათა იმგვარი უნიფორმებისკენ, როგორიც კაცობრიობის ისტორიას საერთოდ არ ახსოვს. ამას ემატება ისიც, რომ მტკიცედ შეთვისებული დოქტრინის შთაგონებითი ზემოქმედება გეომეტრიული პროგრესიით იზრდება მისი მომხრეების რაოდენობის ზრდასთან ერთად. დღეს, მაგალითად, ინდივიდს, რომელიც თავს შეგნებულად არიდებს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, თუნდაც ტელევიზორს, პათოლოგიურად მიიჩნევენ. დეინდივიდუალიზაციის ყველა ეფექტი სასურველია მათთვის, ვისაც ადამიანთა დიდი მასებით მანიპულირება სურთ. შეხედულებათა შესწავლა, სარეკლამო ტექნიკა და ალღოიანად წარმართული მოდა დიდ მწარმოებლებს ეხმარება მასებზე ძალაუფლების გაძლიერებაში;

**8.** ბირთვული იარაღით შეიარაღება, რასაც კაცობრიობისთვის ის საფრთხე მოაქვს, რომელიც შედარებით უფრო ადვილად შეიძლება თავიდან ავიცილოთ, ვიდრე ზემოთ აღწერილი შვიდი საფრთხე.

## ბრიტანელი მამაკაცები ცოლები გახდებიან

**ბრიტანელ პოლიტიკოსებს სიტყვების — „ქმარი“ და „ცოლი“ ტრადიციული მნიშვნელობის შეცვლა სურთ. პოლიტიკოსების გადაწყვეტილება ქორწინებაში მყოფ ერთსქესიან წყვილებს უკავშირდება. კანონპროექტში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში ქორწინებაში მყოფ მამაკაცებს უფლება მიეცემათ, ცოლებად იწოდებოდნენ, ხოლო ქალები — ქმრებად.**

ბრიტანეთში ამჟამად განიხილება კანონონპროექტი ინგლისსა და უელსში ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზაციის შესახებ. სიტყვებთან დაკავშირებით ცვლილების შეტანა სწორედ ამ კანონპროექტში სურთ.

ცვლილებამ უნდა განსაზღვროს, როგორ უნდა გამოიყენონ ესა თუ ის ტერმინი ოფიციალურ დოკუმენტებში, ხსენებული კანონის მიღების შემთხვევაში.

თუ ბრიტანელი პოლიტიკოსების ინიციატივა დამტკიცდება, სიტყვები „მამა“ და „დედა“, შესაძლოა, საერთოდ ამოიღონ ოფიციალური დოკუმენტებიდან. კანონის მიღების შემთხვევაში სიტყვა „ქმარი“, შესაძლოა, აღნიშნავდეს როგორც მამაკაცს ტრადიციულ ქორწინებაში, ასევე ქალს არატრადიციულ ქორწინებაში. ანალოგიურად განისაზღვრება „ცოლის“ მნიშვნელობაც.

ინიციატივას საზოგადოების მხრიდან უკვე მოჰყვა კრიტიკა. გენდერული ტერმინების მნიშვნელობის შეცვლის მოწინააღმდეგეები მას სასაცილოს უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ მსგავსი ცვლილებები ინგლისურ ენას დაამახინჯებს.





## კარლ ლაგერფელდი კომპიუტერული თამაშის გმირი გახდა

**კარლ ლაგერფელდმა სათვალეების ახალი კოლექციის რეკლამისთვის კომპიუტერული თამაში შექმნა, რომლის გმირიც თავად არის.** თამაშს Je Veux Les Lunettes De Karl (მე მინდა კარლის სათვალეები) ჰქვია. მისი მიზანი კარლ ლაგერფელდის ლეგენდარული სათვალეების მოპოვებაა, რომელსაც დიზაინერი მუდმივად ატარებს. თამაშში კარლ ლაგერფელდის პროტოტიპი გამუდმებით ცდილობს მოთამაშეების მოტივირებას. **„გგონია, ასე ადვილია სათვალეების გარეშე ჩემი დანახვა? თუმცა ეს შესაძლებელია“,** — ამბობს თამაშის რამდენიმე ეპიზოდში კომპიუტერული კარლი. თამაში სულ 1 თვე იფუნქციონირებს. მის გამარჯვებულს ეძლევა შანსი, მოიგოს ნამდვილი სათვალე ლაგერფელდის სათვალეების ლიმიტირებული სერიიდან.

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სახლი მზის ბატარეებზე

**ეს კრეატიული ხის სახლი აღჭურვილია მზის ბატარეებით, რომლებიც მზის სხივებს ელექტროენერგიად გარდაქმნის.**

ალსანიშნავია, რომ სახლი აწარმოებს ორჯერ მეტ ენერგიას, ვიდრე საჭიროა მისი ფუნქციონირებისთვის.

ალტერნატიული ენერგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა მზის ბატარეები — ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც მზის ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას ელექტროენერგიად გარდაქმნის. მზის ბატარეებს უწოდებენ რამდენიმე გაერთიანებულ ფოტო-ელექტრო გარდამქმნელს (ფოტოელემენტები) – ნახევრგამტარ მოწყობილობებს, რომლებიც მზის (ფოტონის) ენერგიას პირდაპირ გარდაქმნის მუდმივ დენად.

აგრეთვე, არსებობს დანადგარი, რომელსაც სწორედ ლოტუსის ფორმა აქვს. ასეთი დანადგარი განსაკუთრებით ეფექტურად აგროვებს სითბოს და შეუძლია ამ სითბოს ელექტროენერგიად გარდაქმნა.











## ქალის პირად ცხოვრებას თავის ქალის ფორმა განსაზღვრავს

**ქალის თავის ფორმას ბევრი რამის თქმა შეუძლია მამაკაცებთან მისი ურთიერთობის შესახებ. ასეთი აღმოჩენა ბრიტანელმა მეცნიერებმა გააკეთეს.**

სტირლინგისა და გლაზგოს უნივერსიტეტების მეცნიერთა მიერ ჩატარებულ კვლევაში რამდენიმე ასეულმა მოხალისე მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა. მათი აზრით, ქალები, რომლებიც თავის ქალის — მოგრძო, ხოლო ყბის „კვადრატული“ ფორმით გამოირჩევიან, გრძელვადიანი ურთიერთობისთვის უკეთ გამოდგებიან.

ამავე დროს, სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომლებსაც თავის ქალის მრგვალი ფორმა და სახის ნაზი ნაკვთები აქვთ, კვლევაში მონაწილეებმა თავქარიანად და არასერიოზულად მიიჩნიეს და განაცხადეს, რომ მათთან მხოლოდ მოკლევადიანი რომანით შემოიფარგლებოდნენ.



## ყველაზე გრძელი გვირაბი მსოფლიოში

**შვეიცარიაში დასრულდა მსოფლიოში ყველაზე გრძელი გვირაბის მშენებლობა. მისი სიგრძე 57 კილომეტრს შეადგენს.**

**მას უწოდეს გოტჰარდის გვირაბი (Gotthard Base Tunnel), ხოლო თვით მშენებლობა დაახლოებით 12 წელი გრძელდებოდა. მოცემული მომენტისთვის ხარჯებმა 7,5 მილიარდი ევრო შეადგინა, ხოლო სამუშაოს დამთავრებისას, რაც 2016-2017 წლებისთვისაა დაგეგმილი, ხარჯებმა შეიძლება მიაღწიოს 15 მილიარდ ევროს, ესე იგი გაორმაგდეს.**

გვირაბი მგზავრობის დროს ციურიხსა და მილანს შორის 2,5 საათით შეამცირებს, რაც უზრუნველყოფს უფრო მარტივ და ეფექტურ მარშრუტს სატვირთო და სამგზავრო მატარებლებისთვის — მათ აღარ მოუწევთ ალპური უღელტეხილის გავლა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველაზე გრძელი გვირაბის წინა რეკორდი ეკუთვნოდა იაპონიის შეიკან გვირაბს, რომლის სიგრძე 53,9 კილომეტრს შეადგენდა.







# პროფესორი გაბიანი სამართალს ეძებს!

## ღია წერილი საქართველოს იუსტიციის მინისტრს, სიმპათიურ, გონიერებით, ცოდნითა და მაღალი ზნეობით აღვსილ ქალბატონ თეა წულუკიანს

**საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სამართლისა და სოციოლოგიის დოქტორს, პროფესორ ანზორ გაბიანის მიერ საქართველოს მთავარ პროკურატურაში წარდგენილ საკმაოდ დიდი მოცულობის მამხილებელ მასალებზე (ჩემი მომცრო მონოგრაფია სათაურით „საქართველოში ველური კაპიტალიზმის „ყვავილობის“ სათავეებთან“ გამოიცა 2012 წელს და ორი, აგრეთვე, მამხილებელი შინაარსის მოზრდილი წერილი, გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ მიმდინარე წელს) იუსტიციის სამინისტროს პასუხს (რომელიც მივიღე 2013 წლის 10 ივლისს საპროკურორო საქმიანობის კონტროლისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსის, ქალბატონ მადონა ღიბრაძის ხელმოწერით) მოკლედ შეიძლება ასე ვუპასუხოთ:**

სამმართველოს უფროსი, ქალბატონი მადონა ღიბრაძე თავის მოკლე, ლაკონურ პასუხში მიუთითებს, რომ **„თქვენი განცხადება არის ზოგადი შინაარსის მქონე და მასში არ არის მითითებული პროკურატურის მუშაკების რაიმე კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის თაობაზე... ამიტომ გთხოვთ, კონკრეტულად მიუთითოთ პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ და მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე“.**

კეთილი და პატიოსანი. მე ქალბატონ მადონა ღიბრაძის თაოსნობაზე მადლობის მეტი რა მეთქმის, როდესაც იგი გამოთქვამს მზადყოფნას, დასაჯოს ამ საქმეში დამნაშავე პროკურორები, თუ ამის შესახებ ექნება დამატებითი ინფორმაცია და ასე შემდეგ, მაგრამ ზემოაღნიშნული წიგნის შესავალ ნაწილში, სადაც მოცემულია ჩემ მიერ დაწერილი მოკლე განცხადება თქვენსა და ბატონ არჩილ კბილაშვილის სახელზე, პირველივე სტრიქონებში **მითითებულია ამ უმძიმეს და უსაზიზღრეს დანაშაულში მთავარი დამნაშავე — ბატონ მიხეილ სააკაშვილის ნაცელიტა, აგრეთვე, იმდროინდელი გენერალური პროკურორი თუ იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და პროკურატურის რიგი სხვა თანამდებობის პირებისა, აგრეთვე, კომერციული სტრუქტურების წარმომადგენლებისა, რომელთაც ამ თითქმის ათიოდე წლის წინ მოახდინეს ჩვენ წინააღმდეგ ბრალდების უნიჭო და უსუსური ფაბრიკაცია.**

მაგრამ ქალბატონ მადონა ღიბრაძეს ეგებ ჰგონია, რომ ჩვენ წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებრივი უკანონობის გამო უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რაც, სამწუხაროდ, არ შეეფერება სინამდვილეს, ამიტომ, კიდევაც რომ იქნას წარმოდგენილი ეპიზოდები, რომელთა ჩადენაშიც ისინი დამნაშავენი არიან, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამას არ ექნება სათანადო შედეგი მანამ, სანამ არ აღიძრება სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც ბრალი მიუძღვით არარსებული დანაშაულის პროვოცირებაში.

**როგორც ჩანს, ქალბატონი მადონა ღიბრაძე დიდად არის დაკავებული თავისი რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებით, ამიტომ ვერ მოიცალა, დაკვირვებით წაეკითხა ჩემ მიერ წიგნის ფორმით წარმოდგენილი განცხადება-ბრალდება, ხშირ შემთხვევაში იმის მითითებით, თუ სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლების მიხედვით უნდა მომხდარიყო ჩვენ წინააღმდეგ მძიმე დანაშაულის ჩამდენ დამნაშავეთა დასჯა იმ დანაშაულებრივ ეპოპეაში, რომელიც, უკვე ათი წელია, გრძელდება და, თუ კარგად დავაკვირდებით დღეს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რომელთა უკან ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურები, ევროკავშირის სტრუქტურები და, რაც მთავარია, აშშ-ის მოქმედი ელჩი დგანან და სრულიად აშკარად საქმე იქითკენ მიჰყავთ, რომ თუ არა მასობრივი სახალხო მღელვარება, საქართველოს ნაცელიტა, რომელსაც ნაცშპანასაც უწოდებენ, არა მარტო მშრალად ამოვა უბინძურესი წყლიდან, არამედ ჩვენს თავზე ახალ უბედურებებსაც დაატრიალებს.**

**სხვათა შორის, ბატონ ბიძინასა და მის ზოგიერთ თანამებრძოლს, მაგალითად, თქვენ და ბატონ არჩილ კბილაშვილს, მე და ჩემი თანამოაზრეები, მიუხედავად შექმნილი საკმაოდ კრიზისული ვითარებისა, და თქვენი ძალისხმევის არასაკმარისი ეფექტურობისა, უსამართლობასთან სერიოზულ მებრძოლებად მიგიჩნევთ, მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ვერ ვაცნობიერებდეთ იმ მეტად ნეგატიურ ტენდენციებს, კერძოდ, უპატიებელ დათმობებს ნაცბანდის ოდიოზურ წარმომადგენელთა მიმართ, რომელთაც ძალუძთ, ეს დათმობები ბოროტად გამოიყენონ და დიდი ვნება მიაყენონ მთელ თქვენს კოალიციას, პირადად თქვენ და, რაც მთავარია, ბატონ ბიძინას, თითოეულ ჩვენგანს, ანუ საქართველოს მოსახლეობას.**

ამას მე, ანზორ გაბიანი, მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რადგან თითქმის ოთხი ათეული წლის წინ გავხდი პირველი კავკასიაში და ერთ-ერთი პირველთაგანი მაშინდელ სსრ კავშირში მეცნიერებათა დოქტორი ემპირიულ სოციოლოგიაში და თანაც მის ისეთ დარგში, რომელსაც, როგორც თქვენ, ალბათ, კარგად მოგეხსენებათ, ნორმიდან გადახრილი ქცევის სოციოლოგია, ხოლო შინაურობაში დამნაშავეობის ან, გნებავთ, კრიმინალური სოციოლოგია ჰქვია; და ვარ ავტორი რიგი ისეთი უნიკალური გამოკვლევებისა და პუბლიკაციებისა, რომელთაც, უკვე დიდი ხანია, საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს, რომელთა მეტი ნაწილი მავან და მავან მიზეზთა გამო გასაიდუმლოებული იყო და მათ შედეგებს ეცნობოდა მხოლოდ პარტიული და საბჭოთა, სამეცნიერო, აგრეთვე, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ეგრეტ წოდებული ელიტარული ნაწილი. **სწორედ ეს მაძლევს დღეს უფლებას, გავკადნიერდე და ვთქვა, რომ მეცნიერების ამ დარგის მიღწევათა შესახებ თუნდაც ყველაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა ამ ჩვენს, ვითომდა ყოვლად გაურკვეველ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში, ვფიქრობ, სასარგებლო იქნებოდა არა მარტო მმართველი კოალიციის, არამედ მის თანამოაზრეთა ფართო წრისთვის, პირველ რიგში კი თქვენთვის, ქალბატონო თეა და ბატონო არჩილ!..**

რაც შეეხება ქალბატონ მადონა ღიბრაძის შენიშვნას, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილ მასალებს კონკრეტულობა აკლია, მართალია, ამ შენიშვნას მხოლოდ ნაწილობრივ ვიღებ, მაგრამ ამ მოკლე გამოხმაურებაში შევეცდები, შეძლებისდაგვარად სრულად დავასახელო იმ თანამდებობის პირთა ვინაობა, რომელთაც ამა თუ იმ სახით ბრალი მიუძღვით ამ „საუკუნის დანაშაულში“ და დამნაშავეთა მფარველობაში, რასაც საქართველოს მოსახლეობის ფართო მასებისთვის კარგად ცნობილი კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრ „თეთრი ქალაქის“, უფრო სწორად მისი ნარჩენების, რომელიც თბილისში კარგად არის ცნობილი სავაჭრო სახლ „კიდობანის“ სახელწოდებით, განადგურებასა და ბოროტმოქმედთა მფარველობაში პირდაპირ მიუძღვით ბრალი.

ესენია:

**საქართველოს აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი** (რომელიც კბილებით უჭირავს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი ელიტის რიგ ოდიოზურ წარმომადგენლებს, რომელთაგანაც პუბლიკაციის მოცულობის შეზღუდულობის გამო მხოლოდ ერთს — აშშ-ის მოქმედ ელჩს დავასახელებდი) **მიხეილ სააკაშვილი.**

**საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი, რომელზეც დღემდე საერთაშორისო ძებნაც არ არის გამოცხადებული, ზურაბ ადეიშვილი,** რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა შპს „თეთრი ქალაქის“ განადგურებისა და მისი ქონების ხელში ჩაგდების ოპერაციას, აგრეთვე, **მისი რამდენიმე მოადგილე და ქ. თბილისის იმჟამინდელი პროკურორი, აგრეთვე, მთაწმინდა-კრწანისის აწ უკვე გარდაცვლილი პროკურორი** და მისი ხელქვეითების არც თუ მთლად მცირე რაოდენობის წარმომადგენლები და ა.შ.

**ქ. თბილისის რაიონული თუ საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები,** რომელთაც სრულიად უსაფუძვლოდ გასცეს შპს „თეთრი ქალაქის“ და მის ტერიტორიაზე მოქმედი რამდენიმე შპს-ს დაწიოკების, აგრეთვე, შპს „თეთრი ქალაქის“ მაშინდელი დირექტორის — თამაზ ბაქანიძის, საქმეთა მმართველის გია მეტრეველის, აგრეთვე, ჩემი — ანუ შპს „თეთრი ქალაქის“ გენერალური დირექტორის — ანზორ გაბიანის დაპატიმრების სანქციები. მათგან ორმა ციხეში, წინასწარი პატიმრობის საკნებში, სრული ცხრა თვე გაატარეს, მე კი ტანმა მიგრძნო და მიმალვა მოვახერხე, მაგრამ საერთო ჯამში მიმალვაში 15 ხანგრძლივი თვე გავატარე სრულიად უსაფუძვლოდ, რისი დამტკიცებაც ყველაზე მეტი — 30 წუთის განმავლობაში შემიძლია, თუ ამაზე თქვენი ნება და უშუალო მონაწილეობა იქნება. **სხვათა შორის, სრულიად უკანონოდ და უსაფუძვლოდ ისხდნენ ციხეში, აგრეთვე, დირექტორი თამაზ ბაქანიძე და საქმეთა მმართველი გია მეტრეველი.**

რაც შეეხება იმ სამარცხვინო ეპოპეას, ანუ ტრაგიკომედიას, რომელიც ჩვენ მიმართ საკმაოდ მძიმე რეპრესიების გატარებით დამთავრდა — **პირადად მე ყველაფერთან ერთად სრულიად უკანონოდ „დამაწესეს“ 210 ათასი ლარის გადახდა ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჩამოგვართვეს წილები, რომელთა გამოსყიდვა აუქციონზე 1 მილიონი ლარი დაგვიჯდა, აგრეთვე, დაგვაკისრეს 1 მილიონის გადახდა ბიუჯეტის სასარგებლოდ სრულიად უსაფუძვლოდ.**

რაც შეეხება ამის შემდგომ ეპოპეას, რომელიც 2006 წლიდან დღემდე გრძელდება და ბოლო არ უჩანს, დიდი კრიმინალური ისტორიაა მრავალი მოქმედი პირით და შემსრულებლით, და იგი, საუბედუროდ, ბოლოს, ალბათ, ამ, საქართველოში ყველაზე მოწინავე კულტურულ-ეკონომიკური ცენტრის სრული განადგურებით და ნაძირალა ყოფილ ხელისუფლებასთან დაახლოებული კოლეგა-ბიზნესმენების და, გნებავთ, ბიზნესვუმენების მიერ ნაწილ-ნაწილ მითვისებით დამთავრდება, თუ თქვენ არ დაუსვამთ წერტილს.

დასასრულ, მსურს გამოვთქვა ჩემი ოპტიმისტური აზრი, რომ, თუ მთავარი პროკურატურის, აგრეთვე, იუსტიციის სამინისტროს ძველი, ეგრეტ წოდებულ ნაციონალურ მოძრაობასთან წილნაყარი თანამშრომლები ათი წლის თავზე მაინც კვლავ თავის მომკვდარუნების ტაქტიკას მიმართავენ, **იმედი მაქვს, რომ, მიუხედავად დიდი გადატვირთულობისა, თქვენ, ქალბატონო თეა, რამენაირად გამოძებნით 30 წუთს, რათა ერთობლივად გადავხედოთ არსებულ მასალებს და დავაყენოთ საშველი ამ საქმეს.**

**ანზორ გაბიანი,**
საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,
სამართლისა და სოციოლოგიის დოქტორი,
პროფესორი

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა

## ძვლის პრობლემები

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრული ართრიტის, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე ზედმეტი წონის კორექცია თვეში 5-დან 15 კგ-მდე ჯანმრთელობისთვის უვნებლად, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით — მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქალბატონი მეგი

## სიმაღლეში მომატება!



გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?

დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894